გიული ალასანია

ქართველები
და
ისლამამდელი თურქები

თბილისი
2008

ქართველების და ისლამამდელი თურქების ურთიერთობა ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიული შეისწავლის საგანი დღემდე არ გამხდარა. წინამდებარე გამოკვლევის მიზანია აღნიშნული ხარვეზის შევსება.

„ისლამამდელ თურქებში" იგულისხმებიან ის თურქები, რომლებსაც არ მიუღიათ ისლამი, ნანილს იმის გამო, რომ მათი არსებობა წინ უსწრებდა ისლამს, ხოლო ნანილს იმის გამო, რომ ისინი არ ცხოვრობდნენ ისლამის სამყაროში და ჩვენთვის საინტერესო საუკუნეებში მათი არჩევანი განსხვავებული იყო.

წიგნში გაშუქებულია ქართველების და იმ თურქულენოვანი ტომების ურთიერთობა, რომლებიც წყაროებში ხშირად იხსენიებიან კრებითი სახელებით: ჰუნი, ხაზარი, ყივჩაყი.

რედაქტორი: გოჩა ჯაფარიძე

რეცენზენტები: მანანა სანაძე
თამაზ ბერაძე
ნანი გელოვანი

© გ. ალასანია 2008
ISBN 978-9941-406-41-6

დაიბეჭდა გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს" სტამბაში.
თბილისი, გრ.რობაქიძის გამზ 7ა.

სარჩევი

ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები 5

ქართველებისა და ისლამამდელი თურქების
ურთიერთობის ისტორიიდან V

1. ქართველები და თურქულენოვანი ტომების
პირველი გაერთიანებები კავკასიაში. 21
2. ვახტანგ გორგასლის ურთიერთობა ჰუნებთან;
მისი გარდაცვალების თარიღი 34
3. მეფობის გაუქმება ქართლში; ურთიერთობა
თურქებთან VI საუკუნეში 46
4. ქართველების ურთიერთობა ხაზარებთან
VII-VIII საუკუნის პირველ ნახევარში. 68

საქართველო, ჰერაკლე კეისარი და
მისი მოკავშირე თურქები 87

ქართველების და ბიზანტია-ხაზარების ურთიერთობა
„აფხაზთა სამეფოს“ შექმნის წლებში (ლეონი) 105

ქართველების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის
და ხაზართა როლი საქართველოს VIII საუკუნის
მეორე ნახევრის ისტორიის მოვლენებში
(„ქართველთა სამეფოს“ შექმნის სათავეებთან). 127

ყივჩაყები საქართველოში. 169

ორბელების კავშირი თურქულ სამყაროსთან:
მითი თუ რეალობა?
(ბარათაშვილების წარმომავლობისათვის) 189

ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები

„Ოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ქართლში შემოსულ „ალექსანდრე მაკედონელს ბუნ-თურქები დახვდნენ — „ნათესავნი სასტიკნი... მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა...“. სწორედ „ბუნთურქთა უფლისაგან“ ითხოვეს „ქუეყანაჲ ხარკითა“ ქალდეველთაგან გამოსხმულთა ჰონთა [1, 81].

„ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანის შემდგენელი, ლეონტი მროველი, ჰონებს არ იცნობს, ხოლო „მოქცევაჲს“ მითითებულ ცნობას თავისებურად კითხულობს. ჰონების ქართლში მოსვლის შესახებ „მოქცევაჲს“ ინფორმაცია „მეფეთა ცხოვრებაში“ ერთგვარ ტრანსფორმაციას განიცდის და ადგილსაც იცვლის. ლეონტი მროველისათვის უცნობი ჰონები ადგილს უთმობენ ჰურიებს. წყაროს მთელი ნაწყვეტი გადადის ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის წინ, უკავშირდება ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დაპყრობას, ხოლო ბუნ-თურქთა უფლის ნაცვლად ადგილობრივი ხელისუფალი „მცხეთელთა მამასახლისი“ ხდება [2, 47].

ე. თაყაიშვილი, ისევე, როგორც ლეონტი მროველი, „მოქცევაჲს“ ტექსტში „ჰურიებს“ კითხულობს, ვინაიდან მას ქალდეა ესმის როგორც ბაბილონი [3, CL]. ამავე ვარაუდს მხარს უჭერს ნ. ჯანაშიაც, ვინაიდან, მისი აზრითაც, „ქალდეველებთან, ე.ი. ბაბილონელებთან, კავშირში სწორედ ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ მოხსენიებულნი და არა ჰუნები, რომელთაც მათთან ისტორიულად არავითარი შეხვედრის მომენტი არ გააჩნდათ“. მკვლევარი არც იმას გამორიცხავს, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“

ავტორმა „მოქცევაჲს“ ჰონები თვითონ გაასწორა „ურიებად“ მათი ქალდეველებთან ერთად მოხსენიების გამო“ [4, 138-139].

გ. არახამიას აზრით, „მოქცევაჲს“ ტექსტში, იმთავითვე, „ჰონნი“ ეწერა. მანვე ჩაატარა აღნიშნული ცნობების დეტალური ანალიზი და შეგვახსენა კ. კეკელიძის დაკვირვება იმის შესახებ, რომ „მოქცევაჲში“ ქალდეველნი სპარსელებს აღნიშნავს [5, 184-185].

ლეონტი მროველისათვის ქართლის უძველესი მოსახლეობა ქართულია, ხოლო ყველა დანარჩენი იქ სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული ლტოლვილები არიან, მათ შორის თურქნი, ან ბუნ-თურქნი, რაც ავტორის აზრით, ერთი და იგივეა.

„მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსგან. გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვა და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა....მას ჟამსა შინა სადათაც ვინ მოვიდის ძ;ერის მოქმედთაგან საბერძნეთით, გინა ასურით ოტებული, გინა ხაზარეთით, ყოველნივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწეობისათ;ს სპარსთა ზედა“ [2, 46-47]. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის გადმოცემისას ლეონტი მროველს ეს თურქნი უკვე ბუნ-თურქებად ჰყავს მოხსენიებული.

ამგვარად, როგორც „მოქცევაჲში“, ასევე „ქართლის ცხოვრებაში“, არის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მოდიან მცხეთაში სპარსეთიდან გამოდევნილი, ერთ შემთხვევაში, ჰუნები, ხოლო, მეორე შემთხვევაში — თურქები. თუმცა არც უშუალო და არც ირიბი კავშირი ამ ორ ძეგლს შორის ამ შემთხვევაში არა ჩანს. „მოქცევაჲს“ მიხედვით, ეს ამბავი ალექსანდრე მაკედონელის დროს, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, უფრო ადრე, სპარსეთში, ქაიხოსროს გამგებლობის დროს მოხდა.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობამ თურქთა მოსვლის შესახებ მოგვიანებით ცვლილება განიცადა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში, ხოლო შემდეგ - იოანე ბაგრატიონთან. ვახუშტი თურქთა 28 სახლს 2800-ით ცვლის [6, 53]. იოანე ბაგრატიონი კი რიცხვსაც ცვლის და მთლიანად ცნობის განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. ამასთან, ჰუნებს ან ღუნებს, ხაზარებს და

თურქისტანელთ ის ერთ კონტექსტში იხსენიებს: „ესე ხაზარნი არიან მოთხრობისაებრ ღინოვიის მეისტორიისა, რ[ომე]ლიცა მოიხსენების თ;ესსა აღწერასა შ[ი]ა, რ[ომე]ლიცა აღწერა მან ღუნთათ;ს". ამას მოჰყვება თავი „ხაზართა ომისათვის", სადაც ჩართულია ცნობა თურქისტანელთა შესახებ: „მხედრობითა დიდითა მოვიდოდენ და შემოვიდნენ ქართლისაცა შინა მოსახლენი თურქისტანელნი ვიდრე ორიათას რვაასი კომლი კაცი, რ-ლთა გამოვლეს გარემო კასპიის ზღვისა, გამოვიდნენ ედილსა და თერგსა, გამოვლეს დარუბანდი და მოვიდნენ მცხეთას წინაძღომითა ბეგისა ვისამეზედ წოდებით ჯამბაკურისა, რომელმანცა აღუთქვა შეწევნა ქართველთა თვისთა მტერთა ზედა დასაბამიდგან წელსა 2525-სა, რომელიცა შეინყნარა მცხეთის მამასახლისმან იანისმან, და მისცა მთაბარნი და დაასახლა მუნ, აგრეთვე სხვანიცა"[7, 526 r.v.]. როგორც ვხედავთ, ავტორმა „ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებულ თურქებს მარშრუტი შეუცვალა, ჩრდილოეთიდან მოიყვანა, გაიმეორა ვახუშტის რიცხვი 2800, ამასთანავე, შეაზავა ქართლის ცხოვრების ცნობა იმ გადმოცემასთან, რომლის ერთ-ერთი ვერსია XIII-XIV სს. სომეხი ავტორის, სტეფანოს ორბელიანის, თხზულებაში ორბელთა წარმოშობის შესახებ მოგვითხრობს [8, 25].

იოანე ბაგრატიონი არ იცნობს ბუნ-თურქებს, მაგრამ „მოქცევაჲსა" და „ქართლის ცხოვრებისაგან" განსხვავებით, მასთან ვხვდებით სკვითებს, რომლებიც, აგრეთვე, სახლდებიან საქართველოს ტერიტორიაზე: „წელსა დასაბამიდგან 3367-სა შემდგომად სიკუდილისა ფაროტ მიდთა მეფის, იქმნა მიდელთა ზედა ძე მისი ციასკარ მეფედ. ესე იყო მხნე და ახოვანი. ჟამსა ამის მეფობისასა გამოვიდეს სკვითნი, გზითა მეოტის ტბით, რ[ომე]ლთაცა წინაუძღოდა მათ მეფეჲ მათი, მადიეს, მოვიდნენ და შთამოსახლდნენ ყოველსა მცირეს ადგილსა აზიისა ეგრეთვე მიდიას, კოლხიდიას და ივერიას შინა, და ვინაითგან ციასკარ ვერა განეწყო მათ ძალითა, იძლია სკვითთა მათგან, წარვიდა და განამაგრა ნინევი და ეპყრათ სკვითთა ადგილნი ესე, ვიდრე 28-სა წელსა. და მერე შეითქვნეს თვითეულთა მდგმურნი თვისნი, და ერთს ღამეს შინა თითქმის სრულიად აღწყვეტნეს მხედრობანი ამა სკვითელთანი და მიზეზითა ამით კუალადვე აღსდგა მეფობაჲ მიდთა, და შემდგომად

ციასკარისა_ მეფედ იქმნა ძე მისი ასტიას, წელსა დასაბამიდგან, 3409-სა" [7,526].

სხვაობების მიუხედავად, ცნობა საქართველოს ტერიტორიაზე სპარსთაგან დევნილების დასახლების შესახებ საკმაოდ გავრცელებულია ძველ ქართულ წერილობით ტრადიციაში. წარმოდგენილი ვერსიების კომენტარები განსხვავებულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც.

პირველად ტერმინი „ბუნ-თურქი" განმარტა მ. ბროსემ. მან არა მარტო თარგმნა ტერმინი როგორც Turks primitifs, ე.ი. პირველყოფილი თურქები, არამედ დაუკავშირა ისინი უფრო ადრე მოხსენიებულ სპარსეთის მეფის, ქაიხოსროს, მიერ განდევნილ თურქებს, ანუ, მისი აზრით, „შაჰ-ნამეს" თურანელებს [9, 33], რომელთა ეთნიკური და ტერიტორიული კუთვნილების საკითხი, სხვათა შორის, თვითონ მოითხოვდა დადგენას.

მ. ბროსეს აღნიშნული მოსაზრება, კერძოდ, პარალელი თურანელებთან, ნაწილობრივ გაიზიარა ე. თაყაიშვილმა, მაგრამ სიტყვის ეტიმოლოგიაზე საკუთარი მოსაზრება წამოაყენა და კომპონენტი „ბუნ" დაუკავშირა სომხურ შუბის ტარს, რომელიც, მკვლევრის ვარაუდით, ძველ ქართულში შუბს ნიშნავდა. აქედან გამომდინარე, ბუნ-თურქი ე. თაყაიშვილმა თარგმნა როგორც შუბოსანი თურქი [10, 1-2]. როგორც გ. წულაიამაც შენიშნა, მკვლევარი ამ შემთხვევაში დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონს ეყრდნობა. ასეთი ინტერპრეტაცია სამართლიანად გააკრიტიკა ნ. ჯანაშიამ, რომელმაც გაიზიარა ნ. მარისა და მის მიმდევართა მოსაზრება [4, 134].

ნ. მარი ტერმინს არაერთგზის შეეხო და განმარტა ის, როგორც ადგილობრივი, ავტოქთონური [11, I-XII]. იგივე აზრი გაიმეორა მ. ანდრონიკაშვილმა, რომელმაც მოიტანა სათანადო მასალები სანსკრიტული, ფალაური (საშუალო სპარსული), ახალსპარსული და სომხური ენებიდან [12, 299]. ლ. მელიქსეთ-ბეგმა ტერმინი პალეოგრაფიულ ნიადაგზე მიღებულ შეცდომად მიიჩნია და აქ იგულისხმა ჰუნ-თურქი [13, 158; 14, 709-715]. ტერმინი ბუნ-თურქი გ. მელიქიშვილს ერთგან განმარტებული აქვს როგორც „თავდაპირველი თურქები", ხოლო მეორეგან „ბუნ-თურქი" და „ჰუნები" როგორც ჰუნები, ჰუნ-თურქები [15, 438; 16, 37]. ზ.

ანჩაბაძემ იგივე ტერმინი დაუკავშირა კავკასიელ ბულგარელებს (ჰუნებს), თუმცა თავისი მოსაზრება არ დაუსაბუთებია [17, 115]. ვ. გაბაშვილმა ორი ვარაუდი გამოთქვა. პირველის თანახმად, ბუნ-თურქი მან უცხოური წყაროების „გუნი"-ს, იგივე „ჰუნი"-ს, დაუკავშირა, მეორეთი კი — VI ს-ის თურქთა სახაკანოს ერთ-ერთი დამაარსებლის, ტუმინის, ან ბუმინის სახელს [18, 45-46; 19, 253].

იგივე ტერმინი გ. წულაიამ განმარტა, როგორც თურქული ეთნიკური ტერმინი "коренные, подлинные турки". ერთ-ერთი კომენტარიდან ჩანს, რომ ლეონტი მროველის თურქები გ. წულაიას სპარსული ეპოსის თურანელებად, ხოლო უკანასკნელნი თურქებად მიაჩნია [20, 59-60]. აზერბაიჯანელმა მეცნიერმა მ. სეიდოვმა ეს ტერმინი თარგმნა, როგორც თურქული ტომი, ვინაიდან ზოგიერთ თურქულ ენასა და დიალექტში (ვ. რადლოვის ლექსიკონის მასალების მიხედვით) — კუმანურ, ყირგიზულ, ყარაყირგიზულ და ყაზანულ-თათრულში „ბუნ" თაობას აღნიშნავს [21, 91-93; 22, 813].

თავის მხრივ, ტერმინმა „თურქი" არაერთი მკვლევრის ყურადღება მიიპყრო.

საბჭოთა მეცნიერებმა, ძირითადად, გაიზიარეს ვ. ბარტოლდის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ტერმინს, თავდაპირველად და საკმაოდ დიდხანს, არა ეთნიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ის აღნიშნავდა ტომთა სამხედრო გაერთიანებას, რომელთაგანაც თითოეულს თავისი საკუთარი სახელი ერქვა [23, 40-48]. V ს-ში ტერმინი „თურქი" ეწოდებოდა მთავარი აშინის ირგვლივ შემოკრებილ თურქულ ენაზე მოლაპარაკე ურდოს, მაგრამ ამავე ენაზე მოლაპარაკე მეზობელ ხალხს სხვა სახელი ერქვა [24, 24; 25,103-104]. VI ს-ში ჩინელები ამ ტერმინს, რომელიც მათ მონღოლურენოვანი ჟუჟანებისაგან ისესხეს, თუქუეს ფორმით იცნობდნენ. ტერმინი გვიანდელ არაბულ წყაროებში VI საუკუნისათვის იხსენიება ცენტრალური აზიის ყველა მომთაბარე ტომის აღსანიშნავად, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი. VI ს. მეორე ნახევრის ისტორიკოსის, თეოფანე ბიზანტიელის ცნობით, „ტანაიდის აღმოსავლეთით მდებარე მხარეში ბინადრობენ თურქები, რომელთაც ძველად მასაგეტები ეწოდებოდათ და რომელთაც სპარსელები თავიანთ ენაზე კერმიხიონებს ეძახიან"

[19, 253]. მომთაბარე ტომებს აღნიშნავდა ეს ტერმინი სირიულ წყაროებში (VI ს.), ძველ თურქულში (VII-VIII სს.), ტიბეტურში (VIII-IX სს.). რაშიდ ად-დინი უკვე არჩევს თურქებსა და მონღოლებს. ა. კონონოვის აზრით, სიტყვის ეტიმოლოგია უკავშირდება საერთო ტოტემის დასახელებას თურ-თორ [26, 278]. დროთა განმავლობაში ტერმინმა უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა და უვიცის, მდაბიოს სინონიმად იქცა. მისი რეაბილიტაცია მოხდა მხოლოდ ახალ ეპოქაში. ეთნიკური მნიშვნელობა ტერმინმა საკმაოდ გვიან მიიღო, ხოლო კიდევ უფრო გვიან ის ერთი ოჯახის ენათა მთელი სისტემის დასახელებად იქცა [26].

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა, რომ ბიბლიურ გოგსა და მაგოგთან სხვადასხვა, პირველ რიგში, ირანულენოვანი და თურქულენოვანი ეთნიკური ჯგუფები არიან დაკავშირებულნი. თუ სკვითი გულისხმობს ატილას ჰუნებს, კუტრიგურებს, უტიგურებს, ონოგურებს, თურქებს, ავარებს, ხაზარებს, ბულგარებს, უნგრელებს, პაჭანიგებს, უზებს, სელჩუკებს, მონღოლებს, ოსმალებს, გოთებს, სლავებს, რუსებს, საკუთრივ სკვითებს, ზოგიერთ შემთხვევაში, ქართველური წარმოშობის ხალხებსაც კი, თავის მხრივ, თურქიც ნიშნავს გოგისა და მაგოგის ყველა შთამომავალს [27, 79].

ამ ფაქტის მიუხედავად, ზოგჯერ, ქართული წყაროების „თურქი" სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით იქნა გაგებული. შ. მესხიამ დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ თურქნი შეადგენდნენ ქართლის მოსახლეობის ნაწილს, მაგრამ უფრო დეტალურად მათი წარმომავლობის საკითხზე არ უმსჯელია [28, 122-123]. გ. ნულაიამ ეს ცნობა ანაქრონიზმად მიიჩნია, თუმცა არ გამორიცხა როდესმე, ძველ დროში თურანელების (თურქების) ქართლში ჩასახლების შესაძლებლობა. ამასთანავე, მან შენიშნა: «Исследователи отмечают удивительную уживчивость тюрок домусульманского периода с чужеродными племенами» [20, 58]. ერთ-ერთი მოსაზრებით, ბუნ-თურქები შორეულ წარსულში ასიმილირებული კავკასიური (არაქართული) წარმოშობის ტომებია [29, 32-34]. მ. სეიდოვმა, ქართული წყაროების საფუძველზე, თურქები კავკასიის უძველეს მოსახლეობად მიიჩნია [21].

ვხვდებით განსხვავებულ შეხედულებებსაც: ო. ლორთქიფანიძის აზრით, „ქართლის ცხოვრებაში" აქემენიანთა ირანის ძლიერების ხანა აისახა. მკვლევარი გამოთქვამს ფრთხილ ვარაუდს „ხომ არაა აქ გამოძახილი აქემენიდთა ირანის მმართველის დარიოს I-ის ძლევამოსილი ლაშქრობისა შუა აზიაში მოსახლე საკებისა და მასაგეტების წინააღმდეგ... ცნობილია, რომ ამ დროს იწყება ამ სკვითური ტომების მოძალება წინა აზიასა და ამიერკავკასიაში" [30, 804-805] „ქართლის ცხოვრებაში" მართლაც არის ცნობები დარიოსის შესახებ, მაგრამ ცოტა გვიან, იქ, სადაც საუბარია სპანდიატ რვალზე, რომელიც შურს იძიებს პაპის მკვლელობისათვის [31, 3]. „ძე სპარსთა მეფისა ვაშტაშაბისი, სახელით სპანდიატ-რვალი, მოკლეს მამის მამა მისი თურქთა და შემოვიდეს თურქნი სპარსეთად... შეიქცა თურქთა ზედა ძებნად სისხლსა მამისმამისა მისისასა"[2, 47-48]. ჩვენთვის საინტერესო ამბები ამას წინ უსწრებს და, ვფიქრობთ, სწორია იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებსაც, დ. ბაქრაძის [32, 132] კვალდაკვალ, ეს ამბები მიდიის ხანაში გადააქვთ, ხოლო ქართულ წყაროებში მოხსენიებულ ბუნ-თურქებს სკვითებად მიიჩნევენ.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ქართული წყაროების ცნობებს ისტორიოგრაფიული წარმოშობა აქვს. „ქართლის ცხოვრების" განსახილველ ნაწყვეტს ხშირად აკავშირებენ „შაჰ-ნამეს" წინამორბედ თხზულებებთან, ან გოგისა და მაგოგის ლეგენდების ციკლთან (მ. ბროსე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ო. ლორთქიფანიძე, გ. მამულია [30; 33, 247-249; 34, 149-153] და სხვ.). მ. ანდრონიკაშვილის აზრით, ლეონტი მროველი არა ერთი, არამედ რამდენიმე წყაროთი სარგებლობდა. „შაჰ-ნამეს" წინამორბედ „ხვადაი-ნამაკის" არაბულ და ახალსპარსულ თარგმანებთან ერთად ის იყენებდა სპარსული ეპიკური ციკლის გმირებზე ქართულ ზეპირ გადმოცემებსაც [12, 148-149].

ზოგიერთი მკვლევრის დასკვნით, „ქართლის ცხოვრების" ცნობები ბუნ-თურქებზე მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს (გ. ყორანაშვილი) [35, 205], მაგრამ არაერთმა მკვლევარმა მასში რეალობა დაინახა. მათ შორის არის ვ. კოვალევსკაია, რომლის დასკვნითაც, ლეონტი მროველის ნაწყვეტში არ იგულისხმებიან

„შაჰ-ნამეს“ თურანელები. მისი აზრით, „ქართლის ცხოვრების“ ცნობები თურქების შესახებ რეალობის ანარეკლია [31, 67]. თუმცა, თავის მხრივ, არც „შაჰ-ნამეს“ პრობლემაა მარტივად გადასაჭრელი და ხშირ შემთხვევაში ფირდოუსის პოემაც სანდო ისტორიულ წყაროდ არის მიჩნეული.

ლეონტი მროველი თურქებს რამდენჯერმე იხსენიებს და ყველა შემთხვევაში – სპარსეთის მეფეებთან ურთიერთობაში. ესენი არიან ქეიკაპოსი, ძე მისი ფარაბოროტი, დისწული მისი შიოშ ბედნიერი და ძე მისი ქაიხოსრო. ყველა ეს მეფე გვხვდება „შაჰ-ნამეშიც“, რომელშიც დასახელებული თურანისა და თურანელების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მართალია, როგორც ა. კონონოვმა აღნიშნა, პოემამ განამტკიცა ხელოვნური ეტიმოლოგია, რომელიც „თურქს“ ფერიდუნის შვილს თურს უკავშირებს და მისი სამფლობელო იყო თურანის ქვეყანა — ირანის მუდმივი მეტოქე და დაპირისპირებული ძალა, მაგრამ არაერთი მეცნიერის აზრით, „თურ“ არ მომდინარეობს თურანიდან, ვინაიდან თურანელები არიელები არიან. აღნიშნავენ იმ ფაქტსაც, რომ „შაჰ-ნამეს“ მიხედვით, ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე თურანი ძველად, უპირატესად, ირანულენოვანი მოსახლეობით იყო დასახლებული [23; 36, 44].

„შაჰ-ნამეს“ ზოგჯერ ყოფენ 3 ძირითად ნაწილად. ესენია: მითოლოგიური, საგმირო (საფალავნო) და ისტორიული [37, 35]. ჩვენთვის საინტერესო ცნობები მეორე ნაწილშია, სადაც სისთანის მეფის, გოლიათ როსთამის გმირობა ემთხვევა სამი ქაიანიდის — ქაიყობადის, ქეიქაუსისა და ქაიხოსროს გამგებლობას. აქვე გადმოცემულია ტრაგიკული ბედი ქეიქაუსის ვაჟის, სიავუშისა, რომელიც მამაზე განაწყენებული გადადის თურანში და ცოლად ირთავს თურანის მეფის, აფრასიაბის, ქალს. შემდეგ აფრასიაბი აკვლევინებს სიავუშს, რომლის ვაჟი, ქაიხოსრო იწყებს ომს მის წინააღმდეგ და ამარცხებს თურანელებს.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქაიხოსროსაგან გამოდევნილი თურქები — 28 სახლი — ქართლში მოდიან. ამ რიცხვთან დაკავშირებითაც ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: ეს არის შესწორება „ქართლის ცხოვრების“ ცნობისა აზოს მიერ „არიან ქართლიდან“ მამა-მძუძეთა

18 ოჯახის გადმოსახლების შესახებ [17, 37]. ან გვხვდება ასეთი მსჯელობაც: ოტებულ თურქთ გამოეყო 28 ოჯახი, რომელთაც მცხეთელ მამასახლისს აღუთქვეს დახმარება სპარსთა წინააღმდეგ და რომელნიც „ყოველთა ქართველთა“ დასტურით ქალაქში დაასახლეს“. მათ უპირისპირდებიან დანარჩენები, წყაროს აბუჩი გამოთქმით, „უმრავლესნი“, რომელთაც მამასახლისი ქალაქს გარეთ ასახლებს [38, 802; 31, 69-70]. ყურადღება მიექცა აგრეთვე ამ რიცხვსა და წინა აზიაში სკვითთა ბატონობის ხანგრძლივობის დამთხვევას — 28 წელი [31, 64; 39, 90].

წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ „შაჰ-ნამეს“ აღნიშნული მეფეების პროტოტიპები სრულიად რეალური პირები არიან, კერძოდ, მიდიის მეფეები დეიოკესი, რომელიც მიდიის და მისი დედაქალაქის (ექბატანი) დამაარსებლად ითვლება, ფრაორტესი (იგივე ქაშათრათი) და კიაქსარესი.

ჰეროდოტე მიდიის მეფეების შემდეგ თანამიმდევრობას გვთავაზობს — დეიოკესი, ფრაორტსი, კიაქსარესი. მისივე ცნობით, მიდიელებს აზია 28 წლის მანძილზე ეკავათ [40, 74-75]. ამასვე ეთანხმება მოვსეს ხორენაცის სიაც-დეოკოსი, ფრავორტისი, კვაქსარქსი [41, 87]. ამგვარად, „ქართლის ცხოვრებაში“ ასახული ვითარება ყველაზე მეტად მიდიის მეფეთა ხანას შეესაბამება. მიდიის პირველი მეფე, დეიოკესი („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქეკაპოსი), ებრძვის როგორც ჩრდილოელებს (ე.ი. სკვითებს), ისე - შემდეგ თურქებს, რომელთა განსახლების ადგილი მითითებული არ არის. მანვე მოხარკე ყვნა ქართველნი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფრაორტესი მოკლეს სკვითებმა, რომლებიც ასურელების მოკავშირეები იყვნენ [42, 10-11] და სკვითების ჰეგემონია მიდიაზე გაგრძელდა იქამდე, ვიდრე ისინი არ დამარცხდნენ კიაქსარესთან ბრძოლაში და განიდევნენ [43, 78].

როგორც ვნახეთ, ძველმა ქართულმა მატიანეებმა შემოგვინახეს ცნობები საქართველოში სკვითების მოსვლის შესახებ. იოანე ბაგრატიონის მიხედვით, სკვითები ქართლში ჩრდილოეთიდან მოვიდნენ. „მოქცევაჲს“ მიხედვით, სპარსეთიდან მოსულ ჰონებს ქართლში ბუნ-თურქები დახვდნენ, ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“, სპარსეთიდან მოსული ბუნ-თურქების გარდა, ქართლში

ჩრდილოეთიდან შემოსული ხაზარებიც იყვნენ, რომლებშიც აღნიშნულ მონაკვეთში სკვითებს გულისხმობენ [44, 41]. ყველაფერი ეს, შესაძლოა, იმაზეც მიუთითებდეს, რომ სკვითები საქართველოს ტერიტორიაზე სხვადახვა დროს და სხვადასხვა გზით მოდიოდნენ: ჩრდილოეთიდან ანდა სამხრეთიდან.

საქართველოს ტერიტორიასთან სკვითების ერთგვარ კავშირზე მიუთითებს ბერძნულ-რომაული წყაროებიც, რომელთა თანახმად ხალიბები, ასევე ლაზები, სკვითური ტომია, ხოლო კოლხეთი სკვითური ქვეყანაა. იგივე ვრცელდება აფსილებზეც [45, 276, 281; 46, 21].

ნერილობითი ძეგლების გარდა, მნიშვნელოვანია ენობრივი და არქეოლოგიური მასალები. ენობრივი მასალის დეტალური ანალიზი მ. ანდრონიკაშვილს საფუძველს აძლევს საქართველოს ტერიტორიაზე გარკვეულ პერიოდში სკვითების ყოფნა ივარაუდოს [12, 40-55].

რაც შეეხება არქეოლოგიურ მასალას, მათ ანალიზს მკვლევრები ჯერჯერობით სხვადასხვა დასკვნამდე მიჰყავს.

სკვითების შეჭრა წინა აზიაში, მათი მარშრუტები, ე.წ. „სკვითური სამეფოს" საკითხი არაერთი მკვლევრის ყურადღებას იქცევს. საქართველოს ტერიტორიაზე სკვითების კვალის არსებობაც მრავალჯერ აღინიშნა, მათ შორის ქართულ ისტორიოგრაფიაში (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. მელიქიშვილი, მ. ანდრონიკაშვილი, რ. აბრამიშვილი, მ. ფირცხალავა, გ. ქავთარია, ნ. ახვლედიანი და სხვ.). არქეოლოგიურ გათხრებში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას დადასტურებული სკვითური მასალა, რომელიც არ სცილდება ძვ.წ. VIII-VI სს-ს, ენობრივ მონაცემებთან ერთად, კვლავ საკამათოდ ტოვებს საკითხს იმის თაობაზე, თუ როგორი იყო მოსულთა აქ ყოფნის ფორმა. თუ ერთ შემთხვევაში გამოთქმულია ვარაუდი აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილზე მათი პოლიტიკური ბატონობის შესახებ (გ. მელიქიშვილი, მ. ანდრონიკაშვილი, რ. აბრამიშვილი) [47], მეორე შემთხვევაში საუბარია ტომთა შორის ურთიერთობაზე (მ. ფირცხალავა) [46, 149], ან ნომადების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეული

ტერიტორიის სამხრეთისაკენ წინსვლის ფორპოსტად გამოყენებაზე (ნ. ახვლედიანი) [39, 93-100].

სკვითების მოსვლის შესახებ ქართულ წყაროებში მოხვედრილი სიუჟეტები და მათი პარალელები სომხურ ისტორიოგრაფიაში დეტალურად განიხილა მ. სანაძემ. მკვლევარი მივიდა დასკვნამდე, რომ მიდიის მეფის, ყიაღსარის, მიერ განდევნილი სკვითების ნაწილი „აზოს მეთაურობით მიდის მტკვრამდე და აარსებს სახელმწიფოს, რომლის ცენტრი ხდება ხერკი“... „სკვითების ბატონობა ქართლში საკმაოდ დიდხანს... საუკუნე-საუკუნენახევარი გაგრძელდა, სანამ ისინი არ გააძევეს აქემენიდებმა“... სწორედ აქემენიდები იყო ის ძალა, რომელსაც „ჰონთა დასცა მახვილი“ [48, 32].

პრობლემის შესახებ ქართული ნერილობითი წყაროების ინფორმაციის სისრულისათვის საჭიროა შევეხოთ „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთ ცნობას. ლეონტი მროველის გადმოცემით, ალექსანდრე მაკედონელის მეფობამდე „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული“ [2, 48]. აღნიშნული ცნობა არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი. სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება მიექცა, ერთი შეხედვით, ერთგვარ შეუსაბამობას აქ ჩამოთვლილ ენათა და ძეგლის სხვა ცნობებს შორის. „მეფეთა ცხოვრების“ მკითხველისათვის გასაგები რომ ყოფილიყო, თუ საიდან გაჩნდნენ ქართლში ჩამოთვლილი ენები, ავტორს ამის შესახებ რაიმე ცნობები უნდა მოეცა წინამავალ თხრობაში. ასეთი ცნობებია აქ, მაგალითად, თურქებსა და სპარსელებზე. აქედან გამომდინარე, ჩამონათვალს თითქოს აკლდა თურქული და სპარსული ენები“ [49, 109]. ეს თვალსაზრისი შემდეგ ასე განვითარდა: „ლეონტი მროველის სიას აკლდა თურქული... მაგრამ თურქულიანად ქართლის მოსახლეობა შვიდ ენაზე მოლაპარაკე გამოდის, მაშინ, როცა ტექსტში გარკვევით არის ნათქვამი — „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა“. სრულიად აშკარაა, რომ „მეფეთა ცხოვრების“ არქეტიპში (ან მის წყაროში) ეწერებოდა „და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: „თურქული, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული“ [50, 82]. ასეთივე ლოგიკით ხელმძღვანელობდა, როგორც ჩანს, იოანე ბაგრატიონიც, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ ენათა სია

ასე განავრცო: „სპარსული, სომხური, თურქული, ქრისტიანული ხაზარული, ეგვიპტური, ასურული, ბერძნული და ურიული“ [7, 526], მაგრამ შემოთავაზებული კონიექტურების გაზიარება შეუძლებელია.

„ქართლის ცხოვრებაში“ ჩამოთვლილი ყველა ენა იდენტიფიცირებულია. აქ მოხსენიებული ასურული ენა არამეულია [51, 182] — აქემენიანთა ირანში საქმის წარმოების ენა, რომელიც, ჩანს, ქართლშიც იხმარებოდა. ამ გარემოებისა და იმის გამო, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სპარსელები მხოლოდ დამპყრობლები იყვნენ და არა ქართლში შემოხიზნული ლტოლვილები, როგორც, მაგალითად, ბერძნები, ასურელები და ებრაელები [5, 115], ლეონტი მროველის ჩამონათვალში სრულიად ზედმეტი ხდებოდა სპარსული ენა. რაც შეეხება ხაზარულ ენას, ის ზოგიერთ მეცნიერს (ვ. დონდუა, ა. სუმბათ-ზადე) [52, 16; 53, 91], დასაბუთების გარეშე, თურქულად მიაჩნია. წყაროებით თურქულენოვანი მასივის ყოფნა წინა აზიაში ახ. წ.-მდე არ დასტურდება [54, 11-40], ხოლო ხაზარული ენა აღნიშნულ კონტექსტში სკვითურ-სარმატულს გულისხმობს.

ის ფაქტი, რომ ცნობაში არ არის შეტანილი თურქული ენა, განხილული ცნობის სიძველის გარდა [48, 32], შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი მონაკვეთის ავტორმა იცის, რომ სპარსეთიდან გამოდევნილი თურქები და ჩრდილოეთიდან მოსული ხაზარები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ.

ამგვარად, ქართულ წერილობით ძეგლებში შემორჩენილი გადმოცემების შედარებით შესწავლას შემდეგ დასკვნამდე მივყავართ:

1. აქ მოხსენიებული „ბუნ-თურქნი“ ან „თურქნი“, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელამდე იყვნენ მოსულნი, გულისხმობს სკვითებს და არაფერი აქვს საერთო თურქულენოვან მასივთან, რომლის ყოფნა ჩრდილო-დასავლეთ კასპიისპირეთში ან კავკასიაში ახ. წ. პირველ საუკუნემდე მოსალოდნელი არ არის.
2. განხილული გადმოცემები ასახავდნენ რეალურ ვითარებას, როდესაც სკვითები მართლაც მოდიოდნენ და რჩებოდნენ

საქართველოს ტერიტორიაზე ალექსანდრე მაკედონელის მოსვლამდე და ქართული სახელმწიფოს შექმნაში გარკვეულ როლს თამაშობდნენ.

3. სათანადო გამოკვლევებით, ასევე, დასტურდება „ქართლის ცხოვრების" ცნობა ქართლში ძველ დროში ექვსი ენის გავრცელების შესახებ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964.
2. „ქართლის ცხოვრება" („ძველი ქართლის ცხოვრება"). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1996.
3. ე. თაყაიშვილი. *სამი ისტორიული ქრონიკა*. თბ., 1890.
4. ნ. ჯანაშია. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა"-ს წყაროებისათვის. — *კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები*. თბ., 1966.
5. გ. არახამია. *„ქართლის ცხოვრების" პირველი მატიანის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის საკითხები*, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში). თბ., 1994.
6. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — *ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.
7. საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი — H-2134.
8. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელთა"-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1976.
9. M. Brosset. Histoire de la Géorgie, I. St-Pétersbourg, 1849.
10. Е. С. Такайшвили. Источники грузинских летописей. Три хроники. Тифлис, 1890.
11. Н. Я. Марр. Ипполит. Толкование Песни Песней. СПб.,1901.

12. ანდრონიკაშვილი მ. *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, I. თბ., 1966.

13. Л. Меликсет-бек. Топонимические штудии к этимологии названий «Хунан» и «Вардзия». - Сб. За марксистское языкознание. Тб.,1934.

14. Л. Меликсет-бек Л. К истории появления гуннов в восточном Закавказье. — АН Азер.ССР. Доклады. XIII, Б., 1957.

15. გ. მელიქიშვილი. ქართლი (იბერია) ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა. — *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, I, თბ., 1970.

16. Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1969.

17. З. В. Анчабадзе. Кипчаки Северного Кавказа по данным грузинских летописей XI-XIV вв. - Материалы научной сессии по проблемам происхождения Балкарского и Кавказского народов. Нальчик, 1968.

18. ვ.გაბაშვილი. ცნობები თურქული ტომებისა და ხალხების შესახებ ძველ ქართულ წყაროებში. — *ქართული წყაროთმცოდნეობა*, III, თბ., 1971.

19. სტეფანე ბიზანტიელი. — *გეორგიკა, III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.* ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1936.

20. Леонти Мровели. Жизнь Картлийских царей. Извлечение сведений с древнегрузинского, предисловие и комментарии Г. В. Цулая. М., 1979, с. 59-60.

21. М. Сейдов. Опыт этимологического анализа слова Бунтурк // Бунтюрк. - Доклады АН Азерб. ССР, 1969, 8 т. XXV.

22. В. В. Радлов. Опыт словаря тюркских наречий, т. IV, 2. СПб., 1911.

23. А. Н. Кононов. Опыт анализа термина турк. — Советская этнография I, М.,1949.

24. Л. Н. Гумилев. Древние тюрки. М., 1967.

25. М. И. Артамонов. История хазар. Л., 1962.

26. С. Г. Кляшторный. Проблемы ранней истории племени турк (Ашина). - Новое в советской археологии, М., 1965 (Материалы и исследования по археологии, СССР, 130).

27. Г. Дерфер. О языке гуннов. — Зарубежная тюркология. Вып. 1, М., 1986.

28. შ. მესხია. ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ. — *კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიისათვის*, თბ., 1966.

29. А. П. Новосельцев, В. Г. Пашуто, Л. В. Черепнин. Пути развития феодализма. М., 1972.

30. ო. ლორთქიფანიძე. ლეონტი მროველის ცნობები „მცხეთელი მამასახლისის" შესახებ. — *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ.XXIX, 6, 1962.

31. В. Б. Ковалевская. Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонти Мровели. — *მაცნე* (ისტორიის სერია), 1975, 3.

32. დ. ბაქრაძე. *ისტორია საქართველოსი*, 1889 (მე-8 კარი).

33. გ. მამულია. „აფრასიაბის გამოქვაბულის" ლეგენდა ლეონტი მროველის წყარო. — *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. XXX, I, თბ., 1965.

34. გ. მამულია. *კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში*. თბ., 1979.

35. გ. ყორანაშვილი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"სა და „მეფეთა ცხოვრების" ერთი ადგილის გაგებისათვის. — *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ნაწ. I, თბ., 1994.

36. К. Иностранцев. Хунну и хунны. Л., 1926.

37. მ. თოდუა. *ფირდოუსი და მისი "შაჰ-ნამე"*. ქუთაისი, 1995.

38. ო. ლორთქიფანიძე. მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის. — *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, XXIX, 6, თბ., 1962.

39. ნ. ახვლედიანი. *რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლები თბილისიდან (თრელის ნასახლარი და სამაროვანი)*. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1999 (ხელნაწერი ინახება საქ. მეცნ. აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში).

40. ჰეროდოტე. *ისტორია*. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. I. თბ., 1975.

41. მოვსეს ხორენაცი. *სომხეთის ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1984.

42. Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий. История Ирана с древнейших времен до конца XVШ века. Л., 1958.

43. М.А. Дандамаев. Лекция 7. Мидия и Ахеменидская Персия. — История древнего мира. Расцвет древних обществ. М., 1982.

44. გ. ანჩაბაძე. ეთნონიმ „ხაზარის" მნიშვნელობისათვის „ქართლის ცხოვრებაში". — *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VIII, 1993.

45. სტეფანე ბიზანტიელი. — *გეორგიკა, III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.* ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936.

46. მ. ფირცხალავა. *არქაული ხანის (ძვ. წ. მე-7-6 სს.) სკვითური კულტურის ძეგლები საქართველოში.* საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1975. დისერტაციის ხელნაწერი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში.

47. R. Abramischvili. Neue Angaben uber die Existenz des thrakokimmerischen ethnischen Elements und des Sog. Skythischen Reiches im Osten Transkavkasiens. - Archaologischer Anzeiger, 1995.

48. მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება" და საქართველოს უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ., 2001.

49. ნ. ჯანაშია. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა"-ს წყაროებისათვის. — ნ. ჯანაშია. *ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები.* თბ., 1986.

50. ზ. ალექსიძე. ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა. — კრ. *ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები*, თბ., 1991.

51. კ. წერეთელი. „სირიელისა" და „ასურელის" აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში. — *ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*, თბ., 1976.

52. ვ. დონდუა. ლეონტი მროველისმიერი პროტოისტორიის ზოგი ამოსაკითხავი. — *საისტორიო ძიებანი*, I, თბ., 1967.

53. А. С. Сумбат-Заде. Азербайджанцы - этногенез и формирование народа, Баку, 1990.

54. Ю. Р. Джафаров. Гунны и Азербайджан. Б., 1985.

ქართველებისა და ისლამამდელი თურქების ურთიერთობის ისტორიიდან

1. ქართველები და თურქულენოვანი ტომების პირველი გაერთიანებები კავკასიაში

IX ს. ნ.-ით პირველ ათასწლეულში საქართველო, ჩვეულებრივ, ორ, დასავლეთის — ეგრისის (ლაზეთის) და აღმოსავლეთის — ქართლის (იბერიის), სამეფოდ იყო გაყოფილი.

იმ საუკუნეებში, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს, დასავლეთ საქართველო რომის, შემდეგ ბიზანტიის, ხოლო აღმოსავლეთი — სასანიანთა ირანის, შემდეგ კი არაბთა პოლიტიკურ კონტროლს ექვემდებარებოდა. მათთან დაპირისპირებაში ორივე ქართული სახელმწიფო ხშირად მესამე ძალას მიმართავდა და მას ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებდა.

აღნიშნულ ტრადიციულ სამკუთხედში ქართველ გამგებლებს თავისი ინტერესები ჰქონდათ და ისინი ცდილობდნენ შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

ამ ისტორიულ პროცესში თურქული ტომებიც იყვნენ ჩართულნი. ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახა მონაცემები მათთან ურთიერთობის, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გამოცდილების შესახებ. საქართველოზე ჩრდილოეთიდან თავდასხმებისა და მეზობლებთან ომების გამო, ქართველები ხშირად თანამშრომლობდნენ ჰუნებთან, მოგვიანებით, ხაზარებთან, ხოლო შემდგომში — ყივჩაყებთან და საერთო მტრის

წინააღმდეგ მათთან ერთ კოალიციაში ერთიანდებოდნენ. თუმცა „მოკავშირეობა“ მრავალხელისუფლებიანობის პირობებში ძალზე პირობითი ტერმინია. ის, რაც კარგი იყო ერთისთვის, მიუღებელი ხდებოდა მეორისთვის. ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც არა მარტო ქართველი გამგებლები, არამედ მთელი სამხრეთი კავკასია, ან მთელი კავკასიაც კი ერთიანი ძალით უპირისპირდებოდა საერთო დამპყრობელს.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, წარმატებული ის ქართველი მეფეები იყვნენ, რომლებიც ახერხებდნენ ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარებას.

აზიელი მომთაბარეები უძველესი დროიდან შემოდიოდნენ და სახლდებოდნენ კავკასიაში. ადრეული ირანულენოვანი მიგრაციული ტალღები ახ. წ. პირველი საუკუნიდან თურქულენოვანი მასივებით შეიცვალა. II საუკუნიდან მათ შესახებ ცნობები უკვე სხვადასხვა წერილობით ძეგლშია შემონახული.

ერთ-ერთი პირველი, რომელიც გვანვდის ცნობებს ჰუნების შესახებ, II საუკუნის ავტორი დიონისიოს პერიეგეტია. მისი „დედამიწის აღწერილობა“ ჰეგზამეტრებით დაწერილი პოემაა, რომელიც ზოგადი გეოგრაფიული ხასიათის ცნობათა გარდა, პოეტურ, მითიურ და კოსმოგრაფიულ წიაღსვლებსაც შეიცავს. დიონისიოს პერიეგეტის ცნობების თანახმად, კასპიის ზღვის გარშემო შემდეგი ტომებია დასახლებული: დაწყებული ჩრდილო-დასავლეთიდან: „პირველები – სკვითები, რომლებიც სახლობენ კრონიის ზღვასთან (ჩრდილოეთის ოკეანე), კასპიის სრუტის გასწვრივ; შემდეგ – უნნები, მათ მოყვებიან კასპიები, შემდეგ კი მეომარი ალბანელები და მთიან ქვეყანაში დასახლებული კადუსიები. მათ მახლობლად – მარდები, ჰირკანები და ტაპირები“ [73, 236].

დაახლოებით 161-180 წწ. მოღვაწე კლავდიუს პტოლემაიოსი ჰუნებს იხსენიებს თავისი გეოგრაფიული სახელმძღვანელოს III წიგნის მე-5 თავის მე-10 პარაგრაფში, რომლის სათაურია „ევროპული სარმატიის მდგომარეობა“. აქ დასახელებულია მრავალი ტომი: „მეოტიდის (ე.ი. აზოვის – გ.ა.) მთელ სანაპიროზე იაზიგები და როქსოლანები, შემდეგ, ქვეყნის სიღრმეში – ჰემაკსობიები და

სკვით-ალანები...". ჰუნებს ავტორი ბასტერნებსა და როქსოლანებს შორის ათავსებს [73, 236].

ჰუნების საყურადღებო დახასიათებაა წარმოდგენილი IV საუკუნის მეორე ნახევრის ლათინურენოვან ავტორ ამიანე მარცელინთან. მისი რომაული ისტორია, რომელიც 96-378 წწ. მოვლენებს მოიცავს და 31 წიგნისგან შედგება, შემორჩენილია ნაწილობრივ — 13 წიგნად. შემონახულ მონაკვეთში აღწერილი მოვლენები 353-78 წწ. განეკუთვნება. ავტორი ძირითადი მოვლენების თანამედროვე და თვითმხილველია. მისი ინფორმაციით, ჰუნთა ტომი „მეოტისის ჭაობს (აზოვის ზღვა) მიღმა, ყინულოვან ოკეანესთან ცხოვრობს და ბარბაროსობის ყოველგვარ ზღვარს სცილდება. დაბადებისთანავე ბავშვს ლოყაზე ბასრი იარაღით ღრმა ჭრილობებს უკეთებენ და ამის გამო ისინი ბერდებიან უწვერონი, საჭურისების მსგავსად, და ყოველგვარ სილამაზეს მოკლებულნი. ისინი ბარბაროსები არიან, არ იყენებენ ცეცხლს, არც მომზადებულ კერძს, იკვებებიან მინდვრის ბალახის ძირებით და ნახევრად უმი ხორცით...". ამას მოსდევს ცნობა, რომ ჰუნებისათვის „უცხოა ყოველგვარი ნაგებობა, ჩვეული არიან სიცივეს, შიმშილსა და წყურვილს". ავტორი ყურადღებას ამახვილებს მათ ჩაცმულობაზე, მხედრულ, საბრძოლო თვისებებზე, იარაღზე. ჰუნები, მისი ინფორმაციით, არ იცნობენ მეფის ხელისუფლებას, ანგრევენ ყველაფერს, რაც მათ გზაზე ხვდებათ, არ იცნობენ მიწათმოქმედებას, არიან მომთაბარეები, არ იციან სამშობლო. ზავის დროს არასაიმედო და არამყარნი არიან. არა აქვთ რელიგიის პატივისცემა, გამოირჩევიან დიდი ლტოლვით ომისადმი. ალანებთან მათი შედარებისას ავტორი მიიჩნევს, რომ ალანების ცხოვრების წესი უფრო რბილია. ამ დახასიათებასთან ერთად, ავტორი გვაწვდის ცნობებს იმის შესახებაც, თუ როგორ დაამარცხეს ჰუნებმა ალანები, ყოფილი მასაგეტები, შეებრძოლნენ ოსტგოთებს, განდევნეს ისინი, ხოლო შემდეგ სთხოვეს რომაელ იმპერატორს თავშესაფარი. ამასთანავე, ავტორი წარმოგვიდგენს ჰუნებს, როგორც ერთგვაროვან მასას, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს [73, II, 337-344].

IV ს. ლათინურენოვანი ავტორი, კლავდიუს კლავდიანე, ჰუნებს სკვითიის უკიდურესი აღმოსავლეთით, ცივი ტანაისის გაღმა მხარეს ათავსებს. მისი დახასიათებით, ისინი გამოირჩევიან ჩრდილოეთის სხვა მცხოვრებთა შორის, უბრალო ტანსაცმელს ატარებენ. მათი სხეული შემზარავი სანახავია, არ ერიდებიან ყველაზე მძიმე შრომასაც კი, ცხოვრობენ მხოლოდ ნადავლით, მინათმოქმედებას არ მისდევენ. მათ სიამოვნებას ჰგვრის თავების მოკვეთა. არაჩვეულებრივად მოძრავნი არიან, მაგრამ მათი ყოველი მოძრაობა სრულიად უწესრიგოა და უკანდახევაც - მოულოდნელი [73, 254-271].

თურქულენოვანი ხალხები ხშირად ერთი კრებითი სახელით იხსენიება, მაგრამ ისინი არ წარმოადგენდნენ ერთგვაროვან მასას, ხშირად ერთმანეთსაც უპირისპირდებიან, მათი გაერთიანებები კი ტომთა კავშირს წარმოადგენდა, რომელთა დასახელებები წყაროების საფუძველზე, მეტ-ნაკლები სისრულით, წარმოდგენილია იუ. ჯაფაროვის გამოკვლევაში:

აკანირები (პრისკე, იორდანი);
ალტზიაგირები (იორდანი);
ანგიზგირები (იორდანი);
ალპილდზურები (იორდანი);
ბარდორები (იორდანი);
ბიტტუგურები (იორდანი, აგათია);
ბურუგუნდები (აგათია);
კუტროგურები (პროკოფი, აგათია, მენანდრე);
ოგურები (პრისკე, აგათია, თეოფილაკტე სიმოკატა);
ონოგურები (პრისკე, აგათია, თეოფილაკტე სიმოკატა);
სარაგურები (პრისკე);
ტუნგურები (პრისკე,იორდანი);
ულტინძურები (იორდანე, აგათია);
უტიგურები (პროკოფი, აგათია, მენანდრე) [2, 30].

უკვე III საუკუნის დასაწყისში ჰუნებმა დაიწყეს სამხრეთ კავკასიის დარბევა, რის შესახებაც ინფორმაციას ვპოულობთ მოვსეს ხორენაცისთან. სომეხი მეფის, ვალარშის, დროს (ნ. ადონცის დათარიღებით, 197-215/6 წწ.) „შეიკრიბნენ ჩრდილოელთა

ბრბოები, ვგულისხმობ ხაზარებსა და ბასილებს, და გადმოლახეს ჭორის კარი. მათი წინამძღვარი და მეფე იყო ვინმე ვნასეპ სურჰაპი. მათ გადმოლახეს მდინარე მტკვარი. ვალარში დიდძალი ლაშქრით, მამაცი მეომრებით შეებრძოლა მათ და მოწინააღმდეგეთა ურიცხვი გვამებით დაფარა ბრძოლის ველი, მერე დიდხანს სდია მტერს და განვლო ჭორის ხეობა. იქ მტრებმა კვლავ ერთად მოიყარეს თავი და ბრძოლისათვის მოემზადნენ. მართალია, ისინი უკუაგდეს და აოტეს სომეხმა ვაჟკაცებმა, მაგრამ მათმა მამაცმა მშვილდოსნებმა შეძლეს მოეკლათ ვალარში" [8, 154]. ვალარშის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი ხოსრო, სპარსეთის მეფის არტაბან V-ის გამეფების (213 წ.) მესამე, ე.ი. 216 წელს.

იმავე სომეხი მეფის, ხოსროს, დროს მტრობა მოკავშირეობით შეიცვალა. მოკავშირეობის ერთ-ერთი შემთხვევა აღწერილია სომეხ ავტორთან — აგათანგელოსთან. საქმე ეხება სპარსეთის მეფე არდაშირის (224-241) მეფობის პირველ წლებს, როდესაც სომეხმა მეფემ, ხოსრო არშაკიდმა (216-256), „შეკრიბა ალბანთა და იბერთა ჯარები, გახსნა ალანთა კარი და ჭორის ციხე-სიმაგრე. მოიწვია ჰუნთა ლაშქარი სპარსეთის მიწებზე თავდასასხმელად... მრავალრიცხოვანი, ძლიერი და მამაცი რაზმები ალბანთა ცხენოსნების, ლპინთა, ჩილფთა, კასპთა და სხვათა იმ მიდამოებიდან, რათა შური ეძიათ ართაბანის სისხლისათვის" [1, 37; 2,15]. იგივე გადმოცემა ჩართულია „ქართლის ცხოვრებაში", თუმცა, ქართველი მემატიანე მას ორ სხვადასხვა ადგილას და გარკვეული სხვაობებით ათავსებს. პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის ტახტზე ასვლამდე იქ ნათქვამია: „ამან კოსარო სომეხთა მეფემან. უწყო ბრძოლად ქასრე მეფესა სპარსთასა, და შეეწეოდა მას ასფაგურ, მეფე ქართველთა, და ამან ასფაგურ განუხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი და მივიდის კოსარო მეფისა თანა სომეხთასა ბრძოლად სპარსთა" [3, 76]. სომეხთა მეფე კვლავ ხოსროა (კოსარო), ის ისევ სპარსელებს ებრძვის, თუმცა კავკასიონის კარს ქართველთა მეფე ხსნის. ვინ არიან ცნობაში მოხსენიებული ხაზარნი, ცნობილი არ არის, ვინაიდან „ქართლის ცხოვრების" აღნიშნულ მონაკვეთში ამ სახელით სხვადასხვა ხალხი აღინიშნება, რასაც არაერთხელ მიექცა ყურადღება სამეცნიერო

ლიტერატურაში [4, 40-49]. სომხური წყარო შესაბამის გადმოცემაში იხსენიებს ჰუნებს. სპარსეთის მეფე ქართულ წყაროში ხოსროა (ქასრე) და არა არდაშირი. თუმცა ამ ორი ცნობის დაკავშირება შესაძლებელია, რადგანაც პირველი სასანიანი მეფე, ისევე, როგორც მისი მომდევნო ხელისუფალნი, „ქართლის ცხოვრებაში" ხშირად ამავე სახელით იხსენიებიან.

მსგავსი ცნობა გვხვდება მირიანის მეფობის შემდეგაც, ვარაზ-ბაქართან დაკავშირებით, რომელიც იდენტიფიცირებულია ასფაგურთან (368/9-382/3) [5, 87; მე-6 ცხრილი]. „ამის ზე გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუნენ კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანნენ ოვსნი და ლეკნი, და წინააღუდგენ სპარსთა. და წარჩინებულნი თ;ისნიცა ეტყოდეს წინააღდგომასა სპარსთასა. არა ისმინა არცა სომეხთა, არცა წარჩინებულთა თ;სთა. რამეთუ იყო იგი ჩუკენი და მოშიში, უკუჯდა იგი ;ევსა კახეთისასა; და აღაშენა ციხე ;ოიდარს და განამაგრნა ციხე-ქალაქნი და უბრძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჯუარნი"[3, 129]. როგორც ვხედავთ, ხაზარები ამ შემთხვევაში არ იხსენიებიან და ქართველი მეფე ამ აჯანყებაში არ მონაწილეობს. შესაძლოა, ქართველი ისტორიკოსი ერთმანეთში ურევს ორ სხვადასხვა ფაქტს ან ერთი და იმავე ფაქტის ორი სხვადასხვა ვერსიით სარგებლობს. ამავე დროს, ზემოხსენებული ჰგავს სხვა ცნობასაც, რომელიც ოდნავ უფრო ადრეა ჩართული და ეხება ქართველ მეფეს ამაზასპს (230-265): „მაშინ სომეხთა მეფე ძალითა მრავლითა წარმოემართა ქართლად, და მოირთო ძალი საბერძნეთითცა. და ეზრახნეს ოვსთაცა, ხოლო ოვსნი სიხარულითა წარმოვიდეს, რამეთუ მესისხლე იყო ამაზასპ მათი. და გარდამოვლეს გზა თაკუერისა, და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა. მაშინ ამაზასპ მოუწოდა სპარსთა და მოვიდეს სპარსნი ძლიერნი და შეკრიბნა ქართველნიცა, რომელნი დარჩომოდეს. მაშინ ოვსთა და მეგრთა გარდამოვლეს მთა მცირე, და შეკრბეს იგინი, და ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი. და მოვიდეს ესე ყოველნი წინაშე სომეხთა მეფისა"[3, 75].

ფავსტოს ბუზანდის ცნობა ერთგვარად უახლოვდება ამ ინფორმაციას, თუმცა პირველი, ქრონოლოგიურად, სხვაგან არის ჩასმული (IV საუკუნის 30-იან წლებში). ცნობა ეხება წმინდა გრიგოლის საქმიანობას ჩრდილოეთში, მის მოკვლას სომეხთა მეფის ხოსროს დროს, სომეხთა დალაშქვრას მასკუტთა მეფე სანესანის მიერ, მის დარჩენას იქ ერთი წლის მანძილზე, შემდეგ დამარცხებას და მოკვლას. წყაროში ნათქვამია, რომ სომხეთში შეჭრამდე „სანესანმა შეკრიბა ჰუნთა, ფოხთა, თაბასფარანთა, ხეჩმაკთა, იუმახთა, გატთა, გლმერთა, გუგართა, შიჩბთა და ჩილბთა, ბალასიჩთა და ეგერსვანთა რაზმები“ [7, 15]. როგორც ვხედავთ, აქაც ქართველები იხსენიებიან როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებლებად. ცნობათა მსგავსება, ერთი და იმავე ეთნონიმების გამეორება სხვადასხვა კონტექსტში, მოწმობს გარკვეული მყარი ტრადიციის არსებობას. კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში ჩნდება, არის კავკასიაში ახლადჩასახლებული თურქულენოვანი ტომების ინტეგრაციის ხარისხი და მათი მონაწილეობა კავკასიურ მოვლენებში. დიონისიოს პერიეგეტის ცნობებიდან გამომდინარე, ჰუნების არსებობა ჩრდილო-დასავლეთ კასპიისპირეთში II საუკუნიდან ეჭვს არ იწვევს [2, 11-41], მაგრამ მათი მონაწილეობა კავკასიაში მიმდინარე ომებში, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, შემოწმებას საჭიროებს. ცნობათა მსგავსება წყაროებში სხვადასხვა მოვლენის აღწერისას, ზოგჯერ სხვადასხვა დროის სიუჟეტების დამთხვევა ქართულ და სომხურ წყაროებში, ანაქრონიზმები და ერთი ეთნონიმის მეორეთი ჩანაცვლება (ჰუნების - ჰაილანდურებით, ბარსილებით, ხაზარებით და სხვ.) წყაროთა სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს.

ამავე დროს, მირიანის მეფობის აღწერისას „ქართლის ცხოვრებაში“ აშკარად შეინიშნება ტეხილი და ჩრდილოეთიდან რაღაც ძალის გააქტიურება, რის გამოც, მემატიანის გადმოცემით, „უფროსი ლაშქრობა მისი (მირიანის — გ.ა.) იყვის დარუბანდს. რამეთუ, მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს. რათამცა წარიღეს და განაღეს კარი ფართო, და მუნით იწყეს გასლვად სპარსთა ზედა. ხოლო ოდეს მოვიდიან ხაზარნი დარუბანდს, მაშინ წარვიდეს მირიან შუელად დარუბანდისა: ოდესმე უომრად

მიჰრიდიან ხაზართა მათ მირიანს. და ოდესმე ბრძოლითა აოტნის“ [3, 81].

დაახლოებით IV საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის მოვსეს ხორენაცის ცნობა ჩრდილოელების დამარცხებისა და გარგარელთა ველზე სომეხი მეფის თრდატის მიერ მათი მეფის მოკვლის შესახებ: „როცა (მტრის) მთელმა ჯარმა თავისი მეფე და სარდალი ეგზომ საშიში მკლავით გაჩეხილი იხილა, პირი იბრუნა და გაიქცა. თრდატი გამოუდგა მათ და ჰუნთა ქვეყნამდე მისდია, თუმცა მისი მეომრებიც საკმაოდ დაიღუპნენ... ამის შემდეგ მან მიიმხრო ყოველი ჩრდილოელი, გადმოიყვანა იქიდან დიდძალი ჯარი, შეჰყარა მთელი (თავისი) ლაშქარიც და გაეშურა სპარსთა ქვეყნისაკენ შაპუჰ არტაშირის ძის წინააღმდეგ. (თრდატმა) მხედართმთავრებად თავისიანებიდან ოთხი კაცი შეარჩია: ქართველთა წინამძღოლი მირიანი, რომელსაც ენდო ქრისტეს რწმენის გამო, ასპეტი ბაგარატი, რშტუნთა უფალი მანაჭიჰრი და ამატუნთა უფალი ვაჰანი [8, 170]. მოვსეს ხორენაცის ცნობის გათვალისწინებით ქართველთა წინამძღოლის და გუგარელთა პიტიახშის შესახებ, რომელიც ჩრდილოელ ტომებთან ბრძოლაში დაიღუპა“ [8, 184-186]. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ მირიანი სწორედ ჰუნებთან ბრძოლაში დაიღუპა [9, 79], რაც სავსებით ლოგიკური ჩანს. თუმცა ვ. გოილაძე არ იზიარებს აზრს ხორენაცის ცნობაში მოხსენიებული მიჰრანის და ქართლის მეფის იგივეობის შესახებ [5, 64-70]. იუ. ჯაფაროვი ვარაუდობს, რომ იმ დროს დამარცხებული ჰუნები დროებით აღმოჩნდნენ თავისი სამხრეთ მეზობლის, მასკუთების, დაქვემდებარებაში.

IV საუკუნის 30-იან წლებს ეკუთვნის ფავსტოს ბუზანდის ზემოთ მოტანილი ცნობა, სადაც ერთ კოალიციაში აღმოჩნდნენ ჩრდილოელები და, მათ შორის, ჰუნები, ქართველებთან ერთად, რომლებიც სომხეთს ესხმიან. ხოლო ამავე ავტორის მეორე ცნობის მიხედვით, იმავე საუკუნის 60-იან წლებში სომეხი მეფის არშაკ II-ის მხარეზე სპარსეთის შაჰის, შაპურის, წინააღმდეგ ვასაკ სივნიელის სომეხთა რაზმის გარდა, მის მიერ მოწვეული ჰუნებიც მონაწილეობდნენ. თუ ფავსტოს ბუზანდის პირველმა ცნობამ მ. არტამონოვის ეჭვი გამოიწვია [28, 51-52], ის მისაღები აღმოჩნდა

იუ. ჯაფაროვისათვის [2, 25]. ამასთანავე, მეორე ცნობაში მოხსენიებული ჰუნები უკვე აღარავითარ ეჭვს იწვევს.

შაბურ II-ის დროინდელ (309-379) ფაქტებს აშუქებს მოვსეს კალანკატუაცი, რომელიც გადმოგვცემს ჩრდილოელების შემოჭრის შესახებ: „ხაზარები მრავალრიცხოვანი რაზმებით გადმოვიდნენ ჭორის კარით ჩვენს ქვეყანაში. შაპუჰმა უამრავი (ხალხი) შეკრიბა ასურეთში, ხორასანში, ხვარაზმში განსაკუთრებით მამაცი სპარსელები ატრპატაკანში, სომხები, ქართველები, ალვანელები და კავკასიის მთის თორმეტი ენის ბარბაროსი ტომი. ამ უთვალავი ჯარით გამოვიდა მათთან საბრძოლველად“. აქვეა გადმოცემა ჰონთაგან ჰონის, სახელად ჰონაგურის, გმირ ბაბიკთან შერკინების შესახებ [42, 56]. ცნობა, როგორც ვხედავთ, უახლოვდება მოვსეს ხორენაცისთან შემონახულ სიუჟეტს, რომლის გმირიც არის სომეხი მეფე თრდატი.

IV საუკუნის 70-იან წლებში ჰუნებმა დაამარცხეს ალანები, შეიერთეს ისინი და მათთან ერთად შეიჭრნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, დაესხნენ ოსთგუთების ტერიტორიას, რომელთა სათავეში იდგა ჰერმანარიხი და თანდათან განმტკიცდნენ ბიზანტიის იმპერიის დუნაის საზღვარზე.

ცნობა 395/6 წელს დიდი თავდასხმის შესახებ არის სირიელ ავტორთან, იეშუ სტილიტთან, რომლის ნაშრომი შემორჩენილია, როგორც IX საუკუნის ავტორის დიონისე ტელმაქელის ქრონიკის შემადგენელი ნაწილი. აქ საუბარია ჰუნების მიერ აზიური პროვინციების დარბევაზე არკადიუსის და ჰონორიუსის დროს 707 (396) წელს: „თამუცის (ივლისი) თვეში შეიკრიბნენ სპარსელებთან ჰუნები და არაბები არეობინდზე წასასვლელად. .....როდესაც მან ეს გაიგო ჯაშუშებისაგან, გააგზავნა ალეპოელ კაღოპთან, პატრიკიისთან და იპატოსთან: „მოდით ჩემთან და დამეხმარეთ. რადგან დიდი ლაშქარი აპირებს ჩვენზე წამოსვლას...“. აქვე მოკლედ არის გადმოცემული ბრძოლები, რომლის დროსაც იხსენიება ბიზანტიელების მხარეზე მყოფი მხედართმთავარი ფარსმანი. ავტორის ცნობით, მთელი სირია ჰუნების ხელში იყო. აღნიშნულ ცნობაში ჰუნები სპარსელებთან ერთად იბრძვიან. იეშუ ლაპარაკობს, აგრეთვე, რუფინუსის ღალატსა და სტრატილატ

ადდაის სისუსტეზე [2, 44; 78, 40-42]. ამ მწირი ინფორმაციის შევსება შესაძლებელია სხვა წყაროების მონაცემებით. სოკრატეს ცნობით, თავდამსხმელები მოეფინენ სირიას და კაპადოკიას, დააცარიელეს ისინი ხალხისაგან. „ფინიკია, პალესტინა და ეგვიპტე შიშმა მოიცვა“ [2, 39]. ლათინურენოვანი ავტორი იერონიმი იმავე ფაქტის შთაბეჭდილებით წერს: „მთელი აღმოსავლეთი შეძრა მოულოდნელმა ცნობამ, რომ მეოტიდის საზღვრებიდან... სადაც ალექსანდრეს ზღუდეები კავკასიის კლდეებით ველურ ტომებს აკავებდნენ, შემოიჭრნენ ჰუნთა რაზმები, რომლებიც დაფრინავდნენ აქეთ და იქით სწრაფი ცხენებით, ავსებდნენ ყველაფერს შიშით და ხოცვით“ [73, 228]. ბარ ჰებრეი გადმოგვცემს, რომ ჰონორიუსის გამეფების წელს თამუზის თვეში (ივლისი) უნაი (ჰუნაიე, ან ჰუნები) დაესხნენ რომაელთა ქვეყანას, წალეკეს რომაული პროვინციები – სირია და კაპადოკია. ეს მოხდა 708 (397) წელს [75, 65], ხოლო ედესის ქრონიკის მიხედვით, 706 წლის 2 ნოემბერს [79, 91]. კლავდიო კლავდიანეს ცნობით, ჰუნები შემოიჭრნენ „კასპიის კარით“. მისი გადმოცემით, „ერთნი გაემართნენ ყინვისაგან გამაგრებული სასტიკი დანუბიით და ბორბლებით ჭრიდნენ დამდგარ წყალს. სხვები კი მოულოდნელად კასპიის კარითა და თოვლიანი სომხეთით თავს ესხმიან აღმოსავლეთის განძეულს“. აღნიშნულია მათი თავდასმის საზარელი შედეგები, ხოლო ჰუნებს ავტორი უწოდებს „არამზადებს“ [73, 254]. თავდამსხმელები უკან სხვა გზით, დარუბანდის გასასვლელით, დაბრუნდნენ. აზრთა სხვადასხვაობაა როგორც წყაროებში მოხსენიებული თავდასხმის იდენტიფიკიციის, ისე „კასპიის კარის“ შესახებ. მაგ., ა. გადლოს აზრით, თავდამსხმელები შემოვიდნენ დარუბანდიდან და ეს ფაქტი არ იყო დაკავშირებული ბასიხის და კურსიხის მეთაურობით განხორციელებულ შემოჭრასთან [72, 49-50]. იერონიმის ცნობით, თავდამსხმელები იმ კარიდან შევიდნენ, რომელიც ალექსანდრე დიდმა გააკეთა ბარბაროსთა ჩასაკეტად [73, 228]. უმრავლესობის ვარაუდით, ამ შემთხვევაში იგულისხმება დარიალის გასასვლელი. პრისკე პანიონელი, რომაელი ელჩის — რომულის მონაცემებზე დაყრდნობით, იხსენიებს ჰუნთა დიდ ლაშქრობას ბასიხისა და კურსიხის მეთაურობით, რომლებიც სამეფო სკვითებისაგან იყვნენ

(აქ, როგორც ჩანს, ბარსილები იგულისხმებიან). მისი ცნობით, მათ გადაიარეს რომელიღაც ტბა (იგულისხმება აზოვის ზღვა), 15 დღიანი გზის შემდეგ - რაღაც მთები (კავკასია) და შევიდნენ მიდიაში. პრისკეს თანახმად, ჰუნებს ბრძოლა გაუმართა სპარსთა დიდმა ჯარმა. ამიტომ ჰუნები შებრუნდნენ, გადაიარეს მთა მცირე ნადავლით, რადგან ნადავლის დიდი ნაწილი მათ წაართვეს. ჰუნები უკან დარუბანდის გზით დაბრუნდნენ [73, 257].

წყაროებში მოიპოვება ცნობები მედროვე რუფინუსის შესახებ, რომელიც ცდილობდა არკადიუსის ტახტის ხელში ჩაგდებას და მოიკლა ჯარისკაცების მიერ. სწორედ მან მოიწვია „ჰუნების ბარბაროსი ხალხი" რომაულ მიწებზე [73, 254].

ზოგიერთი წყაროს საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰუნებს გზა მისცა ქართლის მეფე ფარსმანმა, ბაკურის ძემ. აქვეა ცნობები ბიზანტიის იმპერატორ არკადიუსის მმართველობის (395-408) წლებში კავკასიაში ჰუნების ყოფნაზე. პეტრე იბერიელის ცხოვრებაში (V ს.), რომელიც, თავდაპირველად, ბერძნულ ენაზე დაიწერა და შემდეგ სირიულ ენაზე ითარგმნა, აღნიშნულია, რომ ფარსმან იბერს ბიზანტიის მხედართმთავრის თანამდებობა ეკავა, მაგრამ იმპერატორის მეუღლესთან მისი ინტიმური კავშირის გამომჟღავნების შემდეგ, იგი იძულებული გახდა სამშობლოში გაქცეულიყო, სადაც ტახტს „უცხო ძალაზე დაყრდნობით დაეუფლა" [11, 37]. თვითონ წყაროდან ეს ნათლად არ ჩანს: „ფარსმანიოსი იყო ოსდუხტიას დიდედის ძმა, მამის მხრიდან, რომელიც რომაელთა მეფეს არკადიუსს დიდ პატივში ჰყავდა, ჯარის სარდლის თანამდებობაც ეკავა და პირველი ადგილი ეპყრა, ხოლო უკანასკნელი, არკადიუსის მეუღლის, ევდოქსის შეყვარების გამო, გაიქცა და დაიმალა. სასწრაფოდ თავის სამშობლოში წავიდა. როდესაც ის იბერებზე გაბატონდა, თან მოიყვანა თეთრი ჰუნნები, იბერთა მეზობლები. იმათთვის, რომელნიც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, მათ მრავალი უბედურების მიზეზი შექმნეს". [38, 248; 11, 38-39] ამ შემთხვევაში სრულიად ვიზიარებთ ნ. პიგულევსკაიას მოსაზრებას, რომ ცნობაში მოხსენიებული იბერიის მეზობელი თეთრი ჰუნები ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ [11, 38].

როგორც ვხედავთ, წყაროთა მონაცემები არ ეთანხმება ერთმანეთს. შესაძლოა, ამ გადმოცემებში შერწყმულია ცნობები ჰუნების სხვადასხვა შემოჭრაზე, მაგრამ ქართლის მეფის — ფარსმან IV-ის კავშირი ჰუნებთან ეჭვს არ იწვევს.

სომეხი ავტორის ეღიშეს ცნობით, ჰუნები, რომლებსაც ავტორი ჰაილანდურთა სახელით იცნობს, სპარსეთის მეფე იეზდიგერდ II-ის (438-451) დროს შემოდიოდნენ ჩრდილოეთიდან, როგორც დარუბანდის, ასევე დარიალის გავლით [12, 76-116]. ეღიშეს ქრონიკა საგანგებოდ ეძღვნება V საუკუნის შუა წლების აჯანყებას სპარსეთის წინააღმდეგ. ჩვენთვის საინტერესოა აღნიშნულ აჯანყებაში ქართლის მონაწილეობა. სამეცნიერო ლიტერატურა ამ საკითხს ამჟამად უარყოფითად პასუხობს [13, 314; 14, 128-129; 15, 36-37; 16, 23; 17, 87]. მეცნიერთა ნაწილი სხვადასხვაგვარად ცდილობს იმ ფაქტის ახსნას, თუ რატომ არ მიიღეს ქართველებმა ამ აჯანყებაში მონაწილეობა. თუმცა, თავის დროზე გამოთქმული იყო განსხვავებული მოსაზრებაც [18, 55; 19, 206-228], რაც, შესაძლოა, უფრო ახლოა სინამდვილესთან. ის ფაქტი, რომ სომხურ წყაროებში საგანგებოდ არ არის აღნიშნული ქართველების მონაწილეობა, ალბათ არ გამოდგება იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ ქართველებს მართლაც არ მიუღიათ მონაწილეობა ანტისპარსულ გამოსვლაში, ვინაიდან, სომხური წყაროების ძირითადი მიზანი სომხების ისტორიის გადმოცემაა. სწორედ ამის გამო, ქართველები აქ არ იხსენიებიან ზოგიერთ ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც მათი მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს. მაგალითად, სომეხი ავტორი ლაზარ ფარპეცი (V ს.), როცა სათითაოდ ჩამოთვლის დიდებულებს, რომლებიც დაიბარეს სპარსეთის მეფესთან, ახსენებს მხოლოდ გოგარენეს გამგებელს არშუშას და არაფერს ამბობს სხვა ქართველ დიდებულებზე. მეორე სომეხი მემატიანე ეღიშე, იმავე ამბავთან დაკავშირებით, საერთოდ არ ახსენებს ქართველებს და მხოლოდ სომხებზე საუბრობს [14, 117-123]. მიუხედავად ამისა, სომხური წყაროები, ვფიქრობთ, გარკვეულად მიანიშნებენ ქართველების მონაწილეობაზე V საუკუნის შუა წლების გამოსვლაში.

ქართლი და მისი მოსახლეობა ეღიშესთან ორჯერ იხსენიება. პირველად, სწორედ, აჯანყების დროს. ეფტალიტების წინააღმდეგ

სპარსეთის მეფის იეზდიგერდ II-ის 7-წლიანი ომის დროს სამხრეთ კავკასიელები აჯანყდნენ, ვინაიდან სპარსელების მხარეზე ბრძოლებში იძულებითი მონაწილეობა მათ მძიმე ტვირთად აწვათ. აჯანყებულებმა დახმარებისათვის ბერძნებს მიმართეს, ხოლო უარის მიღების შემდეგ გადაწყვიტეს დამოუკიდებლად ემოქმედათ. ძალები სამ ნაწილად გაიყო. პირველი გაიგზავნა სამხრეთ საზღვრის დასაცავად; მეორე, სომხეთის მარზპან, ვასაკ სიუნის, წინამძღოლობით, სომხეთში ციხეების დასაცავად დარჩა; მესამე კი — ვარდან მამიკონიანის მეთაურობით — ალბანეთში წავიდა. უკანასკნელმა დაამარცხა ჭორის მარზპანი, დაანგრია ჰუნთა კარი და ჩააბარა ის ალბანთა სამეფო ოჯახის წევრს ვაჰანს. ამ უკანასკნელს დაევალა, აგრეთვე, მოლაპარაკება ჩრდილოელ ჰუნებთან, რომლებიც მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოჩნდნენ. იმავე წყაროში ნათქვამია, რომ ვარდანს, აჯანყებულთა ლიდერს, უნდა გადაეჭრა იბერია და ქართლის გავლით შესულიყო ალბანეთში [12, 76]. სწორედ ქართლის საზღვართან, ხალხალში, ის შეებრძოლა სპარსეთის გამგებელს და დაამარცხა იგი. ქართლში შესვლა ჯარით და მისი ტერიტორიის გადაჭრა შეუძლებელი იქნებოდა ადგილობრივ გამგებელთან შეთანხმებისა და ქართველებთან ერთობლივი მოქმედების გარეშე. ამგვარად, ჩრდილოელი ჰუნები სპარსელების წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიელების მოკავშირეები იყვნენ.

ქართლი (იბერია) და მისი მოსახლეობა, ჰუნებთან ერთად, იმავე წყაროში კიდევ ერთხელ იხსენიება. ამჯერად, მოკავშირეობის შემთხვევა უფრო ადრეულ ხანას მიეკუთვნება, რაც ჩანს ვასაკ სიუნის მიმართვიდან ვარდან მამიკონიანისადმი: „როდესაც მე ქართლის მარზპანი ვიყავი და ალბანთა კარი ჩემს ხელთ იყო, მე დავამყარე კავშირი ჰუნებთან“ [14, 130]. ეღიშე ადასტურებს ამ მოკავშირეობას, როდესაც ვასაკის მიმართ ბრალდებას ეხება: „ის დაუმეგობრდა ჰუნ ჰერანს ბალასაკანთა მეფესთან შეთანხმებით, როდესაც ჰერანი სპარსეთის ჯარს ებრძოდა, ესხმოდა ალბანეთს და ამ თავდასხმებით მიაღწია ბერძენთა მიწებს და ბევრი ტყვე და ნადავლი გააგზავნა საბერძნეთიდან, არმენიიდან, იბერიიდან და ალბანეთიდან. მეფემ, როდესაც შეიტყო მისი მოქმედების შესახებ, სიკვდილით დასაჯა ბალასაკანთა მეფე. ვასაკ სიუნი

კი იმ დროს სომხეთის მარზპანი იყო და ჩართული აღმოჩნდა იმ ბოროტებაში, რომელიც ჩაიდინეს მისმა მტრებმა“ [12, 121]. მთელი ეს ამბები ხდებოდა, როგორც ჩანს, V საუკუნის 40-იან წლებში და არა აჯანყების დროს, V საუკუნის შუა წლებში, როგორც ამას იუ. ჯაფაროვი მიიჩნევს [2, 42].

ამგვარად, III საუკუნიდან მოყოლებული ჰუნები არაერთხელ შემოჭრილან საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ფაქტები განსაკუთრებით გახშირდა V ს. პირველ ნახევარში. თუმცა მათი გამოჩენის მიზეზი არცთუ იშვიათად აჯანყებული სამხრეთ კავკასიელების მხარდაჭერა იყო. იმ წლებში სამხრეთ კავკასიელები და ჰუნები არაერთხელ გამოსულან ერთად სპარსელების წინააღმდეგ, მაგრამ იყო განსხვავებული შემთხვევებიც.

2. ვახტანგ გორგასლის ურთიერთობა ჰუნებთან; მისი გარდაცვალების თარიღი

ღიშეს ინფორმაციით, კავკასიელების ერთ-ერთი აჯანყების ჩახშობა ირანის შაჰმა ჰუნების დახმარებით მოახერხა. ვაჩე გადადგა ტახტიდან, ხოლო ქვეყანას მართავდა ირანის მარზპანი „და მთელი ეს ხანგრძლივი სიძულვილი ხდებოდა მეფეთა მეფე პეროზის (459-484) მე-5 წლამდე“, რაც 463 წელს შეესაბამება. ერთი წლის მანძილზე ჰუნები მონაწილეობდნენ აჯანყების ჩახშობაში. ჰუნთა ქვეყანა აქ იხსენიება როგორც „ხაილანდრთა ქვეყანა“ [42, 30]. მოვსეს კალანკატუაცის თანახმად, ირანის შაჰმა „ურიცხვი ჯარი გაგზავნა ხაილანდრთა ქვეყანაში, გააღეს ალანთა კარი, წამოიყვანეს ჰონთა დიდი ურდო და ერთი წელი ეომნენ ალვანთა მეფეს“. კ. ტრევერისა და მ. არტამონოვის აზრს, რომ ჰუნები ამ შემთხვევაში შემოიჭრნენ არა დარიალით, არამედ დარუბანდით, იუ. ჯაფაროვი არ იზიარებს [14, 226-227; 28, 46, 72; 2, 64]. არ არის ცნობა იმის შესახებ, მონაწილეობდნენ თუ არა ამ აჯანყებაში ქართველები. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი გვაწვდის ცნობას ვახტანგის მეფობის პირველ წლებში ჩრდილოკავკასიელთა შემოსვლის შესახებ. თუმცა ცნობაში ჰუნები არ იხსენიებიან: „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი

ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოჴრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თჳნიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი. რომელ დაურჩეს წარუტყუენველად ჴევნი ქართლისანი, კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი ჩავლეს რანისა და მოვაკანისა, წარტყუენეს იგიცა და განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თჳთ გზა-სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯუებულნი“ [3, 137]. ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, გამოყენებულია დარიალისა და დარუბანდის გასასვლელები. იგივე ქართველი ისტორიკოსი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ სძლია ვახტანგმა რამდენიმე წლის შემდეგ გაერთიანებულ ოსთა და ხაზართა ჯარებს და დაამარცხა ორთაბრძოლაში ხაზარი გოლიათი, თარხანი, ჩრდილოეთის ლაშქრობის დროს [3, 141-142].

ჰუნები საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ ერთხელ გამოჩნდნენ იმპერატორ ლეოს (457-474) მეფობის მე-7, ე.ი. 463 წელს. პრისკე პანიონელის გადმოცემით, იმ წელს რომაელებთან ელჩები გაგზავნეს სარაგურებმა, ურაგებმა და ონოგურებმა, რომლებიც აიყარნენ თავისი ადგილებიდან, რადგან მათ ავარებისაგან განდევნილი საბირები დაესხნენ. აქვეა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ განდევნილი სარაგურები დაესხნენ ჰუნ-აკანირებს, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაიმორჩილეს ეს ტომი და გაგზავნეს ელჩები რომაელებთან. იმპერატორი მოეფერა მათ, დაასაჩუქრა ელჩები და უკან გაისტუმრა. იუ. ჯაფაროვს მიაჩნია, რომ ელჩები ბიზანტიაში ლაზიკის გავლით გაიგზავნენ, ისევე, როგორც, მოგვიანებით, პირველი ავარელი ელჩები კონსტანტინოპოლში [45, 322]. ამავე მეცნიერის აზრით, ონოგურების გაერთიანების დაშლის შემდეგ შეიქმნა ჰუნთა ორი გაერთიანება: ერთი აღმოსავლეთ კავკასიისპირეთში, საბირების, ხოლო მეორე – დასავლეთ კავკასიისპირეთში, უტიგურების ხელმძღვანელობით [3, 50-51].

დაახლოებით 466 წელს ჰუნები ისევ შემოდიან საქართველოში. პრისკეს ცნობით, აკაწირები და სხვა ტომები სპარსელების წინააღმდეგ გამოემართნენ. თავდაპირველად მიუახლოვდნენ კასპიის კარს, მაგრამ როცა ნახეს, რომ ის დაკავებული იყო

სპარსელთა ლაშქრის მიერ, სხვა გზაზე გავიდნენ, რომლითაც მივიდნენ იბერებთან და იწყეს მათი ქვეყნის რბევა და სომეხთა დასახლებების შეწუხება თავდასხმით [73, 265]. აღნიშნული ლაშქრობის მიზეზი გახდა ფულის გადაუხდელობა იუროიპაახის სიმაგრის დასაცავად, რაც ადრე ჩვეულებრივი ამბავი იყო. რომაელებმა უარი განაცხადეს სპარსელების თხოვნის შესრულებაზე — მიეცათ მათთვის ფული გასასვლელის დასაცავად. იუროიპაახის იდენტიფიკაციას მკვლევრები განსხვავებულად ახდენენ. ივ. ჯავახიშვილს „კასპიის კარი" დარიალად მიაჩნია, ხოლო იუროიპაახი – ივრის ხეობად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, იუროიპაახი არ შეიძლება იყოს ივრის ხეობა. მისი ვარაუდით, აქ დარიალის ხეობა იგულისხმება, ხოლო კასპიის კარები – დარუბანდია [38, 239]. იუ. ჯაფაროვს კასპიის კარი დარიალად მიაჩნია [2, 53, 58], ხოლო იუროიპაახი, როგორც მან წინამორბედ მკვლევართა (ვ. ტომაშეკი) მონაცემებზე დაყრდნობით მართებულად აღნიშნა, ნიშნავს „იბერთა საფარს". გ. მორავჩიკის და მ. დიაკონოვის აზრით, ეს თავდასხმა ბიზანტიელების წაქეზებული იყო [2,53; 74, 276-277].

ვახტანგის მეფობის პირველი წლების დაპირისპირება ჩრდილოკავკასიელებთან მოგვიანებით, V საუკუნის 80-იან წლებში, მისი მეფობის დროსვე, მოკავშირეობით იცვლება. სწორედ ვახტანგ გორგასალი გამოდის სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების ახალი ინიციატივით. ამაზე ადრე კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრება" გვაწვდის ინფორმაციას ვახტანგის ლაშქრობაზე „ოვსეთს", „პაჭანიგეთს" და „ჯიქეთს" [3, 140, 145] და ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთისაკენ გასასვლელების დაუფლებაზე. ცნობები ვახტანგის ლაშქრობაზე ჩრდილოეთ კავკასიაში რამდენიმე წყაროშია შემონახული. წმ. ნინოს ცხოვრების ზოგიერთი რედაქციის მიხედვით, ვახტანგმა „დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენნა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მას კარად დარიალიისა, და ამა თვინიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ხელ-ეწიფების გამოსვლად ოვსთა და ყივჩაღთაო" [20, 50; 27, 154-155; 14, 144].

სომეხი მემატიანე ლაზარ ფარპეცი ადასტურებს ურთიერთობებს ქართველ მეფესა და ჰუნებს შორის. როდესაც სომხებმა გაიგეს „ქართლის მეფის აჯანყების შესახებ, მხიარული გულით გაიხარეს, რადგანაც მათ ამბავი მოუვიდათ, ქართლის მეფე ამბობს: „მე ბრძოლას არავის დავანახვებ, იმდენ ჰონს გადმოვიყვან, რომ სპარსთა ჯარები წინ ვერ დაუდგნენო“ [14, 243-244]. მაგრამ ეს სიხარული არ გაიზიარა ვაჰან მამიკონიანმა, რომელიც ეჭვით შეხვდა ცნობას ჰუნთა გადმოყვანის შესახებ: „რაც შეეხება იმას, რასაც ამბობთ ქართლის მეფესა და ჰონთა შესახებ..., ვინ იცის, დათანხმდებიან მოსვლას თუ არა ისინი, ვინც აქ არც არიან და არცა ჩანან“ [14, 246]. ამ ეჭვის მიუხედავად, ვახტანგი ცდილობს მიიმხროს სომხები და ჰპირდება მათ: „ჰონთა ჯარს ვუბრძანე მოსულიყო, მაგრამ ჯერ არ მოსულა. მაგრამ სანამ თქვენ მოხვალთ, ისინიც მოაღწევენ და იმიერიდან ჩვენ და ჰონები დავლუპავთ მათ. თუმცა, მე მგონია, რომ, როდესაც ჰონები მოვლენ, ჩვენ სრულებით აღარაფერი მოგვიწევს გასაკეთებლად. ისინი თვითონ მოაგვარებენ ამ საქმეს, რადგან უზომო სიმრავლეს ვუბრძანე მოსვლა“-ო [14, 249]. მართალია, ჰუნებმა ვერ გამოგზავნეს დაპირებული „უზომო სიმრავლე“, მაგრამ ვახტანგმა სომხების ეჭვების გასაფანტად „საიდანღაც შეკრიბა სამასი ჰონი და გამოგზავნა სომხეთში“, ვინაიდან, როგორც ჩანს, მათი დახმარება თვითონაც სჭირდებოდა, „ზამთრის ერთი თვეც არ გასულიყო, რომ სასწრაფო მომიზეზებით ისევე თავისთან გაიხმო“ [14, 148].

„ქართლის ცხოვრება“ მთელ ამ ამბებს ასე გადმოგვცემს: „ვახტანგ წარავლინა ბერძენთა მეფისა თანა და მიუმცნო, ვითარმედ: „ ... სპარსნი შემოვაწყუდივნე ,ჴელსა შენსა... ჰგონებდა იგი განმრავლებასა სპათა მისთასა სომხითით და მეფეთაგან კავკასიანთასა, ხოლო მათ ვერ იკადრეს განრთვად მისა. რამეთუ რომელთამე მათგანთა აქუნდა სასოება ჯუარცმულისა, ხოლო რომელნი იძლივნეს ეშმაკისაგან, მეფენი დარუბანდისანი გაერთნეს...“ [3, 163]. ე. ი. ამ ცნობით, სპარსეთს მიემხრნენ მეფენი დარუბანდისნი, დანარჩენები კი თუ სომხებივით ვახტანგის მოკავშირეები არ იყვნენ, არც მის წინააღმდეგ გამოსულან.

არაბი ავტორი ალ-ბალაზური (IX ს.) გვაძლევს ინფორმაციას, რომ ჯურზანი (ქართლი) და არრანი (ალბანეთი) ხაზართა, ხოლო დანარჩენი არმენია — რუმთა ხელში იყო. „ხაზარები ხშირად შემოიჭრებოდნენ. ამანაიძულა კობადი, გაეგზავნა ერთ-ერთი თავისი უდიდესი მეთაური თორმეტათასიანი ჯარით მათ წინააღმდეგ. ის გაემართა მდინარე არასსა და შარვანს შორის მდებარე ადგილებში. მას მიჰყვა კობადი, რომელმაც ააშენა ქალაქები: ბაილაყანი არრანში და ბარდა... და ყაბალა, რომელიც ხაზარია. ამის შემდეგ მან ააგო ზღუდე გამოუმწვარი თიხისაგან შარვანს და ალანთა კარს შორის და თიხის კედლის გასწვრივ 360 ქალაქი" [21, 5]. ალ-იაკუბის ცნობით, „ხაზარები ისინი არიან, რომლებმაც არმენიის მთელი მიწები დაიპყრეს. მათ ჰყავთ მეფე, რომელსაც ხაკანი ჰქვია. მას ჰყავს თანაშემწე, რომელსაც იაზიდ ? -ლაში (Y-z-?d ?- lash) ეწოდება, არრანში, ჯურზანში, ბასფურაჯანში და სისაჯანში . ამ პროვინციას ეწოდება მეოთხე არმინია, რომელიც იყო სპარსეთის შაჰის კობადის მიერ დაპყრობილი და გადავიდა ანუშირვანზე, ბაბ ალ-აბვაბამდე ათას ფარსახზე 360 ქალაქის ჩათვლით. სპარსეთის მეფემ დაიპყრო ბაბ ალ-აბვაბი, ტაბარსარანი და ბალანჯარი. მან ააშენა ქალაქი ყაბალა და ბევრი სხვა, დაუმორჩილა ის სპარსელებს. შემდეგ ხაზარებმა დაიპყრეს ის, რაც სპარსელებმა მათ წაართვეს და რაც დარჩა მათ ხელში იმ დრომდე, ვიდრე რომაელებმა არ დაამარცხეს და არ დანიშნეს მეფე მეოთხე არმინიაში" [23, 41; 71, 20-21].

ამ ცნობებს, თითქმის, სიტყვასიტყვით იმეორებს XIII საუკუნის არაბი ავტორი იბნ ალ-ასირი, როდესაც სპარსეთის მეფის, კობადის, წლებს ეხება: „მის დროს ხაზარები შემოიჭრნენ და მიაღწიეს დინავერს. მათ წინააღმდეგ კობადმა გაგზავნა ერთ-ერთი თავის დიდ მხედართმთავართაგან, თორმეტათასიანი ჯარის სათავეში. მან შეაღწია არრანის ქვეყანაში და დაიპყრო ის, რაც არ-რასსად წოდებულ მდინარესა და შირვანს შორის იყო. მის კვალს კობადიც გაჰყვა და ააგო არრანში ქალაქი ბაილაკანი და ქალაქი ბარდა, მხარის მთავარი ქალაქი და სხვები. და ხაზარები იქ დარჩნენ. შემდეგ მან ააგო ალანთა კედელი შარვანსა და ალანთა კარს შორის და ზღუდეზე ბევრი ქალაქი ააგო, რომლებიც ბაბ ალ-აბვაბის აგების შემდეგ დაინგრა" [24, 9]. იგივე ცნობა გამეორებული აქვს იაკუთს

[25, 13]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხაზართა ხსენება აქ ანაქრონიზმია და, ფაქტობრივად, ჰუნ-საბირები იგულისხმებიან [26, 171].

რამდენიმე ავტორი — ზაქარია რიტორი, ამიანე მარცელინი, იოანე მალალა, პროკოპი კესარიელი, თეოფანე ჟამთააღმწერელი — გვაწვდის ცნობას ჰუნთა შემოჭრის შესახებ სამხრეთში VI საუკუნის დამდეგს. ამ წყაროებში მითითებულია ბრძოლის სხვადასხვა ადგილი (ერთ შემთხვევაში, სპარსეთის, ხოლო, მეორე შემთხვევაში ბიზანტიის მიწები) და სხვადასხვა თარიღი (503-4, 508, 515, 516 წწ.), მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ცნობები, ზოგჯერ, მაინც გაიგივებულია (ნ. პიგულევსკაია, კ. ცეგლედი, მ. არტამონოვი) და აღნიშნული ომის დასაწყისი დათარიღებულია 503-4 წლებით [11, 64-67; 28, 69-70; 26, 166]. ზ. ბუნიატოვის აზრით, ამ მოვლენებს ადგილი ჰქონდა არა უგვიანეს 531 წლისა [23, 40]. იუ. ჯაფაროვმა ამავე საკითხს საგანგებო გამოკვლევა უძღვნა. მან აღნიშნული ომი 503-508 წლებით დაათარიღა და თავდამსხმელებად საბირები მიიჩნია [26]. ამავე დათარიღებას ვხვდებით ს. აშურბეილისთან [29, 62], ხოლო იუ. ჯაფაროვმა წყაროებში სხვადასხვაგვარად დათარიღებული ცნობები სრულიად სხვადასხვა ამბებთან დააკავშირა [26, 166].

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღი არ არის ცნობილი. ქართულ წყაროში აღნიშნულია, რომ ვახტანგი გარდაიცვალა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში მიღებული ჭრილობის შედეგად. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ბრძოლა დაკავშირებულია სპარსეთ-ბიზანტიის 502-506 წლების ომთან, რის საფუძველზეც ვახტანგის გარდაცვალების თარიღად, ძირითადად, 502 ან 503 წელია მიღებული (ს. გორგაძე — 503 წელი; ივ. ჯავახიშვილი, ლ. ჯანაშია, მ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, თ. ბერაძე, მ. სანაძე — 502) [30, 64-67; 31, 329; 14, 164; 32, 74; 33, 87-88; 34, 44-48; 9, 84]. კ. თუმანოვი ვახტანგის გარდაცვალებას 522 წლით ათარიღებს [84, 370].

შეკითხვაზე: „როდის უნდა მომკვდარიყო ვახტანგი?" ა. ბოგვერაძე პირდაპირ პასუხს არ იძლევა, მაგრამ გამოთქვამს ვარაუდებს: „მკვლევართა ერთი ნაწილი ამ ამბავს ბიზანტია-ირანის

502-6 წლების ომს უკავშირებს... ეგებ ასეც იყო სინამდვილეში, მაგრამ დანამდვილებით ამის თქმა ძნელია... აღსანიშნავია, რომ ს. ერემიანი კავად შაჰის (484-527) დროს მომხდარ სომხების 492 წლის აჯანყებაზე საუბრისას ქართველების აჯანყებასაც ახსენებს, მაგრამ რომელ წყაროს გულისხმობს, არ ვიცით. ეს თუ მართალია, ვახტანგის სიკვდილი შეიძლება ამ ამბებთანაც დაგვეკავშირებინა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ვახტანგი უფრო V საუკუნის 90-იან წლებში დაიღუპა თუ გარდაიცვალა, მაგრამ, ცხადია არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამას ადგილი ჰქონდა VI საუკუნის დამდეგს" [15, 57].

ვახტანგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შემოთავაზებულია სხვა თარიღიც — 491 წელი [35, 92; 36, 70-76]. ეს თარიღი ემყარება სირიული ჰაგიოგრაფიული ძეგლის — „ფირან გუშნასპის მარტვილობა" — თავისებურ წაკითხვას. მითითებულ წყაროში სულ რამდენიმე თარიღია. ამათგან, პირველი შემთხვევის გარდა, ქრონოლოგიურ საყრდენად და ათვლის წერტილად აღებულია სპარსეთის მეფეების ტახტზე ასვლა. განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე. თხზულება იწყება თარიღით „ბერძენთა რვაას ორმოცდაათ წელს" [35, 98]. შემდეგ ნათქვამია: „ასე გაგრძელდა მეფე პეროზის მმართველობიდან მეფე ხოსროს (მეფობის) მეათე წლამდე..." „კავადის მმართველობის ოცდამეათე წელს..." ... და ბოლოს „მეორმოცე წელს ტახტზე ავიდა ხოსრო და თავისი მმართველობის მესამე წელს ბრძანა რომაელთა კეისართან გაეგზავნათ ელჩები" [35, 99]. უკანასკნელ წინადადებას გამომცემელი ასე აღადგენს „(ზავის დადების) მეორმოცე წელს ტახტზე ავიდა ხოსრო". რატომ? იმიტომ, რომ მანამდე გადმოცემული ამბები არ არის დათარიღებული. საუბარია ფირან გუშნასპზე, რომელიც გაქრისტიანდა, რის შემდეგაც მას გრიგოლი ეწოდა, „როცა სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არრანის მხარეში ომი დაიწყო, გრიგორი, როგორც სპარსთა სარდალი, რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა. იგი დამარცხდა და სხვა ტყვეებთან ერთად რომაელთა კეისარს მიჰგვარეს. ამ უკანასკნელმა, შეიტყო თუ არა ფირანის ჩინი და ქრისტიანობის ამბავი, იგი დაასაჩუქრა და უფრო დიდი თანამდებობა უბოძა, ვიდრე ადრე ფლობდა. ამ ამბიდან დიდი ხნის განმავლობაში, ღვთის ნებით,

ამ ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანობა იყო (ზავის დადების) მეორმოცე წელს...“ სწორედ ასეთი აღდგენის საფუძველზე ვ. გოილაძე მსჯელობს: „რატომ დასჭირდა მარტვილობის ავტორს ხოსრო I-ის (531-579) ტახტზე ასვლა ქართლ-ალბანეთში ირანსა და ბიზანტიას შორის 40 წლის წინათ, ე.ი. 491 წელს მომხდარი ომისა და ზავის დადებიდან აეთვალა, ძეგლიდან არ ჩანს. თუმცა, მარტვილობის ავტორის ეს მითითება უნიკალურია. მსგავსი ცნობა ჯერჯერობით სხვა წყაროებში არა გვაქვს. როგორც სათანადო კვლევის შედეგად დადასტურდა, მარტვილობის ავტორის მიერ მითითებული 491 წლის ბიზანტია-ირანის ომის ერთ-ერთ კამპანიად უნდა იქნეს მიჩნეული ჯუანშერის მიერ აღწერილი ვახტანგ გორგასლის ბრძოლა ირანელებთან „იორსა ზედა“, სადაც ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა“ [35, 92].

სირიული ტექსტის ასეთი აღდგენა, ვფიქრობთ, მოკლებულია საფუძველს. აქ „მეორმოცე წელს“ კვლავ კავადის მეფობის წლებს ეხება (488-496; 499-531), რაც, თუ არ ჩავთვლით სამწლიან (496-499 წწ.) ინტერვალს, როდესაც კავადი ტახტიდან იყო ჩამოგდებული, სწორედ 40 წელს შეადგენს. ამავე წყაროზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფირან გუშნასპი, რომელიც სპარსეთის მეფეს „ჩრდილოეთის საზღვრისა და ოლქთა გამგებლად“ ჰყავდა დანიშნული, ქრისტიანობაზე მოექცა 521 წელს, ვინაიდან ძეგლის ავტორი აშკარად აკლებს იმ სამ წელს, როდესაც კავადი არ იმყოფებოდა ტახტზე, ხოლო კავადის მეფობის ოცდამეათე წელი 521 წელია.

უკანასკნელ ხანებში ვახტანგის გარდაცვალების თარიღი განიხილა დ. მუსხელიშვილმა: „როგორც იეშუ სტილიტი, ამ ამბების თანამედროვე სირიელი ისტორიკოსი, ამბობს, ბიზანტიასთან ომის დაწყებამდე კავადს სომხეთში ულაშქრია და დაუმორჩილებია ქვეყანა, მაშასადამე, ეს ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 499-502 წლებს შორის. არ არის გამორიცხული „სომხეთი“ სირიულ ტექსტში სასანური ირანის ადმინისტრაციული ერთეული იყოს, რომელიც შემდეგ არაბებმაც გადაიღეს („არმინია“) და რომელშიც საკუთრივ სომხეთთან ერთად ხშირად ქართლიც (არაბული „ჯურზანი“) იყო ხოლმე გაერთიანებული... ჩვენი აზრით, სწორედ ეს ამბავი უნდა

იყოს გადმოცემული ჯუანშერთან: „და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი, და ჭერმის ციხე, და ველის-ციხე. და ვითარცა მოინივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა...“ უჯარმის ბრძოლა ვახტანგ გორგასლის დამარცხებით და მისი სიკვდილით დამთავრდა“ [17,185]. იეშუ სტილიტის აქ განხილული ცნობა ეჭვქვეშ დააყენა კ. იუზბაშიანმა. ვინაიდან, წყაროში გადმოცემულია მოლაპარაკებები სპარსეთის მეფე კავადსა (488-531) და ტახტზე ასულ ბიზანტიის იმპერატორ ანასტასიუსს (491-518) შორის, სპარსეთის წინააღმდეგ სომხების აჯანყებაც წყაროში იმავე 491 წელს არის მოთავსებული: „როდესაც კავადის ბატონობის ქვეშ მყოფმა სომხებმა გაიგეს, რომ რომაელებმა მათ (ე.ი. სპარსელებს — გ. ა.) არამშვიდობიანად უპასუხეს, გამაგრდნენ, ცეცხლის ტაძრები დაანგრიეს, რომელიც მათ მიწებზე სპარსელებმა ააშენეს... კავადმა მათ წინააღმდეგ გაგზავნა ერთი მარზპანი ჯარით...“. დაწყებული მ. ჩამჩიანით, ისტორიკოსები და, მათ შორის, ს. ერემიანი [44, 193] მიიჩნევდნენ, რომ ეს აჯანყება მოხდა V საუკუნის 90-იან წლებში. კ. იუზბაშიანმა იეშუ სტილიტის ცნობა შეუდარა სხვადასხვა წყაროში 450-451, 482-484 წლების აჯანყებების შესახებ გადმოცემებს და მივიდა დასკვნამდე, რომ ამ შემთხვევაში სირიელი ავტორი სწორედ ამ აჯანყებების შესახებ მის ყურამდე მისული გადმოცემებით სარგებლობს, თუმცა არასწორად ათავსებს ამ ამბებს V ს. 90-იან წლების დასაწყისში. ამდენად, მისი დასკვნით, სომხების არავითარი აჯანყება V საუკუნის 90-იან წლებში არ ყოფილა [37, 318-327].

და მაინც, როდის უნდა მომხდარიყო ბრძოლა „იორსა ზედა“? ჩვენთვის უფრო მისაღებია ვარაუდი ვახტანგის მონაწილეობაზე 502-506 წლების მოვლენებში. 502 წელს კავადი შეიჭრა ბიზანტიის სომხეთში და დაიპყრო თეოდოსიოპოლი, იგივე კარინი, დღევანდელი ერზურუმი, ხოლო შემდეგ, ხანგრძლივი ალყით, ქალაქი ამიდი. 503 წლის დეკემბერში მან კალინიკის ციხე-სიმაგრეს მიაღწია, რის შემდეგაც, ფაქტობრივად, აღარ ჩანს, ე.ი. აღარ მონაწილეობს არც ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლაში და არც საზავო მოლაპარაკებებში, რასაც მის ნაცვლად მისი წარმომადგენლები ახორციელებენ. როგორც ირკვევა, ამის მიზეზი ჩრდილოეთიდან ჰუნების შემოჭრა გამხდარა, რაზედაც ცნობებს ვპოულობთ

სხვადასხვა წყაროში [26, 163-164] და, მათ შორის, სირიელ ავტორთან, ზაქარია რიტორთან, რომლის მიერ დამკვიდრებული ტრადიციით, სპარსელების წინააღმდეგ ამხედრებული ჰუნები რომაელთა მიერ იყვნენ წაქეზებულნი: „როდესაც პეროზი, სპარსეთის საზღვრების მეფე, თავის ქვეყანაში გამეფდა, ანასტასიუსის მეცამეტე წელს ჰუნები გამოვიდნენ იმ კარიდან, რომელსაც სპარსელები იცავდნენ, და იმ მხარის მთებით მიაღწიეს სპარსეთის საზღვრებს" [11, 149]. 491 წელს ტახტზე ასული ანასტასიუსის მეცამეტე წელი 503 წელია, თუმცა პეროზი აქ შეცდომით არის დასახელებული. როგორც ცნობილია, შესაბამის წლებში ირანის მეფე კავადია. აქ სირიელი ისტორიკოსი, როგორც ჩანს, სხვადასხვა წყაროდან ამოღებული ცნობებით სარგებლობს, აერთებს მათ და ზოგჯერ უზუსტობებს უშვებს. ნ. ვ. პიგულევსკაიას მიაჩნია, რომ ზაქარია რიტორის ცნობა მიღებულია ორი სხვადასხვა ტრადიციის შეერთებით, ესენია: პეროზის ბრძოლა ეფტალიტებთან და ჰუნების შემოჭრა ანასტასიუსის დროს [11, 65-66]. შესაძლოა, ასევე არაზუსტი იყოს ცნობა ჰუნების დარუბანდის კარით შემოსვლის შესახებაც. რატომ უნდა შემოსულიყვნენ ჰუნები იმ კარიდან, რომელსაც სპარსელები იცავდნენ, მაშინ, როდესაც დარიალის კარი ჰუნი ამბაზუკის შთამომავლების ხელშია? სხვათა შორის, ბიზანტიელებთან ჰუნი ამბაზუკის კავშირის შესახებ საყურადღებო ცნობები მოიპოვება პროკოპი კესარიელთან, რომელიც კასპიის კარებზე შემდეგს მოგვითხრობს: „ეს სიმაგრე დროთა განმავლობაში ბევრს ეჭირა და ამბაზუკისაც, შთამომავლობით ჰუნს, რომაელებისა და მეფე ანასტასიუსის მეგობარს. როდესაც ეს ამბაზუკი ღრმა სიბერეში შევიდა და სიკვდილი უახლოვდებოდა, შეუთვალა ანასტასიუსის, ფული მიეცა მისთვის და ის გადასცემდა რომაელებს სიმაგრეს და კასპიის კარებს, ხოლო ანასტასიუსი მეფე... მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისთვის შეუძლებელი იქნება ჯარისკაცების შენახვა იქ, ყოველგვარ სიკეთეს მოკლებულ ადგილას, სადაც მეზობლად არ მოიპოვებოდა რომაელთა ქვეშევრდომი ტომები... დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ და ამბაზუკი გარდაიცვალა ავადმყოფობისაგან, ხოლო კავადმა სძლია იმის შვილებს და კარები დაიპყრო" [38, 46]. ნ. პიგულევსკაიას დასაბუთებული ვარაუდით, ეს უკანასკნელი ამბავი

უნდა მომხდარიყო 507-8 წლამდე, ციხე-სიმაგრე დარას აგებამდე [11, 67].

რომელი კარიდან შემოიჭრნენ ჰუნები 503 წელს? ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ი. მარკვარტის აზრით, ეს მოხდა დარიალის კარით. იმავე აზრისაა ა. კრისტენსენი. დ. დანლოპს მიაჩნია, რომ პროკოპის თხზულებაში მოხსენიებული კასპიის კარი დარუბანდია და სწორედ მას იცავდა ჰუნი ამბაზუკი [71, 27]. იუ. ჯაფაროვი თვლის, რომ ჰუნები დარუბანდიდან შეიჭრნენ [26, 168]. ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია არა მარტო ის, რომ ჰუნები დარიალის კარიდან შემოვიდნენ, არამედ ვარაუდი, რომ VI საუკუნის დასაწყისში ჰუნები, სწორედ ქართლის მეფის მიწვევით გამოჩენილიყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქართული წყაროები არაფერს ამბობს ამის შესახებ. შეიძლება გავიხსენოთ, რომ ქართული წყარო მაშინაც დუმს ვახტანგის კავშირებზე ჩრდილოელ ჰუნებთან, როდესაც მათ ურთიერთობებზე ჩვენ სრულიად უტყუარი მონაცემები გვაქვს სომხურ თანადროულ წყაროში. 503 წელს ჰუნების და ქართველების შესაძლო კავშირზე მიანიშნებს იუ ჯაფაროვიც: „თუ ჰუნებს ღია მხარდაჭერა არ ჰქონიათ ირანის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ადგილობრივი დიდებულებისგან, მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ თავის მიზნებისათვის მათი შედარებითი ნეიტრალიტეტი" [2, 72].

ის, რასაც „ქართლის ცხოვრების" შესაბამისი მონაკვეთი მოგვითხრობს, ძალიან ჰგავს სწორედ VI საუკუნის დამდეგს შექმნილ ვითარებას: „განძლიერებულ იყვნენ სპარსნი, რამეთუ ყოველნი მტერნი მათნი დაემორჩილნეს შესლვითა ვახტანგისითა, და წარმოემართა იგი ბრძოლად ბერძენთა, და მოუვლინა გორგასალსა მოციქული და რქუა: „ ...შენ წარმიძღუე ჩუენ, მეფეო, წინამძღურად ჩვენდა შესლვასა ამას ჩუენსა საბერძნეთად..."... ვახტანგ „თქუა ესრეთ: „უთხართ მეფეს ხუასროს: პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა, და ეგრე შევედ საბერძნეთად..." ... „წარავლინა მოციქული და მიუმცნო კეისარსა" [3, 179], მაგრამ ბერძნებმა დახმარება ვერ აღმოუჩინეს „და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი და ჭერმისა ციხე, და ველისციხე. და ვითარცა მოიწივნეს

კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა, ხოლო სპანი ვახტანგისნი დადგეს ველსა ზედა... და სამ დღე ყოველთა დღეთა იბრძოდეს... ცნეს სპარსთა, რამეთუ დამძიმდა ვახტანგ წყლულებისაგან, მოაოხრეს ტფილისი და არმაზი ქართლი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს..." ... „ვითარცა ცნა სიმძიმე ვახტანგისი, დაადგრა კარნუ ქალაქსა და მოვიდა მუნ ხუასრო, და შეიბნეს ხუასრო და კეისარი კარნიფორას. და დაიხოცა ორთაგანვე სპათა, რომელ იქმნა სისხლისა მდინარე". ჰუნები და ბიზანტიელები ჯერ კიდევ მოკავშირეები იყვნენ ვახტანგის გარდაცვალების დროს და მისი ანდერძი ქართველი დიდებულების მიმართ იყო: „სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ" [3, 180, 181, 182]. როგორც ვხედავთ, აქაც კარინის, იგივე ერზურუმის, აღებაზეა ლაპარაკი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კავადი ჩრდილოეთის თავდამსხმელებს სწორედ ქართლისა და ალბანეთის ტერიტორიებზე ებრძოდა, ხოლო ომის დასრულების შემდეგ აღმართა ზღუდე შირვანსა და დარიალს შორის, საიდანაც ჰუნი ამბაზუკის შვილები განდევნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ქართლის მეფე, ვახტანგ გორგასალი, უნდა გარდაცვლილიყო, არა უადრეს 503 წლისა. რაც შეეხება არაბული წყაროების ცნობებს იმის შესახებ, რომ არრანი და ჯურზანი ხაზარებისა და რუმთა ხელში იყო, აქ, ვფიქრობთ, გასაზიარებელია დ. დანლოპის მოსაზრება, რომ ალ-იაკუბის ზემოთ მოტანილი ცნობის პირველი ნაწილი ყველაზე მეტად, სწორედ, კავადის ხანას შეეფერება [7, 21], ვიდრე სპარსეთის მეფე საბოლოოდ არ დაამარცხებდა ჩრდილოეთიდან შემოჭრილ ჰუნ-საბირებს და არ ჩაუკეტავდა მათ გასასვლელებს სამხრეთის მიმართულებით. მსგავსი ვითარება, როდესაც არრანი და ჯურზანი „ხაზარების და რუმთა" ხელში შეიძლებოდა ეგულისხმათ, მოგვიანებითაც მეორდება, რაზედაც მომდევნო თავში იქნება საუბარი.

3. მეფობის გაუქმება ქართლში; ურთიერთობა თურქებთან VI საუკუნეში

VI საუკუნეში სპარსეთმა გააუქმა მეფობა ქართლში და მოგვიანებით შეცვალა ის ერისმთავრობის ინსტიტუტით. დამკვიდრებული თვალსაზრისით, რაც ემყარება პროკოპი კესარიელის თითქოს სანდო ცნობას, ეს მოხდა 523 წელს,. თუმცა, ამას მკვლევართა ნაწილი აღნიშნულის დასამტკიცებლად არასაკმარის საბუთად მიიჩნევს. „მას შემდეგ, რაც ამ ბარბაროსთა დიდებულნი გურგენ მეფესთან ერთად განდგომას იზრახავდნენ ... იმ დროიდან არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით, არამედ დიდი ეჭვითა და უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს“ [38, 94]. სწორედ 523 წელს, ამავე ავტორის ცნობით, სპარსეთის კონტროლის ქვეშ მყოფმა ქართლის მეფე გურგენმა „მოინდომა იუსტინე მეფის მხარეს გადასულიყო და პირობა მიეღო, რომ რომაელები სპარსელების ხელში არასდროს ჩააგდებდნენ იბერებს. იმანაც (ე.ი. იუსტინიანემ) მას დიდი სიამოვნებით მისცა ეს დაპირება და ბოსფორში გაგზავნა დიდძალი ფულით პრობე, გარდაცვლილი ანასტასიუსის ძმისწული, პატრიკიოსი, რათა ჰუნნების ჯარი ფულის საშუალებით დაეყოლიებინა და იბერთა დასახმარებლად გაეგზავნა“. ამას მოჰყვება ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ არიან ჰუნები და რომ ისინი, „დიდი ხანი არ არის, რაც იუსტინე მეფეს მიეკედლნენ“..., მაგრამ ამ თხოვნამ, როგორც ირკვევა, შედეგი არ გამოიღო, რის შემდეგაც „მეფემ პეტრე სტრატეგოსი გაგზავნა ლაზიკეში რამდენიმე ჰუნითურთ, რომ ის დახმარებოდა გურგენს, რამდენადაც შესაძლებელი იყო“. თუმცა, გურგენი ვერ ახერხებს ამ მცირე ძალებით შებრძოლებას, გადადის ჯერ ლაზიკაში, ხოლო შემდეგ — კონსტანტინოპოლში [38, 49].

გურგენის ვინაობის შესახებ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. კ. თუმანოვი მას ვახტანგ გორგასალთან აიგივებს [84, 369]. არსებობს შეხედულება, რომ ის არა მთელი ქართლის, არამედ ქართლის ნაწილის მეფე იყო [5, 138; 9, 89]. გამოთქმულია სხვა ვარაუდებიც მისი იდენტიფიკაციის შესახებ [5, 138-139]. ჩვენ ამ შემთხვევაში ვიზიარებთ დ. მუსხელიშვილის აზრს, რომელიც,

პროკოპი კესარიელის ცნობაზე დაყრდნობით, გურგენს მთელი ქართლის თუ არა, მისი აღმოსავლეთ ნაწილის მეფედ მაინც მიიჩნევს [17, 217]. მართლაც, VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი სრულიად მკაფიოდ მიუთითებს, რომ „იბერები, რომელნიც აზიაში ცხოვრობენ, დამკვიდრებულან სადღაც კასპიის კარებთან, რომელიც მათგან ჩრდილოეთით არის. მათ მარცხნივ კი დასავლეთით მდებარეობს ლაზიკე, ხოლო მარჯვნივ, აღმოსავლეთით ცხოვრობენ სპარსელთა ტომები“ [38, 48]. გარდა ამისა, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებით, „დასავლეთი ქართლისა“-ს გამგებლები მეფეებად არ იწოდებოდნენ. ქართველი მემატიანე შენიშნავს, რომ „ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისნი წარიყვანნეს სამთა მათ ერისთავთა, და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვიან ოძრჴეს და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა მთავრად, და იყვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისასა“ [3, 182-183]. შემდგომში ამავე მირდატმა მიიღო ტერიტორია ჯავახეთი ფარავანითგან მტკუარამდე. „დაიპყრა მირდატ, ძემან ვახტანგისმან, ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, და ერისთავობდა მუნ“ [3, 183]. ხოლო პროკოპი, როგორც ვნახეთ, გურგენს მეფედ იხსენიებს.

ს. ყაუხჩიშვილმა მოიტანა სათანადო მასალა ბიზანტიური და ქართული წყაროებიდან იმის დასასაბუთებლად, რომ უმეფობის ხანა ქართლში უფრო გვიანდელი მოვლენაა [39, 81] და მეფეების ყოფნა დასტურდება თითქმის მთელი VI საუკუნის მანძილზე, 590 წლამდე [39, 83]. თუმცა ამ საკითხზე, იმავე წყაროებზე დაყრდნობით, სხვადასხვა გამოკვლევაში (ვ. გოილაძე, მ. ჩხარტიშვილი, დ. მუსხელიშვილი, თ. ბერაძე, მ. სანაძე), სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ვ. გოილაძის აზრით, სპარსელებმა მეფობა ქართლში, დაახლოებით, 537 წელს გააუქმეს [5, 156]. მ. ჩხარტიშვილი შეეცადა გადაეთარიღებინა „ევსტათე მცხეთელის მარტვილობა“, რომელიც ქართლში უმეფობის ხანისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. მან გაიზიარა ადრე გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ აღნიშნული ძეგლი არა ხოსრო I-ის, არამედ ხოსრო II-ის ხანას უკავშირდება და, ამდენად, უმეფობის ხანაც გვიან მოვლენად

მიიჩნია [40, 38-44]. მ. სანაძე და თ. ბერაძე უმეფობას VI საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს, ბაგრატიონთა დინასტიის მოსვლას კი 571 წელს აკუთვნებენ [9, 90-92]. დ. მუსხელიშვილი მეფობის გაუქმებას 535-541 წლებთან, ხოლო ერისმთავრობის ინსტიტუტის შემოღებას 550-555 წლებთან აკავშირებს [17, 224, 235].

იმავე 523 წელს, როდესაც ბიზანტიაში ქართლის მეფე გურგენი ჩადის, ბიზანტიის იმპერატორთან მიემგზავრება ლაზთა მეფე წათე, რომელიც, ასევე, განუდგა სპარსეთის მეფეს კავადს და ბიზანტიის მხარეზე გადავიდა. ცნობა ამის შესახებ მოეპოვებათ იოანე მალალას და „პასქალურ ქრონიკას" [10, 263-4; 39, 11]. მკვლევრები მართებულად ხედავენ კავშირს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფეებს შორის [17, 269; 9, 89]. თეოფანე აღმსარებელი 522 წლის მოვლენებში მოგვითხრობს, რომ, ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ომის დაწყების შემდეგ, იუსტინეს (იგულისხმება იუსტინე I, 518-527 წწ.) ინიციატივით ზავი დაიდო სპარსეთის წინააღმდეგ ჰუნთა მეფე ზილგივინთან. თუმცა, ამ უკანასკნელმა უღალატა მას და კავადის მხარეზე გადავიდა, რომელმაც შემდეგ მოკლა იგი იუსტინეს დაბეზღებით [41, 50-51]. 527-28 წლებში იგივე ავტორი ჰუნებთან ახალი კავშირების შესახებ მოგვითხრობს. აღნიშნულ წელს რომაელების მოკავშირე გახდა საბირებად წოდებული ჰუნთა მეფის ქვრივი, სახელად ბოარიქსი, რომელსაც 100 ათასი ჰუნი ჰყავდა. მან, სხვათა შორის, დაამარცხა, მოკლა ან ხელში ჩაიგდო ჰუნთა სხვა ტომების მეფეები — სტირაქსი და გლონი, რომლებიც კავადის მოკავშირეები იყვნენ. ამათგან პირველი მან კონსტანტინოპოლში გაგზავნა, ხოლო მეორე ბრძოლაში მოკლა. იმავე წელს ბიზანტიის იმპერატორთან მივიდა ჰუნთა მეფე, სახელად გორდი, ბოსფორის მახლობლად მცხოვრები, რომელიც ფ. ალტჰაიმის მიხედვით, ყირიმელი ჰუნების, ხოლო გ. მორავჩიკის ვარაუდით, მეოტიდის მიდამოებში მცხოვრები ონოგურების მეფე იყო, ქრისტიანი გახდა და იმპერატორს თანადგომა აღუთქვა. ეს უკანასკნელი მოკავშირეობა იღბლიანი არ აღმოჩნდა, ვინაიდან თავის ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ ბიზანტიელების ახალი მოკავშირე მისმა თანატომელებმა მოკლეს [41, 50-51. იხ. 71-ე კომენტარი].

528 წელს დაწყებული საომარი მოქმედებები სომხეთსა და ლაზიკაში, ისევე როგორც გურზანსა და არრანში [35, 98], ინტერვალებით 531 წლამდე გაგრძელდა. 532 წელს დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაიდო „უვადო ზავი", რის შემდეგაც „იბერებს ნება მიეცათ მოქცეულიყვნენ, როგორც უნდოდათ: ან დარჩენილიყვნენ იქვე ბიზანტიაში ან დაბრუნებულიყვნენ თავის სამშობლოში. ბევრი იყო, რომელიც დარჩა, ბევრი კი დაბრუნდა სამშობლო ქვეყანაში" [38, 62-63]. როგორც ვხედავთ, ქართველების დიდ ნაწილთან ერთად, ბიზანტიელთა მოკავშირეები ჰუნების ერთი ნაწილიც არის, რაც ქართველებთან ერთ კოალიციაში მათ ყოფნას ნიშნავდა, ხოლო მათი მეორე ნაწილი სპარსელების მხარეზეა. მაგალითად, ის ჯარი, რომელიც სპარსეთის მეფემ კავადმა რომაელთა არმენიაში გაგზავნა, შედგებოდა პერსარმენიელებისა და სვანთაგან. მათთან იყვნენ საბირებად წოდებული ჰუნებიც, სამი ათასი კაცი, მეტად მამაცი ხალხი [38, 55].

რა ბედი ენია გურგენ მეფეს, არ ჩანს. ვიცით მხოლოდ, რომ ზავის დადების წლებში ქართლს სხვა მეფე ჰყავს [39, 82], ხოლო ბიზანტიაში რჩება და დიდ წარმატებებს აღწევს პერანი, რომელიც, ჩანს, გურგენის ძმაა. ის კონსტანტინოპოლში ჩასული ქართლის მეფის შვილებსა და ძმებს შორის უხუცესად იხსენიება [38, 50, 90, 232-234].

იმავე ხანებს (533 წ.) განეკუთვნება კონსტანტინოპოლში ქართლის მეფის ჩასვლა, რაზედაც თეოფანე მოგვითხრობს. ეს მეფე წყაროებში სხვადასხვანაირად იხსენიება — ზამანაზი (იოანე მალალა) ან ძამანარძე (თეოფანე ჟამთააღმწერელი). იმ წელს „იბერიელთა მეფე ძამანარძე მოვიდა კონსტანტინოპოლში, კეთილსათნო იუსტინიანე მეფესთან, თავისი მეუღლითა და დარბაისლებითურთ; მან სთხოვა იუსტინიანეს მიეღო იგი რომაელების მოკავშირედ და ჭეშმარიტ მეგობრად" [39, 80]. ვ. გოილაძის აზრით, ეს იგივე ფარსმან სხუაცა, ან ფარსმან II [5, 150]. დ. მუსხელიშვილი, ისევე როგორც ვ. გოილაძე, ფარსმან II-ს, იმავე ფარსმან სხუაცს, ქართლის მეფედ ვარაუდობს 527 წლიდან. შიო მღვიმელის მეტაფრასულ „ცხოვრებაში" იგი იხსენიება, როგორც ბიზანტიის მოკავშირე „ხასკუნთა" წინააღმდეგ ბრძოლაში [17, 220].

ს. ყაუხჩიშვილმა 527-535 წლებში ივარაუდა ძამანარძე-ზამანაზი [39, 82]. იმავე წლებში დ. მუსხელიშვილი ქართლის ორ ნაწილად დაშლასაც არ გამორიცხავს, რაც, მისი აზრით, ფაქტობრივად, მოხდა დაჩის შვილიშვილის, ფარსმანის დროს, როდესაც „დასავლეთი ქართლი" ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად ჩამოყალიბდა [17, 215]. მართლაც, თუ პროკოპი კესარიელი თითქოს მიუთითებს, რომელ ტერიტორიას გულისხმობს ის იბერიაში, როდესაც 523 წელს გურგენის განდგომაზე საუბრობს [38, 48], იმის შესახებ, თუ რომელ ტერიტორიას ფლობს ფარსმანი, მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. არ არის გამორიცხული, რომ ეს ქართველთა მეფე მხოლოდ ქართლის აღმოსავლეთ ნაწილშია, ისევე, როგორც იოანე მალალას ჩამონათვალში მოხსენიებული იბერიელთა მეფე ზამანაზე, რომელიც იხსენიება სპარსეთის მეფის, კავადის, რომის მეფე ალარიხის, აფრიკის მეფე გილდერიხის და სხვათა გვერდით [39, 81]. ფსევდო-ზაქარიას 555 წლის ცნობა ადასტურებს იბერიაში მეფის არსებობას სპარსეთის მორჩილების პირობებშიც — „გურზანი არის მიწა არმინიაში, ბერძნულის მსგავსი ენით; მათ ჰყავთ სპარსეთის მეფეს დაქვემდებარებული ქრისტიანი მეფუკა" [11, 165]. მართალია, აქ ერთგვარი ტერმინოლოგიური სხვაობაა. მაგალითად, თუ როგორ არის აღნიშნული არრანის მეფე, [11, 165], აშკარად ჩანს, რომ მეფის ხელისუფლება ჯერ კიდევ შენარჩუნებულია. სხვაობა კი, როგორც ჩანს, მხოლოდ ქართლის ხელისუფლის შედარებით შეზღუდულ უფლებებზე მიუთითებს. ხოლო გვიან, 60-იან წლებში, ქართლში უკვე გურგენია, რომელსაც იოანე ეფესელიც მეფედ იხსენიებს [11, 130]. ამდენად, თუ კი ქართლში სპარსელების მიერ მეფობის ინსტიტუტი მართლაც გაუქმდა, როგორც ამას წყაროები აღნიშნავენ და თუ ეს პროკოპი კესარიელის მიერ განხილულ წლებში მოხდა, ასეთი მდგომარეობა მცირე ხნით უნდა გაგრძელებულიყო, ხოლო უმეფობის პერიოდი, შესაძლოა, გვიანაც გამეორდა, რასაც ქვემოთ შევეხებით.

ანტისპარსული კოალიციის შექმნის იდეა კავკასიაში აქტუალური რჩებოდა და ხშირად ამ ინიციატივით ქართველი ხელისუფალნი გამოდიოდნენ. 549 წელს ლაზთა მეფე გუბაზ II ისევ

ბიზანტიის მხარეზე გადავიდა, მას შემდეგ, რაც შეიტყო სპარსეთის მეფის, ხოსროს, განზრახვა გადაეყენებინა ის ტახტიდან.

პროკოპი კესარიელს იუწყება, რომ ამ გუბაზმა „კარგა ხნის წინათ კავშირში ჩაითრია ალანები და საბირები, რომლებმაც აღუთქვეს სამ კენდინარად არა თუ აუოხრებელი დაეცვათ ლაზებისათვის მათი მინა-წყალი, არამედ იბერიაც ისე გაეუკაცურებინათ, რომ სპარსელებს ამიერიდან აღარ შეძლებოდათ უკვე იქ მისვლა. გუბაზი მათ დაჰპირდა, რომ მეფე მათ მისცემდა ამ ფულს, თვითონ კი აცნობა იუსტინე მეფეს ამ პირობების შესახებ და სთხოვა გამოეგზავნა ბარბაროსებისათვის ეს ფული“ [38, 103]. მაგრამ ბიზანტიის იმპერატორმა მათ ფული დროზე ვერ გამოუგზავნა, რის გამოც ალანები ხოსროს მხარეზე გადავიდნენ და სპარსელებთან ერთად ლაზიკაში შეიჭრნენ, ხოლო საბირებმა თავის მეთაურთაგან შეარჩიეს სამი და გაგზავნეს თანხის მისაღებად. „პეტრას ალყის დროს მათ დიდი სამსახური გაუწიეს ბიზანტიელებს, რადგან გაუკეთეს გადასატანი იარაღი, რომლის საშუალებითაც მოხერხდა ციხე-სიმაგრის აღება“ [38, VIII, XI].

სომეხი ავტორი, მოვსეს კალანკატუაცი, გვაწვდის ცნობას ხოსროს მეფობის მეორე წელს ალბანეთში ხაზარების შემოჭრის შესახებ. თუმცა, ეს ცნობა, დათარიღების მიუხედავად, იდენტიფიკაციას მოითხოვს. მოვსეს კალანკატუაცის თხზულების მეოთხე თავში, რომლის სათაურია „ალვანეთის საპატრიარქო ტახტის გადატანა ჭორიდან და მმართველობის დაფუძნება დიდ ქალაქ პარტავში მტაცებელი ხაზარების გამო, რომლებიც თავიანთი თავდასხმებით აოხრებდნენ (ქვეყანას)“, ნათქვამია: „ამის შემდეგ სპარსეთის ქვეყანა ხაზარებმა დაატყვევეს. ეკლესიები და სახარებანი ცეცხლს მისცეს. მაშინ მეფეთა მეფეს საპატრიარქო ტახტი ქალაქ ჭორიდან დედაქალაქ პარტავში გადაიტანეს ქრისტეს ჯვრის მტრების მტაცებლური თავდასხმების გამო. პატრიარქად დასვეს მეწირანქის გვარიდან უფალი აბასი, რომელსაც ტახტი ეპყრა ორმოცდაოთხი წლის განმავლობაში...“ [42, 63]. ცნობაში, როგორც ვხედავთ, მოცემულია თარიღი, მაგრამ ერთ შემთხვევაში, ეს არის ხოსროს მეფობის მეორე წელი, ე.ი. 532 წელი, ვინაიდან ის ტახტზე 531 წელს ავიდა, ხოლო, მეორე შემთხვევაში — სომხური

წელთაღრიცხვის 551 წელი. ნ. აკინიანის აზრით, აქ ხოსროს მეფობის მეორე წელი შეცდომით არის მითითებული. უნდა იყოს ხოსროს მეფობის მეოცე (ცნობა მოგვაწოდა ლ. დავლიანიძემ), ე.ი. 551 წელი, რაც ემთხვევა მეორე თარიღს. მემატიანე ამბობს, რომ ხაზარებმა სპარსელების ქვეყანა დაატყვევეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ბიზანტიელების მოკავშირეები იყვნენ. იუ. ჯაფაროვი ცნობას 552 ნლით ათარიღებს და რამდენიმე განსხვავებულ შეხედულებას შორის, არც იმ შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ ჰუნები ამ შემთხვევაში ბიზანტიელებთან შეთანხმებულად მოქმედებდნენ, რის შემდეგაც პარალელს ავლებს არაბული წყაროების ცნობებთან [2, 92-94]. რამდენად გამართლებულია 551 ნლის ამბებთან არაბული წყაროების ცნობების დაკავშირება?

საქმე ეხება არაბული წყაროების ატ-ტაბარის (X ს.) და იბნ ალ-ასირის (XIII ს.) ერთ ინფორმაციას. არაბული ქრონიკების ავტორები მოგვითხრობენ, რომ VI საუკუნის 60-70-იან ნლებში ხოსრო ანუშირვანის (531-579) სამფლობელოში, არმინიაში, შეჭრილან ბანჯარები, ბალანჯარები, ალანები და აბხაზები. იმავე ხალხებმა შემდეგ მორჩილება გამოუცხადეს თურქ ხაკანს, სინჯიბუს [43, 130]. სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენჯერმე გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ „აბხაზ" აქ შეცდომით არის „ხაზარ"-ის ნაცვლად (ი. მარკვარტი, მ. არტამონოვი, ა. შიხსაიდოვი, იუ. ჯაფაროვი, გ. ჯაფარიძე) [2, 92-4; 43, 130]. თუმცა თავისთავად აბხაზების გამოსვლა ჩრდილოეთ კავკასიელებთან ერთად სპარსელების ნინააღმდეგ სრულიადაც არ არის უცნაური. სხვა საკითხია, ცნობის მეორე ნაწილი, ანუ, მოგვიანებით, ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებთან ერთად აფხაზების თურქთა ხაკანისადმი მორჩილება. ი. მარკვარტის, ს. ერემიანის, მ. არტამონოვის, ვ. მინორსკის მიხედვით საბუთდება ვარაჩან — ვარაჯან — ბალანჯარ — ბარსილის კავშირი და იგივეობა [2, 93]. სრულიად ნათელია, რომ აქ ისევ თურქულენოვანი ტომები იგულისხმებიან ალანებთან და აფხაზებთან (ხაზარებთან?) ერთად. თუმცა ეს ცნობა, სავსებით რეალური, ალბათ უფრო გვიან მოვლენებს უკავშირდება, რომელსაც ქვემოთ შევეხებით და არა — 551 ნლის ამბავს.

ბიზანტიელი ისტორიკოსის, აგათია სქოლასტიკოსის, ცნობით, 554 წელს „რომაელებმა მთელი თავისი ჯარით მიიტანეს იერიში ონოგურისში ჩამჯდარი სპარსელების წინააღმდეგ“, რასაც მოსდევს განმარტება, რომ „ეს სახელი ძველადვე შეერქვა ამ ადგილს, შესაძლებელია, იმის გამო, რომ ჰუნები, რომელთაც ონოგურები ეწოდებოდათ, ამ ადგილას შებმიან კოლხებს ნარსულ წლებში და დამარცხებულან და ამ გამარჯვების ნიშნად და ძეგლად ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს სახელი შეურქმევიათ“ და რომ აგათიას დროს იმ ადგილს ასე აღარ რქმევია [10, 52]. სხვათა შორის, ქართველ მკვლევართა აზრით, ეს იგივე უნაგირაა [10, 52-53]. აგათია სქოლასტიკოსის სხვა ცნობით, 555 წელს საბირები, იგივე ჰუნები, კვლავ მონაწილეობენ არქეოპოლისთან ბრძოლაში ბიზანტიელების მხარეზე.

მენანდრე ბიზანტიელის თანახმად, VI საუკუნის შუა წლებში ცენტრალურ აზიაში მომაგრებულმა ახალმა ძალამ, თურქუთებმა, მოკლე ხანში (550-560) დაამარცხეს თავისი მეზობლები, დაიპყრეს ცენტრალური ყაზახეთი, შვიდმდინარეთი, ხორეზმი და 558 წლისათვის ვოლგამდე მიაღწიეს. სნორედ იმ დროს, 558 წელს, ავარებმა თხოვნით მიმართეს ალანების ბელადს, რომ მათ ისინი რომაელებთან დაეკავშირებინა. ამ ხალხის პირველ ელჩად შერჩეულ იქნა კანდიხი [45, 322]. როდესაც იგი იმპერატორის წინაშე წარდგა, ბრძანა, „შენთან მოდის ყველაზე დიდი და ძლიერი ხალხებს შორის. ავართა ტომი უძლეველია. მას აქვს უნარი, ადვილად უკუაქციოს და გაანადგუროს მოწინააღმდეგე, ამიტომ შენთვის სასარგებლოა, მიიღო ავარები მოკავშირეებად და შეიძინო მათი სახით საუკეთესო დამცველები. მაგრამ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან რომის სახელმწიფოსთან მეგობრულ ურთიერთობაში, თუ მივიღებთ თქვენგან ძვირფას საჩუქრებს და ფულს ყოველწლიურად, და იქნებიან დასახლებული საუკეთესო მიწებზე“. ამავე წყაროს ცნობით, „ავარებმა მალე გაუმართეს ომი უტიგურებს, შემდეგ ზალებს, ჰუნთა ტომიდან და სძლიეს საბირებს“ [45, 320-324].

ბიზანტია-სპარსეთის 562 წლის ზავის ერთ-ერთი პირობა ისიც იყო, რომ სპარსელებს არ მიეცათ უფლება უნებისა და ალანებისათვის, გადასულიყვნენ რომაულ მიწებზე ხეობით,

რომელსაც ეწოდებოდა ხორიცონი, და კასპიის კარით [45, 342]. ტექსტის მთარგმნელს მიაჩნია, რომ პრისკეს კასპიის კარი დარუბანდის გასასვლელს გულისხმობს: „იმავე კარს გულისხმობს თუ არა „ხორიცონ"ი, — მან არ იცის [45, 342].

567-571 წლებში თურქუთებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ კავკასია და, ბიზანტიელებთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების მიუხედავად, მათ ტერიტორიებსაც დაემუქრნენ. ამავე დროს, აბრეშუმისათვის ბაზრის ძიებას ისინი ბიზანტიაში ჩაჰყავდა. მენანდრე პროტიქტორის ცნობით, იუსტინეს მეფობის მეოთხე წელს, რაც 568 წელს შეესაბამება, კონსტანტინოპოლში თურქი ელჩები ჩადიან [10, 234-6]. იმავე 568 წელს საპასუხო ელჩობა ბიზანტიიდანაც იგზავნება კილიკიელი ზემარქეს მეთაურობით, რომელიც უკან დაბრუნებისას კვლავ თურქების თანხლებით, ალანიის ტერიტორიის გავლით, დარიალის გზით საქართველოში შემოდის, დიდ მანძილს გაივლის და ბრუნდება ბიზანტიაში. იმავე მენანდრეს ცნობით, ტიბერის კეისრობის მეორე (576) წელს ბიზანტიიდან თურქებთან კვლავ იგზავნებიან ელჩები ვალენტინეს მეთაურობით, რომლებიც თურქეთის ხაკანთან მისულები მისგან საყვედურს ისმენენ: „რატომ მიგყავთ თქვენ, რომაელნო, ჩემი ელჩები, ბიზანტიაში მიმავალნი, კავკასიაზე და მეუბნებით, რომ არ არსებობს სხვა გზა..." [10, 242].

570 წლის მოვლენებს შორის მენანდრე გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას: „რომაელებს და სპარსელებს შორის ომისათვის ბევრი მიზეზი არსებობდა. რომაელები ძალზე აქეზებდნენ თურქებს სპარსელების წინააღმდეგ. ისინი დაესხნენ მიდიის მიწებს, დაარბიეს ის, შემდეგ გაუგზავნეს მოციქულები იუსტინეს და სთხოვეს, ებრძოლა მათთან ერთად სპარსელების წინააღმდეგ, რომ ერთად დაემარცხებინათ საერთო მტერი. ერთი მხრიდან თურქები დაესხმოდნენ, მეორე მხრიდან კი რომაელები და ამგვარად გაანადგურებდნენ სპარსელებს" [10, 45, 398]. ხომ არ არის ცნობაში საუბარი სპარსეთის მიწების სწორედ იმ დარბევაზე, რომელზედაც მონაცემები არაბულ წყაროებსაც შემოუნახავთ? ყოველ შემთხვევაში, ქრონოლოგიურად ეს უფრო სავარაუდოა, ვიდრე არაბული წყაროების 60-70-იან წლებში მომხდარი ამბის მოვსეს კალანკატუაცის 551 წლის ინფორმაციასთან დაკავშირება.

ამავე დროს, მოვსეს კალანკატუაცის ცნობა გვიდასტურებს ჩრდილოეთიდან მსგავსი ლაშქრობების სიხშირეს. რაც შეეხება მენანდრეს მიერ 570 წლის ცნობაში მოხსენიებულ თურქების შემოჭრას, რომელიც შეიძლებოდა ცოტა უფრო ადრეც ყოფილიყო, ამ ფაქტსა და იმ მოვლენებს შორის, რაც ამიერკავკასიაში იმ წლებში ხდებოდა, გარკვეული კავშირია სავარაუდო.

V საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში და ამაზე უფრო ადრეც სამხრეთ კავკასია კიდევ ერთხელ აჯანყდა სპარსეთის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ 562 წელს ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დადებული ზავით რელიგიური ტოლერანტობა ცხადდებოდა და ქრისტიანებს ეძლეოდათ უფლება, დაბრკოლებების გარეშე, დარჩენილიყვნენ თავის რწმენაზე. თეოფანე ბიზანტიელის ცნობით, სპარსელების მიერ დანიშნული მარზპანი, სურენა, აწვალებდა არმენიელებს. ისინი შეთანხმდნენ ერთმანეთში და მოკლეს სურენა.. და არმენიელები ჩამოშორდნენ სპარსელებს და რომაელებს მიემხრნენ, დატოვეს ქალაქი დვინი, სადაც ცხოვრობდნენ და რომაელთა მიწა-წყალზე გადავიდნენ. ეს იყო მთავარი მიზეზი სპარსელთა და რომაელთა შორის არსებული ზავის დარღვევისა. სპარსელებს მაშინვე გადაუდგნენ იბერებიც და მიემხრნენ რომაელებს. „მათ მთავრობდა გორგენი, ხოლო იბერთა დედაქალაქი მაშინ ტფილისი იყო“ [10, 25]. სირიელი ავტორი იოანე ეფესელი ადასტურებს, რომ „სპარსელი სომხები მოვიდნენ და რომაელების მხარეზე გადავიდნენ. ... და რომაელი იმპერატორი მთელ ამ ბრძოლას, რომელიც მას სპარსელებთან ჰქონდა, იმიტომ ატარებდა, რომ არ გადაეცა ის ქრისტიანები, რომლებიც მასთან მფარველობის საძებნელად მივიდნენ“. მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ისინი დაასაჩუქრა მდიდრული საჩუქრებით და სამი წლით ხარკის გადახდა გაუუქმა, „მიუგზავნა მას (ხალხი) სპარსმა, რომ ეთქვა: „მომეცი მე ჩემი მონები, რომლებიც ამიჯანყდნენ“, მაგრამ მან არ დაუჯერა. მაშინ სპარსმა იეშმაკა და მისწერა სომხებს, რომ ის მათ არაფერს ავნებდა და არ გაიხსენებდა მათ სისულელეებს“. მაშინ ისინი ჩამოშორდნენ რომაელებს და ჩაბარდნენ მას. მთელი მხარე, იმ დიდებულების გამოკლებით, რომლებიც იმპერატორთან კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ, დაახლოებით 20 ათასი,

ჩამოშორდა, მივიდა და ჩაბარდა სპარსელებს. ის დაბრუნდა და აიღო სომხეთი ძველებურად. რაც შეეხება მათ მეთაურებს, ერთ-ერთი, სახელად ვარდანი და სხვები, მასთან ერთად მყოფნი, და ხალხის (იგულისხმებიან ქართველები) მეფე, სახელად გორგონი, რომელიც, აგრეთვე, დედაქალაქში ცხოვრობდა, დიდი პატივით, მთელი თავისი ხალხით ჩაბარდნენ რომაელებს. ისინი მოვიდნენ და ჩაბარდნენ იმპერატორ იუსტინეს მისი მეფობის მეხუთე წელს (ე.ი. 569 წელს, ვინაიდან იუსტინე ტახტზე 565 წლიდანაა) [11, 130].

სამხრეთ კავკასიის ეს ახალი აჯანყება და ომი, რომელიც მას მოჰყვა, წყაროებში სხვადასხვაგვარად არის დათარიღებული. იოანე ეპიფანიელის ცნობით, დიდი ომი დაიწყო იუსტინეს მეფობის მეშვიდე წელს და თითქმის ოც წელს გაგრძელდა, „დამთავრდა რომაელთა თვითმპყრობელ მავრიკის მეფობის მეცხრე წელს" [10, 198]. ე.ი. დაიწყო 571 წელს და დასრულდა 591 წელს. ამასთანავე, ამ ავტორის ცნობით, სპარსელები ომის მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ ბიზანტიელებმა შეიფარეს არმენიელები, მათი მოხარკეები, რომლებიც აჯანყდნენ.

თეოფანე ბიზანტიელის ცნობით, იუსტინიანეს ნათესავი მარტინი აღმოსავლეთის სარდლად დაინიშნა. ის გაემართა ხოსროს წინააღმდეგ იუსტინეს მეფობის მერვე წელს (572) [10, 258; 45, 494]. მენანდრეს მიხედვით, როდესაც სპარსეთის მეფემ 571 წელს გაგზავნა ელჩი იუსტინესთან, მას „თავი ისე მოაჩვენა, თითქოს არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა მოხდა პერსარმენიაში" [45, 403]. თუმცა, მოლაპარაკების დროს ელჩმა ახსენა, რომ „მეფემ აცნობა მას რაღაც არეულობის შესახებ არმენიაში". ამ ცნობით. აჯანყება სამხრეთ კავკასიაში 571 წლისათვის უკვე მოძდა[illegible] ფაქტია. 572 წლის მოვლენებში თეოფანე ჟამთააღმწერელ[illegible] წერს, რომ „ჰუნებმა, რომლებსაც ჩვენ ჩვეულებრივ თურქებს ვუწოდებთ, გაგზავნეს ელჩობა იუსტინესთან ალანთა მიწების გავლით (დარიალით). ამით შეშინებულმა, სომხების აჯანყებისა და იუსტინესთან მათი გადასვლის საბაბით, მან - იგულისხმება ირანის შაჰი - გადასულები უკან მოითხოვა" [41, 53-4].

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ცნობით, აჯანყება 569-70 წლებში უნდა მომხდარიყო, რასაც მოჰყვა ომი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის 571-72 წლებში.

სამხრეთ კავკასიელებსა და ჰუნებს შორის სავარაუდო კავშირის მიუხედავად, ამ უკანასკნელთა მონაწილეობა აჯანყებულების მხარეზე თითქმის არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით მენანდრეს 570 წლის ცნობაში მოხსენიებულ მათ ლაშქრობას სპარსელების მიწებზე, რასაც, თითქოს, არაბული წყაროების 60-70-იანი წლების ცნობებიც ეხმიანება. მენანდრეს მიხედვით, შესაძლოა, პირიქითაც იყო: თურქული ტომები სპარსელების მხარეზე იბრძოდნენ: „არმენიის სტრატეგოსმა იოანემ და სპარსელთა სარდალმა მირიანმა, რომელსაც ბარამაანიც ეწოდებოდა, შეკრიბეს ჯარი. არმენიელების მხარეზე იბრძოდნენ კოლხები, აბაზგები და ალანთა მეფე საროე, ხოლო მირიანის მხარეზე — საბირები, დამანები და დილმაინის ტომი" [10, 258; 45, 494]. სომეხი ავტორის, სებეოსის ცნობით, ხოსროს მხედართმთავარს „გოგონ მიხრანს ჰყავდა 20 ათასი ჯარი მრავალი სპილოთი. მისი მომხრეები იყვნენ ჰუნთა ტომიდან მრავალრიცხოვანი ხალხი, კავკასიის მთებში მცხოვრები ჰუნები... იმ მიჰრანს ერთი ბრძოლა ჰქონდა საქართველოში და დამარცხებულ იქნა..." [46, 31]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ციტირებულ წყაროებში მონანილეთა სია არასრულია და ამჯერადაც თურქულენოვანი ტომების ერთი ნაწილი ბიზანტიისა და მისი მოკავშირეების მხარეზეა, თუ გავითვალისწინებთ მათ ურთიერთობებს აღნიშნულ ნლებში, ხოლო მეორე ნაწილი, ავარები, მხარს უჭერს სპარსელებს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მსგავს ვითარებაში ცოტა მოგვიანებით ჩრდილოელი თურქულენოვანი ხალხების მონაწილეობა ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვა ჩრდილოელებთან ერთად ივარაუდება.

581 ნელს აშინის შთამომავლებს შორის დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის. უფრო ადრე, ბიზანტიასთან აქტიური კავშირების მიუხედავად, თურქებმა აიღეს ბოსფორი, დაიწყეს ხერსონის წინააღმდეგ გამოსვლა, ხოლო შემდეგ შეეცადნენ, შეჭრილიყვნენ მის ამიერკავკასიის სამფლობელოებში. იმ დროისათვის გასასვლელები ირანის ხელთ იყო, რის გამოც ისინი

დაიძრნენ შავი ზღვის სანაპიროთი. თეოფილაკტე სიმოკატას ცნობით, „ხაკანმა ხმალს მისცა კოლხი ხალხი (რიონის სათავეში მცხოვრები ლაზები), და იმ წუთში, როდესაც გამარჯვება ხაკანს უღიმოდა, თურქებში სამოქალაქო ომი დაიწყო“ [28, 138].

VI საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს თურქები კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ სამხრეთ კავკასიელებთან ანტისპარსულ კოალიციაში გაერთიანებულნი. „ქართლის ცხოვრება“ იცნობს მხოლოდ ერთ აჯანყებას, რომელიც არ არის დათარიღებული: „შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა იქმნნეს შფოთნი დიდნი სპარსეთს შინა, რამეთუ შევიდა თურქთა მეფე სპარსეთს შინა; მოვიდეს ბერძენნი, ეწყუნეს სპარსთა შუამდინარესა, აოტნეს და შევიდეს სპარსეთს, და იწყეს ტყუევნად სპარსეთისა. მაშინ ქასრე ამბარვეზმან დაუტევა რანი და ქართლი... ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თჳის-თჳისსა საერისთავოსა შეუცვალებელად. მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი, და მოსცა მეფედ ძისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს. ამას გუარამს მისცა კეისარმან კურაპალატობა, და წარმოგზავნა მცხეთას... მაშინ კეისარმან წარმოსცა განძი დიდი გუარამ კურაპალატისა თანა, და უბრძანა, რათა მით განძითა გამოიყვანნეს ჩრდილოს ლაშქარნი, და შეერთნეს თანა სპანი ქართველთანი, და შეგზავნნეს სპარსეთს. ხოლო გუარამ ყო ეგრე: გამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი, და წარუძღუანნა წინა ერისთავნი ქართლისანი. შევიდეს ადარბადაგანს, და უწყეს ტყუენვად და ესევითარნი ჭირნი და უცალოებანი მოიწივნეს სპარსთა ზედა. მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი, რომელსა ერქუა ბარამ ჩუბინი. ესე ეწყო თურქთა, სპარსეთს შემოსრულთა, ვითარცა წერილ არს განცხადებულად ცხოვრებასა სპარსთასა, მოკლა საბა, თურქთა მეფე, და აოტა ბანაკი მათი, ხოლო სპანი იგი ბერძენთანი, რომელ შესრულ იყვნეს სპარსეთს, შეიქცეს და წარვიდეს შინა. და ჩრდილონი იგი, გუარამ

კურაპალატსა შეგზავნილნი, წარმოვიდეს იგინიცა შინა; რამეთუ, ვინათგან მოიცალეს სპარსთა თურქთაგან, შეშინდეს, და დაეცა შიში და ძრწოლა ქართველთა სპარსთაგან" [3, 186-187].

„მოქცევაჲ ქართლისაჲ", ისევე, როგორც სუმბატ დავითის ძე, დაახლოებით, იმავე ხანებში იხსენიებენ გუარამს, მაგრამ არც მისი ერისთავობის წლებს უთითებენ და არც აჯანყებაზე იციან რაიმე [47, 94; 48, 42]. ამის მიუხედავად, აჯანყების თარიღის დადგენა სხვა წყაროებით მაინც ხერხდება. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ეს ამბავი დათარიღებული ფირდოუსის „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთ წინამორბედ თხზულებაში „ხვადაჲ-ნამაკში", რომელიც უნდა ვიგულისხმოთ „ქართლის ცხოვრების" მოტანილი ცნობის წყაროდ — „ცხოვრება სპარსთა"-დ. თვით პოემის მიხედვით, ეს ჰორმიზდ IV-ის მეათე წელს, ანუ 588 წელს მოხდა.

„შაჰ-ნამეში" ნათქვამია, რომ ჰორმიზდის მეათე წელს ირანს ყოველი მხრიდან მტრები დაესხნენ: „აღმოსავლეთიდან სავე მოვიდა, დასავლეთიდან — კეისარი, ხაზართა გზით — ხაზარები, რომლებმაც არდებილს მიაღწიეს და დამარცხდნენ, არაბული მიწებიდან — ამრი და აბბასი" [49, 16-19]. საქმე ეხება ფართომასშტაბიანგაერთიანებას,რომელშიც ყველა ანტისპარსული ძალა მონაწილეობს. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ „ხაზართა" ხსენება ფირდოუსის ცნობაში ანაქრონიზმია და აქ იგულისხმება მონაწილეობა თურქულენოვანი ტომებისა, რომლებიც, სხვა კავკასიელ მოკავშირეებთან ერთად, „ხაზარებად" იხსენიებიან [49]. თუმცა, „ქართლის ცხოვრების" მემატიანე მხოლოდ კავკასიურ ტომებს (ოვსნი, დურძუკნი, დიდონი) ასახელებს. ეს სია, როგორც ჩანს, არ არის სრული. ამავე თარიღს ადასტურებს ბიზანტიელი ავტორი თეოფანე უამთააღმწერელი, რომლის მიხედვითაც, 588 წლისათვის თურქები უკვე დამარცხებულები იყვნენ. სწორედ ამ წლის ამბებში მოგვითხრობს ის იმის შესახებ, რომ: „ჰორმიზდმა, სპარსთა იმპერატორმა, სტრატეგად ვარამი დანიშნა და გაგზავნა ის დიდი ძალებით სვანეთზე. (ვარამი) მოულოდნელად დაესხა მას და, მას შემდეგ, რაც თურქები დამარცხდნენ სპარსელების მიერ, ჰორმიზდი ისეთი ძლევამოსილი გახდა, რომ აიღო 40 ათასი ოქრო — გადასახადი თურქებისაგან, ზუსტად იმდენი, რამდენსაც ის

ადრე თურქებს უხდიდა“ [41, 54-55]. ამ კოალიციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ქართლის მეფეა. თუმცა არავითარი ოფიციალური ხელშეკრულება ბიზანტიასა და სპარსეთს შორის არ იყო დადებული. ლ. გუმილიოვის აზრით, მათ შორის შუამავალი გახდა ქართლის მეფე, რომლის დახმარებითაც ყველა ანტისპარსული ძალა იყო კოორდინირებული [50, 120]. ვ. გოილაძე იზიარებს ამ შეხედულებას და აღნიშნავს, რომ „თურქი მეფე სავეს შეჭრა ქართულ სამყაროსთან კავშირში მოხდა“ [51, 86]. მ. ბიროც მიუთითებს, რომ გუარამის მოკავშირეები თურქებიც იყვნენ [82, 183, 185].

ვახუშტი ბაგრატიონის დათარიღებით, გუარამის ერისმთავრობის წლებია 575-600 [52, 120-121]. მ. ბროსემ საეჭვოდ მიიჩნია ეს დათარიღება, რადგანაც, მისი აზრით, გუარამი მმართველი შეიძლებოდა გამხდარიყო, არა უადრეს, მავრიკე კეისრის (582-602) პირველი გამარჯვებებისა სპარსელებზე, დაახლოებით, 590 წლის შემდეგ [53, 216].

გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, გუარამის მეფობა 545-585/6 წლებშია სავარაუდო, ვინაიდან 585/6 წლით მკვლევარი ათარიღებს გურგენის მონოგრამიან მონეტას. ეს იმ შემთხვევაში, თუ გურგენს და გუარამს სხვადასხვა პირად მივიჩნევთ. თუმცა, გ. ჩუბინაშვილმა მათი იგივეობაც ივარაუდა, რისთვისაც არგუმენტად მოიტანა შატბერდისეულ „მოქცევაცაში“ ერთ-ერთი შემდგომი გუარამის ჩანაცვლება ჭელიშურსა და სუმბატ ბაგრატიონთან დასახელებული გურგენით, ხოლო თეოფანე ბიზანტიელის თხზულებაში მოხსენიებული გურგენი ქართული ქრონიკების გუარამ დიდად მიიჩნია. ამის შემდეგ, 590-604/5 წლებში მმართველებად მან სტეფანოს I, ხოლო შემდეგ ადარნასე ივარაუდა [54, 22-25].

გურგენ-გუარამს ერთსა და იმავე პიროვნებად არ მიიჩნევდა ე. პახომოვი [55,17-29]. გ. ჩუბინაშვილის არგუმენტები მისაღები აღმოჩნდა ნ. ლომოურისთვის, რომელმაც გაიზიარა მოსაზრება გურგენ-გუარამის იგივეობის შესახებ. მისი შენიშვნით, „სუმბატს და ჯუანშერს შეცდომითა ჰყავთ მოხსენიებული აჯანყებული ქართლის ერისთავი გუარამის სახელით. საფიქრებელია, რომ სუმბატიცა და ჯუანშერიც ამ შემთხვევაში ერთი და იმავე წყაროთი

სარგებლობენ, სადაც ეს სახელი, გარკვეული მიზეზით, მცდარი სახით იყო წარმოდგენილი. ასეთ წყაროდ, ე. თაყაიშვილის აზრით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უნდა ვივარაუდოთ, სადაც აჯანყების მეთაურად მართლაც გუარამია დასახელებული“ [56, 140]. როგორც აღვნიშნეთ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, საერთოდ, არაფერს ამბობს აჯანყების შესახებ, თუმცა აღნიშნავს, რომ გუარამი ერისთავად, ხოლო შემდეგ კურაპალატად დასვეს და მან ჯვარი აღმართა [47, 94]. სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი გუარამის 552 წელს დადგენის შესახებ, მაგრამ უცნობი რჩება როდემდე გრძელდება მისი მმართველობა.

„გუარამი“ საეჭვოდ მიიჩნია ს. ჯანაშიამ [57, 106]. გ. დუნდუას ვარაუდით „ან გუარამი და გურგენი ორი სხვადასხვა პიროვნებაა (რაც ნაკლებ მოსალოდნელია), ან რეალური პიროვნება არის გურგენი და არა გუარამი“ [58, 108].

განსხვავებულიმოსაზრებააქვსგამოთქმულიდ.მუსხელიშვილს. მისი დასკვნით, ქართლში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა უნდა მომხდარიყო 550-555 წლებში. პირველი ერისმთავარი გუარამ დიდი იყო, რომელმაც „დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯუარისა“ (კონკრეტულად მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია). 571 წლისათვის ქართლის ერისმთავარი გურგენია, გურგენის მიერ ჰორმიზდ IV-ის მეფობის მეშვიდე, ანუ 584 წლის ემისიის მიბაძვით მოჭრილი მონეტები თუ იმავე წლის არ არის, მაინცდამაინც 585/6 წლით უნდა დათარიღდეს, ხოლო ანონიმური ცალები თუ ჰორმიზდის ზეობის მერვე წლით (585) არა, — 586/7 წლით. გურგენის შემდეგ მეტად ხანმოკლე დროით, უნდა მჯდარიყო „ჯუანშერი“, რომლის მონოგრამიანი მონეტაც, გურგენის დრაქმის მინაბაძი, შემორჩენილია. მისი მომდევნო ერისმთავარია გუარამ II, რომელიც 589 წელსაც არის. სწორედ ამ გუარამს უკავშირდება, მისი აზრით, ანონიმური ქართულ-სასანური მონეტები, რომელზედაც ჯვარია გამოსახული. ხოლო 593 წლიდან ერისმთავარი სტეფანოზ I-ია. აქვე შევნიშნავთ, რომ ჰორმიზდის მეშვიდე წელი 585 წელია, ხოლო მერვე — 586 და აქ, შესაბამისად, უნდა გადაიწიოს წლებმაც [17, 239-240].

გ. დუნდუას ვარაუდით, გურგენის მონეტები „აშკარად 586 წლის შემდეგაა მოჭრილი, მაგრამ მისი ემისიის ხანა 590 წელს არ

უნდა გადასცილდეს". შემდეგ მკვლევარი მიდის დასკვნამდე, რომ 589 წლის ბოლოს და 590 გაზაფხულზე უნდა განეხორციელებინა გურგენს თავისი სამონეტო რეგალია, ანუ, მას შემდეგ, რაც ჩამოგდებულია ჰორმიზდ IV (590 წწ. 6 თებერვალი) და იმავე წელს, 590 წლის 15 თებერვალს, ტახტზე ასულა ხოსრო II [58,109]. მან გაიზიარა ე. პახომოვის მოსაზრება, რომ ორი ჯგუფის ის მონეტები, რომლებზედაც სტეფანოზის სახელია აღნიშნული, ხოსრო II-ის დრაქმების იმიტაციას წარმოადგენს და დააზუსტა მათი ემისიის დრო — 593/95-600/2 [58, 106].

თ. დუნდუას აზრით, ყველა არსებული მონეტა თავსდება 585-592 წლებში, რომელთაგანაც უფრო მყარი ზედა მიჯნაა — 592 წელი. ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულად მან ანონიმური ჯვრიანი მონეტები მიიჩნია, შემდეგ გურგენის, ჯუანშერის და სტეფანოზისა [59, 120-122].

ე. პახომოვი ანონიმურ მონეტებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ისინი ეკუთვნის არა გუარამს, არამედ მის ეპოქას. მონეტები მოჭრილია, როგორც ჩანს, იმ პირების მიერ, რომლებიც არ ცნობდენ მას როგორც მეფეს, ან იმ პირების მიერ, რომლებსაც ეს მონეტები სჭირდებოდათ პრაქტიკული მიზნებისათვის [55, 26].

მცირე რედაქციული სხვაობები, რაც „მოქცევაის" სხვადასხვა რედაქციებში შეინიშნება, ვფიქრობთ, არ არის საკმარისი იმის დასასაბუთებლად, რომ ამ შემთხვევაში გუარამის სახელით ორი სხვადასხვა პიროვნებაა გაერთიანებული — გუარამ I და გუარამ II. „ქართლის ცხოვრება" და სუმბატ დავითის ძის ქრონიკა აშკარად „მოქცევაის" ეყრდნობიან. თითქმის ყველა წყარო გუარამს ასახელებს ერისთავად და კურაპალატად - მეფობის შეწყვეტის შემდეგ. გამონაკლისია „ქართლის ცხოვრება", რომელიც აგრეთვე იხსენიებს გუარამს მეფობის შეწყვეტის შემდეგ, უწოდებს მას კურაპალატს, მაგრამ აქ, ამ წყაროში, გუარამი მეფეა [3, 186]. „მოქცევაის" შატბერდულ ვარიანტში შეწყდა მეფობა. შემდეგ „ნელად რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გურამ და მერმე კურაპალატადცა. ამან დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯუარისაი". ასევეა ჭელიშურში: „დაესრულა მეფობა, შემდეგ „ნელადრე შეკრბა ქართლი" და „ერისთავად განაჩინეს გურამ დიდი.

ეს იყო პირველი ერისთავი და მერმე კურაპალატადცა იყო. ამან ერისთავმან დადვა საძირკუელი პატიოსნისა ჯუარისა...“ [47, 95]. ე.ი. ამ ცნობის მიხედვით, გუარამი ჯერ ერისთავი იყო, ხოლო შემდეგ გახდა კურაპალატი. ერთ შემთხვევაში იგი იხსენიება როგორც დიდი, ხოლო მეორეში — ეპითეტის გარეშე. ასევეა, სხვათა შორის, სტეფანოზის შემთხვევაშიც — ოღონდ - პირიქით: შატბერდულში ჰერაკლეს წასვლის შემდეგ „ერისთვობდა იგივე სტეფანოზ დიდი“ და ასევეა სუმბატ დავითის ძესთან [47, 96; 48, 42], ხოლო ჭელიშურში ერისთაობდა სტეფანოზ [47, 96]. თუმცა გუარამის, ისევე როგორც სტეფანოზის შემთხვევაში, ერთსა და იმავე პირზეა საუბარი, ხოლო ამ უმნიშვნელო სხვაობებში, როგორც ჩანს, აისახებოდა გადამწერის პოზიცია.

„მოქცევაის“ მიხედვით, დაჩის შემდეგ იყო ბაკური, შემდეგ ფარსმანი, რომლის დროსაც მოვიდნენ სპარსნი, შემდეგ ფარსმან სხუაი, შემდეგ ბაკური, რომელზედაც შეწყდა მეფობა. მცხეთა უთმობს პირველობას თბილისს, რომელზედაც გადადის მთელი ყურადღება. ამ დროს „სპარსნი უფლებდეს ქართლს და სომხითს და სივნიეთს და გუასპურაგანს“. შემდეგ „შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გურამ...“ [47, 94-95].

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით, გუარამი კეისარმან „მოსცა მეფედ“ და არა ერისთავად და იგი იყო ძმისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, იმ ოჯახის წარმომადგენელი, რომელთა სამყოფელი იყო „დასავლეთი ქართლისა“ და რომელმაც შემდგომ დამატებით მიიღო ტერიტორია „ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“. „არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა მთავრად“ [3, 182-183]; „შვილნი დაჩისანი ჰმსახურებდეს სპარსთა, ხოლო შვილნი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართლი ორ ნაწილად არის გაყოფილი, ამათგან, აღმოსავლეთ ქართლს, როგორც დავინახეთ, მეფეები ჰყავს. ჰორმიზდის დროს სპარსელები შეუთანხმდნენ ქართლის ერისთავებს, დაუმტკიცეს „საერისთავოთა მათთა მამულობა შვილითა შვილამდე... და განდგეს ერისთავნი და თ;ესთ;ესად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა“. ქართლის დიდი ნაწილი ამ დროს სპარსეთის ხელშია, მაგრამ მთლიანად ქართლი მას არც ახლა

ეკუთვნის: „შვილნი ბაკურისნი დარჩეს მთეულეთს კახეთისასა; და ნათესავნი მირდასტისნი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა. სხუა ყოველი ქართლი, სომხითი და ასფურაგანი დაიპყრეს სპარსთა და ჰბრძოდეს ბერძენთა“ [3, 185-186].

თუ ამ ცნობაში ჭეშმარიტების მარცვალია, როდის უნდა ვივარაუდოთ ყოველივე ეს? იმ დროს ხომ არა, როდესაც გურგენის განდგომის შემდეგ, 60-იანი წლების დასასრულს, ქართლი ისევ გამგებლის გარეშე რჩება? თუმცა, ძალიან მალე ვითარება ისევ იცვლება ბიზანტიის სასარგებლოდ. 70-იანი წლების დასაწყისში დაწყებული ბიზანტია-სპარსეთის ომი დროდადრო საზავო მოლაპარაკებებით წყდება. 70-იანი წლების დასაწყისში პერსარმინიასა და ქართლში ბიზანტიელთა ჯარები დგანან, ხოლო სპარსელები ცდილობენ დაიპყრონ რომაელთა რომელიმე „უმაგრესი ქალაქი“, ვინაიდან, ამის გარეშე, შეუძლებლად მიაჩნიათ არმინიის და იბერიის დაპყრობა. 576-77 წლებში, ისევე, როგორც ამის შემდეგაც, დაპირისპირებულ ძალთა შორის მიმდინარე საზავო მოლაპარაკებების დროს, სხვა პირობებთან ერთად, სპარსელები დაჟინებით ითხოვენ პერსარმინიას, იბერიას და აჯანყების ლიდერების გადაცემას [10, 243-4]. მოლაპარაკების პროცესში კეისარი მზად იყო დაეთმო პერსარმინია და იბერია, მაგრამ არ თანხმდებოდა ლიდერების გადაცემაზე. 579 წელს ხოსრო გარდაიცვალა და გამეფდა ჰორმიზდი, რის შემდეგაც 580 წელს განახლდა საომარი მოქმედებები. ამ კამპანიის დროს ბიზანტიელები მარცხდებიან და კვლავ გრძელდება საზავო მოლაპარაკებები [10, 250]. 585/6 წლებში გურგენის სახელით მოჭრილი მონეტა მოწმობს, რომ სპარსეთმა აპატია მას განდგომა და სცნო ქართლის გამგებლად, სწორედ იმ დროს, როცა სომხეთში გამგებლად (იშხანად) დავით საარუნი დაინიშნა [60, 160-161]. ქართულ-სპარსულ მონეტებზე ჯვრის აღნიშვნა იმას ნიშნავს, რომ ამ დროს რელიგიურად ქართლი ბიზანტიის მფარველობის ქვეშ არის, ისევე, როგორც 562 წლის ზავით, რომელმაც ქრისტიანებს რელიგიური თავისუფლება მიანიჭა. ხოლო ის, რომ იქ მოჭრილი მონეტები სპარსეთის მეფეების – ჰორმიზდ IV-ისა და ხოსრო II-ის მონეტების

მინაბაძს წარმოადგენს, მიუთითებს, რომ პოლიტიკურად ქართლის ეს ნაწილი სპარსეთს ექვემდებარება.

588-89 წლებში ანტისპარსული კოალიციის დამარცხების შემდეგ სპარსეთში ვითარება აირია და საბოლოოდ 591 წელს ბიზანტია-სპარსეთს შორის დადებული ზავით სპარსეთმა დაპირისპირებულ მხარეს გადასცა ქართლის დიდი ნაწილი. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, მავრიკ კეისარი მიმართავს სპარსეთის მეფეს: "... ვინათგან სრულსა სიყუარულსა ზედა ვართ მე და შენ, და ქართლი ჩუენ შორის იყავნ თავისუფალ მშ;

;ldobit: მე ვარ მწე და მოურავი ყოველთა ქართველთა და ყოველთა ქრისტიანეთა". „მაშინ ერჩდა სპარსთა მეფე კეისარსა, და განთავისუფლდეს ქართველნი. და ესე გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა" [3, 187]. ამავე მემატიანის ცნობით, „გუარამ კურაპალატმან განაახლა საფუძველი ტფილისისა სიონისა" [3, 188], განსხვავებით „მოქცევაის" და სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონის ცნობებისაგან, რომლებიც აშკარად ავლებენ მიჯნას თბილისსა და მცხეთას შორის და აღნიშნავენ გუარამის წვლილს მცხეთის ჯვრის მშენებლობის საქმეში, მაშინ, როცა თბილისის ეკლესიას, მათივე მონაცემებით, ხალხი და ერისთავნი (მოქცევაიში), ან ერთი ვინმე დედაკაცი (სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონთან) აშენებდნენ [47, 95; 48, 42]. ერთგვარად გაზვიადებული ჩანს „ქართლის ცხოვრების" ის ცნობაც, რომელიც ქართლის გათავისუფლებაზე ლაპარაკობს, ყოველ შემთხვევაში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სპარსელები მთლიანად თმობენ ქართლს. როგორც სებეოსის ცნობებით ირკვევა, როდესაც ხოსრო მავრიკესთან აგზავნის ელჩებს საჩუქრებით, წერილში მას ჰპირდება ქართლის ტერიტორიის დიდ ნაწილს თბილისამდე და „დავდვათ ზავი ჩვენს სიკვდილამდე" [46, 43]. ცოტა ხნის შემდეგ, ამავე ისტორიკოსის ცნობით, ეს ზავი მართლაც დაიდო, რომლითაც ხოსრომ ბიზანტიის იმპერატორს გადასცა ქართლის დიდი ნაწილი თბილისამდე [46, 43].

კ. თუმანოვის აზრით, იბერიაში მეფობა გაუქმდა 579-580 წლებში, უფრო უკანასკნელ წელს. 588 წელს იბერია რომის იმპერიის ვასალი გახდა და ავტონომია აღიდგინა, ვინაიდან მას ბიზანტიის დასმული გამგებელი, გუარამი, a primus inter pares, განაგებდა [84,

387]. ამ მოსაზრების სრულად გაზიარება შეუძლებელია. როგორც ვხედავთ, მცხეთაში გაგზავნილი გუარამი არ ჭრის მონეტას, მას არ ცნობს სპარსეთი და იგი ბიზანტიის მორჩილია. თუმცა, მისი ვაჟი, სტეფანოზი, უკვე „მთავრობდა ყოველსა ქართლსა ზედა, და დაჯდა იგი თფილისს, და ჰმორჩილობდა იგი სპარსთა“ [3, 189] და იგი ჭრის მონეტას. როგორც ჩანს, სპარსეთთან მისი კომპრომისით აიხსნება ქართული წყაროების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ამ პიროვნების მიმართ. ქართული წყაროები ერთ შემთხვევაში მას იხსენიებენ როგორც „დიდს“ („მოქცევაჲს“ ჭელიშური ვარიანტი), ხოლო მეორე შემთხვევაში იგი არის „კაცი ამპარტავან და ბოროტ“, „უშიში ღმრთისა“ [3, 188; 40, 93]. „მოქცევაჲს“ შატბერდული რედაქციის მიხედვით თბილისში ჯდება სტეფანოზ II [47, 97]. ამდენად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით გუარამი არ მთავრობდა „ყოველსა ქართლსა“ და მცხეთას ვერ გადმოსცილდებოდა, ხოლო „ყოველსა ქართლსა“ მთავრობა ნიშნავდა თბილისში ჯდომას და სპარსეთის მორჩილებას, რაც მოხდა სტეფანოზის შემთხვევაში და რაც იყო უფრო ადრეც. გავიხსენოთ თეოფანე ბიზანტიელის ცნობა გურგენის შესახებ: „სპარსელებს მაშინვე გადაუდგნენ იბერებიც და მიემხრნენ რომაელებს: მათ მთავრობდა გორგენი, ხოლო იბერთა დედაქალაქი მაშინ ტფილისი იყო“ [10, 258]. 591 წლის ზავის შემდეგ, დ. მუსხელიშვილის აზრით, „ქართლის ერისმთავრები თბილისში ვეღარ დარჩებოდნენ, რადგან ისინი სწორედ ბიზანტიის ხელქვეითნი არიან“ [17, 246]. რაც შეეხება სტეფანოზს, ქართლის გამგებელს, 591 წლის ზავის შემდეგ, რომელიც ქართლის ორ ნაწილად გაყოფას აკანონებს, იგი თბილისში ზის, მაგრამ, როგორც გუარამის შვილი, ქართლის ბიზანტიური ნაწილის ბატონ-პატრონადაც მიიჩნევს თავს. ეს კარგად ჩანს ჰაგიოგრაფიული ნოველიდან წმინდა შიო მღვიმელის სასწაულთა კრებულიდან — „სასწაული მერვე“. შიო მღვიმის მონასტრის მამასახლისზე განრისხებული სტეფანოზი, იმის გამო, რომ მან უფრო მეტი პატივით კათალიკოსი მიიღო, შემდეგ სიტყვებს წარმოსთქვამს: „მეფეთა საყდარზე ვზი“-ო. ამასთანავე, მას მონასტრისათვის სამეფო სახლის მიერ შეწირული მიწები წაურთმევია, თუმცა, შემდეგ უკანვე დაუბრუნებია და ახალიც შეუწირავს [70, 203-205; 30, 93-94]. თ. ბერაძე და მ. სანაძე

მართებულად მიიჩნევენ, რომ „591 წლის სპარსეთ-ბიზანტიის ზავის პირობები ქართლის საერისთმთავროს მიმართ ძალაში არ შესულა. სტეფანოს I თბილისში იჯდა და მთელ ქართლის საერისთმთავროს განაგებდა“ [9, 93]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერისმთავრობა დაწესდა 591 წლის შეთანხმების მიხედვით, როდესაც თბილისში დაჯდა სტეფანოზი, რომელიც თანაბრად მისაღები იყო ორსავე დაპირისპირებული ძალისათვის (ბიზანტია და ირანი) [82, 177-185].

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ გურგენის შემდეგ ქართლის დიდ ნაწილში, რომელსაც სპარსეთი აკონტროლებდა, მოკლე ხანს იჯდა ჯუანშერი, ხოლო შემდეგ, ერთ ხანს, გამგებელი აღარ არის. სწორედ ამ დროს ითხოვენ ქართლის ერისთავები „ზემონი და ქუემონი“ ბიზანტიის ხელისუფლისაგან, „რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა“. იგზავნება გუარამი, რომელსაც აქვს საგანგებო დავალება — დაამყაროს კავშირი ჩრდილოკავკასიელებთან სპარსეთის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ცნობილი ისტორია. როგორც აღვნიშნეთ, გუარამს არ ცნობს სპარსეთი, მან „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთვოთაგან მათთა“ [3, 187]. აქედან გამომდინარე, ერთგვარ გაზვიადებად ჩანს ამავე წყაროს ცნობა, რომ ერისთავები „იყვნენ მორჩილებასა გუარამ კურაპალატისა“ [3, 187]. გუარამის შვილი სტეფანოზი კომპრომისის ფასად იღებს თბილისში ჯდომის და მონეტის მოჭრის უფლებას. იგი, ფაქტობრივად, მთელ ქართლს აკონტროლებს, თუმცა, მან „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს“ [3, 188].

რაც შეეხება ქართველებისა და თურქების ურთიერთობებს განხილულ წლებში, ირკვევა; რომ VI ს. II ნახევარში ქართველები ორჯერ გაერთიანდნენ თურქებთან ერთ კოალიციაში: სრულიად უეჭველად 588-89 წლებში და დიდი ალბათობით, 569-70 წლებში.

4. ქართველების ურთიერთობა ხაზარებთან VII-VIII საუკუნის პირველ ნახევარში

VII საუკუნის მთელ მანძილზე აქტიურდებიან ხაზარები, რომლებიც წყაროებში ადრეც იხსენიებიან. კავკასიაში მათი გამოჩენის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, ვინაიდან გვიანდელ წყაროებში ხდება თურქულენოვანი ტომების დასახელებების ჩანაცვლება. ასე გადაიქცა, მაგალითად, ბარ-ჰებრეისათვის ავართა ხაკანი ხაზართა ხაკანად [11, 106]. ანალოგიური შემთხვევები სხვა წყაროებშიც არის. ი. მარკვარტი, სირიული წყაროების საფუძველზე, ხაზართა პირველად გამოჩენას 585 წელს აკუთვნებს, თუმცა კ. ტრევერი უფრო ადრეულ ხანასაც მიიჩნევს დასაშვებად [19, 231]. ა. პ. ნოვოსელცევის აზრით, VII ს. 30-იან წლებში ხაზართა გამგებელმა „ხაკანის" ტიტული მიიღო [68, 89].

წყაროების თანახმად, ხაზარები ერთხანს კარგ ურთიერთობაში იყვნენ ბულგარებთან, მაგრამ შემდეგ გაძლიერდნენ, დაიწყეს შეტევა ბულგარების მიწებზე და ყუბანამდე და მდ. დონამდე მიაღწიეს. ბიზანტიელი ისტორიკოსის, თეოფანე ჟამთააღმწერელის თანახმად, ბულგარები (იგივე ონოგუნდურები) კარგად ორგანიზებულ ძალას წარმოადგენდნენ ყუბანის რეგიონში. მათი ლიდერი იყო ყუბრატი, რომელმაც გარდაცვალებამდე, 650 წლისათვის, თავისი სამფლობელო 5 შვილს დაუტოვა და დაუბარა, არ დაენაწევრებინათ მიწები და ერთად ყოფილიყვნენ, რაც მათ არ შეასრულეს. მისი შვილებიდან კოტრაგურმა გადაჭრა დონი, ასპარუხმა დნესტრის დასავლეთი მიწები დაიკავა, მეოთხემ და მეხუთემ უფრო შორს, დუნაის მიღმა წაიწიეს, დაიპყრეს ტერიტორია შავ ზღვამდე და დაადეს ხარკი იმ მოსახლეობას, რომელიც იქ დარჩა. პოზიციების გადანაცვლება დასრულდა 679 წელს, როდესაც ასპარუხმა გადაკვეთა დუნაი და დაიპყრო დღევანდელი ბულგარეთი [71, 41-42; 41, 60-61].

თეოფანე ხაზარებს ახასიათებს როგორც „დიდ ხალხს", „ბერსილიის სიღრმიდან, პირველ სარმატიაში". ზუსტი დრო, როდის შეიქმნა ხაზართა სახელმწიფო, ცნობილი არ არის. „სომხური გეოგრაფია" იხსენიებს „ჰუნთა სამეფოს" დერბენდის ჩრდილოეთით, დედაქალაქით ვარაჩანში [80, 21]. თეოფანეს მიაჩნია, რომ ხაზარები

სწორედ მაშინ გამოვიდნენ და გაბატონდნენ „მთელს მიწაზე, იქითა მხარეს, პონტოს ზღვამდე, როდესაც ბულგარებმა დატოვეს თავისი მიწები და დასავლეთისაკენ გადაინაცვლეს“ [41, 60-61].

ნათელია, რომ არაბების გამოჩენის დროს ხაზარები იქ საკმაოდ მოძლიერებული იყვნენ. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არაბების წინსვლა დასავლეთისაკენ შეაჩერა 732 წლის ბრძოლამ ტურთან, ხოლო ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ — ხაზარების წინააღმდეგობამ და, რომ არა ეს წინააღმდეგობა, სრულიად განსხვავებული იქნებოდა აღმოსავლეთ ევროპისა და, განსაკუთრებით, რუსეთის სახელმწიფოს შემდგომი ისტორია [71, 46-47].

სპარსეთის წინააღმდეგ ომის დროს ბიზანტიის იმპერატორს ჰერაკლეს სხვადასხვა მოკავშირე ჰყავდა: ლაზები, აბაზგები და იბერები. მოგვიანებით, როდესაც მათ არ გაიზიარეს იმპერატორის საომარი გეგმა, ქართველების უმრავლესობა ჩამოსცილდა მას. ჰერაკლემ გადაწყვიტა მოეძებნა სხვა მოკავშირეები, რომლებიც აღმოსავლეთის თურქები აღმოჩნდნენ. უკანასკნელთა ხაკანმა მას 40000-კაციანი ჯარი მოუყვანა. წყაროში ნათქვამია, რომ ჰერაკლეს ლაზები და აბასგები ჩამოსცილდნენ [39]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იბერები, სომეხი ნახარარების მსგავსად [46, 61], ჰერაკლესთან დარჩნენ. ცნობები ჰერაკლეს მხარეზე ქართველების მონაწილეობის შესახებ სანდოდ არის მიჩნეული [61, 153; 51,70]. გამართლებულია პარალელი 589 და 627-28 წლების მოვლენებს შორის. ვ. გოილაძე აღნიშნავს, რომ 627-28 წლებში, ისევე, როგორც 589 წელს, ქართლი სპარსეთის დაქვემდებარებაში იყო. მაგრამ ის მაინც აღმოჩნდა ანტისპარსულ ქვეყნებთან ერთ კოალიციაში გაერთიანებული [51, 69-70]. თუმცა, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც არა ერთხელ, ქართველების ერთი ნაწილი აღმოჩნდა ქართველების მეორე ნაწილის წინააღმდეგ, რომლებიც სპარსელებთან ერთად დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ბიზანტიას და, განსაკუთრებით, ხაზარებს. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ქართულ ისტორიულ მეხსიერებას ჰერაკლეს შესახებ შემორჩა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება: დადებითი და უარყოფითი.

არაბულ წყაროებში, ვფიქრობთ, ამ წლების ვითარებაც აისახა, როდესაც ისინი აღნიშნავენ, რომ ჯურზანი და არრანი ერთხელ კიდევ აღმოჩნდა ხაზართა ხელთ. IX ს. არაბი ისტორიკოსის ალ-იაკუბის ცნობით, „ისლამის გამოჩენამდე არმინია სპარსელების ხელში რჩებოდა. ამის წინ სიასიჯიტებმა დატოვეს ციხე-სიმაგრეები და ქალაქები და ისინი ნანგრევებად იქცნენ ..., ხოლო ხაზარებმა და ბიზანტიელებმა იგდეს ხელთ ის, რაც მათ ხელში იყო მანამდე" [22, 5]. სავარაუდოა, რომ ეს ბიზანტია-ხაზარების შეთანხმების საფუძველზე მოხდა [62, 31]. არაბული წყაროების ჯურზანი ქართლის იმ ნაწილს გულისხმობს, რომელიც ბიზანტია-სპარსეთის 591 და 628 წლების ზავებით სპარსეთს გადაეცა. დ. დანლოპი იმოწმებს იმავე ალ-იაკუბის ციტატას, სადაც ნათქვამია, რომ „ხაზარები არიან ისინი, ვინც არმინიის მთელი მიწები დაიპყრო. მათ ჰყავთ მეფე, რომელსაც ხაკანი ეწოდება. მათ ჰყავთ წარმომადგენელი... არრანში, ჯურზანში, ბასფურაჯანსა და სისაჯანში. ეს პროვინციები იწოდებოდნენ IV არმინიად, რომელიც დაიპყრო სპარსეთის მეფემ, ყობადმა, და გადაეცა ანუშირვანს... შემდეგ ხაზარებმა ისევ აიღეს ის, რაც სპარსელებმა მათგან აიღეს და ეს რჩებოდა მათ ხელში, ვიდრე რომაელებმა არ დაამარცხეს ისინი და არ დანიშნეს მეფე IV არმენიაში". მკვლევრის კომენტარით, ალ-იაკუბის ციტირებული ცნობის პირველი ნაწილი ეხება ყობადის წლებს, ხოლო მეორე ნაწილი ასახავს ვითარებას, რომელიც შეიქმნა არაბების მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე [71, 21]. თომას ნუნენი აღნიშნავს, რომ არ „არის ცნობილი, ჰქონდა თუ არა ჰერაკლეს რაიმე შეთანხმება ხაზარებთან სამხრეთ კავკასიის განლაგების შესახებ, როგორც ზოგიერთი ვარაუდობს, მაგრამ 629 წლისათვის ხაზართა ძალები არბევდნენ საქართველოს და ალბანიას". ამის შემდეგ ავტორი იმოწმებს არაბულ წყაროებს, რომელთა მიხედვით იმ წლებში de facto ბიზანტია მართავდა სომხეთს, ხოლო ალბანეთი და ქართლის ნაწილი ხაზართა კონტროლის ქვეშ იყო [81, 111]. აღნიშნული საკითხი განხილულია შემდეგ თავშიც.

ამიერკავკასიაში დამკვიდრების შემდეგ არაბებმა მოინდომეს კავკასიიდან გასასვლელების დაუფლებაც, ხოლო დერბენდის აღების შემდეგ შეიჭრნენ ჩრდილოეთში და პირველად დაუპირისპირდნენ

ხაზარებსა და თურქებს. არაბებს ხაზარებთან შეხვედრა პირველსავე წლებში მოუხდათ. მათ შესახებ პირველი ინფორმაცია არაბთა მეთაურმა — აბდ არ-რაჰმანმა მიიღო სპარსელი მეთაურისაგან, შაჰრბარაზისაგან, რომელმაც არაბებს დაცვა სთხოვა. მან განუმარტა არაბს, რომ არაფერი ჰქონდა საერთო ირგვლივ მყოფ ბარბაროსებთან და არ დაეხმარებოდა მათ არაბთა წინააღმდეგ. იბნ ალ-ასირის ცნობით, ხაზარებმა და თურქებმა 32/652-53 წელს გაიმარჯვეს მუსლიმებზე... ამაზე ადრე, მუსლიმებმა უკვე რამდენიმეჯერ გაილაშქრეს ხაზარებზე... და რადგან მათგან არავინ იყო მოკლული, (ხაზარებმა) გადაწყვიტეს, რომ ისინი უკვდავნი არიან... შემდეგ თურქები და ხაზარები გაერთიანდნენ და დაიწყეს სისხლისმღვრელი ომი, რომელშიც მოკლეს არაბთა მეთაური — აბდ არ-რაჰმანი [76,19]. აბდ არ-რაჰმანის შემდეგ, ასევე ხაზარებთან ბრძოლაში დაიღუპა დერბენდის გამგებლად დანიშნული სალმან იბნ რაბია თავისი 4000 მეომრით [22, 5]. ატ-ტაბარი მოგვითხრობს იმ დროს სპარსელთა წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიელებისა და ხაზართა ერთობლივ მოქმედებაზე [65, 49].

60-იან წლებს ეკუთვნის ხაზართა თავდასხმები ამიერკავკასიაზე, რის შესახებაც ცნობებს ვპოულობთ მოვსეს კალანკატუაცისთან, 662-664 წლების მოვლენებში. ეს თავდასხმები დასრულდა მატრიმონიალური კავშირით ალბანთა მთავრის ჯუანშირსა და „ჰუნთა მეფის" ქალს შორის: „გადმოვიდნენ ხაზარები ალვანთა ქვეყნიდან მოსახვეჭად და საალაფოდ, — მოგვითხრობს სომეხი ავტორი [42, 96]. ალვანთა მთავარმა „უდიდესი გამარჯვება მოიპოვა და უთხრა ამ ბარბაროს ხალხს: „წადით, შედით ჭორის კარში და მეტად ნულარ გამოხვალთ აქეთ, რადგანაც ღმერთმა თქვენ უკვე გძლიათ" [42, 97]. ამავე ავტორის ინფორმაციით, ორი წლის შემდეგ თურქები ისევ გამოჩნდნენ. „გამოვიდა ჰონთა მეფე მრავალათასიანი მხედრობით", „ყაჩაღმა ჰონებმა მდინარე მტკვრიდან დაწყებული ერასხის ნაპირებამდე მაინც (ყველა) დაატყვევეს, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ასევე ისინიც, რომლებიც ზამთრის საძოვარზე ცხვრის ფარითა და საქონლით იყვნენ მოსულნი..." [42, 98]. ჰონთა მეფე აქ „თურქესტანის მეფედაც" იხსენიება.

იბნ ალ-ასირის ცნობით, 662/3 წელს მუსლიმებმა ილაშქრეს როგორც ალანთა, ისე რუმთა წინააღმდეგ და რამდენიმე მათი ბატრიკი მოკლეს [76, 22]. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დროს არაბებმა კვლავ გაიარეს ქართლი, რის შემდეგ დარიალით გადავიდნენ ალანებთან.

მომდევნო ცნობები თურქული ტომების თავდასხმების შესახებ სამხრეთის მიწებზე ეკუთვნის VII საუკუნის 70-80-იან წლებს. 670 წლამდე, როდესაც გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს ალბანეთის მთავარი ჯუანშერი, რომელსაც ცოლად ხაზართა ხაკანის ქალიშვილი ჰყავდა, თურქები აქტიურად ერეოდნენ ალბანეთის საქმეებში. მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, შურისძიების მიზნით, ჰონთა მთავარმა და დიდმა მთავარმა, ალფ ილითუერმა, შეკრიბა თავისი დიდი ჯარი, აგრეთვე ისინი, რომელნიც სხვადასხვა მხარიდან მოვიდნენ მასთან – გოვგის ქვეყნის მამაცი იარაღასხმული შვილებიც — „თავიანთი მხედართმთავრებით, დროშებით, რაზმებით, აფთიანი მსროლელებით, შეიარაღებული მხედრებით, ჯავშნებითა და მუზარადებით და თავს დაესხა ჯუანშერის მკვლელობის შურისძიების საბაბით, ალვანთა ქვეყანას კავკასიის დიდი მთების მისადგომებთან – კაპალაკის გავარის სოფლებს“ [42, 106-108]. მომდევნო მთავარმა, ჯუანშერის ძმისშვილმა, ვარაზ-თრდატმა (669-699), არა მარტო მოახერხა თურქებთან ურთიერთობის მოგვარება, არამედ გაგზავნა მათთან ეპისკოპოსი ისრაელი ქრისტიანობაზე მოსაქცევად ჰიჯრის 62/684 წელს. ალვანთა მთავარი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა თავის თვისტომთ: „ხარკი, რომელიც ჩვენ დაგვაკისრა მძიმე ტვირთად ტაჯიკმა ხალხმა (იგულისხმებიან არაბები – გ.ა.), მეტად გვავიწროვებს და გვანუხებს. მეორე უბედურება ის არის ჩვენთვის, რომ ყოველწლიურად ჰონთა ჯარები თავს ესხმიან ჩვენს ქვეყანას...“ [42, 110].

ასოღიკის ნაშრომში გვაქვს ცნობები 80-იან წლებში თურქების ორჯერ შემოჭრის შესახებ. პირველად, საჰაკ ძორაფორელის პატრიარქობის მე-5, ანუ 130/681 წელს, როდესაც, მემატიანის ცნობით, მოკლულ იქნა მთავარი გრიგოლი [77, 71] და მეორედ, 134/685 წელს, როდესაც შემოიჭრნენ ხაზარები, დაეუფლნენ არმინიას, იბერიას და ალბანეთს და ომში მოკლეს სომხეთისა და

იბერიის მთავრები [77, 72]. იმავე ისტორიკოსის ცნობით, 135/686 წელს აშოტ ბაგრატუნი გახდა არმინიის მმართველი და სამი წელი მართავდა მას, თუმცა, სამი წლის შემდეგ (688/89 წელს) დაიღუპა არაბებთან ბრძოლაში. როგორც ჩანს, ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ერთი წლით ადრე, 134/685 წელს, ჩრდილოელებმა, იმავე ხაზარებმა, დაიპყრეს სომხეთი, იბერია და ალბანეთი და ბრძოლაში „მოკლეს სომხეთისა და იბერიის მთავრები" [77, 72]. სრულიად აშკარად იკვეთება კავშირი ბიზანტიასა და ხაზართა შორის, ვინაიდან ბიზანტიამ, როგორც ჩანს, სწორედ ხაზართა თავდასხმის შემდეგ მოახერხა თავისი კანდიდატების დასმა როგორც სომხეთში, ისე ქართლში. „თავისი მეფობის მესამე წელს (=688 წელს) იუსტინიანე II-მ არმინიაში ძლიერი არმია გაგზავნა, რომელმაც ცეცხლით და დატყვევებით დაარბია 25 ოლქი, გაყიდა მონებად 8000 კომლი. შემდგომ (689) წელს იმპერატორმა გაგზავნა ახალი ჯარი – 40000 მეომარი. ეს დიდი არეულობის დრო იყო სომხეთის მიწაზე, რადგან სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოვიდა ტაჯიკთა (ე.ი. არაბთა) ჯარი, რომელმაც ტყვედ წაიყვანა ზოგიერთი ოლქის (მოსახლეობა). აშოტი, სომეხთა მთავარი, ტაჯიკთა წინააღმდეგ ომით გამოემართა და მოიკლა ბრძოლაში" [77, 72], ეს ის მთავარი აშოტ ბაგრატუნია, რომელიც დასმულ იქნა 686 წელს და მართავდა სამი წელი. ამგვარად, არაბების შემოჭრა უნდა ყოფილიყო 688-89 წელს.

სომეხი მემატიანის, ღევონდის, ცნობით, არაბი ხალიფა აბდ ალ-მალიქის (685-705) ზეობის მეორე (ე.ი. 686) წელს, ქართველებმა, სომხებმა და ალბანელებმა 30-წლიანი მორჩილების შემდეგ შეწყვიტეს ხარკის გადახდა [69, 9]. მათი შფოთი სამი წელი გაგრძელდა. აქ, შესაძლოა, სწორედ ის სამი წელი იგულისხმება, როცა სომხეთშიც და საქართველოშიც ერისმთავრებად ბიზანტიის კანდიდატები იყვნენ. მე-4 წელს (როგორც ჩანს, 689 წელს) სომხეთი ჩრდილოელმა ხალხმა დაიპყრო და ბრძოლაში მოკლეს მთავარი გრიგოლი, მრავალი დიდებული, ქართველი და ალბანელი მთავრები. დაარბიეს სომხეთი, ბევრი მხარე და დასახლება აიღეს, ხელთ იგდეს ნადავლი და ტყვეები და დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში [69, 9-10]. შესაძლოა, აქ იგულისხმება ხაზართა მეორედ შემოჭრა, როდესაც ისინი ბიზანტიის კეისარმა გამოაგზავნა. ამას გვაფიქრებინებს

ასოლიკის ცნობა იმის შესახებ, რომ 689 წელს იმპერატორმა გაგზავნა ახალი ჯარი — 40000 მეომარი, ის რიცხვი, რომელიც სწორედ თურქულ ტომებთან მიმართებაშია ტრადიციული.

ვარდან არეველცის ცნობით, საჰაკ ძორაფორელის (677-703) პატრიარქობის მე-7 წელს სომხეთს შემოესივნენ ხაზარები, მოკლეს მთავარი გრიგოლი და დაატყვევეს, ვინც კი მოახერხეს. ძალაუფლება მიიღო სმბატის ვაჟმა აშოტ ბაგრატუნმა [83; 77, 96]. როგორც ვხედავთ, ცნობა ხაზარების ორჯერ შემოჭრის შესახებ – 681 და 685 წლებში — მხოლოდ ასოლიკს აქვს. მისივე ინფორმაციით, მთავარი გრიგოლი პირველად მოსვლის დროს მოკლეს, სხვა ავტორები კი მხოლოდ ერთ ლაშქრობაზე საუბრობენ. VIII საუკუნის მემატიანის, ღევონდის, ინფორმაციით, გრიგოლი 688/89, ხოლო ვარდანის მიხედვით, 683/84 წლებში მოკლეს.

ქართველი მკვლევრები მიიჩნევენ, რომ იმ წლებში ბიზანტიის ხელისუფლება ქართველებთან შეთანხმებულად მოქმედებდა [63, 45]. რჩება კითხვა: იყო თუ არა რაიმე კავშირი ხაზართა თავდასხმასა და მათ შეთანხმებულ მოქმედებას შორის? ვფიქრობთ, რომ ასეთი კავშირი დიდი ალბათობით არის სავარაუდო. აბდ ალ-მალიქის მმართველობის პირველსავე წლებში, როდესაც ქართველები, სომხები და ალბანელები გამოვიდნენ მორჩილებიდან და შეწყვიტეს ხარკის გადახდა, დ. დანლოპი ვარაუდობს ხაზარების ფართომასშტაბიან ლაშქრობასაც, რომელსაც ის განასხვავებს ჩრდილოეთიდან მოწყობილი წინა თავდასხმისაგან, ვინმე ალპის წინამძღოლობით — 62/681-82 წელზე ადრე. მკვლევარს მიაჩნია, რომ, დაახლოებით, 685 წლის კამპანია, რომლის დროსაც დაიღუპნენ ქართლის მთავარი და სომხეთის მთავარი გრიგოლ მამიკონიანი, არ ისახავდა მიზნად ტერიტორიის დაუფლებას [71, 60]. 685 წელს ტახტზე ასული აბდ ალ-მალიქი ბიზანტიელ კეისართან, იუსტინიანე II-თან 10-წლიან ზავს დებს. ბარ ჰებრეის ცნობით, ზავის [illegible] უკანასკნელს „უნდა გაეთავისუფლებინა აიაბთა ქვეყნები ყაჩაღი. ბანდებისაგან (მარდაიტებისაგან — გ.ა.), რომელთა რიცხვი 12000 შეადგენდა. ამ სამსახურის სანაცვლოდ ის მას ყოველდღიურად 1000 დინარს, ერთ ცხენს და ერთ მონას გადაუხდიდა“ [75, 103]. ზავის მიხედვით, ქართლი და სომხეთი საერთო მფლობელობაში იქნებოდა

და მათგან შემოსული ხარკი შუაზე გაიყოფოდა [28, 191]. ბიზანტიამ, როგორც ჩანს, ზავი მაშინვე დაარღვია. ალბანეთი, რომელიც საზავო ხელშეკრულებაში არ იხსენიება, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, არაბებს, ბიზანტიელებს და ჰუნებს ერთდროულად უხდიდა ხარკს.

აბდ ალ-მალიქის ბრძანებით, ალ-ჯაზირას, აზერბაიჯანისა და არმინიის გამგებლად დანიშნულმა მუჰამად იბნ მარვანმა არმენიაში საომრად სირიიდან გამოძახებული უბაიდ ალლაჰ იბნ აბუ შაიჰი 10 ათასიანი ლაშქრით არმინიაში მყოფი ხაზარების და სხვა ურწმუნოთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა. მუსლიმთა სრული განადგურების შემდეგ მუჰამად იბნ მარვანი თვითონ გაემართა საბრძოლველად 40 000-იანი ჯარით. მის წინააღმდეგ გამოემართნენ ბიზანტიელები და სომხები. ღევონდის ცნობით, ეს აბდ ალ-მალიქის ხალიფობის მე-16, ანუ 700-701 წელს მოხდა [78, 12; 42, 153]. მ. არტამონოვს მიაჩნია, რომ იმ წლებში ბიზანტიამ და ხაზარებმა ამიერკავკასია გავლენის სფეროებად გაიყვეს. ბიზანტია-ხაზარების კავშირი მთელი VIII ს. I ნახევარში დასაშვებად მიიჩნია ა. ნოვოსელცევმაც [68, 178]. სწორედ ბიზანტიას შეაფარა თავი ერთხანს ტახტიდან ჩამოგდებულმა იუსტინიანე II-მ, სადაც ცოლად ხაკანის და შეირთო. ტახტზე მისი დაბრუნების შემდეგ ხაზართა ხაკანი კონსტანტინოპოლშიც კი ჩავიდა. ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია ხაზარებისათვის, მხარი დაეჭირათ ვარდანისათვის და იუსტინიანეს ტახტიდან ჩამოგდებისათვის, რის შემდეგ იმპერატორს თავი მოჰკვეთეს, ხოლო ხაზარი ცოლისაგან ნაშობი მისი შვილი - ტიბერიუსი აკუნეს [28, 197-201].

88/706-07 წელს, მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქმა აზერბაიჯანის მხრიდან ილაშქრა ხაზარების წინააღმდეგ და მათი ციხე-ქალაქები აიღო [76, 22]. თუმცა, იმავე 707 წელს (სომხური წელთაღრიცხვის 153 წლიდან სამი წლის შემდეგ (ე. ი. 156/707 წ.) ტაჯიკთა იშხანი მრუანი (ალბათ მუჰამად იბნ მარვანი) წავიდა ალანიაში, მაგრამ ვერ შეძლო შიგ შესვლა [42,154], რაც იმას ნიშნავს, რომ არაბები დარიალით ცდილობდნენ შესვლას. ტაბარის ცნობით, 708/9 წელს მას კვლავ აუღია დარუბანდი (28, 203). მოვსეს კალანკატუაცის თანახმად, 158/709 წელს „გადმოვიდა ხაზართა უფალი ოთხმოციათასიანი ჯარით და დაიპყრო ალბანეთი“ [42, 154].

VIII საუკუნის დამდეგისათვის არაბები იმდენად მოძლიერდნენ, რომ დასავლეთ საქართველოშიც შეაღწიეს. 697 წელს ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე აუჯანყდა ბიზანტიელებს ❀ მათ წინააღმდეგ არაბები მიიწვია. როგორც თეოფანეს ცნობიდან ირკვევა, 709 წლისათვის არაბებს აბაზგიაც ემორჩილებოდა (სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკაც და იბერიაც). ქართველები აქტიურად არიან ჩართულნი, ერთი მხრივ, არაბებისა და, მეორე მხრივ, ბიზანტია-ხაზართა დაპირისპირებაში [39, 105-107].

722/23 წელს ხაზარები კვლავ იმარჯვებენ მუსლიმებზე და ხალიფა იაზიდი (იაზიდ II, 720-724) გამგებლად ნიშნავს ალ-ჯარაჰ იბნ აბდ ალლაჰ ალ-ჰაქიმის. იაზიდისა და ჰიშამის (724-743) ხალიფობის დროს სამხრეთ კავკასიის გამგებლები ხშირად იცვლებოდნენ. ალ-ჯარაჰს თანამდებობაზე ზოგჯერ მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქი ცვლის. მასლამამ ორჯერ ილაშქრა ხაზარების წინააღმდეგ: ერთხელ 109/727-28 წელს აზერბაიჯანიდან, ხოლო 110/728-29 წელს — ალანთა კარით (დარიალით), უკან კი ის ე.წ. ზუ ლ-კარნაინის გასასვლელით. დ. დანლოპის აზრით, ქართველი მეფეების რეზიდენციით დაბრუნდა [65, 68]. ბრძოლა ერთ თვეს გაგრძელდა. სწორედ ამ უკანასკნელ ლაშქრობასთან დაკავშირებით იხსენიება ძლიერი წვიმა [24, 26]. თუმცა ასეთი წვიმა, როგორც ირკვევა, 114/732 წელს მარვან იბნ მუჰამადის ხაზარეთში ლაშქრობის დროსაც იყო. აქვე საუბარია იმის შესახებაც, თუ როგორ დააჭრეს ცხენებს კუდები [71, 80]. ის ფაქტი, რომ მსგავსი ცნობა „ქართლის ცხოვრებაშიც" არის - „და ვითარცა აღიარეს ციხე-გოჯი, და დაიბანაკეს წყალთა მათ ზედა ორთა, მსგავსად ერთისა, და გარდამოხდა წვიმა ფიცხელი, აღდგეს მდინარენი სასტიკად; და მომართა უმცროსმან წყალმან სპასა აბაშთასა ... „ხოლო უწინავე დასჭრეს კუდები ცხენთა მათთა, რამეთუ თიხისაგან ვერ ითრევდეს" [3, 195] - იმას ნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების" შესაბამისი მონაკვეთი სარწმუნო წყაროს ეყრდნობა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალ-ჯარაჰ იბნ აბდ ალლაჰი ხაზარებთან თბილისის მხრიდან შედის. წყაროებში შემონახული ინფორმაცია აჩვენებს კავშირს სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთს

შორის. იბნ ალ-ასირის ცნობით, ალ-ჯარაჰ იბნ აბდ ალლაჰის მოძრაობაზე ჩრდილოეთისაკენ ხაზარებს ინფორმაციას იმ მთების რომელიღაც მცხოვრები აწვდიდა [24, 25]. მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქმა ხაზართა წინააღმდეგ საიდ იბნ ამრ ალ-ჰარაში გაგზავნა. ეს რამდენიმეჯერ გამეორდა. 727/28 წელს მან დაიპყრო ალანთა კარი, შეეჯახა ხაზარებს [24, 25] და იაკუბის ცნობით, მოკლა ხაკანის შვილი, რასაც იბნ ალ-ასირიც იუწყება. ამ უკანასკნელთან ეს ამბავი 112/730-31 წლით არის დათარიღებული. ამაზე ცოტა ადრე, 111/730 წელს, ხაზართა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, ხაკანის შვილის მეთაურობით, შეიჭრა აზერბაიჯანში. ატ-ტაბარის ცნობით, რომელსაც ალ-იაკუბი და იბნ ალ-ასირი იმეორებენ [64, 94-95], ხაზარები ალანთა ქვეყნიდან (ე.ი. დარიალით) შემოიჭრნენ [71, 69]. ღევონდის ცნობით, ხაზართა ლაშქარმა გაიარა ჰუნთა მიწები, ჭორის კარი, მასკუთთა მიწები, გადავიდა არაქსზე, შეიჭრა ფაითაქარანში, ყველგან ხოცავდა მუსლიმებს, სადაც კი იყვნენ [69, 71; 28, 211-213]. წყაროების თანახმად, ხაზარები ქართველი გამგებლის მიწვევით და მისი ინფორმაციით მოქმედებდნენ, რომელსაც ჰქონდა ურთიერთობა ხაზართა ხაკანის შვილთან. ატ-ტაბარისა და აჰმად იბნ ა'სამ ალ-ქუფის ცნობებით, ხაკანის შვილს ბარჯიკი (ბარსბეკი, ბარჯილ, ბარჯენკ, პაშენკ) ერქვა [71, 63; 65,156-162]. არდებილთან, სწორედ მასთან ბრძოლაში იქნა მოკლული არმინიის იმდროინდელი გამგებელი ალ-ჯარაჰ იბნ აბდ ალლაჰი [64, 94-95; 71, 69]. რაც შეეხება ქართველ გამგებელს, ეს უნდა ყოფილიყო ქართლის იმდროინდელი გამგებელი, სტეფანოს III, ან რომელიმე მისი შვილი – არჩილი ან მირი.

113/731-32 წელს ხაზართა და ბიზანტიას შორის მოლაპარაკება დასრულდა ქორწინებით იმპერატორის შვილსა და ხაზართა ხაკანის ქალს შორის, რომელსაც ირინე დაარქვეს. სწორედ იმ დროს არაბებმა უფრო გააააქტიურეს თავისი მოძრაობა ჩრდილოეთისაკენ.

მასლამამ თავისი ავანგარდის მეთაურად მარვან იბნ მუჰამადი დანიშნა, რომელიც ვიდრე სამხრეთ კავკასიის გამგებლად დაინიშნებოდა, აქტიურად მონაწილეობდა კავკასიურ ოპერაციებში. მარვან იბნ მუჰამადი — მუჰამად იბნ მარვანის ვაჟი და ხალიფა ჰიშამ იბნ აბდ ალ-მალიქის (724-743) ბიძაშვილი

– მოგვიანებით უკანასკნელი უმაიანი ხალიფა (744-750) გახდა. მასლამასთან ყოფნის დროს, იაკუბის ცნობით, მარვანი ზოგჯერ რამდენიმე დღით იკარგებოდა და მასლამას ეუბნებოდნენ, რომ ის დაიღუპა, რაზედაც ის პასუხობდა: „შეუძლებელია, რომ ეს მანამდე მოხდეს, ვიდრე მას ხალიფობას მიულოცავენ“ [22, 7]. მარვანმა რამდენიმეჯერ დაამარცხა ხაზარები და დიდი ხნით შეაჩერა მათი აქტიურობა სამხრეთში. არაბულმა წყაროებმა არ შემოგვინახეს ცნობები საქართველოში მისი ბრძოლების შესახებ. ამის თაობაზე დეტალურად მხოლოდ ქართული წყარო მოგვითხრობს. სწორედ მარვანის თავდასხმების ხანგრძლივობისა (732-დან) და სიმძიმის გამო, ბევრ არაბ დამპყრობელს შორის ქართულმა ისტორიულმა მეხსიერებამ სწორედ მარვან იბნ მუჰამადის სახელი შემოინახა.

VIII საუკუნის 60-იან წლებში გვაქვს საპირისპირო ვითარება, როდესაც ხაზართა ხაკანი თვითონ ეძებს კავშირს ქართველ გამგებელთან. „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართულია რომანტიკული ისტორია ხაზართა ხაკანის გამიჯნურებისა მეფე არჩილის ასულის, შუშანასადმი. ხაკანმა თითქოს გაუგზავნა ელჩები არჩილის შვილს, ქართლისა და კახეთის გამგებელ ჯუანშერს და სთხოვა დის, შუშანას ხელი. სანაცვლოდ მან შესთავაზა დახმარება არაბების წინააღმდეგ. ჯუანშერმა ამის შესახებ აცნობა თავის დედას და ძმას, რომლებიც მის ორ, სხვა დასთან ერთად დასავლეთ საქართველოში იყვნენ გახიზნულები. ისინი არ დათანხმდნენ ხაზართა წინადადებას, რასაც ხაკანის რეაქცია მოჰყვა: „შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმა სპასალარი თჳსი ბლუჩან; გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაი მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარიღო და ტყუე ყვნა იგინი; შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა“ [3, 204]. შუშანამ თავი მოინამლა, ხოლო ჯუანშერი 7 წლის მანძილზე იყო ხაზარებთან, რის შემდეგაც „განუტევა ნიჭითა დიდითა ხაკანმან და წარმოგზავნა ქუეყანად თვისად“ [3, 205]. შეუძლებელია, რომ არ დავინახოთ კავშირი სამხრეთ კავკასიაში იმ წლებში გააქტიურებულ ანტიარაბულ მოძრაობასა და ხაზართა ორ თავდასხმას შორის 762-764 [65, 65], თეოფანესთან იგივე ხდება 764-65 წლებში [41, 69].

საბოლოოდ, არაბებმა დაამარცხეს ხაზარები, დაიმორჩილეს ამიერკავკასია და 70-იანი წლების დასაწყისში დააარსეს საამირო თბილისში [66, 21]. ამასთან, ნერსე, ქართლის ერისმთავარი 70-იან წლებში, რომელიც აღიარებულია საქართველოში ახალი აჯანყების ლიდერად, იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა და წასულიყო ჩრდილოეთში, ხაზარებთან. ხაზარებმა ის თბილად მიიღეს, თუმცა, ვერ აღმოუჩინეს მას საჭირო დახმარება ჯარით და მხოლოდ უზრუნველყვეს მისი უსაფრთხო გადასვლა აფხაზეთში [67, 127-128].

VIII საუკუნის დასასრულს აფხაზთა მთავარი, ლეონი, გამოეყო ბიზანტიას და მოიპოვა დამოუკიდებლობა. ამ წარმატებაში მისი მთავარი დასაყრდენი ხაზარები იყვნენ: „რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკჳდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულისწული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელიდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ. და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა“ [3, 205]. თომას ნუნანის აზრით, ხაზარებს უნდოდათ, რომ აფხაზეთი თავისი გავლენის ქვეშ მოექციათ [81, 113]. რამდენად მოახერხეს მათ ეს, ამაზე მსჯელობა მომდევნო ნაკვეთში („ქართველების და ბიზანტია-ხაზარების ურთიერთობა „აფხაზთა სამეფოს“ შექმნის წლებში“) იქნება.

853 წელს არაბთა მხედართმთავარმა ბუღა თურქმა აიღო თბილისი, შემდეგ ის „დაიძრა წანარების წინააღმდეგ, შეებრძოლა მათ, მაგრამ მათ დაამარცხეს ის და გააქციეს. დაიხია რა უკან, შეუდგა იმათ დევნას, ვისაც თვით უწყალობა ამანი და დაიწყო მათი დაპატიმრება, მაგრამ ზოგიერთმა მოახერხა მისგან დამალვა“. წანარებმა დახმარების თხოვნით მიმართეს ბიზანტიის იმპერატორს, ხაზარებსა და სლავებს და დიდი ჯარი შეკრიბეს, რის შესახებაც ბუღამ ხალიფას აცნობა. ამბოხებულები მხოლოდ არმინიის ახალი გამგებლის ჩამოსვლის შემდეგ „დაწყნარდნენ და მათ განუახლეს ამანი“ [22, 20-21; 68, 192]. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ბუღამ „განაღო კარი დარუბანდისა და გამოიყვანნა ხაზარნი, სახლი სამასი,

და დასხნა იგინი შანქორს. დარიალანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი, და დასხნა იგინი დმანისს, და ენება ზაფხულის შესლვა ოვსეთად“ [3, 207-208].

XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფემ, დავით აღმაშენებელმა, შეირთო ყივჩაღთა მთავრის ასული, მოიწვია საქართველოში ყივჩაღი მეომრები, შექმნა რეგულარული არმია და დაასრულა საქართველოს გაერთიანების პროცესი, რაზედაც უფრო დეტალურად ცალკე ნაკვეთში იქნება საუბარი.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, წყაროებში საკმაოდ ხშირად დასტურდება ქართველებისა და ისლამამდელი თურქების ურთიერთობის ფაქტები და მოკავშირეობის შემთხვევებიც, ვინაიდან მათი ინტერესები ხშირად ერთმანეთს ემთხვეოდა. მართალია, იმ ეპოქაში, როდესაც ომი ცხოვრების წესად იყო ქცეული და ხშირად გადარჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა, მოკავშირეობა არ იყო მათი ურთიერთობის ერთადერთი ფორმა;

ზოგიერთ შემთხვევაში გამოკვეთილია ქართველების თურქებზე შესაძლო დამოკიდებულების პერიოდებიც, რაც არასდროს გაგრძელებულა დიდხანს: ესაა VI ს. დასაწყისი, VII ს. 20-იანი წლების დასასრული (628-630), VIII ს. 60-იანი წლები, როდესაც ამ მდგომარეობაშია ქართლი; VIII ს. 80-იანი წლები, როდესაც ამავე გზაზე დგება აფხაზეთი;

აღნიშნული ურთიერთობების განხილვისას დაზუსტებულია შესაბამისი წლების საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ფაქტი.

უარყოფილია სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, ქართველები არ მონაწილეობდნენ ირანის წინააღმდეგ V საუკუნის შუა წლების კავკასიის აჯანყებაში. დასაბუთებულია, რომ ქართველები, სომხებთან, ალბანელებთან და ჰუნებთან ერთად მონაწილეობდნენ აღნიშნულ გამოსვლაში;

ჰუნებთან ვახტანგ გორგასლის ურთიერთობის შესახებ, წყაროების ცნობების ანალიზის შედეგად, გამოთქმულია ვარაუდი, რომ VI ს. დასაწყისში, ბიზანტია-ირანის ომის წლებში,

ჩრდილოეთიდან ჰუნების გამოჩენა იყო ინიცირებული ქართლის მეფის მიერ და მოხდა მისი მოწვევით;

შესაბამისი წყაროების ანალიზი იძლევა საფუძველს, ვახტანგ გორგასალის გარდაცვალება ვივარაუდოთ არა უადრეს 503 წლისა, როდესაც დაიწყო ჰუნ-საბირების და ირანის ომი (503-508 წწ.);

ქართლის საერისმთავრო დაარსებული ჩანს ბიზანტია-ირანის 591 წლის ზავის შედეგად და პირველი ერისმთავარი, რომელსაც, ჩანს, აღიარებდა ირანიც და ბიზანტიაც, იყო სტეფანოს I;

არ არის გაზიარებული მოსაზრება გუარამ-გურგენის იგივეობის შესახებ. სხვადასხვა წყაროს და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული განხილვის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ გურგენის შემდეგ ქართლის დიდ ნაწილში, რომელსაც სპარსეთი აკონტროლებდა, იჯდა ჯუანშერი; შემდეგ, ერთ ხანს, აქ გამგებელი აღარ იყო. იმ პერიოდში ბიზანტიამ გაგზავნა გუარამი, რომელსაც კურაპალატის ტიტული მიანიჭა და მისცა საგანგებო დავალება, დაემყარებინა კავშირი ჩრდილოელებთან და ანტიირანულ კოალიციასთან და შებრძოლებოდა ირანელებს. ამ ბრძოლაში გურგენი დამარცხდა. განსხვავებით მამისგან, რომელიც „არ მთავრობდა ყოველსა ქართლსა" და მცხეთას ვერ სცილდებოდა, გუარამის შვილი სტეფანოს I უკვე თბილისში იჯდა და მთელი ქართლის საერისმთავროს განაგებდა, იმ პირობებშიც კი, როცა ქართლი 591 წლის ირან-ბიზანტიის ზავით, ორ ნაწილად იყო გაყოფილი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. Agatangelos. History of the Armenians. Translation and Commentary by R.W. Thomson. Albany State University of New York Press, 1976.
2. Ю.Р. Джафаров. Гунны и Азербайджан. Баку, 1985.
3. ქართლის ცხოვრება, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი და ტერმინთა საძიებელი დაურთეს ი.ანთელავამ და ნ.შოშიაშვილმა, თბ., 1996.

4. გ. ანჩაბაძე. ეთნონიმ „ხაზარის" მნიშვნელობისათვის „ქართლის ცხოვრებაში". — *კრ. ქართული წყაროთმცოდნეობა*, VIII, თბ., 1993.

5. ვ. გოილაძე. *ფარნავაზიანთა ქრისტიანი მეფეების ქრონოლოგია*. თბ., 1990.

6. მ. სანაძე. *„ქართლის ცხოვრება" და საქართველოს უძველესი ისტორია (ქართლოსიდან მეფე მირიანამდე)*. თბ., 2001.

7. История Армении Фавстоса Бузанда. Перевод с древнеармянского, комментарий С.А. Геворгяна, вступление Л. Хачикяна. Ереван, 1953.

8. მოვსეს ხორენაცი. *სომხეთის ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბ., 1984.

9. თ. ბერაძე, მ. სანაძე. *საქართველოს ისტორია*, წიგნი I (ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები). თბ., 2003.

10. გეორგიკა, III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმანით და კომენტარით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1936.

11. Н.В. Пигулевская. Сирийские источники по истории народов СССР. М-Л., 1941.

12. Егише. О Вардане и армянской войне. Перевод с древнеармянского И.А. Орбели, Подготовка к изданию, вступление и комментарий К.Н. Юзбашяна. Ереван, 1917.

13. В. Д. Дондуа. Некоторые замечания по поводу сборника — История армянского народа — *კრ. მიმომხილველი*, თბ., 1953.

14. ლ.-ნ. ჯანაშია. *ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ*, თბ., 1962.

15. ა. ბოგვერაძე. *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში*. თბ., 1979.

16. R.G. Suny. The Making of the Georgian Nation. Indiana University Press, Bloomington and Indianapolis, 1944.

17. დ. მუსხელიშვილი. *საქართველო IV-VIII სს.-ში*. თბ., 2003.

18. С.Т. Еремян. Освободительная война армян против персов в 450-451. — Журн. Вестник древней истории, № 4, М., 1951.

19. К. В. Тревер. Очерк по истории и культуре Кавказской Албании в 4 в. до н.э. -7 вв. н.э. М.,-Л. 1959.

20. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრიბა და გამოსცა თ. ჟორდანიამ, ტფ., 1892.

21. Из хроники Баладзори, Текст из "Книги завоевания стран", Перевод с арабского П.К. Жузе. Баку. 1927.

22. Якуби. История, пер. П.К. Жузе, Материалы по истории Азербайджана, вып.4. Баку, 1927.

23. З.М. Буниятов. Азербайджан в 7-9 вв. Баку, 1965.

24. Сведения по истории Азербайджана из Тарих ал-Камиль ибн ал-Асира, пер. П. К. Жузе, Баку, 1940.

25. იაკუთის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. არაბული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ვ. სიხარულიძემ. თბ., 1964.

26. Ю.Р. Джафаров. К вопросу о первом появлении сабир в Закавказье. — Журн. Вестник древней истории, №3 М., 1979.

27. მ. საბინინი. *საქართველოს სამოთხე*. პეტერბურღი, 1882.

28. М.И. Артамонов. История хазар. Л., 1962.

29. С. Ашурбейли. Государство Ширваншахов. Баку, 1983.

30. ს. გორგაძე. *წერილები საქართველოს ისტორიიდან*, II. ტფ., 1913.

31. ი. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*. — თხზულებანი, I, თბ., 1979.

32. Очерки истории Грузии, 2. Тб., 1988.

33. მ. ლორთქიფანიძე. *ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში*. თბ., 1979.

34. ნ. ლომოური. *საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში*. თბ., 1994.

35. ვ. გოილაძე. ფირან გუშნასპის მარტვილობა და მისი მნიშვნელობა საქართველოს V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის. – *მაცნე* (ისტორიის სერია), 2, თბ., 1988.

36. ვ. გოილაძე. *ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი*. თბ., 1994.

37. К. Н. Юзбашян. Иешу Стилит об Армянском восстании против сасанидов. — Христианский Восток. СПб.-М., 2002, 3 (1X).

38. გეორგიკა, II (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმანით დაკომენტარით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა). თბ., 1965.

39. გეორგიკა, IV, I, თბ., 1941.

40. მ. ჩხარტიშვილი. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაჲ.* თბ., 1994.

41. И. С. Чичуров. Византийские исторические труды. "Хронография" Феофана. М., 1986.

42. მოვსეს კალანკატუაცი. *ალვანთა ქვეყნის ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1985.

43. გ. ჯაფარიძე. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. — კრ. *საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია.* თბ., 1993.

44. Очерки истории СССР, III- IX вв. М., 1950.

45. Менандр Византийский. Византийские историки. Пер. с. греч. Г.С. Дестунис. С-Петербург. 1861.

46. История епископа Себеоса. Перевод с четвертого исправленного армянского текста Ст. Малхасянц, Ереван, 1939.

47. მოქცევაჲ ქართლისაჲ. — *ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები*, I. თბ., 1963.

48. სუმბატ დავითის ძე. *ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ. თბ., 1990.

49. Подвиг Бахрама Чубина, Источники к изданию подготовил, перевел, снабдил комментарием Л.Н. Гумилев. Л., 1962.

50. Л.Н. Гумилев. Древние тюрки. Л., 1962.

51. ვ. გოილაძე. *დიდი აბრეშუმის გზა და საქართველო.* თბ., 1997.

52. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — *ქართლის ცხოვრება IV*, ტექსტი გამოსაცემად ყველა ხელნაწერის მიხედვით მოამზადა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1973.

53. M. Brosset. Histoire de la Géorgie. S-P., 1948.

54. Г.Н. Чубинашвили. Памятники типа Джвари. Тб., 1948.

55. Е.А. Пахомов. Монеты Грузии. Тб., 1970.

56. ნ. ლომოური. კონსტანტინე პორფიროგენეტის ერთი ცნობის გარკვევისათვის. — *თსუ შრომები*, 59, თბ., 1955.

57. ნ. ჯანაშია. *ფეოდალური რევოლუცია საქართველოში*, I. თბ., 1949.

58. გ. დუნდუა. ე.წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები, — *მაცნე*, 1, 1976.

59. თ. დუნდუა. *ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით*, თბ., 1997.

60. A.A. Богверадзе. Восстановление государственной власти в Картли. — Очерки истории Грузии. 2, 1988.

61. ს. ყაუხჩიშვილი. *ლექციები ბიზანტიის ისტორიოგრაფიაში 4-7 სს.* I. თბ., 1948.

62. გ. ალასანია. ჰერაკლე კეისარი და საქართველო. — *ფილოლოგიურ-ისტორიული გამოკვლევები* მიძღვნილი თ. ყაუხჩიშვილისადმი, თბ., 1999.

63. გ. აბრამიშვილი. *სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში*. თბ., 1977.

64. ბ. სილაგაძე. *არაბთა ბატონობა საქართველოში*. თბ., 1991.

65. P. B. Golden. Khazar Studies. Vol., I, Budapest, 1980.

66. გ. ალასანია. თბილისის საამიროს დაარსების თარიღისათვის. — *ანალები*, თბ., 1999.

67. იოანე საბანის ძე. აბოს წამება. — *ქართული პროზა*, I, თბ., 1982.

68. А.П. Новосельцев. Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа. М., 1990.

69. Гевонд. История халифов вардапета Гевонда, писателя 8-го века. Пер. с армянского К. П. Патканова, П., 1862.

70. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1955.

71. D.M. Dunlop. The History of the Jewish Khazars. Princeton University Press, Princeton, 1954.

72. А.В. Гадло. Этническая история Северного Кавказа IV-X вв. Л.,1979.

73. В. В. Латышев. Известия древних писателей (греческих и латинских) о Скифии и Кавказе. - Вестник древней истории, 1947,1. Известия древних писателей греческих и латинских о

Скифии и Кавказе. Собрал и издал с русским переводом В.В. Латышев, т.2 вып.2. С-П., 1906.

74. М. М. Дьяконов. Очерк истории древнего Ирана. М., 1961.

75. The Chronography of Gregory Abu'l Faraj commonly known as Bar Hebraeus. Translated from the Syriac by Ernest A. Wallis Budge, vol. I, Oxford University Press, 1932.

76. Всеобщая история Степаноса Таронского, Асох'ика по прозванию, писателя XI столетия, переведена с армянского и обьяснена Н. Эминым, М., 1864.

77. Ахмад ибн А'сам Ал-Куфи. Книга завоеваний (Извлечения по истории Азербайджана VII-IX в. Пер. с арабского языка З.М.Буниятова. Баку, 1981.

78. Н.В. Пигулевская. Сирийская хроника Иешу Стилита как исторический источник. – Труды ИВАН, т. XXXI М-Л., 1940.

79. В.Райт. Краткий очерк истории сирийской литературы, СПб., 1902.

80. Армянская география VII в. по Р.Х., приписываемая Моисею Хоренскому. Текст и перевод с присовокуплением карт, обьяснений и примечаний издал К.П. Патканов, С-П., 1877.

81. Th. S. Noonan. Byzantium and the Khazars: a special relationship? – Colllection "Byzantine Diplomacy, papers from the twenty-forth spring symposium of Byzantine Studies. Cambridge, March 1990, edited by Louathan Shepard and Simon Franklin. Variorum, 1992.

82. M.Biro. Bahram Cobin and the Establishment of the principality in Kartli. – Acta Orient. Academiae Scient. Hung. Tomus XXXIII, Fasc, 2. 1979.

83. ვარდან არეველცი. *მსოფლიო ისტორია.* ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე.კვაჭანტირაძემ. შესავალი კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ, თბ., 2002.

84. C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History. Georgetown University Press, 1963.

საქართველო, ჰერაკლე კეისარი და მისი მოკავშირე თურქები

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, „ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ ამიერკავკასიაში დიდი ხნით ბიზანტიის ჰეგემონია დამყარდა. ქართლი ბიზანტიის უზენაესობას აღიარებდა, მაგრამ აქ არც ბიზანტიის მოხელეები იყვნენ და არც მათი ლაშქარი იდგა. თბილისში ქართლის ერისმთავარნი ისხდნენ და განაგებდნენ ქვეყანას“ [1, 58].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ჰერაკლე კეისრის გამარჯვების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო ისევ ბიზანტიის ხელში გადავიდა“. როგორც ჩანს, ამის დასაბუთებად უნდა მივიჩნიოთ ის, რაც მოსდევს ამ დასკვნას: „მართლაც — განაგრძობს მკვლევარი, — ჯვრის ეკლესიის აღმშენებელ ერისთავებს ბიზანტიური საკარისკაცო პატივი ჰქონდათ მინიჭებული. მაგალითად, ჯვრის მონასტრის VII ს. ეკლესიის აღმშენებელნი იყვნენ „სტეფანოზ ქართლისა პატრიკიოსი“, დემეტრე „ივიპატოსი“, ადარნერსე „ივიპატოსი“ და სხვა. ბიზანტიის კეისარმა დიდხანს არ ისარგებლა თავისი გამარჯვებით. სამხრეთით უკვე მოდიოდა მუჰამედის მოძღვრებით აღფრთოვანებული არაბთა ლაშქარი“ [2, 306].

ასეთივე აზრისაა ამ საკითხზე ა. ბოგვერაძე. მისი მსჯელობით, „ჰერაკლეს ლაშქრობების შემდეგ ამიერკავკასიაში დიდი ხნით დამყარდაბიზანტიისპოლიტიკურიჰეგემონია“.წყარო,სამწუხაროდ, არც აქ არის მითითებული, ხოლო დასაბუთება დაყვანილია ქართლში ბიზანტიური ტიტულების გავრცელებაზე. „ერისმთავარი კვლავ ადარნასე გახდა. როგორც მოვსეს კალანკატუაცი გადმოგვცემს,

ადარნასემ იმპერატორისაგან სამმაგი ტიტული მიიღო. საერთოდ, ჰერაკლეს ეპოქაში ბიზანტიურმა ტიტულებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს მთელს ამიერკავკასიაში" [3, 89; 4, 306].

ნ. ლომოური აგრეთვე მიიჩნევს, რომ ჰერაკლე კეისრის წარმატებული ლაშქრობების შედეგად, იბერია, ისევე როგორც სომხეთი და ალბანეთი, ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის სფეროში აღმოჩნდა [5, 44]. დაბოლოს, იგივე დასკვნა აქვს მიღებული ვ. გოილაძეს: „ქართლის ერისთავთა მთავრის ტახტზე ადარნასეს დასმასთან ერთად ირანელთა ბატონობა ქართლზე ბიზანტიელთა ბატონობით შეიცვალა. მაგრამ, ამჯერად ბიზანტიელთა ბატონობა ქართლში ხანმოკლე აღმოჩნდა" [6, 114].

საკითხის შესახებ თავის დროზე აზრი გამოთქვა კ. თუმანოვმა. მკვლევარმა მიიჩნია, რომ ჰერაკლეს წარმატებების შემდეგ მისი კონტროლის ქვეშ თითქმის მთელი კავკასია მოექცა. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი არგუმენტია ადგილობრივი გამგებლების დანიშვნა ბიზანტიის იმპერატორის კარნახით, ხოლო მეორე — აღნიშნული გამგებლებისათვის ბიზანტიური ტიტულების მინიჭება [7, 67]. უადგილო არ იქნება, ალბათ, ამ საკითხზე დ. ბაქრაძის აზრის გახსენება — „ბიზანტიიდან შემოტანილი სახელწოდებანი, უმაღლესთა ღირსებათანი, რომელნიც უჩვენებენ ანუ ქვევრდომობას, ანუ კავშირს საქართველოსი ბიზანტიის იმპერიასთან" [8]. როგორც ვხედავთ, ამ განმარტებით ბიზანტიური ტიტულების ფლობა მეგობრულ ურთიერთობას და მოკავშირეობასაც ნიშნავდა.

ფრანგულ ენციკლოპედიაში (Grand Larousse) 627 წლის ამბების აღწერისას აღნიშნულია, რომ თითქოს ჰერაკლემ საქართველო დაიკავა და შემდეგ შევიდა მესოპოტამიაში, სადაც დაამარცხა სპარსთა ჯარი ნინევიასთან [9, Heraclius I].

ერთგვარად განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული პ. იოსელიანს. ჰერაკლეს ლაშქრობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა: „იბერიის მეფედ დააყენეს ადარნასე. მას შემდეგ თბილისს არ უნახავს ბერძნები თავის მტრად" [10, 14]. მკვლევარს მიაჩნია, რომ ქართლი ბერძნებს არ დამორჩილდა. „ბერძენი იმპერატორები, რომლებიც არაგონიერ პოლიტიკას ატარებდნენ და სურდათ რწმენა

ემართათ, ხელმოცარულები უკუიქცნენ იბერიის საზღვრებიდან“ [11, 96].

„აზერბაიჯანის ისტორიის“ ავტორები მიიჩნევენ, რომ ირან-ბიზანტიის 628 წლის ზავით არმენია გადავიდა ბიზანტიის კონტროლის ქვეშ, ხოლო იბერია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა [12, 96].

საკითხის გასარკვევად, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ურთიერთობები სამ დაპირისპირებულ მხარეს — ირანს, ბიზანტიასა და მის მოკავშირე თურქებს — შორის.

აშკარაა, რომ ბიზანტიასა და მის მოკავშირე თურქებს შორის შეთანხმება მოხდა, მაგრამ ზუსტი ცნობები ამის შესახებ წყაროებში არ მოიპოვება. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ბიზანტიის იმპერატორი თურქ გამგებელს ცოლად თავის ქალიშვილს დაჰპირდა, სხვა ცნობებით — ნადავლს. არის ერთგვარი მინიშნება ტერიტორიის განაწილებაზეც. მაგალითად, მოვსეს კალანკატუაცის მიხედვით, ალბანთა კათოლიკოსის თურქ გამგებელთან საუბრიდან ირკვევა, რომ თურქებმა მიიღეს სამი ქვეყანა — ალვანთა, ლფინთა და ჩორის [13, 89; 14, 81]. სწორედ ამ ცნობის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ხაზარებს გადაეცათ ალბანეთი, ხოლო ამიერკავკასიის დანარჩენი ნაწილი ბიზანტიის კონტროლის ქვეშ დარჩა. აქვე ალბათ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცნობებში მოხსენიებულ კათოლიკოს ვიროს, ისევე, როგორც თხზულების ავტორს, სწორედ ალბანეთი აინტერესებთ, თუმცა ძეგლში საყურადღებო ცნობებია საქართველოზეც. ის ფაქტი, რომ წყაროში არ არის დაზუსტებული, თუ ვისი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა ამ დროს ქართლი, სრულიადაც არ გამოდგება იმის საბუთად, რომ მისი ტერიტორია, ან თუნდაც მისი ნაწილი, არ იზიარებდა ალბანეთის ხვედრს.

საინტერესოა ვ. მინორსკის მსჯელობა. იგი აღნიშნავს, რომ ხაზარები მუსლიმთა ექსპანსიის წინ სამხრეთ რუსეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძირითადი ძალა იყვნენ. ბიზანტიელები არ აფართოვებდნენ თავიანთ სამფლობელოებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, რომლის დიდი ნაწილი არაბების მოსვლამდე ხაზართა ხელში რჩებოდა [15, 37].

ამ ამბებს დეტალურად განიხილავს მ. არტამანოვი. მკვლევარი ამ შემთხვევაში მოვსეს კალანკატუაცის მონაცემებს ითვალისწინებს. მისი აზრით, „თურქუთ -ბიზანტიელთა ხელშეკრულების თანახმად, საქართველო უნდა მოქცეულიყო ბიზანტიის გავლენის სფეროში, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ამიერკავკასია ხანის ხელში უნდა გადასულიყო. იაბღუ-ხაკანი მოქმედებდა ამ ხელშეკრულების შესაბამისად. მან გაწმინდა საქართველო და დაავალა შათს ალბანეთის დამორჩილება“ [16,151]. ასევე მსჯელობს ვ. გოილაძე: „თურქთა მიერ თბილისის აღების შემდეგ, როცა მოკავშირეებმა ამიერკავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიები გაინაწილეს, ირანის კუთვნილი ქართლის ნაწილი ჰერაკლემ თურქთაგან მიიღო. ასე გადავიდა მთელი ქართლი ბიზანტიის მფლობელობაში... თბილისის აღების შემდეგ ჯიბღუმ და ჰერაკლემ ამიერკავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიები გაიყვეს. ალბანეთს თურქები დაეპატრონნენ, ქართლი კი ჰერაკლეს დაუთმეს“ [6,112-113].

ალბათ არცერთ მოღვაწეზე არ შექმნილა იმდენი ლეგენდა, რამდენიც ჰერაკლეზე [17, 205] და ეს ბუნებრივია. მისი მეფობა გარდატეხის ხანაა არამარტო ბიზანტიისთვის, რომელიც მან მკვდრეთით აღადგინა და რომელსაც არსებობა გაუხანგრძლივა, არამედ - კაცობრიობის ისტორიაშიც. ჰერაკლე არის, ერთი მხრივ, ქრისტიანული სამყაროს უკანასკნელი ძლიერი მონარქი ისლამის გავრცელებამდე [18, 284], ხოლო, მეორე მხრივ, ბიზანტიის გამორჩეული იმპერატორი ხატმებრძოლობამდე. არ არის გასაკვირი, რომ ჰერაკლე, რომელიც ქართველებისთვის, იმთავითვე, ქრისტიანობის დაცვის სიმბოლოდ იქცა, სხვადასხვა ჟანრის პოპულარული გმირი გახდა, თუმცა კი, მის შესახებ გადმოცემებში სხვადასხვა და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო შრეა დალექილი [19,170]. დავით და კონსტანტინეს წამების ავტორი სწორედ ამას უსვამს ხაზს: „რაჟამს მოკვდა ჰერაკლე მეფე, მისსა შემდგომად დადგეს მეფენი და პატრიაქნი მწვალებელნი, უღირსნი და ხატთა მბრძოლნი“. ერთგვარმა წინააღმდეგობამ თავი იჩინა უკვე „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის მონაკვეთში, სადაც ჰერაკლეს სახელი დაკავშირებულია ომთან, დაპყრობასთან, ძარცვასთახ („ჩაძოაგდეს სტეფახოზ და ძოკლეს და დაიპყრო

კეისარმან ტფილისი"). ჰერაკლემ გაძარცვა ქართლი იმ წმინდა რელიკვიებისაგან, რომლებსაც აქ მირიან მეფის დროიდან სათუთად ინახავდნენ („წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, რომელნი მოცემულ იყვნეს კონსტანტინესაგან მირიანისდა"); მან უგულებელყო ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესები („შეწუხნა ადარნასე, ქართლისა მთავარი და ევედრებოდა კეისარსა, რათა არა წარიხუნოს ნიჭნი იგი ღმრთისამიერნი. არა ისმინა კეისარმან ვედრება და წარიხუნა...." [43, 190]; „ქართლის ცხოვრების" ძველ სომხურ თარგმანში — „არ უსმინა ატარნერსეს ვედრებას და ქართველთა მთელი ქვეყნის ცრემლებს...") [44, 191-192]. არაბთა საფრთხის მოახლოებისას ჰერაკლეს რჩევით ქართლს ტოვებენ შემოხიზნული ირანელები („რქუა ნათესავსა სპარსთასა") ქვეყანას („გუჯარი დაწერეს, აღწერეს ნათესავი თ;;სი და ქუეყანა და დადვეს, რათა ოდეს მოვიდნენ ბერძენნი, გუჯრითა მოიძივნენ ნათესავნი მათნი და თვითეულად განუყონ ქუეყანა და განძი") [43,192].

„ქართლის ცხოვრების" ამავე მონაკვეთის მიხედვით, ჰერაკლე ირანელთაგან წმინდა ჯვრის გამომხსნელია (მას შემდეგ, რაც „მეფემან ქასრე წარტყუენა იერუსალემი და წარიყვანა ძელი ცხოვრებისა... შევიდა სპარსეთს და მოკლა ხუასრო მეფე და წარილო ბაღდადი და წარმოიყვანა ძელი ცხოვრებისა") [43, 190]. აღნიშნული ძეგლის მიხედვით, გზა ორივე შემთხვევაში, ჯვრისაკენ და ჯვრით, ქართლზე გადის, მაგრამ წყაროდან არა ჩანს, რომ თვით ჰერაკლეს ქართლისათვის სიკეთე მოეტანოს.

სწორედ ამ ტრადიციის გათვალისწინებით, კირიონ საძაგლიშვილი მიიჩნევს, რომ „გაიტანა რა ხატები, წმინდა ნაწილები და წმინდა ლურსმნები... ამ თავისი მოუფიქრებელი საქციელით იმპერატორმა ძალიან ცუდი სახელი დასტოვა საქართველოში და მტრობა" [20, 1-3]. საკმაოდ მძიმე ბრალდებაა, თუ გავითვალისწინებთ, რა დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა რელიკვიებს შუა საუკუნეებში და რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მათ გადაადგილებას [21, 77].

„მოქცევაი ქართლისაᲘში" და სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში დაცულიცნობებიბიზანტიისიმპერატორისსრულიადგანსხვავებულ

პორტრეტს წარმოადგენს. აქ ჰერაკლე აშკარად დადებითი გმირია — აღმშენებელი, რწმენის განმწმენდელი, ქართლზე და ქრისტიანულ სამყაროზე მზრუნველი. იგი არ იღებს მონაწილეობას არც თბილისის დაპყრობაში („ნათელსცა ჰერაკლე ვარაზ—გრიგოლსა და ყოველსა ერსა მისსა... იწყო შენებად ეკლესიისაჲ.. წარვიდა ბერდუჯს.. აღმართა ჯუარი ქვისაჲ და დადვა საფუძველი წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიისა... შეიპყრა ხუასრო მეფე, გააღებინა ძელი ცხორებისა და იწყო შენებად იერუსალემისა და მან ჰერაკლე მეფემან ტფილისს და მცხეთას და უჯარმოს ქადაგნი განავლინნა, რათა ყოველნი ქრისტეანენი ეკლესიასა შევიდენ, და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისმსახურნი, რომელნიცაღა არა მოინათლნენ, მოისრნენ“). არა ჩანს ჰერაკლეს პირადი მონაწილეობა ქართლის გაძარცვაში („მის ზე ქუეყანა ქართლისა აღწერეს და წარიღეს საბერძნეთს“... „მოქცევაჲში“ — „ბერძენთა ქვეყანაჲ ჯორსა აჰკიდეს და წარიღეს საბერძენთა“) [43, 281-282; 45, 95-96].

აღნიშნულ ცნობებზე დაყრდნობით, ჰერაკლეს როლი საქართველოს და ქართული ეკლესიის ისტორიაში დადებითად არის შეფასებული [22, 270-71; 5]. თუმცა, ჰერაკლეზე ბევრად უფრო მეტი გადმოცემა უნდა არსებულიყო, ვიდრე დღეს არის ცნობილი. მაგალითად, ვახუშტის თხზულებით, იმპერატორმა „დასუა ერისთავი აფხაზთა ეგრისის მდინარის დასავლეთისა ზღვამდე“ [23, 781; 8, 19]. დ. ბაქრაძეს მოტანილი აქვს ცნობა, რომ ჰერაკლემ დასდო საფუძველი „აწყურს დიდის ტაძრისა“ [8, 19]. ხოლო მ. ჯანაშვილს, ჩანს, რაღაც წყაროზე დაყრდნობით, აღნიშნული აქვს, თუ როგორ გამოიყენა იმპერატორმა ქართველები [წმინდა] საფლავის ბაზილიკის აღსადგენად [24, 13; 25, 83].

ჰერაკლეს სახელი არც პოეზიისათვის არის უცხო: „ვიტყვი ხვასროსა, იმა ხვასროსა, ერაკლესაგან ტყვედ შეპყრობილსა, პირველ მყოფელსა მის მეუფისა, სპარსეთად ძელის წარმყვანებელსა“ [აბდულმესიანი] ან „გამცრობს ერაკლე სპარსთა ერ აკლე“ [თამარიანი].

ამ მასალის დიდი ნაწილი ფოლკლორული წარმოშობისა უნდა იყოს. ადრეული წყაროების სამსჭვალის თემას მოგვიანებით აგრძელებს ვახუშტი ბაგრატიონი, რომლის თანახმადაც, აღნიშნული

რელიკვია საქართველოში ბაგრატ მეოთხის დროს ბრუნდება [23, 144]. აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების" შესაბამისი მონაკვეთი ამ ფაქტს არ იცნობს. არაფერია ნათქვამი რელიკვიის გატანასა და კვლავ დაბრუნებაზე არც მანგლისის ტაძრის აღწერაში, რომელიც XIX საუკუნეშია შედგენილი. შემდგენლის ინფორმაციით, მანგლისის ტაძარში დაცული სამსჭვალი მხოლოდ თამარის შემდეგ, მონღოლთაგან დაცვის მიზნით, გადაიტანეს თბილისის სიონში [26, 193].

ქართულმა ტრადიციამ შემოგვინახა განსხვავებული ცნობები ჰერაკლეზე, სადაც ის წარმოდგენილია არა როგორც რელიკვიების გამტანი, არამედ, პირიქით — შემომტანი. პ. იოსელიანი გვამცნობს ერთ-ერთ ასეთ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც, ჰერაკლე კეისარმა ქართველებს სპარსთაგან დახსნილი ჯვრის ნაწილი აჩუქა. მკვლევრის ინფორმაციით, ამ სიწმინდის ორი ნაწილი ამშვენებდა ალავერდისა და ნიქოზის ტაძრებს, ხოლო ნაწილი — ვლაქერნის ხატს სამეგრელოში. სქოლიოში აღნიშნულია, რომ „მისი ნაწილი დღემდე ინახება ალავერდის ტაძარში, ნიქოზის ტაძრიდან კი გაქრა. ვლაქერნისა დღემდე არსებობს" [27]. ეს ცნობა, როგორც ჩანს, ზეპირ გადმოცემას ემყარება, ვინაიდან არავითარი მინიშნება ამ ფაქტზე არც ქართულ და არც უცხოურ წერილობით ძეგლებში არ მოიპოვება. მხოლოდ ქართული წყაროების ორ ვერსიაში — ჯუანშერის („ქართლის ცხოვრება") და „მოქცევაის", რომელსაც იმეორებს სუმბატ დავითის ძე, ჰერაკლეს ხელახალ შემოსვლას ქართლში მოსდევს ცნობა ჯვრის გამოხსნის შესახებ. უშუალოდ ჯვრის დახსნის შემდეგ ჰერაკლეს ქართლში მოსვლა, რის შთაბეჭდილებასაც „ქართლის ცხოვრების" ვერსია ქმნის, ძალზე საეჭვოა. ამას არცერთი ჩვენთვის ცნობილი წყარო არ ადასტურებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნ. მარის მიერ გამოქვეყნებულ და თარგმნილ XV საუკუნის ერთ-ერთ სომხურ ძეგლს, რომლის მიხედვითაც, ჰერაკლემ ჯვარი საქართველოს გზით გაატარა: „ირაკლიმ მრავალრიცხოვანი ჯარის თანხლებით გამოატარა ის საქართველოს მთავარ გზაზე და ნაიღო კონსტანტინოპოლში, საბერძნეთის სამეფოში" [28,58]. ნ. მარი მსჯელობს იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ეს გზა და აიგივებს მას გურჯი-ბოღაზთან. თუმცა

მიიჩნევს, რომ სპარსეთიდან ჯვრის დახსნის შემდეგ ჰერაკლეს შემოსვლა ქართლში სავარაუდო არ არის [28, 59].

ჰერაკლეს ლაშქრობების მარშრუტებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში არაერთხელ აღინიშნა წყაროებისა და, მათ შორის, ქართული ძეგლების ცნობათა სიმცირე და არასანდოობა [29, 139, 153]. თუმცა ხშირია ცნობები იმის შესახებ, რომ ჰერაკლემ ჯვარი ხელუხლებელი მიიღო („ბეჭედნი და კლიტენი შეუცვალებლად") [30, 54] და ასევე ჩაიტანა იერუსალიმში.

ქართლში, ისევე, როგორც სომხეთში, ჩანს, ჯვრის შესახებ მრავალი ლეგენდა ყოფილა შექმნილი. ამასთანავე, გვაქვს მონაცემები, რომლებიც სრულიად რეალურ ფაქტებს ასახავს. ერთ-ერთი ასეთი წყაროა ბოლნელი ეპისკოპოსის ჩანანერი, სადაც ვკითხულობთ: „კეთილად მსახური ჰერაკლე მეფე სპარსეთად შევიდა და გამოიყვანა პატიოსანი იგი ძელი ჯუარისაი სიხარულით და სიმრავლე იგი ერისაი მისთანა. პარასკევსა დღესა ბზობისასა (იგულისხმება, როგორც ჩანს, ბზობის წინა პარასკევი – გ. ალასანია) მეფე იერუსალემად შევიდა და შეიყვანა პატიოსანი ჯუარი და მასვე პარასკევსა დადგა წმიდაი მოდისტო საყდრისა იერუსალემსასა ბრძანებითა ჰერაკლე მეფისაითა" [28, 23]. ამის შესახებ საყურადღებო ცნობას გვანვდის „დავით და კოსტანტინეს წამების" ავტორი — „აღაოხრა ქვეყანაი სპარსეთისაი და წარმოიყვანა ძელი ცხორებისაი და ზაქარია მამათმთავარი და ძლევამოსილი შემოიქცა იერუსალემს. და ნაწილი ძელისა ცხორებისაი ზოგი იერუსალემს დაუსვენა და ზოგი კოსტანტინეპოლს გაგზავნა და ზაქარია მამათმთავარი საყდარსავე თვისსა დასვა" [19, 169-170].

„ქართლის ცხოვრების" და „მოქცევაის" — სუმბატის ვერსიაის ანალიზი გამორიცხავს მათ შორის უშუალო კავშირს, ისევე, როგორც მათ ავთენტურობას. „ქართლის ცხოვრების" ვერსიას შემონახული აქვს გადატანილის უშუალო განცდა. მეორე ვერსიაში ბიზანტიის იმპერატორი დროის გადასახედიდანაა დანახული. როგორც ერთ, ისე — მეორე ვერსიას წყაროებით სარგებლობის კვალი ამჩნევია. სწორედ სხვადასხვა ზეპირი და წერილობითი წყარო უქმნის მათ ავტორებს, როგორც ჩანს, ჰერაკლეს ქართლში მრავალჯერ შემოჭრის შთაბეჭდილებას. „ქართლის ცხოვრების"

მიხედვით, ჰერაკლე ქართლში სამჯერ შემოდის. ამასთან, მესამე შემოსვლას წყარო, რატომღაც, მეორედ შემოსვლას არქმევს, ხოლო მეორე ვერსიაში — ორჯერ შემოსვლა იხსენიება. აქ ამ ფაქტებზე ინფორმაცია არამარტო განსხვავდება, არამედ — ძალზე მცირეა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში — საეჭვო, რაც ჩანს კონკრეტულ წერილობით ძეგლებთან ან გვიან გადმოცემებთან შედარებით (მაგ., ცნობას სამსჭვალის გატანაზე ეჭვქვეშ აყენებს გვიანი გადმოცემები, მათ შორის, ჰერაკლეს მიერ ქართველებისთვის წმინდა ჯვრის ნანილების ჩუქების შესახებ. საეჭვო ჩანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წმინდა ჯვრის ქართლზე გამოტარება, რაც, სხვათა შორის, არ არის გამეორებული „მოქცევაში" და სუმბატთან და სხვ.).

თავისთავად, ჰერაკლეს ქართლში შემოსვლა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამის შესახებ ცნობა არაერთ წყაროშია დადასტურებული. როგორც ჩანს, ფაქტმა თანამედროვეებზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რაც არაბთა გაბატონების შემდეგ, როდესაც ქრისტიანული სამყაროს არსებობას საფრთხე დაემუქრა, კიდევ უფრო გაძლიერდა. ქართლის ისტორიის ჰერაკლეს სახელთან და ქრისტიანულ სამყაროსთან დაკავშირებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ერთგვარ ეჭვს იწვევს ბიზანტიის იმპერატორის რამდენიმეგზის შემოსვლა, რის შესახებაც ცნობები დასახელებულ ქართულ წყაროებში შეთანხმებული არ არის.

ჰერაკლეს მეორედ შემოსვლის ამბავი განსახილველ ვერსიებში განსხვავდება. პირველში გადმოცემული რელიკვიების ისტორიის ნაცვლად, მეორეში ვკითხულობთ იმპერატორის რელიგიურ საქმიანობაზე. ცნობის დამოკიდებულება VII საუკუნის ავტორის, ანტიოქე სტრატეგოსის, თხზულებაზე, რომელიც X საუკუნეში ქართულ ენაზეც არსებობდა, ერთგვარად ეჭვქვეშ აყენებს მთელ ამ პასაჟს. კერძოდ, „მოქცევაში" და სუმბატის თანახმად, „ჰერაკლე მეფემან ტფილის და მცხეთას და უჯარმოს ქადაგნი განავლინნა, რათა ყოველნი ქრისტეანენი ეკლესიასა შევიდნენ, და ყოველნი მოგუნი და ცეცხლმსახურნი, რომელნიცაღა არა მოინათლნენ, მოისრნენ, ხოლო მათ ნათლისღება არა ინებეს, არამედ ზაკუვით აღერივნეს ქრისტიანეთა თანა და მიანიეს ყოველთა მათ ზედა

მახვილი. და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლთანი დიოდეს და განწმინდა სჯული ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲ და წარვიდა ჰერაკლე მეფე სამეფოდვე თვისად".

რეპრესიების ასეთმა ფართო მასშტაბმა და სისასტიკემ ნ. ლომოურს ისიც კი ავარაუდებინა, რომ ყოველივე ეს არამარტო ცეცხლთაყვანისმცემლებზე, არამედ მონოფიზიტებზეც გავრცელდა, ვინაიდან, საეჭვოა, რომ ცეცხლთაყვანისმცემლები ეკლესიაში შესულიყვნენ [5, 44].

შევუდაროთ მოტანილი ნაწყვეტი ანტიოქე სტრატეგოსის თხზულებას, რომელიც 614 წელს, ირან-ბიზანტიის ომის დროს, აღწერს იერუსალიმის დაცემას, როდესაც ირანელები შეიჭრნენ ქალაქში: „ვინ-მე აღრიცხოს სიმრავლე იგი მოკლულთა, რომელ იდვა შორის იერუსალემსა, რომელნი მოსრნეს ბოროტთა მათ — მან აღძრვითა ეშმაკისათა, რამეთუ თესლი მისი და ფარულ იყო მათ შორის", „შეწუხნა და მზაკუარებაჲ თვისი, ვითარც ღუარძლი, დასთესა შორის ჰურიათა", „ვითარ იგი მდინარე სისხლის დიოდა შორის ქალაქსა მოსვრითა ურიცხუთა მათ ერთაჲთა", „მოიწია შფოთი იგი და სრვაჲ ვიდრე ეკლესიამდე... ესე ვითარცა საქმეთა აღასრულებდეს კაცნი იგი, რომელნი მკვიდრ იყვნენ ჩუენ შორის", „და სიმრავლე ერისაჲ მიივლტოდა ეკლესიათა და საკურთხეველთა და მუნ-შინა მოისრვოდეს", „მაშინ რისხვაჲ იგი მღდელთა და დიაკონთა ზედა მოიწეოდა და ვითარცა საცხოვარი პირუტყუნი ეკლესიათა შინა დაიკლვოდ'ეს... და მდინარენი სისხლისანი შორის ქალაქსა დიოდა"... და „მღდელთა და დიაკონთა მოისრვოდეს" [28, 7, 8, 16, 17].

ორივე ვერსიაში ჰერაკლეს მეორედ შემოსვლად მითითებულია „მეშვიდე წელი", ანუ ბიზანტია-ირანის ომის ხანგრძლივობა. ცნობა ამის შესახებ არის როგორც ანტიოქე სტრატეგოსის, ისე XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის თარგმნილ წყაროშიც [28, 5; 30, 54].

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ჰერაკლე მესამედ უშუალოდ არაბთა გამოჩენამდე შემოდის. აქ მის სახელს უკავშირდება ქართლის აღწერა, სამალავის გაჩენა გორში, სადაც განძს ჩაფლავენ. ყველაფერი ეს არაბების მოსვლამდე ხდება. ქრისტიანულ

სამყაროსთან გამთლიანების მოლოდინი, როგორც ჩანს, მუსლიმთა ბატონობის სიმძიმეს უფრო ადვილად გადასატანს ხდიდა. „დაფლნეს განძნი მათნი: რომელნიმე წარჰყვნეს და რომელნიმე დადგეს, და შეიტანნეს ყოვლისა საგანძურისა გუჯარნი, და რა გუჯარი დაწერეს, აღწერეს ნათესავი თჳსი და ქუეყანა, და დადვეს, რათა ოდეს მოვიდნენ ბერძენნი, მით გუჯარითა მოიძივნენ ნათესავნი მათნი და თჳთეულად განუყონ ქუეყანა და განძი“, „ერაკლე განაჩინა სამალავად განძთა მათთჳს, რომელნი თანა ვერ წარჰქონდეს. სახელი გორისა მის არის ტონთიო, რომელ არს თარგმანებით "მთა ოქროსა“. „მოქცევაჲს“ და სუმბატის ვერსია ამ ამბებს ჰერაკლეს აღარ უკავშირებს. აქ ნათქვამია, რომ „ბერძენთა ქუეყანაჲ ჯორსა აჰკიდეს და წარიღეს საბერძენთა“, ან „ქუეყანაჲ ქართლისა ჯორსა აჰკიდეს და წარიღეს საბერძნეთს“. უკანასკნელ შემთხვევაში აღარ არის მითითებული, თუ ვინ აღწერა ქართლი.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, არაბულსა და მათზე დამყარებულ სირიულ წყაროებში, ზოგიერთ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველო და ქართველები (ჯურზან, ჯურზ) ხაზარეთის და ხაზარების სახელით იხსენიება. ამ დროს, ზოგჯერ, კორექტურული შეცდომაა სავარაუდო [31, 124-125], მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც ახსნას მოითხოვს. ამ წყაროებში საკმაოდ ხშირად ხაზართა ქვეყანა და მასზე დამოკიდებული ტერიტორიები ბიზანტიას ესაზღვრება, მაგრამ მიჯნები ზოგჯერ ზუსტად არის მითითებული, ზოგჯერ კი — არა.

იბნ ხორდადბეჰი (IX ს.), რომელიც ჩვენამდე მოღწეული პირველი არაბული გეოგრაფიული თხზულების ავტორად ითვლება, რამდენიმე საყურადღებო ცნობას გვაწვდის. მისი ერთ-ერთი მონაცემით, სამყარო 4 ნაწილად იყოფა. პირველია არიფა (ევროპა), მეორე — ლუბია (ლიბია), მესამე — ითიუპა (ეთიოპია), მეოთხე — ასკუთია (სკვითია). ეს უკანასკნელი მოიცავს არმინიას, ხორასანს, თურქთა და ხაზართა მიწებს. იგივე ავტორი გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთ ცნობას: „არანის, ჯურზანის (ქართლის — გ.ა.) და სისაჯანის მიდამოები ხაზართა სამეფოში მდებარეობს; დაბილის, ნაშავას, სირაჯის ბაღრევანდის, ხილათის და ბაჯუნაისის მიდამოები — რუმთა სახელმწიფოში“ [32,118-119].

ალ-ბალაზურის (IX ს.) ცნობით, „ჯურზანი და არანი ხაზართა ხელში იყო, დანარჩენი არმინია კი — რუმების (ე.ი. ბიზანტიელთა) გამგებელ არმენიაკოსის მმართველობის ქვეშ". ამავე ავტორთან, ამ გაურკვეველი საკითხის გასაშუქებლად, ზოგიერთი დამატებითი ინფორმაციაც არის მოტანილი. „არმინია სპარსელების ხელში რჩებოდა ისლამის გამოჩენამდე. ამაზე ადრე მრავალმა სიასიჯიტმა დატოვა ქალაქები და ციხეები და ისინი ნანგრევებად იქცნენ. ხაზარებმა და ბიზანტიელებმა დაიპყრეს ის, რაც ადრე მათ ხელში იყო" [33, 5]. სავარაუდოა, რომ ხაზარები და ბიზანტიელები აღნიშნულ ტერიტორიას ხოსრო ანუშირვანის (531-579) შემდეგ დაეუფლნენ, ვინაიდან, სიასიჯიტები სწორედ ხოსრო ანუშირვანმა დაასახლა შაბარანში, მასკატში, ბაბ ალ-აბვაბში, ალ-ვაისის, ალ-ქალბის, ას-საჰიუნისა [34, 18] და სხვა ციხეებში.

იბნ ალ-ასირიც იმეორებს, რომ არმინია და აზერბაიჯანი, (არაბებამდე) ნაწილობრივ ეკუთვნოდა რუმებს, ნაწილობრივ — ხაზარებს [35, 3]. აქ ტერიტორია დაზუსტებული არ არის. იაკუთი იმეორებს ამ ცნობას: „სპარსულ წიგნებში წერია, რომ ჯურზანი და არანი ხაზართა ხელთ იყო, არმინიის დანარჩენი ნაწილი კი — რუმების ხელთ. განაგებდა მას მისი მფლობელი არმენიაკოსი" [36, 13].

ჩნდება კითხვა: ხომ არ ასახავს არაბული წყაროების ცნობა იმ ვითარებასაც, რომელიც ჰერაკლეს ლაშქრობის შედეგად შეიქმნა?

დავუბრუნდეთ ურთიერთობას დაპირისპირებულ მხარეებს შორის. 591 და 628 წწ. ირან-ბიზანტიის საზავო ხელშეკრულებების თანახმად, ირანმა ბიზანტიას ქართლის ნაწილი დაუთმო თბილისამდე, ხოლო ქართლის დანარჩენი ტერიტორია მისი გავლენის სფეროში რჩებოდა [37,104-152; 38; 39, 49].

აღნიშნულ ვითარებას „ქართლის ცხოვრებაც" ადასტურებს: „მაშინ კუალად ნარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: „სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი. და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, სხუა ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემან მთავრობით, და მეფობისა სახელი ვერცა მან იკადრა. და ერისთავნი იგი თვისთვისსა საერისთავოსა შინა მკვიდრობდეს შეუცვალებელად, და მორჩილებდეს ადარნასე მთავარსა" [43, 190]. როგორც ვხედავთ, ქართლის ორი ნაწილი

აშკარად არათანაბარ მდგომარეობაშია, რომელთაგანაც ერთ-ერთი, ფაქტობრივად, დამოუკიდებელია.

როგორც ცნობილია, 628 წელს ჰერაკლე თბილისის დაპყრობაში არ მონაწილეობდა. თბილისი დაიპყრეს ხაზარებმა, რომლებმაც აქედან მდიდარი ნადავლი გაიტანეს [40,121] და, სავარაუდოა, რაღაც პირობებზე შეუთანხმდნენ ქართლის გამგებელს. ეს უკანასკნელი ამ პირობებს არ ასრულებდა. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ხაზარები აქ, ისევე როგორც ალბანეთსა და სომხეთში, მოგვიანებით კვლავ შემოდიან (არ არის გამორიცხული, ადგილობრივი გამგებლის მხარდასაჭერადაც, რომელიმე პროირანული ძალის წინააღმდეგ), მაგრამ, მათ სახელმწიფოში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, იძულებულნი ხდებიან სწრაფად დატოვონ ამიერკავკასიის ტერიტორია [13, 93; 14, 86]. მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, „კავადის შვილის არტაშირის მეორე წელს, ვიდრე ის ჯერ კიდევ თავისი სურვილით განაგებდა, ჩრდილოეთის იშხანი (იგულისხმება ხაკანი) მოძალადეობით ძლიერდებოდა მთელს თავის საბრძანებელში, ძრწოლასა და შიშსა ჰგვრიდა ქვეყანას. მან მოხელეები დაგზავნა სხვადასხვა სახის ხელოსნებთან, რომლებსაც ოქროს მოპოვების, ვერცხლის გამოდნობის, რკინის საბადოებისა და სპილენძის წარმოების ცოდნა ჰქონდათ. აგრეთვე ვაჭრებსა და დიდ მდინარეებზე, მტკვარსა და ერასხზე, თევზმჭერებს გზებზე მებაჟენი დაუყენა. ყველაფერს მოითხოვდა მათგან ზუსტად... სპარსეთის სამეფოს ჩვეულებრივი აღწერის შესაბამისად“ [14, 85]. ამასთანავე, „გადაწყვიტა, ზაფხულში სომეხთა ქვეყანას დასხმოდა თავს და მასთან ერთად დაემორჩილებინა მისი მოსაზღვრენი. თავისი ჯარიდან ამოარჩია სამი ათასი ძლიერი კაცი, მათ მოთავედ დაუყენა ჩორპან თარხანად წოდებული სისხლიმღვრელი და გაბედული (მებრძოლი)“. აქვე იხსენიება მათი კიდევ ერთი მეთაური – ჰონაჰნი, მხდართა რაზმის მეთაური, „უფალმა უდიდესი რამ გააკეთა ჩვენთვის, მაგრამ ვერ დავაფასეთ. გაეშურნენ სამივე ქვეყნის – სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა გასასვლელებისაკენ, მაგრამ ძლეულ იქნენ“ [14, 87].

შემდგომი მოვლენების შესახებაც მეცნიერთა აზრი განსხვავებულია. მაგალითად, ზ. ბუნიატოვი არ ეთანხმება მ. არტამონოვს, რომ 630 წელს დასრულდა ხაზართა სამწლიანი

ბატონობა არრანში. მისი ვარაუდით, მათ მხოლოდ უკან დაიხიეს ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში. თუმცა, ამ საკითხზე მსჯელობა, ამჟამად, ჩვენი მიზანი არ არის [41, 53].

ამგვარად, არსებითი სხვაობა ქართლისა და ალბანეთის მდგომარეობაში არ ჩანს. კონტრარგუმენტად, ვფიქრობთ, არ გამოდგება ის ფაქტი, რომ ბიზანტიის იმპერატორი აღნიშნულ ტერიტორიებს, თუნდაც, რელიგიური ნიშნით განასხვავებდა, იმის გათვალისწინებით, რომ ქართლი დიოფიზიტური, ხოლო ალბანეთი მონოფიზიტური იყო. საკმარისია გავიხსენოთ ამ პრაგმატიკოსი პოლიტიკოსის რელიგიური მოღვაწეობა. მის მიერ დამკვიდრებული მონოთელიტობა, მართალია, იმთავითვე დაგმობილ იქნა, მაგრამ ის სწორედ დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების შერიგებას ისახავდა მიზნად [42, 917]. საბუთად არ გამოდგება არც ადგილობრივი გამგებლების დანიშვნა და მათთვის ტიტულების მინიჭება, ვინაიდან, ქართლსა და ალბანეთს შორის არც ამ თვალსაზრისით შეინიშნება დიდი სხვაობა.

თბილისის დაპყრობის წინ, ბიზანტიელებსა და თურქებს შორის შეთანხმების შესახებ ცნობების მოტანისას, მოვსეს კალანკატუაცი აღნიშნავს, რომ თურქებს ეძლეოდათ უფლება, ეძარცვათ „ირანის კუთვნილი მთელი ტერიტორია“ [13, 81; 14,72], რაც, როგორც აღვნიშნეთ, ქართლის დიდ ნაწილსაც მოიცავდა. ეს მათ, სხვათა შორის, განახორციელეს კიდეც.

ზავის პირობების მიუხედავად, ირანში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, ეს უკანასკნელი ქართლს ვეღარ აკონტროლებდა და ქვეყანა ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა, თუმცა მას გარკვეული ურთიერთობები ჰქონდა ბიზანტიასთან [13, 97; 14, 91].

ამგვარად, ჰერაკლე კეისარზე ქართული ზეპირი და წერილობითი წყაროების ცნობათა წინააღმდეგობაში და ზოგჯერ სასურველის სინამდვილედ მიჩნევაში ვლინდება საქართველოს ისტორიაში მუდამ აქტუალური პოლიტიკური ორიენტაციის სირთულე და, ერთი მხრივ, ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ და, მეორე მხრივ, ქრისტიანული სამყაროსადმი თავის მიკუთვნება, რაც ხშირად გადარჩენის მნიშვნელოვანი პირობა იყო.

წარმოდგენილი კვლევის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ და გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდები:

1. ჰერაკლესა და თურქების შეთანხმების ერთ-ერთი პირობით, თურქებს ალბანეთთან ერთად, ქართლის ის ნაწილიც ეძლეოდათ, რომელიც 591, 628 წწ. ირან-ბიზანტიის საზავო ხელშეკრულებით ირანის კონტროლის ქვეშ ექცეოდა;
2. ბიზანტიის კეისრის ჰერაკლეს ყოფნა ქართლში ეჭვს არ იწვევს, მაგრამ არ არის დამაჯერებელი წყაროებში შემორჩენილი ცნობები ქართლში ჰერაკლეს რამდენიმეჯერ შემოსვლის შესახებ;
3. ახსნილია ქართულ ისტორიულ მეხსიერებაში ჰერაკლეს ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პორტრეტის არსებობის მიზეზები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. თბილისი უძველესი დროიდან მე-18 ს-ის ბოლომდე. 1990.
2. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. — *თხზულებანი*, I, თბ.,1978.
3. ა. ბოგვერაძე. *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მე-4-8 სს.* თბ., 1981.
4. А. Богверадзе. Раннефеодальные грузинские государства в 6-8 вв. Очерки истории Грузии, 2, Тб.1979.
5. Н. Ю. Ломоури. Иранские походы императора Ираклия и Грузия. — Сб. Византийские очерки. М., 1991.
6. ვ. გოილაძე. *აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო.* თბ., 1977.
7. C. Toumanoff. Armenia and Georgia. - The Cambridge Medieval History. vol.4, Cambridge, 1966.
8. დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან მე-10 ს-ის დასასრულამდე. თბ., 1889.
9. Grand Larousse, 5, Paris, 1973.
10. П. Иоселиани. Описание древностей города Тифлиса. Тифлис, 1866.

11. Краткая история Грузинской церкви, составленная Платоном Иоселиани. Изд. второе С-П., 1843.

12. История Азербайджана в 3-х частях, Баку, 1957.

13. Мовсэс Каланкатуаци. История страны Алуанк. Перевод, с древнеармянского, предисловие и комментарий. М. В. Смбатяна. Ереван, 1984.

14. მოვსეს კალანკატუაცი. *ალვანთა ქვეყნის ისტორია.* ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, 1985.

15. В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда 10-11 вв., М., 1963.

16. М. И. Артамонов. История хазар. Л., 1962.

17. Н. В. Пигулевская. Византия и Иран на рубеже 6-го и 7-го веков. М-Л., 1946.

18. Г.Финлей. Греция под Римским владычеством со времени завоевания римлянами до падения их на Востоке. М., 1877.

19. დავით და კონსტანტინეს წამება. — *ქართული პროზა*, I, თბ., 1982.

20. კირიონ საძაგლიშვილი. სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნეობასა და კეთილზნეობაზედ. თხრობა ერთ იმ ლურსმანზე, რომლითაც მიჭედილი იყო ჯვარზე იესო ქრისტე. — *მწყემსი*, 1892, 1-3.

21. ნ.ვაჩნაძე. *სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი* (მე-5-10 სს.). თბ.,1998.

22. მ. თამარაშვილი. *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე.* რედ. გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ.ალექსიძემ და ჯ.ოდიშელმა. თბ., 1995.

23. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - *ქართლის ცხოვრება*, 4, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.,1973.

24. М. Джанашвили. Грузинские обители вне Грузии. Тифлис, 1899.

25. გრ. ფერაძე. *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ.* გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გ.ჯაფარიძემ,. თბ., 1995.

26. Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства. — Записки общества любителей Кавказской археологии, кн. I (ред.А.Берже). Тифлис, 1875.

27. Описание древностей города Тифлиса. Сочинение П.Иоселиани, Тифлис, 1866.

28. Антиох Стратиг. Пленение Иерусалима персами. в 614 г.Исследовал, издал, перевел и арабские извлечения приложил Н.Марр, С-П., 1909.

29. Н.Я. Манандян. Маршруты персидских походов императора Ираклия. — Византийский временник, 3. М.-Л., 1950.

30. М. Джанашвили. Осада Константинополя скифами, кои суть русские, поход императора Ираклия в Персию. — Сборник материалов по описанию племен и местностей Кавказа (СМОПМК) 27, Тифлис, 1900.

31. გ. ჯაფარიძე. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. — კრ. *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია.* თბ., 1993.

32. Н.А.Караулов. Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане. - СМОМПК, 32, Тифлис, 1903.

33. Баладзори. Книга завоевания стран. Текст и перевод с арабского. П.К. Жузе. Баку, 1927.

34. ბ. სილაგაძე. *არაბთა ბატონობა საქართველოში.* თბ., 1991.

35. Материалы по истории Азербайджана из Тарих ал-Камиль (полного свода истории) Ибн-ал-Асира. Пер. П.К. Жузе. Баку, 1940.

36. ია კუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ, თბ., 1964.

37. ს. ყაუხჩიშვილი. *ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან.* პირველი წიგნი, მე-4-7 სს. თბ., 1948.

38. А. Грантовский. Ирано-византийские войны 6-7 вв. — Советская историческая энциклопедия, 6, М.,1966.

39. История императора Ираклия, соч.Себеоса, СПб., 1862.

40. D.M. Dunlop. The History of Jewish Khazars. Princeton, New Jersey, 1954.

41. З. М. Буниятов. Азербайджан в 7-9 вв. Баку, 1965.
42. The Oxford Dictionary. Edited by F. L. Cross. London, 1958.
43. ქართლისცხოვრება(„ძველიქართლისცხოვრება"),გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა, თბ., 1996.
44. „ქართლის ცხოვრება". ძველი სომხური თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1953.
45. მოქცევაჲ ქართლისაჲ. – *ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები*, I, თბ., 1963.

ქართველების და ბიზანტია-ხაზარების ურთიერთობა „აფხაზთა სამეფოს“ შექმნის წლებში (ლეონი)

ქართულ ისტორიოგრაფიაში „აფხაზეთის სამეფოს“ შემქმნელად მიჩნეულია ლეონ II, რომელიც იდენტიფიცირებულია „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის მონაკვეთში — „მატიანე ქართლისაჲსა“ და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების იმავე მონაკვეთში მოხსენიებულ ლეონთან. ძველი ქართული ქრონიკა გადმოგვცემს: „რაჟამს მიუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკჳდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულისწული იყო ხაზართა მეფისა და ძალითი მათითა გაადგა ბერძენთა, და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი, ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ. და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა [1, 205].

ცოტა მოგვიანებით, ლეონი „მატიანეში“ კიდევ ერთხელ იხსენიება: „მას ჟამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რომელი იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა“ [1, 206], „მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსისა და დემეტრესი, ძე ლეონისა“ [1, 208].

„ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში ეს ცნობა გარკვეული სხვაობით არის წარმოდგენილი. აქ, მაგალითად, არაფერია ნათქვამი ლეონის ბიძაზე, ლეონ ერისთავზე, ხოლო აფხაზთა მეფე ლეონი იხსენიება, როგორც „ვინმე ლეონი, ხაზართა მეფის ასულის შვილი“.

„შემდეგ მოვიდა ხოსროდისი, რომელიც სომხეთის ოსტიკანი იყო, და ააშენა ტფილისი, დანგრეული ხაზართაგან. ხოლო ვინმე ლეონმა, ხაზართა მეფის ასულის შვილმა, დაიდგა გვირგვინი და ეჭირა აფხაზეთი და ეგრისი ლიხამდის. გარდაიცვალნენ არჩილის შვილები — ივანე და ჯუანშერი და დაიკავა მათი ადგილი აშოტ კურაპალატმა. განადიდა ის კეისარმა, მოუძლურდნენ აგარიანელები, ხოლო ლეონის სიკვდილის შემდეგ დაიკავა მისი ადგილი მისმა შვილმა თეოდოსიმ“ [2, 213].

იგივე ცნობა ვახუშტისაც „მატიანესთან“ შედარებით, ერთგვარი სხვაობებით აქვს წარმოდგენილი: „რამეთუ მოუძლურებულ იყვნენ ბერძენნიცა აგარიანთაგან, ვინაითგან მიუღეს ზღ;ის-გარეთი. მაშინ ძმისწულმან ლეონ აფხაზთა ერისთავისამან მეორემან ლეონ დაიპყრა სრულიად ეგრისი და იწოდა მეფედ აფხაზთა, ვინაითგან მოკუდა იოანე ერისთავი ქ~სა ღ~პვ, ქართულსა ვ~ და ჯუანშერცა დაბერებულ იყო და მოკუდა იგიცა ქ~სა ღ~პზ, ქართულსა ზ~“ [3, 127]. ვახუშტი ორგან იმეორებს ამ ცნობას. მეორე შემთხვევაში ცნობა შესულია თავში „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“ [3, 742]. ავტორი გვაძლევს ქვეყნის დასახელებებს — „ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი“ და განმარტავს მიზეზებს, თუ რატომ ეწოდა ამ მხარეს ეს სახელები — „...ხოლო აფხაზეთი — ლევანის გამო, რომელი, შემდგომად პირველის ლეონისა მეორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს ქრისტესსა ღ~პე, ქართულსა ე~ [3, 742]. ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თ;ესსა, და მოიღო საერისთოს თ;ესისასა სახელი ეგრისსა ზედა“ [3, 742].

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბაგრატიონი, „მატიანისაგან“ განსხვავებით, რომელიც არ იძლევა ქრონოლოგიას, გვთავაზობს აფხაზეთის განდგომის ზუსტ თარიღს — 786 წ. ამასთან, აზუსტებს, თუ ვისი ძმისწული იყო აფხაზეთის იმდროინდელი ერისთავი ლეონი. მისი აზრით, იგი იყო „ძმისწული ლეონ აფხაზთა ერისთავისა“. ე.ი. თუ „მატიანე ქართლისა“ აფხაზთა ერისთავად იხსენიებს თვით ლეონს, ხოლო მის ბიძას — მხოლოდ როგორც ლეონ ერისთავს, კუთხის მითითების გარეშე, ვახუშტი პირიქით იქცევა, ძმისწულს

იხსენიებს როგორც „მეორე ლეონს", ხოლო ბიძამისს — როგორც „ლეონ, აფხაზთა ერისთავს".

ვფიქრობთ, სწორედ აქ იქნა დაშვებული ის უზუსტობა, რომელიც დღემდე შემორჩა ქართულ ისტორიოგრაფიას. დამკვიდრებული თვალსაზრისით, VIII საუკუნეში აფხაზეთში ორი ლეონი იყო — ლეონ I და ლეონ II. თუმცა, გამოთქმულია განსხვავებული ვარაუდებიც.

მ. ბროსემ „მატიანე ქართლისაჲს" ფრანგულ თარგმანში ქართული წყაროს სიტყვები „რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი" მიანერა ბიძას — "Leon eristaw d'Aphkhazie, fils du frere de Leon a qui l' eristhawat hereditaire de cette contree avait ete confere precedemment se detacha, d'eux" [4, 259]. ასევე გაიგეს ეს ადგილი სხვა მკვლევრებმაც. კ. თუმანოვი ერთგან შენიშნავს, რომ ლეონ II-ის ბიძა ლეონ I, „აფხაზეთის ერისთავად" ("Duce of Aphkhazia") იწოდებოდა, მეორე შემთხვევაში იგი ასე თარგმნის „მატიანეს" ცნობას: "the Duke of Aphkhazia, whose name was Leo, to whom Aphkhazia had been given hereditary... The second Leo was the son of a daughter of the king of the Khazars and with their aid he revolted against the Byzantines..." [5, 75].

ს. ჯაშანია აფხაზეთის სამეფოს შექმნის საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო ადგილს ასე თარგმნის: "Когда ослабели греки" "отложился от них эристави абхазов по имени Леон, племянник (сын брата) эриставa Леона, которому была дана Абхазия в наследство. Этот второй Леон был сын дочери царя хазар и, воспользовавшись их силою, отложился от греков, завладел он Абхазией и Эгриси до Лихи, назвался царем абхазов, ибо был мертв эристави Иоанн и стар Джуаншер" [6, 325]. ზ. ანჩაბაძე ამნაირადვე თარგმნის აღნიშნულ ნაწყვეტს (გვ. 95) — "Когда ослабели греки, отложился от них эристав абхазов, по имени Леон, племянник (сын брата) эриставa Леона, которому была дана в наследственное владение Абхазия. Этот второй Леон был внуком (сыном дочери) хазарского царя, и, воспользовавшись силою их, отложился от греков, завладел Абхазией и Эгриси до Лихи, принял имя царя абхазов" [7, 95]. პ. გოლდენი მიიჩნევს, რომ აფხაზეთი მემკვიდრეობით მფლობელობაში მიეცა ლეონ ერისთავის

ბიძას — ლეონს: "But at the time when the Greeks (Berdzenni) became weak, the eristavi of the Ap'xaz broke away from them. His name was Leon, the nephew of the eristavi Leon, to whom Ap'xazet'i was given hereditary. This second Leon was the grandson of the king of the Khazars and with their aid he broke away from the Greeks and conquered Ap'xazet'i and Egrisi ..." [8, 63].

ე. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ „აფხაზ მეფეთა დივანში", ჩვენთვის საინტერესო წლებში, მხოლოდ ერთი ლეონი იხსენიება, რომელიც, წყაროს ცნობით, 45 წელი მართავდა ᲥᲔᲧᲐᲜᲐᲡ. ე. თაყაიშვილმა აფხაზ მეფეთა მითითებული წლების უკან გადათვლით აფხაზ მეფეთა გენეალოგია შესაბამისი წლების მითითებით შემოგვთავაზა, სადაც VIII ს-ში მოხსენიებულია ერთი ლეონი (746-791). თუმცა, იქვე მისივე განსხვავებული კომენტარი სრულიად ეწინააღმდეგება ამ ცხრილს: „ლეონ I-ს დამკვიდრებული ჰქონდა კეისრისაგან საერისთაოდ აფხაზეთი კლისურიდან დიდის ხაზარეთის მდინარემდე. ამ ლეონის ძმისწულმან, ლეონ მეორემ, დაიხმარა ხაზარები, უკუ-უდგა ბერძნებს ანუ ბიზანტიელებს, დაიჭირა მთელი ეგრისი ლიხის მთამდე და თავის თავი გამოაცხადა მეფედ აფხაზთა 786 წელს" [9, 53-54].

ივ. ჯავახიშვილმა გაიზიარა ე. თაყაიშვილის შემოთავაზებული დათარიღება ლეონის მეფობისა — 746-791 წწ. არავითარი სხვა ლეონი იმ წლებში, ერთის გარდა, არ უხსენებია, ვინაიდან, როგორც ჩანს, მისი აზრით, VIII ს-ში აფხაზეთში მხოლოდ ერთი ლეონი იყო [10, 93].

აფხაზთა სამეფოს შექმნის საკითხს შეეხო ს. ჯანაშია, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა. მკვლევარმა დეტალურად გააანალიზა წყაროები, სადაც იხსენიება ლეონი. ისიც აღნიშნა, რომ „აფხაზ მეფეთა დივანი არ არის სრული და ზუსტი. მისი აზრით, ვახუშტის ინფორმაცია მთლიანად „მატიანე ქართლისაᲐზეა" დამყარებული, ხოლო განსხვავებული ცნობები — მის მიერ გამოგონილი. მკვლევარი იმთავითვე იხრება ვახუშტის თარიღისაკენ აფხაზეთის სამეფოს შექმნის შესახებ — 786 წ. და სწორედ ამ თარიღს მიიჩნევს შედარებით სანდოდ. ამასთან, მას მიუღებლად მიაჩნია ლეონის მმართველობის ის დათარიღება,

რასაც ე. თაყაიშვილი ვარაუდობდა — 746-791 წწ. და, როგორც აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილმაც გაიზიარა. ს. ჯანაშია დეტალურად მიმოიხილავს VIII საუკუნის ვითარებას, ბიზანტიელების, არაბებისა და ხაზარების ურთიერთობებს, რის შემდეგაც ვარაუდობს, რომ ბიზანტიის კეისარი ლეონ „ხაზარი" და აფხაზეთის სამეფოს შემქმნელი ლეონი ბიძაშვილები იყვნენ, ხოლო მათი დედები — დები, ხაზართა ხაკანის შვილები. „მართალია, ლეონის სახელს ძველი ქართველი ისტორიკოსი აკუთვნებს აფხაზთა სამეფო დინასტების დამფუძნებლებსაც". თუმცა, იმ ლეონ I-ის ისტორიულობა ს. ჯანაშიასთვის ეჭვქვეშ დგას, რისთვისაც არგუმენტად მოაქვს „აფხაზ მეფეთა დივანი", რომელიც მხოლოდ ერთ ლეონს იცნობს. ს. ჯანაშიას აზრით, ეს ლეონი შეესაბამება ლეონ II-ს. მკვლევარი აფხაზთა სამეფოს შექმნას 797 წლის შემდგომი დროით (797-802 წწ.) ათარიღებს [6,323-341], რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა მკვლევრებმაც (დ. მუსხელიშვილი, მ. ბირო [11, 140; 12, 256 და სხვ.] გაიზიარეს. ს. ჯანაშიას ეჭვი ორი ლეონის არსებობის შესახებ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რასაც ქვემოთ შევეხებით, არ იქნა გაზიარებული.

დეტალურად აფხაზთა სამეფოს საკითხებს შეეხო პ. ინგოროყვა ნაშრომში „გიორგი მერჩულე" (1954). მის მიერ შემოთავაზებულ აფხაზ მეფეთა, ლაზეთის მთავართა (პატრიკიოსთა), დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის მეფეთა") გენეალოგიურ ცხრილში VIII ს-ში ლეონ I-ც არის და ლეონ II-ც:

ლეონ I
თეოდოსი I - (730-740)
კონსტანტი II
ლეონ II (753-798)
მეფის წოდება მიიღო 786-798 წლებში.

„მე-8 ს-ის ოციან-ოცდაათიან წლებში დასავლეთ საქართველოში გაიშალა ფართო მოძრაობა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ. არაბთა საწინააღმდეგო ამ მოძრაობას ორგანიზებული სახე მისცა და სათავეში ჩაუდგა ლაზეთის მთავარი ლეონ I. ლეონ I მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა მე-8 ს-ის საქართველოს ისტორიაში. ლეონ პირველმა, როგორც არაბთა საწინააღმდეგო

მოძრაობის ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, დიდი ღვაწლი დასდო თავის ქვეყანას... ლეონ I, მას შემდეგ, რაც იგი შესდგომია არაბთა საწინააღმდეგო ბრძოლას, გასცლია შიდა-ეგრისს, სადაც მკვიდრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული არაბებს, გადასულა ლაზეთის ქვეყნების ჩრდილოეთ სანაპიროზე — აფხაზეთში და იქ გამაგრებულა... ლეონ I-ს გაუთავისუფლებია არაბებისაგან აფხაზეთის მხარეები, როგორც, საკუთრივ, აფხაზეთი, ისე - აბსილეთი, მისიმიანეთი, სანიგეთ-ჯიქეთი... პოლიტიკური კავშირი დაუმყარებია ბიზანტიასთან და უცვნია ბიზანტიის კეისრის სიუზერენიტეტი. ამავე დროს, თვით ბიზანტიასაც გარკვეული ვალდებულებანი აუღია და, კერძოდ, ლეონ I-ის დინასტია უცვნია მემკვიდრეობით მფლობელებად არაბებისაგან განთავისუფლებული აფხაზეთის მხარეებისა — კეისრის ერისთავის — არქონტის ტიტულით... ლეონ I-თან ურთიერთობაში შესულან და კავშირი გაუბამთ ანტიარაბული ფრონტის მეთაურებს იბერიაში (ქართლში), იბერიის მთავრებს, მირსა და არჩილს" [13, 197-198]. პ. ინგოროყვას აზრით, დასავლეთ საქართველო „ბიზანტიის ოპეკისაგან" გაათავისუფლა ლეონ II-მ, რომელმაც „აფხაზეთის" მფლობელის ხარისხი მე-8 საუკუნის 50-იან წლებში („მეფეთა დივანის" ტექსტის მიხედვით — 753 წ.) მიიღო და მისი მართვა გაგრძელდა 798 წლამდე. „მთავრის" ტიტულის მიღება ლეონ II-ის მიერ მე-8 ს. 80-იან წლებზე ადრე მომხდარა. იოანე საბანისძის თხზულებაში, რომელიც ეხება დასავლეთ საქართველოს 781-782 წლებში, ლეონ II უკვე „მთავრის" ტიტულით მოიხსენიება... ლეონ II-ის დროს მომხდარა შემოერთება დასავლეთ საქართველოსთან" [13, 202]. მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს ტერიტორია „ტრაპიზონის მხარესაც" მოიცავდა და ლეონს დაუმყარებია კავშირი ხაზარებთანაც.

პ. ინგოროყვას მსჯელობიდან „აფხაზთა სამეფოს" შესახებ ბევრი რამ მიუღებელი აღმოჩნდა ზ. ანჩაბაძისათვის, მაშინ, როდესაც ს. ჯანაშიას იგი ხშირად ეთანხმება. ამასთან, ზ.ანჩაბაძე VIII ს-ში ტოვებს ორ ლეონს. მისი აზრით, „არაბთა განდევნის შემდეგ აფხაზთა მფლობელის ტერიტორია („აფხაზთა საერისთავო") მოიცავდა მნიშვნელოვან რეგიონს მდ. კელასურიდან სამხრეთით, ნეჩეპსუხომდე, ჩრდილოეთით. ამ საზღვრებში

დაამტკიცა ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ ისავრიელმა (717-741) ლეონ I" [7, 60]. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ლეონ I ფლობდა ციხე-სიმაგრე სობღისს: „ქართლის ცხოვრების" შესაბამის მონაკვეთში, ჯუანშერის ნაშრომის ცნობაზე დაყრდნობით, „ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობღისისა". იქვე განმარტავს, რომ ქართული წყაროები იმიტომ იხსენიებენ ლეონ კეისარს, როგორც კეისრის ერისთავს, რომ აფხაზეთი დამოკიდებული იყო ბიზანტიაზე [7, 87]. შემდეგ ზ. ანჩაბაძე ეხება „აფხაზ მეფეთა დივანს" და აღნიშნავს, რომ აფხაზ გამგებელთა იქ მოცემული სია არ არის სრული და საბუთად მოაქვს ის გარემოება, რომ იქ, მისი აზრით, გამოტოვებულია ლეონი, რომელიც იყო ლენ II-ის ბიძა.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, VIII ს-ში აფხაზეთში ორი ლეონი იყო — ლეონ I და ლეონ II. „ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა წარმოდგენით, ბერძენთა დახმარებით „აფხაზეთი" (ეგრისის მემკვიდრეობის დასავლეთი ნაწილი) ქართლს დაუპირისპირდა. „ქართლი" ეგრისის დანარჩენ ნაწილს მოიცავდა. ეს „აფხაზეთი" ხან ეგრის-წყალს ქუემო კერძო იყო, ხან შიდა ეგრისსაც მოიცავდა, ხან კლისურამდე აღწევდა მხოლოდ. ბოლოს ბერძენთა მხარის დაჭერით „აფხაზეთი" მთელ ეგრისს გადმოსწვდა (ეს ჯერ კიდევ, საფიქრებელია, ლეონ პირველის დროს) და ამრიგად, წარმოიქმნა ქვეყანა აფხაზეთი (ჯერ ლეონ I-ის დროს სკანდა-შორაპნამდე, ხოლო ლეონ II -ის დროიდან ლიხის მთამდე) [14, 269]. კონტექსტში „ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა და მოადგა ციხესა ანაკოფისასა, მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი, მირ და არჩილ, და ერისთავი კეისრისა შესრულ იყო ციხესა შინა სობღისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა" [14, 577]. მკვლევარს „ერისთავი კეისრისა ლეონ" ესმის როგორც აფხაზთა ერისთავი, რომელიც „შემდგომ აგრე განდიდებული, დამოწმებულია საბანის ძით. ხოლო მისი განდიდება ბერძენთა მეფის მიერ ამ ეპიზოდში არის დამოწმებული".

დ. მუსხელიშვილი კვლავ ლეონ II-ზე საუბრობს. „დაახლოებით 778 წ. აფხაზი მთავრობის ინიციატივით გაერთიანდა აფხაზეთის და ეგრისის სამთავროები, ხოლო 797-802 წწ. ეს ახალი პოლიტიკური ერთეული თავისუფლდება ბიზანტიის ვასალური

დამოკიდებულებისგან და „აფხაზთა სამეფოდ" ყალიბდება. ამ სამეფოს შემქმნელმა, ლეონ II-მ, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მთელი რიგი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული რეფორმები ჩაატარა [11, 140].

მ. არტამონოვი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში, ხაზარებთან დაკავშირებულ მონაკვეთში, მ. ბროსეს გამოცემულ ფრანგულ „ქართლის ცხოვრებას" იმოწმებს და ლევ II-ს იხსენიებს [15, 248].

კ. თუმანოვსაც დასაშვებად მიაჩნია ორი ლეონის არსებობა 736-766/7 და 766/7-810/11 წლებში [5, 82].

ასევე ორი ლეონია ყველა შედარებით ახალ გამოცემაშიც (მაგ. ნ. ასათიანი, მ. სანაძე, თ. ბერაძე), მათ შორის, ივ. ჯავახიშვილის თხზულებების მეორე ტომის საძიებელშიც, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ივ. ჯავახიშვილი თავის გამოკვლევაში მხოლოდ ერთ ლეონზე საუბრობს [16, 129-130; 17, 100; 10, 460].

არის განსხვავებული თვალსაზრისიც. მ. ლორთქიფანიძემ ადრე გაიზიარა მოსაზრება VIII ს-ში ორი ლეონის არსებობის შესახებ (ლეონ I — VIII ს. 40-იანი წლებიდან 758 წლამდე; ლეონ II — 758-798 წწ.), მაგრამ, მოგვიანებით, აფხაზთა სამეფოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ, მხოლოდ ერთი ლეონი ივარაუდა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ლეონი, რომელიც VIII ს. 40-იანი წლებისათვის დასავლეთ საქართველოში ანტიარაბულ ფრონტს ხელმძღვანელობს, VIII ს. 80-იანი წლებისათვის აერთიანებს მთელ დასავლეთ საქართველოს, ხოლო VIII ს. დასასრულს თავისუფლდება ბიზანტიის ვასალური დამოკიდებულებისაგან და იღებს მეფის ტიტულს [18, 417; 19, 281].

შესაბამისი წყაროებისა და ვითარების გათვალისწინებით, ჩვენც მიგვაჩნია, რომ VIII ს-ში მხოლოდ ერთი ლეონი იყო, რომელიც თავდაპირველად აღიარეს როგორც აფხაზეთის ერისთავი. მოგვიანებით, მან ისარგებლა შიდა ვითარებით, ბიზანტიაში არსებული სირთულეებით და ხაზართა ხაკანის ძალაზე დაყრდნობით მოახერხა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, განუდგა იმპერიას, დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მეფის ტიტული მიიღო.

„ქართლის ცხოვრებაში“ ლეონი „მატიანემდეც“, ჯერ კიდევ ჯუანშერთან იხსენიება. ამ უკანასკნელთან ლეონი რამდენჯერმე გვხვდება. პირველად ეს სახელი იხსენიება მარვან იბნ მუჰამადის შემოჭრასთან დაკავშირებით, როდესაც დამპყრობელი ანაკოფიას მიადგება, იქ იმყოფებიან „მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ“ და იქვე დასახელებულია „ერისთავი კეისრისა ლეონ“, რომელიც „შესრულ იყო ციხესა შინა სობღისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა“ [1, 193]. შემდეგ ჯუანშერთან ნათქვამია, რომ „იქმნა მას ჟამსა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა.. და წარავლინეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა მირ და არჩილ და ლეონ, ერისთავმან აფხაზეთისამან ... ხოლო მან წარმოსცა ორი გვირგჳნი და გუჯარი მირსა და არჩილს“... ხოლო ლეონს მისწერა: „შენდა მიბრძანებიეს ერისთავობა აფხაზეთისა, შენ და შვილთა შენთა, და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე. არამედ კეთილად პატივ-სცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა და ამიერითგან ნულარამცა ჰელგენიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანდით“. მომაკვდავი მირი მიმართავს არჩილს: „რათგან მოიყვანნიან მამათა ჩუენთა ცოლნი ასულნი ერისთავთა ჩუენთანი, მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია. ხოლო კლარჯეთი და შუამთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყვნენ ჟამთა ამათ ბოროტთა“... [1, 196] „ხოლო არჩილ მოუწოდა ლეონს და რქუა“... „წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს. აწ ითხოვე თავისა შენისათჳს რა გნებავს ჩემგან“... „ლეონ რქუა: მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკჳდრობით კეთილად სიმჴნითა თქუენითა, ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის... არა მინდა ნანილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს“. მაშინ მისცა ლეონს ცოლად ძმისწული მისი გუარანდუხტ და გჳრგჳნი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთვს... წარმოვიდა არჩილ და დაემკვდრა ეგრისს ვიდრე შორაპანადმდე... და წარჴდა

ამათ შინა ნელიწადი თორმეტი, და იწყო შენებად ქართლმან. ხოლო განრყუნილ იყო საყოფელად მცხეთა“ [1, 196-198].

არც ერთი ეს ნაწყვეტი, პირველის გარდა, არ არის შეტანილი „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში. პირველ ცნობაში მოხსენიებული „კეისრის ერისთავი ლეონი“ სამეცნიერო ლიტერატურაში აფხაზეთის ერისთავად არის მიჩნეული. კ. თუმანოვის აზრით, ლეონ II-ის ბიძა, ლეონ I იწოდება „იმპერიის ერისთავად“ ("imperial Duke") [5,75], ხოლო ზ. ანჩაბაძის მსჯელობით, როგორც ზემოთ ვნახეთ, ლეონ I კეისრის ერისთავად იმიტომ იწოდებოდა, რომ აფხაზეთი ბიზანტიის მიმართ ვასალურ დამოკიდებულებაში იყო. ასევე მსჯელობს მ. ბიროც: „ჯუანშერის ქრონიკაში აფხაზეთის გამგებელი ფიგურირებს როგორც „იმპერიის ერისთავი“ ("imperial prince") და აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 737 წელს აფხაზეთი ბიზანტიის კონტროლის ქვეშ იყო“ [20, 297]. ამ შემთხვევაში საყურადღებოა მ. სანაძის, ხოლო მოგვიანებით, ისევ მ. სანაძისა და თ. ბერაძის კომენტარი. აღნიშნულმა მკვლევრებმა დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ „კეისრის ერისთავი ლეონი“ არის არა აფხაზეთის ერისთავი, არამედ ბიზანტიის კეისარი ლევ ისავრიელი (717-741). სხვა საბუთებთან ერთად, მათთვის ერთ-ერთი საყრდენია „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის რედაქციაც, სადაც ჩვენთვის საინტერესო ლეონი იხსენიება როგორც „ბერძენთა მხედართმთავარი ლეონი“ [21, 75-77; 22, 76-78].

რაც შეეხება ჯუანშერის თხზულების სხვა ნაწყვეტებს, მათი დათარიღება არც ისე იოლია. ჯუანშერი არ იხსენიებს ბიზანტიის კეისრის სახელს, რომელთანაც გაგზავნეს მოციქული ქართველთა გამგებლებმა. ვახუშტი ბაგრატიონის თანახმად, ეს კეისარი კონსტანტინეა (741-775). მარვან იბნ მუჰამადის თავდასხმისა და ანაკოფიასთან ბრძოლის შემდეგ, რომელშიც მირი და არჩილი მონაწილეობდნენ, „მოიწყლა მირ, და სარკინოზნი უკუნ იქცნენ მეოტნი; განვლეს გზა გურიისა და მიიწივნეს ბაღდადს... მეფეთა წარგზავნეს დესპანი წინაშე კეისრისა კონსტანტინესა და აცნობეს ესე ყოველი; ამის წილ კეისარმან წარმოსცა გერგენი და შესხმა დიდი“ [3, 125].

ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა, რომ ჯუანშერის ნაშრომში მოვლენები ერთგვარად შეკუმშულად არის გადმოცემული. თუმცა, შედარებითი შესწავლის შემდეგ ხერხდება აღნიშნულ წყაროში სანდო პლასტის გამოყოფა, მაგრამ აქ გადმოცემული ფაქტების დასათარიღებლად ამ წყაროში წარმოდგენილი მასალა არასაკმარისია. როდის უნდა მიემართათ ქართველ მთავრებს ბიზანტიის კეისრისათვის? ყველაზე უფრო მოსალოდნელია ეს მოხდა მას შემდეგ, რაც არმენიაში შეწყდა მარვან იბნ მუჰამადის გამგებლობა, რომელიც იშვიათი სისასტიკით გამოირჩეოდა. როგორც სომეხი ავტორი, ღევონდი, მოგვითხრობს (რომელიც მას სამართლიან გამგებლად მიიჩნევს), „ის სიკვდილით სჯიდა სახრჩობელაზე დამნაშავეებს, ქურდებს, ყაჩაღებს და წესრიგის სხვა მტრებს, ბრძანებდა რა წინასწარ მოეკვეთათ მსჯავრდადებულებისათვის ხელები და ფეხები“ [23, 81].

ხალიფა ჰიშამის შემდეგ სახალიფოში სახელისუფლებო კრიზისი იწყება. მოკლე ხანში იცვლება რამდენიმე ხალიფა: ვალიდ II (743-744), იაზიდ III (744), იბრაჰიმი (744), რის შემდეგაც ტახტზე ადის მარვან II იბნ მუჰამადი (744-750) — უმაიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელმაც ტახტი ბრძოლით მოიპოვა და რამდენიმე წელიწადში თავად დაამხეს აბასიანებმა [24, 19]. სირიელი ავტორის ბარ ჰებრეის მიხედვით, ჰიშამის შემდეგ ვალიდი ერთი წელი და სამი თვე მართავდა, შემდეგ იაზიდი — ორი თვე, იაზიდის შემდეგ იბრაჰიმი, მისი ძმა — ორი თვე, მერე მარვანი [25,742]. ამ არეულობის წლებში, როგორც იგივე ღევონდი შენიშნავს, „ყველა ჩვენი მთავარი ფიქრობდა გადაეგდოთ“ არაბების ბატონობა, „აჯანყებულიყვნენ და გათავისუფლებულიყვნენ ხარკისაგან“, რაშიც ბიზანტიის კეისრის მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. აქვე არის ცნობა, თუ როგორ იფარებდა ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე არაბებისაგან გაქცეულ მთავრებს [23, 82-93, 93]. ქართველი მთავრების მიმართვა ბიზანტიელი კეისრისადმი სწორედ ამ არეულობის წლებშია მოსალოდნელი და ლეონის მმართველობის თაყაიშვილისეული წლებიც (745-791) სავსებით მისაღები ჩანს, რაც, ცხადია, მოიცავს არა მარტო მეფობის ხანას. თუმცა, ასეთი

მიმართვა ფარულად შეიძლებოდა ყოფილიყო მაშინვე, მარვან იბნ მუჰამადის ლაშქრობის შეწყვეტის შემდეგაც, ე.ი. 737-739 წლებშიც.

მარვან იბნ მუჰამადის ლაშქრობების შემდეგ განსაკუთრებით მწვავედ დადგა არაბების წინააღმდეგ კოალიციის შექმნის აუცილებლობა. ასეთი კოალიციის წევრებად, ისევე, როგორც ადრე, ჩანან ბიზანტია, ხაზართა სამეფო და საქართველო. აღნიშნული კავშირი ტრადიციული იყო ადრეც და არც არაბების გამოჩენის და ხაზართა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ შეწყვეტილა. წყაროებიდან ცნობილია ლეონ ისავრიელის კავშირი ხაზარებთან. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჯერ კიდევ მარვან იბნ მუჰამადის შემოჭრამდე, 732/3 წელს, ბიზანტიის კეისარს, ლეონ ისავრიელს, თავისი შვილისათვის კონსტანტინესათვის ცოლად მოუყვანია ხაზართა ხაკანის ქალიშვილი, ჩიჩეკი, რომელსაც ნათლობის შემდეგ ირინე დაარქვეს [26, 68]. მოგვიანებით (თეოფანეს დათარიღებით, 750 წელს), ამ ქორწინებიდან გაჩნდა ლეონ „ხაზარი", ბიზანტიის კეისარი (775-780), რომელიც ტახტზე მამის, კონსტანტინეს (741-775), ხანგრძლივი და წარმატებული ზეობის შემდეგ ავიდა.

ქართული წყაროების მიხედვით, იმავე წლებში აფხაზეთის ერისთავია ლეონი. „მატიანიდან" ვიგებთ, რომ დედამისი, რომლის სახელი წყაროში მითითებული არ არის, ხაზართა ხაკანის შვილია. ვინ არის ლეონის მამა? „აფხაზ მეფეთა დივანის" მიხედვით, ლეონის მამა იყო თევდორე, რომელიც აფხაზ მეფეთა სიაში დასახელებულია როგორც აფხაზეთის მეცხრე მეფე. აღნიშნულ სიაში ლეონი, ისევე, როგორც ყველა მისი წინამორბედი, აფხაზეთს მემკვიდრეობით ფლობს და მართავს და ტახტი მამიდან შვილზე გადადის [27, 198]. აღნიშნული ქორწინებები შემთხვევითი არ იყო. იქმნება მძლავრი ანტიარაბული კოალიცია, რომელშიც, ბიზანტიის, ხაზარეთის და ქართლის მეფეებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს აფხაზეთის გამგებელი. ეს ორი პიროვნება — ლეონ „ხაზარი" და ლეონ, აფხაზთა ერისთავი, თუ ვენდობით ქართული წყაროების მონაცემებს, ბიძაშვილები არიან, ხოლო მათი დედები — დები (როგორც ეს ჯანაშიამაც შენიშნა) ან ახლო ნათესავები. მ. არტამონოვს მიაჩნია,

რომ ლეონ II იყო ბიზანტიის იმპერატორ ლეონ „ხაზარის“ ძმისშვილი (племянник) [15, 248].

„აფხაზ მეფეთა დივანში“ მეფეთა თანმიმდევრობა ლეონამდე ქრონოლოგიის გარეშეა წარმოდგენილი. აშკარად იცვლება სურათი ლეონის შემდეგ, სადაც უკვე ყველა მომდევნო მეფის წლები მითითებულია. პ. ინგოროყვას აზრით, აფხაზეთის გამგებლები, ფაქტობრივად, იმავე ეგრისის გამგებლები იყვნენ, რაზედაც სიაში ბარნუკის მოხსენიებაც მიუთითებს, რომლის სიახლოვე ბიზანტიის მემატიანეებთან VII საუკუნის 60-90-იან წლებში მოხსენიებულ პატრიკიოს ლებარნუკთან („როგორც გვიამბო ჩვენ, საშინელი ფიცის ქვეშ, ლაზიკის პატრიკიოსმა ლებარნიკიოსმა“, — ამბობს 662 წელს ბიზანტიიდან ლაზეთში გადასახლებული თეოდორე განგრელი“) [28, 49] და სერგი ბარნუკის ძესთან (თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით, 697 წელს „აჯანყდა ლაზიკის პატრიკიოსი სერგი, ბარნუკის ძე“) [29, 105] სრულიად აშკარაა. იგივე მოსაზრება გაიზიარეს და დაასაბუთეს მ. სანაძემ და თ. ბერაძემ. „აფხაზ მეფეთა დივანში“ წარმოდგენილი სიის მიხედვით, კავშირი ეგრისის პატრიკიოსთა და აფხაზეთის მეფეთა შორის მართლაც აშკარაა, მაგრამ რამდენად ასახავს „აფხაზ მეფეთა დივანი“ რეალურ ვითარებას? ხომ არ არიან აფხაზი მეფეები ხელოვნურად დაკავშირებულნი ეგრისის პატრიკიოსებთან, რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს მათი მემკვიდრეობითი უფლებები დასავლეთ საქართველოზე, რომელსაც წარმოადგენდა ბაგრატ III-ის დროს „აფხაზთა სამეფო“?

დავუბრუნდეთ „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობას ლეონის წარმომავლობაზე. „რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულისწული იყო ხაზართა მეფისა და ძალითა მათითა გაუდგა ბერძენთა და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელიდვა მეფე აფხაზთა“.

აღნიშნულ კონტექსტში ორი ლეონია. ამათგან, ერთს მიუცია მეორესათვის სამკვიდროდ აფხაზეთი. ასეთი შესაძლებლობა, რომ ლეონს აფხაზეთი მიღებული ჰქონდა ბიძამისისაგან, დაუშვა ს. ჯანაშიამაც, მაგრამ, როგორც მან აღნიშნა «с большим трудом».

ამასთანავე, მას ამ ბიძის არსებობაში, რომელიც, კონტექსტიდან გამომდინარე, ასევე აფხაზეთის ერისთავად მიაჩნდა, ეჭვი ეპარებოდა [6, 326]. წყაროს ცნობაში ფრაზა — „რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი“ ეკუთვნის წინადადების დასაწყისში მოხსენიებულ ლეონს — „გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ“. ანალოგიური შემთხვევაა ამავე „მატიანეში“, როდესაც კვლავ იხსენიება ლეონ ერისთავი, უკვე აშოტ კურაპალატის და თევდოსის მოკავშირეობასთან დაკავშირებით: მას ჟამთა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რომელ-იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა“ [1, 206]. ამ შემთხვევაშიც წინადადების დასასრული განსაზღვრავს წინადადების დასაწყისს და სიძე აშოტ კურაპალატისა იყო არა მეორე ლეონ, არამედ თევდოსი, რომლისგანაც ეს განსაზღვრებითი წინადადება დაცილებულია, ისევე როგორც ეს არის ჩვენთვის საინტერესო წინადადებაში. ამდენად, „მატიანეს“ მიხედვით, აფხაზეთი სამემკვიდრეოდ მისცეს სწორედ იმ ლეონს, რომელიც შემდეგ განუდგა ბერძნებს და დაირქვა „მეფე აფხაზთა“. ვინ არის „ლეონ ერისთავი“, რომლის ძმისწულია აფხაზთა ერისთავი ლეონი? ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორისათვის ეს იგივე პიროვნებაა, რომელიც ჯუანშერთან იხსენიება როგორც „ერისთავი კეისრისა ლეონ“ [1, 193], ანუ, იგივე ლეონ ისავრიელი, „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეების თვალსაზრისით, ძალზე დამსახურებული პიროვნება, რომელმაც ქართლის გამგებლები ეგრისის პატრიკიოსებად დანიშნა, ისევე, როგორც ლეონი — აფხაზეთის ერისთავად, მაგრამ როდის, ან რატომ?

არაერთხელ აღინიშნა, რომ ჯუანშერს არაბებთან ურთიერთობა VII-VIII საუკუნეებში მთლად ზუსტად არა აქვს გადმოცემული. მემატიანეს ხშირად სხვადასხვა მოვლენა აქვს გაერთიანებული, რომელთა გამოცალკევება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჰხოლოდ სხვა წყაროებთან შედარებით ხდება შესაძლებელი. მ. სანაძისა და თ. ბერაძის გამოკვლევით, მირი და არჩილი ეგრისის პატრიკიოსის ტიტულებს იღებენ არაბებთან ბრძოლაში ბიზანტიელებისათვის გაწეული სამსახურისათვის ლეონ ისავრიელის ტახტზე ასვლის

პირველსავე წლებში (717 წ.). რაც შეეხება ლეონ ერისთავს, იგივე მკვლევრები მას VIII ს. 30-იანი წლების მოღვაწედ მიიჩნევენ (737-739) [17, 76], როდესაც დასრულდა მურვან ყრუს თავდასხმები, რაც სავსებით მისაღებად მიგვაჩნია. ამ ორ მოვლენას შორის საკმაო დრო იყო გასული და, შესაძლოა, ბიზანტიის კეისარს აფხაზეთში მართლაც დაენიშნა თავისი ძმისშვილი, ან რომელიმე ახლო ნათესავი. მსგავსი აზრი, როგორც ჩანს, გაუჩნდა არტამონოვსაც: აფხაზეთის ერისთავი ლეონი იყო племянник ბიზანტიის კეისრისა, ოღონდ, მისი მოსაზრებით, ეს კეისარი იყო ლეონ „ხაზარი" (775-780). ის ფაქტი, რომ „აფხაზ მეფეთა დივანის" მიხედვით, ლეონის მამის, თევდორეს მამას, ისევე, როგორც ბიზანტიის კეისარ ლეონ ისავრიელის შვილს, კონსტანტინე ერქვა, შესაძლოა, სრულიადაც არ იყოს დამთხვევა. თუ გავითვალისწინებთ ლეონ ისავრიელის დამოკიდებულებას დასავლეთ საქართველოს ადრინდელი გამგებლის მიმართ, საეჭვოა, რომ მას რომელიმე მათგანის, აფხაზეთის ან ეგრისის პატრიკიოსთა რომელიმე შტოს წარმომადგენლის მიმართ რაიმე ნდობა ჰქონოდა და არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავის მოკავშირედ მიეჩნია. VIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც, თეოფანეს ცნობით, „აბასგიაში, ლაზიკაში და იბერიაში ბატონობდნენ" არაბები [26], ლეონი იყო გაგზავნილი აბასგების წინააღმდეგ ალანების ფულით დასაქირავებლად, რაც მან, დაბრკოლებების მიუხედავად, ნაწილობრივ კიდევაც შეძლო. უკან დაბრუნებისას, ლეონმა, რომელსაც ქართული მატიანეები იხსენიებენ როგორც ლეონ ერისთავს, კატეგორიულად უარი თქვა აფხაზეთის ტერიტორიის გავლაზე, მირის დახმარებით [22, 77] ძლივს გამოაღწია დასავლეთ საქართველოდან და დაბრუნდა იუსტინიანესთან.

ჯერ კიდევ ალანებთან ლეონის ურთიერთობის დროს, მისთვის სრულიად აშკარა გახდა არაბებთან დასაპირისპირებლად ხაზარებთან დაახლოების აუცილებლობა. მოგვიანებით, მან თავის შვილს ხაზართა ხაკანის ქალიშვილი შერთო. არ არის გამორიცხული, რომ, უკვე მანამდე, ხაზართა ხაკანის ოჯახს დანათესავებოდა, მაგალითად, მისი ძმა, ან რომელიმე ახლო ნათესავი, რომლის შვილი შემდგომში აფხაზეთის ერისთავადაც დანიშნულიყო.

ყოველ შემთხვევაში, „მატიანე ქართლისაჲს“ ეს სწორედ ასე ესმის. „მატიანეს“ განხილულ კონტექსტში სიტყვა „მეორე“ სრულიად არ ნიშნავს ლეონ II-ს. მსგავსი შემთხვევები, ისტორიკოსი რომ ნომრებს ანიჭებდეს მეფეებს, „მატიანე ქართლისაჲში“ არ გვხვდება და არც ამ შემთხვევაში იყო მოსალოდნელი. „მეორე“ აქ გამომდინარეობს კონტექსტიდან. მემატიანე გვიზუსტებს, რომ ლეონი, რომელიც „გაადგა ბერძენთა და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა“ იყო არა ბიზანტიიდან მოვლენილი ლეონ ერისთავი, არამედ - მეორე ლეონი, მისი ძმისშვილი. ვახუშტიმ ეს ადგილი სრულიად სხვანაირად გაიგო. მან გააიგივა ლეონი, რომელსაც მისცეს ერისთავობა და კეისრის ერისთავი ლეონი: „კუალად ლეონისთვის მოეცა მკჳდრად ერისთაობა აფხაზთა მსახურებისათვის მეფეთასა (რამეთუ ესე ლეონ პირველ ერისთავი იყო მუნ კეისრისაგან)“ [3, 127]. ამასთანავე, მან VIII ს. აფხაზეთის ერისთავებს შეცდომით მიანიჭა ნომრები: ლეონ I და ლეონ II.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლეონს ერისთავობა უბოძა ლეონ ისავრიელმა, ე.ი. ეს უნდა მომხდარიყო 741 წლამდე. მაგრამ ამ უფლებას ყველა შემდგომი კეისრის დადასტურება სჭირდებოდა, რის გამოც, შესაძლოა, ვახუშტის ცნობა, რომ გააგზავნეს მოციქული კონსტანტინე კეისართან, ასევე რომელიმე სანდო წყაროდან მომდინარეობდეს.

როდის უნდა შემოეერთებინა ლეონს ეგრისი, გადაეტანა დედაქალაქი ქუთაისში და განდგომოდა ბიზანტიას?

მას შემდეგ, რაც არჩილმა მისცა „ლეონს ცოლად ძმისწული მისი გუარანდუხტ და გკრგკნი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთჳს.. მადლობა გადაუხადა ლეონს და უთხრა „წარვალ და დავეშენები ციხე გოჯს და ქუთათისს“ [1, 197], „წარმოვიდა არჩილ და დაემკჳდრა ეგრისს ვიდრე შორაპნადმდე“ [1, 198]. 764 წელს, ხაზართა შემოჭრის დროს, არჩილი ცოცხალი აღარ ჩანს. მ. ბირო იზიარებს ი. მარკვარტის და კ. თუმანოვის მოსაზრებას [33, 409-10], რომ ჰუზაიმა იბნ ჰაზიმი, სომხეთის გამგებელი, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია, როგორც ჭიჭნაუმი — ძე მოჰამადისი, რომელმაც სიკვდილით დასაჯა არჩილი. მ. ბიროს თანახმად, ეს მოხდა 786 წლის რეპრესიების დროს [20, 295], ხოლო ლეონმა

ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა 797-802 წლებში [12, 256]. ქართული წყაროს მიხედვით, 764 წელს ქართლსა და კახეთში არჩილის ვაჟი ჯუანშერია, რომელსაც ხაზარები ატყვევებენ, ხოლო დასავლეთ საქართველოში — არჩილის ვაჟი იოანე [1, 205] თავის დებსა და დედასთან ერთად, რომელთაც „მიუმცნო“ ჯუანშერ ხაკანის განზრახვა მათი დის თხოვნის შესახებ. საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული ამ ფაქტების დათარიღებასთან დაკავშირებით მ. სანაძის ნაშრომში [21, 87-88].

შვიდი წლის შემდეგ, როდესაც ჯუანშერი სამშობლოში ბრუნდება, სამხრეთ ამიერკავკასიაში არაბების წინააღმდეგ აჯანყებაა, უქმდება ერისმთავრობის ინსტიტუტი, ნერსეს აპატიმრებენ, რამდენიმე წლის შემდეგ ათავისუფლებენ, დროებით აღადგენენ ერისმთავრობის ინსტიტუტს, შემდეგ ნერსე ტოვებს ქართლს, გადადის ხაზარებთან და იქიდან — აფხაზეთში. ქართლში ინიშნება იმავე ოჯახის წარმომადგენელი სტეფანოზი. 786 წლის შემდეგ კი ყველანი, ისევე როგორც, ალბათ, იოანე, გარდაცვლილები ჩანან.

აფხაზეთის, ბიზანტიისა და ხაზარების მოკავშირეობა, სრულიად ბუნებრივი ლეონ III-ის დროს, გრძელდებოდა კონსტანტინე V-ის და მისი შვილის ლეონ IV „ხაზარის“ ხანმოკლე კეისრობის მანძილზე. მკვლევრები ბიზანტიელების იმდროინდელ პოლიტიკურ წარმატებებს სწორედ ხაზარებთან ურთიერთობით ხსნიან [26, 11-12]. 729 წელს ბიზანტიიდან ხაზარეთში იგზავნება ელჩობა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ 730 წელს ხაზართა შემოჭრამ კავკასიაში ხელი შეუწყო ბიზანტიას, დაებრუნებინა აფხაზეთი და შეენარჩუნებინა ლაზიკა. ხაზარეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბიზანტიის ვაჭრობაშიც. ბიზანტია, თავის მხრივ, ცდილობდა გაევრცელებინა ხაზარეთში ქრისტიანობა. ბიზანტიელებმა წარმატებით მოიგერიეს არაბთა თავდასხმა კონსტანტინოპოლზე. 740 წელს ლეონ III-მ და მისმა ვაჟმა კონსტანტინემ გაიმარჯვეს აკროინთან, კონსტანტინე V-მ დაიპყრო გერმანიკია არაბებისადმი დაქვემდებარებულ სირიაში, გაანადგურა არაბების ფლოტი კვიპროსთან, 751-752 წლებში დაანგრია მელიტენა (მალატია) - მესოპოტამიაში და თეოდოსიოპოლი - სომხეთში, 770

წელს დაამარცხა არაბები მცირე აზიაში. 777-780 წლებში ლეონ IV-მ სამი წარმატებული ლაშქრობა მოაწყო არაბების წინააღმდეგ.

ვითარება შეიცვალა ლეონ IV „ხაზარის" გარდაცვალების (780 წ.) შემდეგ. სახელმწიფოს, მისი მცირეწლოვანი შვილის, კონსტანტინე VI-ის ნაცვლად, დედამისი ირინე მართავდა. დაახლოებით 787 წელს ხაზართა წინააღმდეგ ყირიმის გუთიაში აჯანყდა ქრისტიანული მოსახლეობა, მაგრამ ამ აჯანყებაში, ქრისტიანების დასაცავად, ბიზანტია აქტიურად არ ჩარეულა და მხოლოდ კონსტანტინოპოლს დაქვემდებარებული გუთიის სამიტროპოლიტოს დაარსებით დაკმაყოფილდა. 790 წლის გაზაფხულზე ირინე გაუსწორდა თავის მონინააღმდეგეებს და თავი იმპერატორად გამოაცხადა, თუმცა, იმავე 790 წლის დეკემბერში ტახტი მისმა შვილმა კონსტანტინემ დაიკავა. 782 წელს არაბებმა განაახლეს თავდასხმები და ბიზანტიელებმა ყოველწლიურად 70000 ნოემის გადახდის საფასურად მოიპოვეს მშვიდობა. 80-იანი წლების დასასრულს კონსტანტინე, ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, იძულებული გახდა ბულგარეთის ხანს სუბსიდიის გადახდაზე დათანხმებოდა. მალე დედამისის, ირინეს ბრძანებით, ის დააბრმავეს, რის შემდეგაც, 797 წელს, ტახტს კვლავ დედამისი დაეპატრონა. ყოველივე ეს 802 წელს გადატრიალებით დასრულდა და ტახტზე კეისარი ნიკიფორე ავიდა. სწორედ ამ ვითარებას ითვალისწინებდა ს. ჯანაშია, როდესაც აფხაზეთის განდგომას ბიზანტიისაგან 797-802 წლებით ათარიღებდა. თუმცა, ამ სავარაუდო დათარიღებამ, სავსებით შესაძლებელია, უფრო უკანაც გადაინიოს და დაუახლოვდეს ვახუშტის თარიღს — 786 წელს.

VIII ს. დასასრულის აფხაზეთის შესახებ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის იოანე საბანისძის „აბო თბილელის ნამება", რომელიც ადასტურებს აქტიურ და კეთილგანწყობილ ურთიერთობებს ხაზარეთსა და აფხაზეთს შორის. აღნიშნული ძეგლი, რომელიც 80-იანი წლების დამდეგის ვითარებას ასახავს, აფხაზეთში მეფეს არ იხსენიებს. აფხაზეთის გამგებელი აქ იხსენიება როგორც მთავარი, რომელმაც „შეიწყნარა ნერსე ყოვლითურთ მისითურთ". იოანე საბანისძის ცნობით, „კრძალულ იყო ქვეყანაᲘ იგი შიშისაგან სარკინოზთაᲘსა" [30, 128]. ლეონის დროს ეს კუთხე

მთლიანად თავისუფალია არაბთაგან. აქვე არის ცნობა, რომლის მიხედვითაც, თითქოს შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმ დროისათვის ლეონს უკვე გაერთიანებული აქვს დასავლეთ საქართველო, თუმცა, უფრო საფიქრებელია, რომ ავტორი საქრისტიანოს საზღვრებს მიუთითებს და არა აფხაზეთისას, ახსენებს ტრაპიზონს, კონსტანტინოპოლსაც კი: „არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღვაი იგი პონტოისაჲ, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტეანეთაჲ მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა, ტრაპეზუნტიაჲ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსაჲ და ნაფსაჲს ნავთსადგური და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტეს მსახურისა იოანთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა“ [30, 128-29]. აღნიშნული თხზულება დაიწერა სამოელ კათალიკოსის (780-790) დაკვეთით, აბოს წამების (786) შემდეგ, არაუგვიანეს 786-790 წლებისა, მაგრამ უფრო, ალბათ, მაშინვე, აბოს წამების შემდეგ. საეჭვოა, რომ ლეონს, რომელსაც აფხაზეთი მიღებული ჰქონდა ლეონ ისავრიელისაგან, ე.ი. 741 წლამდე, თავი მეფედ 90-იან წლებში გამოეცხადებინა. ეს უფრო ადრე უნდა მომხდარიყო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ლეონმა დასავლეთ საქართველო გააერთიანა VIII ს. 80-იან წლებში და მაშინვე გამოაცხადა დამოუკიდებლობა ბიზანტიისაგან. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია კევინ ალან ბრუკის შეხედულება (ის არაბ ავტორს იბნ რუსთას იმოწმებს) იმის შესახებ, თითქოს VIII საუკუნის დასასრულს აფხაზეთი, ასე მოძლიერებული და გაფართოებული, იყო ხაზარეთის კოლონიის მდგომარეობაში [31, 258]. ასეთი შეხედულება არ შეეფერება, მაგალითად, არც უფრო ადრეულ წლებს, როდესაც აფხაზეთს მართავდა ხაზარი ხაკანის შვილიშვილი ლეონი. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, უფრო მართებულია მოკავშირეობაზე საუბარი. რაღაც ამდაგვარი, თუმცა, უფრო რბილად, ნათქვამი, აქვს თომას ნუენსაც, რომ ხაზარებს უნდოდათ, აფხაზეთი თავისი გავლენის ქვეშ მოექციათ [32, 113].

შევაჯამოთ განხილული:

1. VIII ს-ში აფხაზეთში იყო მხოლოდ ერთი ლეონი;

2. აღნიშნული ლეონი არ იყო არც აფხაზეთის გამგებლების წრიდან, არც ეგრისის პატრიკიოსთა ოჯახიდან;
3. „მატიანე ქართლისაჲს“ საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ლეონი იყო ახლო ნათესავი, კერძოდ, ძმისშვილი ბიზანტიის კეისარ, ლეონ ისავრიელისა, რომელმაც ის განაწესა აფხაზეთის ერისთავად. ამავე დროს დედის ხაზით, ის იყო ხაზარი ხაკანის შვილიშვილი;
4. ლეონი აერთიანებს დასავლეთ საქართველოს და ხდება მისი გამგებელი VIII ს. 80-იანი წლების მიწურულს — ცოლის უფლებებზე დაყრდნობით. ეს უკანასკნელი იყო გურანდუხტი, მირის ქალიშვილი, რომელსაც ეგრისის ტახტი სამემკვიდრეოდ იმავე ლეონ ისავრიელისაგან ჰქონდა მიცემული.
5. ლეონი ბიზანტიას განუდგა და თავი გამოაცხადა დასავლეთ საქართველოს მეფედ, ხაზართა ძალებზე დაყრდნობით, VIII ს. იმავე 80-იანი წლების მიწურულს, 786 წელთან ახლო;
6. VIII ს. დასასრულს, თუ კი აფხაზეთი იყო ხაზარების ერთგვარი კონტროლის ქვეშ, ეს კონტროლი ალბათ ძალზე ხანმოკლე იყო. IX ს-დან შეწყდა ხაზარების მოძრაობა სამხრეთ კავკასიისაკენ და ქართული სახელმწიფოს გაერთიანების პროცესი არ შეფერხებულა. ხაზარებზე დამოკიდებულების შესახებ ინფორმაცია ქართულ წყაროებს არ შემოუნახავთ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება“). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1996.
2. „ქართლის ცხოვრება“. ძველი სომხური თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1953.
3. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა. — ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
4. M. Brosset. Histoire de la Géorgie, I, S-Petersburg, 1850.

5. C. Toumanoff. Chronology of Kings of Abasgia and other Problems. – Le Museon, LXIX, 1-2, Louvain, 1956.

6. С. Джанашия. О времени и условиях возникновения Абхазского царства. — ს. ჯანაშია. *შრომები*, II, თბ., 1952.

7. З. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959.

8. P. Golden. Khazar Studies, vol. I, Akademian Kiado-Budapest, 1980.

9. ე. თაყაიშვილი. რას შეიცავდა ე.წ. აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიაში. — *ძველი საქართველო.*, II. ექვ. თაყაიშვილის რედ. თფ., 1913.

10. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. — *თხზულებანი*, II, თბ., 1983.

11. დ. მუსხელიშვილი. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, II, 1980.

12. 12.M. Biro. Abo's Georgian vita. – Acta Orientalia Academiae Scientiarum Hungaricae. T. XXXI(2), 1977.

13. პ. ინგოროყვა. *გიორგი მერჩულე*, თბ., 1954.

14. ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, თბ., 1990

15. М. Артамонов. История хазар. Л., 1962.

16. ნ. ასათიანი. *საქართველოს ისტორია*, თბ., 2004.

17. თ. ბერაძე, მ. სანაძე. *საქართველოს ისტორია*, თბ., 2003.

18. ლ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. — *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, II, თბ., 1973.

19. М. Лордкипанидзе. Абхазское царство. – Очерки истории Грузии, 2, Тб.,1988.

20. M. B. Biro. Marwan ibn Muhamad's Foreign Campaign. – Acta Orientalia. Academiae Scientiarum Hungaricae. T. XXIX(3), 1975.

21. მ. სანაძე. ერისმთავრები მირი და არჩილი და „ქართლის ცხოვრება“ — *მესხეთი*, IV, 2001.

22. მ. სანაძე, თ. ბერაძე. VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან. — *ქართული წყაროთმცოდნეობა*, X, თბ., 2004.

23. История халифов варданета Гевонда, писателя УШ- века, пер. с армянского К.П. Патканова. С.-Петербург, 1862.

24. С. Лэн-Пуль. Мусульманские династии. М., 2004.

25. The Chronography of Gregory Abu'l Faraj commonly known as Bar Hebraeus, Translated from the Syriac by Ernest A. Wallis Budge, vol I. English translation, Oxford University Press, London; Humphrey Milford, 1932.

26. В. С. Чичуров. Византийские исторические сочинения. "Хронография" Феофана, "Бревиарий" Никифора. Тексты, перевод, комментарий, М., 1980.

27. Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историческая область Грузии, Тбилиси, 1977.

28. თეოდოსი განგრელის მოგონებებიდან. — *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, IV, ნაკვ. I, თბ., 1941.

29. თეოფანე ჟამთააღმწერელი. ქრონოგრაფია. — გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს სესახებ, IV, ნაკვ. I, თბ., 1941.

30. იოანე საბანისძე. აბოს წამება. – *ქართული პროზა*, I, თბ., 1982.

31. K. A. Brook. Hazar Yahudileri, Istanbul, 2005.

32. Th. S. Noonan. Byzantium and the Khazars: a special relationship? – Collection "Byzantine Diplomacy, papers from the symposium of Byzantine Studies. Cambridge, March 1990, edited by Louathan Shepard and Simon Franklin. Variorum, 1992.

33. C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History, Georgetown University Press, 1963.

ქართველების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და ხაზართა როლი საქართველოს VIII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის მოვლენებში („ქართველთა სამეფოს“ შექმნის სათავეებთან)

Არაბთა ბატონობის დროს ერისმთავრის ინსტიტუტის არსებობის საკითხი ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ „ქართლში არაბთა მკაცრი ბატონობის ქვეშ ერისთავობდნენ ჯერ ნერსე, ხოლო მის შემდგომ სტეფანოზი, ძე გურგენისა. მერვე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კი ერისთავად ქართლში აშოტ დიდი ყოფილა, მაგრამ, რაკი ქართლში არაბები ხანგრძლივ მშვიდობიანად არავის აბოგინებდნენ, ვერც ქართლის ერისთავმა, აშოტ კურაპალატმა (786-826), გაუძლო არაბების ეჭვს... იგი დაესახლა არტანუჯში და ... ქართლი ცარიელი დარჩა; აქ მტკიცედ ფეხის მოკიდება ჯერჯერობით კიდევ არ შეიძლებოდა. თბილისში მჯდომი არაბი ამირა, რაც უნდა იყოს ქართლის ერისთავის მუდმივი მეტოქე იქმნებოდა. ამიტომ აშოტი ... მესხეთში გაიხიზნა და იქ ბიზანტიის კეისრის მფარველობის წყალობით მაგარი ბინა გაიჩინა“ [1, 93-94]. როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი ერისმთავრების არსებობას ქართლში აშოტ I-ის მესხეთში გახიზვნამდე უწყვეტ პროცესად განიხილავს. მკვლევრის აზრით, აშოტ I ქართლის ერისთავი იყო 786 წლიდან, ხოლო, მოგვიანებით, მისი რეზიდენცია არტანუჯი გახდა.

ს. ჯანაშიას მიხედვით, ქართლის ვითარება განსაკუთრებით დამძიმდა VIII ს. შუა წლებიდან, როცა ხალიფების ხელისუფლება

აბასიანთა ხელში გადავიდა. ურთიერთობის ასეთი გამწვავების მიუხედავად, არაბებს მაინც საჭიროდ მიაჩნდათ ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების არსებობა. გაქცეული ნერსეს მაგიერ, ქართლის ერისმთავრად VIII ს. 80-იან წლებში ვინმე სტეფანოზი დაუნიშნავთ [2, 60]. „უზენაესი არაბთა მოხელე ქართლში არის ამირა, რომლის მუდმივი რეზიდენცია ტფილისშია ... რომლის ხელისუფლებაც გარკვეული სახლის პრეროგატივაა" [2, 35-36, 49].

ა. ბოგვერაძეც მიიჩნევს, რომ „არაბები ჯერ კიდევ ცდილობდნენ ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების შენარჩუნებას, მაგრამ, მას შემდეგ, რაც თბილისის საამირო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გაფორმდა, ბუნებრივია, რომ თბილისის ამირა ასეთ ხელისუფალს, რომელიც ქართლის ერთიანობას განასახიერებდა, თავის რეზიდენციაში აღარ მოითმენდა" (თუმცა არ არის მითითებული, როდის მოხდა ეს) [3, 197]. ამიტომ აშოტ ბაგრატიონი იძულებული იყო დაეტოვებინა ქართლი და თავის სამფლობელოში, კლარჯეთში, გაქცეულიყო. „ვიდრე ქართლი ერთიან ადმინისტრაციულ ერთეულად რჩებოდა არაბული სახელმწიფოს სისტემაში, ქვეყანა, ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად მაინც, ერთიანი იყო, და ამ ერთიანობას განასახიერებდნენ ადგილობრივი არაბი გამგებელი და ქართლის ერისმთავარი. VIII ს. II ნახევარში ქართლს მხოლოდ კახეთი და ჰერეთი ჩამოსცილდა" [4, 188]. ა. ტერ-გევონდიანის აზრით, არაბებს „ერისმთავრის თანამდებობა თუმცა არ გაუუქმებიათ, მაგრამ ქვეყნის მფლობელებს სასტიკად ჩაგრავდნენ" [5, 113].

განსახილველ საკითხზე, მოგვიანებით, შემდეგი შეხედულება შემუშავდა. მ. ლორთქიფანიძის აზრით, აშოტ ბაგრატიონმა „თავდაპირველად განავრცო თავისი ხელისუფლება, როგორც ქართლის ერისმთავარმა, საქართველოს ცენტრალურ რაიონებში... არაბთა შეტაკება ქართლის ერისმთავართან უნდა გამხდარიყო არაბთა მიერ ამ ინსტიტუტის გაუქმების მიზეზი" [6, 308].

დაახლოებით იგივე აზრი გამეორებულია სხვა გამოკვლევებშიც. მაგალითად, „თბილისის ისტორიის" შემდგენლები მიიჩნევენ, რომ „არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა ფართო მასშტაბით გაიშალა მთელ ამიერკავკასიაში... თბილისის საზღვრებშემცირებულ

საამიროში ერთმანეთს დაუპირისპირდა არაბი ამირას და ქართლის ერისმთავრის ინტერესები. ამ კონფლიქტის შედეგად, რომელიც ქართლის ერისმთავარ აშოტ ბაგრატიონსა და თბილისის ამირას შორის მოხდა, აშოტი იძულებული შეიქმნა ქართლს გასცლოდა. ის ბაგრატიონთა მამულში, შავშეთ-კლარჯეთში, დამკვიდრდა. IX ს. დასაწყისიდან თბილისის ამირათა კარზე ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება უკვე აღარ არსებობდა" [7, 63-64]. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ მანამდე, ე.ი. VIII ს. მთელ მანძილზე, თბილისის ამირა და ქართლის ერისმთავარი მშვიდობიანად თანაარსებობდნენ თბილისში.

მ. სანაძისა და თ. ბერაძის აზრით, „საამიროს დაარსების შემდეგ არაბებს ქართლში ერისმთავრობა არ გაუუქმებიათ. მათ ერისმთავარი ქართული ქრისტიანული საზოგადოების მართვისათვის სჭირდებოდათ, მაგრამ ერისმთავრის ხელისუფლება ძალზე შეიზღუდა. VIII ს. მიწურულიდან ქართველი ხალხის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა ქართლის ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი, რომელმაც საერისმთავრო ტახტზე ფარნავაზიანთა კახური შტო — ბაკურიანები შეცვალა... არაბთა საამიროს ჩამოყალიბებამ ქართლის საერისმთავროში ადგილობრივ მთავართა ხელისუფლება გააძლიერა, რასაც ქართლის საერისმთავროს, ფაქტობრივად, ცალკეულ სამთავროებად დაშლა მოჰყვა. აშოტს კახეთი და ჰერეთი უკვე აღარ ემორჩილებოდა" [8, 99].

ე. პახომოვი, ერისმთავრის ნაცვლად, მსჯელობს საქართველოში სამეფო ხელისუფლებაზე, რომელიც, მისი აზრით, დაეცა მუსლიმთა დარტყმების შედეგად და ამაში მნიშვნელოვანი წვლილი ხაზართა მარბიელმა თავდასხმებმაც შეიტანეს. „მეფეთა ტიტული ერთხანს ეპყრათ სტეფანოზ II-ის შთამომავლებს, რის შემდეგაც ეს დინასტია საბოლოოდ გადის სცენიდან, გამოდევნილი ბაგრატიონთა გვარის მიერ. ერთ-ერთმა მათგანმა, აშოტ კურაპალატმა, მოახერხა ქართლის ტახტის ხელში ჩაგდება (787-826) და თავისი შთამომავლებისათვის მისი გადაცემა". ამასთან, მკვლევარი შენიშნავს, რომ მეფის ტიტულს, რომელზედაც ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ, X საუკუნემდე რეალური შინაარსი არ გააჩნდა [9, 37].

ე. თაყაიშვილის აზრით, 780 „წელი შეიძლება იყოს ადარნასეს გარდაცვალების და აშოტ კურაპალატის ბატონობის დასაწყისი, თუმცა, მიღებული ქრონოლოგიით, ადარნასე გარდაიცვალა 779 წელს და აშოტმა დაიწყო ბატონობა 786 წელს“, მაგრამ ეს, მისი აზრით, „საეჭვო უნდა იყოს“ [10, 58].

პ. ინგოროყვა გვაძლევს ერისმთავართა შემდეგ სიას:

1. ნერსე II, ერისმთავარი (VIII ს. II ნახევარში, ვიდრე 781 წლამდე);
2. სტეფანოს IV, ერისმთავარი (781 წლიდან VIII ს. დასასრულამდე);
3. აშოტ I დიდი (VIII ს. დასასრული და IX ს. დასაწყისი) [11, 37].

ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისით, არაბებს VIII საუკუნეში ერისმთავრის ინსტიტუტი არ გაუუქმებიათ, პირიქით, მათ ამ ინსტიტუტის შენარჩუნებას საგანგებოდ შეუწყვეს ხელი, ვინაიდან, ერისმთავარი მათ ერთიანი ქართლის გაკონტროლებას უადვილებდა.

ადრე ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, გვეჩვენებინა, რომ თბილისის საამირო 771 წელს შეიქმნა და რომ ამ ფაქტის VIII ს. I ნახევარში მოთავსების ცდები, სამეცნიერო ლიტერატურაში შესაბამისი წყაროების არარსებობის გამო, სათანადოდ არ არის დასაბუთებული [12, 21-26].

თბილისში ამირას დამკვიდრებას წინ უსწრებდა აბასიანთა გამარჯვება უმაიანებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აბასიანთა სახალიფოს სახელმწიფო ორგანიზაცია მეორე აბასიანი ხალიფას, ალ-მანსურის (754-775) დროს დაიწყო. თუმცა, საბოლოოდ, ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (786-809) დროს განვითარდა, როდესაც გადასახადს უკვე სახალიფოში შემავალი ყველა ერთეული იხდიდა [13, 64].

არაბი მემატიანის აჰმად იბნ ა'სამ ალ-ქუფის ცნობით, „ხალიფა აბუ-ლ-აბბას ას-საფფაჰმა გადააყენა მუჰამად იბნ სულამი და აზერბაიჯანის, არმინიის (იგულისხმება სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი, ის ადმინისტრაციული ერთეული, რომელშიც ქართლი და ჯურზანიც შედიოდა — გ.ა.) და ალ-ჯაზირას მიწების გამგებლად თავისი ძმა აბუ ჯა'ფარ ალ-მანსური დანიშნა“. ტექსტის რუსულ ენაზე გამომცემელი ზ. ბუნიატოვი შენიშნავს, რომ აბუ ჯა'ფარ

ალ-მანსური აზერბაიჯანის გამგებლად დაინიშნა ჰიჯრის 134/30. VII.751-17.VII.752 წ. „აბუ ჯა'ფარი გაემართა იქ და აზერბაიჯანის საზღვარში შევიდა, გამოიზამთრა ქირანად წოდებულ ერთ ადგილას, ზაფხული კი გაატარა საძოვარზე, რომელიც ად-დარიბად იწოდებოდა ჯურზანის მიწაზე" [21, 61].

ალ-ბალაზურის ცნობით, ალ-მანსურის დროს, „არმინიის გამგებელმა იაზიდ იბნ უსაიდმა დაიპყრო ბაბ ალანი (ალანთა კარი — გ.ა.) და ჩააყენა იქ გარნიზონი. მან ისე დაამარცხა სანარიელები, რომ ისინი იძულებული გახდნენ ხარაჯა გადაეხადათ" [15, 19-20]. ამ დროიდან მოყოლებული, არაბული წყაროების სანარიელები, ანუ წანარები, რაც აღმოსავლეთ საქართველოს, უფრო კონკრეტულად კი, კახეთის მოსახლეობას გულისხმობს, მუდმივად გამოდიან არაბთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ისინი მარტონი არ არიან და მათ მოკავშირეებად ხაზარები და სამხრეთ კავკასიელები გამოდიან. მოგვიანებით, იმ შემთხვევებში, როდესაც დაპირისპირება თვით აბასიანთა შორისაა, უკვე ორივე დაპირისპირებულ მხარეს უჩნდება მოკავშირე ქართველების მხრიდან, რომლებიც ამ გზით ცდილობენ სახელისუფლებო ან ტერიტორიული უფლებების მიღებას ან შენარჩუნებას.

მ. არტამონოვი, ზ. ბუნიატოვი და ა. ნოვოსელცევი [16, 241; 17, 112; 18, 188] ამავე წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავენ, რომ აბუ ჯა'ფარ ალ-მანსურის ერთ-ერთი პირველი აქცია ბაბ ალ-არანის (ამ შემთხვევაში დარიალის) დაპყრობა იყო. აღნიშნულ საკითხს შეეხო დ. დანლოპიც, რომელიც შენიშნავს, რომ იაზიდ იბნ უსაიდ ალ-სულამი მართავდა არმინიას აბასიანი ხალიფა მანსურისათვის. მან ჩააყენა გარნიზონი დარიალის გასასვლელში [19, 179].

ცნობა იმის შესახებ, რომ აბასიანთა ხანაში ქართველები ხარაჯას იხდიდნენ, გვხვდება „მატიანე ქართლისაჲში" — „ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან. პირველად, უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერითგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითა ჟამად რბევასა და ოჴრებასა. მეორედ, იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას, და უკუეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიმცა ღირს იყო მეფედ, იქმნის

შემცირებულ სარკინოზთაგან. რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა, შექმნეს სახლად საყოფელად თჳსად; მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისგან, რომელსა ჰქჳან ხარაჯა“ [20, 205]. ცნობა ეხება VIII ს. 60-იან წლებში ხაზართა შემოსვლიდან 7 წლის გასვლის შემდგომ ხანას, ანუ ასახავს ვითარებას, რომელიც იყო თბილისის საამიროს შექმნის შემდეგ.

ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის თანამედროვის აბუ იუსუფის განმარტებით, ხარაჯა ხშირად ჯიზიას (ე. ი. სულადობრივი გადასახადის) მნიშვნელობითაც იხმარება. სხვა შემთხვევაში იგივე ავტორი შენიშნავს, რომ „არაბთა მიწა, რომლის მოსახლეობა დებს სამშვიდობო ხელშეკრულებას იმ პირობით, რომ მათ ის შეუნარჩუნდებათ, ხდება მიწა, რომელიც ხარაჯით იბეგრება“ [14, 131]. ამდენად, ცნობა იმის შესახებ, რომ არაბები ქართველებისაგან ხარაჯას იღებდნენ, სწორედ იმას ნიშნავს, რომ აქ, ამ მიწაზე, ადგილობრივი, ე.ი. ქართველი გამგებლები უნდა ყოფილიყვნენ. რეალურად იყო თუ არა ასე, ან რა უფლებები ჰქონდათ ამ ადგილობრივ გამგებლებს, ამ საკითხის გარკვევას ქვემოთ შეეცდებით.

IX საუკუნის არაბი მემატიანის, ალ-ბალაზურის ცნობით, „არმინიის პატრიკები აგრძელებდნენ თავის სამფლობელოებში ცხოვრებას და ყველა თავის კუთხეს იცავდა. როდესაც იმ მხარეში რომელიმე მხარის მეთაური ჩამოდიოდა ნაცვლისაგან, ისინი ცდილობდნენ მისთვის თავი აერიდებინათ. თუ ისინი ამჩნევდნენ, რომ მეთაური მოუსყიდველი და მკაცრი იყო და მას სამხედრო ძალა და აღჭურვილობა ჰქონდა, შეჰქონდათ გადასახადები და მორჩილებას უცხადებდნენ, თუ არა და ცდილობდნენ, ცილი დაეწამებინათ მისთვის და არაფრად აგდებდნენ“ [15, 21].

არაბთა ხალიფასათვის სრულიად ნათელი იყო, რომ ჩრდილოეთში მშვიდობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ხაზარებზე. აჰმად იბნ ა'სამ ალ-ქუფის გადმოცემით, ქალაქ ბარდავში არანის გამგებელთან გაგზავნილ ნერილში ხალიფა აღნიშნავს, რომ „არრანის ქვეყანა ვერ იქნება მშვიდობიანად, ვიდრე არ დამყარდება ნათესაური კავშირი ხაზარებთან. მე ვფიქრობ, რომ შენ მათ უნდა დაუნათესავდე და ქვეყანაში

მშვიდობა დაისადგურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე ვშიშობ შენზე და შენს ყველა გადასახადის ამკრებზე, რადგან ხაზარები თქვენ არ მოგასვენებენ. თუ მოინდომებენ, ისინი შეკრებენ ჯარებს და გამარჯვებას მოიპოვებენ“ [21,62]. მართლაც, ამის შემდეგ, იაზიდ იბნ უსაიდმა ცოლად შეირთო ხაზარი ქალი, რომელიც მალე გარდაიცვალა. აჰმად იბნ ა'სამის ცნობით, გარდაცვალებამდე მან მოასწრო ორი ვაჟის გაჩენა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მისი შვილებიც გარდაიცვალნენ [21, 62]. ყოველივე ამას ხაზართა დიდი ლაშქრობა მოჰყვა. ალ-ბალაზურის ცნობით, ქალმა მხოლოდ ერთი შვილი გააჩინა, რომელიც დაიღუპა და თვითონაც მშობიარობას გადაჰყვა [157 20].

დ. დანლოპიც იხსენიებს თავის გამოკვლევაში იმ ფაქტს, თუ როგორ მოუვიდა მითითებები გამგებელს ხალიფასაგან, რომელიც ურჩევდა მას საქორწინო კავშირი დაემყარებინა ხაზართა მეფესთან [19, 170-180]. მკვლევარი ეყრდნობა აგრეთვე ატ-ტაბარის ცნობას, რომლის საფუძველზეც მიიჩნევს, რომ ქორწინება, როგორც ჩანს, ბარდავში შედგა, სადაც ქალბატონი მოგვიანებით მშობიარობას გადაყვა. აქვე დ. დანლოპი განმარტავს, რომ ატ-ტაბარის 182 და 183 წლების ერთ-ერთი სიუჟეტი 145/762-63 წელს განეკუთვნება [19, 179, შენ. 42]. იმავე ცნობებს სხვადასხვა კომენტარით განიხილავენ მ. არტამონოვი, ა. ტერ-გევონდიანი, ზ. ბუნიატოვი და ბ. სილაგაძე [16, 241-242; 5, 101; 17, 112, 112-116].

ატ-ტაბარის, ისევე როგორც, იბნ ალ-ასირის ცნობით, ხაზარები VIII ს. 60-იან წლებში ორჯერ შემოიჭრნენ, პირველად 145/762-63, ხოლო მეორედ — 147/764-65 წელს. „145/762-63 წელს ბაბ ალ-აბვაბში აღდგნენ თურქები და ხაზარები და მრავალი მუსლიმი მოკლეს არმინიაში. იმ 147/764-65 წ. მუსლიმებს დაესხა ასტარხან-ხორეზმელი, რომელიც მეთაურობდა თურქების რაზმებს სადღაც არმინიაში. ბევრი ხალხი წაიყვანა, როგორც მუსლიმები, ასევე ზიმიები და თბილისში შევიდა... თურქებთან საომრად მანსურმა ჯიბრაილ იბნ იაჰია და ჰარბ იბნ აბდალაჰი გააგზავნა და ისინი შეებრძოლნენ მას, მაგრამ ჯიბრაილი უკუაქციეს, მისი მრავალი მეომარი მოიკლა. მოკლეს აგრეთვე ჰარბი“ [23, 34]. ასეთივე ცნობა, 147/764-65 წ. სამხრეთ კავკასიაზე ასტარხან-ხორეზმელის

მეთაურობით ხაზარების თავდასხმის შესახებ, აქვს ატ-ტაბარისაც: „გამოვიდნენ თურქები და ხაზარები ბაბ ალ-აბვაბით და დახოცეს მუსლიმთაგან დიდძალი ხალხი არმინიაში“ [24, VII, 649. ცნობა მოგვაწოდა გ. ჯაფარიძემ].

VIII ს. სომეხი ავტორი ღევონდიც მოგვითხრობს არმინიის მმართველ იაზიდის დანათესავებას ხაზართა ხაკანთან, რომელსაც ის „ჩრდილოეთის მეფეს“ უწოდებს. მემატიანე მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გააყოლა მან არაბ გამგებელს თავისი ქალიშვილი ხათუნი, რომელსაც, თავის მხრივ, მსახურთა და მონათა მრავალრიცხოვანი ამალა გააყოლა, თუ როგორ გარდაიცვალა ხათუნი რამდენიმე ხნის შემდეგ (თუმცა ავტორი სიკვდილის მიზეზს არ ასახელებს), როგორ დაირღვა მშვიდობიანი შეთანხმება მხარეთაშორის (ვინაიდან ქალის გარდაცვალებაში ხაზარებმა ვერაგობა დაინახეს) და როგორ მოჰყვა ამას ხაზართა ლაშქრობა [25, 92]. ალ-იაკუბი საუბრობს ხაზართა მხოლოდ ერთ თავდასხმაზე და შემდეგ არაბების საპასუხო შეტევაზე: „აღელდნენ ხაზარები არმინიის მიდამოებში. დაესხნენ იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამის, რის შესახებაც მან (ხალიფა) აბუ ჯაფარს აცნობა, რომ ხაზართა მეფე, რას-თარხანი, თავს ესხმოდა მას დიდი ჯარით და რომ მისი ნაცვალი გაიქცა. მაშინ აბუ-ჯაფარმა მას გაუგზავნა ჯაბრაილ იბნ იაჰია ალ-ბაჯალი 20000 (მეომრით) სირიის, ჯაზირას და მოსულის მცხოვრებთაგან. მათ ბრძოლა გაუმართეს ხაზარებს და მრავალი მუსლიმი დახოცეს. ჯიბრაილი და იაზიდ იბნ უსაიდი გაიქცნენ და ხირსში ჩავიდნენ. როდესაც აბუ ჯაფარმა მიიღო ცნობა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია [მუსლიმთა ჯარს] და რომ ხაზარებმა გაიმარჯვეს და შეიჭრენ მუსლიმთა მიდამოებში. აბუ ჯაფარმა ბრძანა, საპყრობილეებიდან გამოეშვათ 7000 და სხვადასხვა მხარეში შეეკრიბათ მრავალი მეომარი, რომლებიც მან გაგზავნა (ხაზართა წინაალმდეგ“. შემდეგ მან განაახლა ომი ხაზარებთან და ქვეყანა დამშვიდდა [26, 8-9].

ღევონდის ცნობით, „ხაკანმა შეკრიბა ჯარი, ჩააბარა თავის სარდალს რაჟ-თარხანს, რომელიც ხატირლიტბერის ჩამომავლებს ეკუთვნოდა და ეზიდის გამგებლობაში მყოფ ჩვენს ქვეყანაში გამოგზავნა. დიდი მდინარის, მტკვრის ჩრდილოეთ მხარეს

გაფანტულმა ხაზარებმა დაიპყრეს ბევრი ოლქი — ხეჯარი, კამა, ოსტანი, მარზპანიანი, ჰაბანდი, ჰეგავი, შაკე, ბიესი, ხენი, კამბეხჩანი, ხოსმასი — ესენი ყველა აღვანთა თემია, და დაიპყრეს აგრეთვე საქართველოს შვიდი თემი — შუჩქი, კვეგ-გაპორი, ჩელტი, ჭუქეთი, ველის ციხე, თიანეთი, ერკი — და მას შემდეგ, რაც შეაგროვეს დიდძალი ნადავლი და ტყვეები, თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდნენ" [25, 92-93].

ხაზართა ორ ლაშქრობაზე (763 და 764/65 წწ.) საუბრობს ბიზანტიელი ავტორი თეოფანეც. პირველ შემთხვევაში ის აღნიშნავს: „იმავე წელს თურქები გამოვიდნენ კასპიის კარიდან, მრავალი მოკლეს არმენიაში, ბევრი ტყვედ აიყვანეს და უკან დაბრუნდნენ", ხოლო მეორედ: „თურქები კვლავ გამოვიდნენ კასპიის კარისა და იბერიისაკენ. არაბებთან ბრძოლაში ორივე მხრიდან მრავალი დაიღუპა" [27, 68].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხაზართა პირველი ცდა, აეღოთ დარუბანდი, უშედეგოდ დასრულდა, რის გამოც მათი თავდასხმა გამეორდა ორი წლის შემდეგ. აბუ-ლ-ფარაჯის, იმავე ბარ ჰებრეის ცნობით, ეს მოხდა ბერძნული წელთაღრიცხვის 1073 (ანუ 762) წლის მომდევნო წელს, ე.ი. 1074 (763) წელს. აღაპიუსის ცნობით, ეს მოხდა ხალიფა ალ-მანსურის მე-9 წელს. ვინაიდან, ალ-მანსური, აბუ-ლ-ფარაჯის ცნობით, ტახტზე ავიდა 1066 წელს, მისი ზეობის მე-9 წელი იქნება 1075, ანუ 764 წელი. ამ დროს ხაზარებმა ჯურზანიდან 50 ათასი ტყვე წაიყვანეს [16, 242; 28, 114].

არსებობს განსხვავებული ცნობებიც, მაგალითად, აზ-ზაჰაბისა, რომლის მიხედვითაც, შემოიჭრნენ არა ხაზარები, არამედ, ყივჩაყები, ან კ. ცეგლედისა — თურქებისა და მათი დაქირავებული ხორეზმელების თავდასხმის შესახებ [17,115]. მიხეილ სირიელის სომხური თარგმანის მიხედვით, თავდამსხმელები იყვნენ ქურთები და მარები (მიდიელები), რომლებიც იხსენიებიან როგორც „ხალხის ხროვა" [29, 261].

სწორედ VIII ს. 60-იანი წლების ხაზართა თავდასხმა ამიერკავკასიაზე, თარიღის მითითების გარეშე, აისახა „მატიანე ქართლისაასში" — „რაჟამს აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, დაშთეს

შვილნი მისნი იოვანე და ჯუანშერ. წარვიდა იოვანე ეგრისად და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი თჳსნი. ხოლო ჯუანშერ და ორნი დანი მისნი დაშთეს ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისასა. არამედ უმრწემესი დაჲ მისი იყო სახითა შუენიერ. და მიესმა სიშუენიერე მისი ხაზართა მეფესა ხაკანს; მოუგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად და, უქადა შუელად სარკინოზთა ზედა. რაჟამს მოიწია მოციქული ხაკანისა, მიუმცნო ჯუანშერ ძმასა თჳსსა და დედასა, ხოლო მათ არა ინებეს... და შუშანაცა აგინა ხაზართა მეფესა. შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თჳსი ბლუჩან; გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან და მცირედთა დღეთა წარიღო და ტყუე ყვნა იგინი; შემუსრა ქალაქი ტფილისი. წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა" [20, 204]. ამის შემდეგ შუშანა იწამლავს თავს, ხოლო ჯუანშერი რჩება ხაზარეთს, „სადაც ... დაჰყო წელიწადი შჳიდი", რის შემდეგაც „განუტევა ნიჭითა დიდითა ხაკანმან და წარმოგზავნა ქუეყანად თჳსად". ამგვარად გამოდის, რომ ეს ცნობა ეხება VIII ს. 60-იან წლებს, სწორედ იმ დროს, როდესაც ქართლის ერისმთავარი ჯუანშერია, არჩილის ვაჟი, რომელიც გორგასლიანთა, ან ფარნავაზიან-ხოსროიანთა კახურ შტოს, ანუ ბაკურიანებს განეკუთვნება [30, 103]. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ცნობის დათარიღებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებაც არის გამოთქმული.

ხაზარების თავდასხმისა და ჯუანშერის დატყვევების შემდეგ ცნობა გვაქვს მის მომდევნო ერისმთავარ ნერსეზე, რომელიც, ისევე როგორც ჯუანშერი, ბაკურიანების საგვარეულოს წარმომადგენელია [30, 103]. ცნობებს მისი, ისევე, როგორც მისი შემდგომი ერისმთავრის სტეფანოზის შესახებ, ვპოულობთ იოანე საბანის ძის „აბო თბილელის წამებაში", სადაც ვკითხულობთ: „რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ, სახელით ნერსე, ძე ადარნესე კურაპალატისა და ერისმთავრისაჲ მონოდებულ იქმნა ქვეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან. მის ჟამისა სარკინოიზთაჲსა ამირა მუმნისა აბდალაისგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა იგი მან აღაშენა, ხოლო შესმენითა

ბოროტთა კაცთაცთა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსე ერისთავი ქვეყანისა ამის ქართლისაც და პყრობილ იყო მუნ ჟამადმდე სამისა წლისა ვიდრემდის... მოკვდა აბდილა ამირა მუმნი და დაჯდა მის ნილ ძეს მისი, მაჰდი, ხოლო ქველისმოქმედმან ღმერთმან არწმუნა გულსა მაჰდი ამირა მუმნისასა განტევებაც ნერსეისი და გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპყრობილისა და განუტევა იგი კვალად ერისმთავრობით აქა ქვეყანადვე თვისა" [31, 125-126].

ხალიფა ალ-მაჰდი (775-785), რომელმაც ტახტზე მამამისი შეცვალა, 10 წელი მართავდა ქვეყანას. სირიელი მემატიანის, აბუ-ლ-ფარაჯის გადმოცემით, მაჰდის ხალიფობის დასაწყისში ბიზანტიელებსა და არაბებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ალ-მაჰდიმ გაათავისუფლა ქრისტიანი გამგებლები („პატრიკები"). თუმცა, მოგვიანებით, მანვე დაანგრია არაბების დროს აგებული ეკლესიები, მაგალითად, ქალკედონიტების ეკლესია ჰალაბში და დევნიდა მანიქეველებს [28, 116]. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ „სამი" აბოს წამებაში უფრო საკრალური რიცხვია, ვიდრე რეალური (აქ შეიძლება გავიხსენოთ, მაგალითად, სხვა შემთხვევა ამავე ძეგლიდან — „სამისა წლისა ჟამთა იქცეოდა (აბო) ქალაქსა მას შინა და გარემოის ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტეანედ") [31, 131], სამეცნიერო ლიტერატურაში ნერსეს დაპატიმრების თარიღად მიღებული 772 წელი შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს. უფრო სავარაუდოა, რომ 771 წელს თბილისში მოსულმა ამირამ, პირველ რიგში, დააპატიმრა ერისმთავარი, ერთ-ერთი სავარაუდო ლიდერი იმ აჯანყებისა, რომელმაც მოიცვა იმ დროს კავკასია და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველო. IXს. არაბი ავტორისაჰმად იბნ ა'სამალ-ქუფის ცნობით, „როგორც კი ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა შევიდა არრანში, მის წინააღმდეგ აჯანყდნენ ნანარები, რომლებიც ჯურზანის მინაზე სახლობენ" [21, 63; 32, 284-287]. ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა ატ-ტაი 50000-იანი ჯარითაც ვერ მორევია აჯანყებულებს. არაბმა სარდალმა დამხმარე ძალები (30000) გამოიძახა და მათთან ერთად შევიდა ჯურზანში. ამბობენ, რომ წანარები გაერთიანდნენ ჯავახეთის მცხოვრებლებთან, რომლებიც ასევე ურწმუნოები იყვნენ და დიდი ძალით დაესხნენ თავს მუსლიმებს. აჯანყება ჩახშობილ იქნა. როგორც ო. ცქიტიშვილი

შენიშნავდა, „არაბთა წინაშე ნერსეს ჩადენილი ჰქონდა მძიმე პოლიტიკური დანაშაული". ასეთ დანაშაულად მკვლევარს მიაჩნდა ნერსეს „გარკვეული, შესაძლებელია, გადამწყვეტი კავშირიც კი, აჯანყებულ წანარ-კახელებთან" [33, 74-75]. მკვლევარი არც იმას გამორიცხავს, რომ „წანარ-კახთა პოლიტიკური კავშირი თვით აჯანყებული ნერსეს, როგორც ქართლის ერისმთავრის, მიერ ყოფილიყო მომზადებული". იგივე მკვლევარი ვარაუდობს, რომ არაბი ავტორების „წანარების აჯანყებაში" მონაწილეებად, კახეთის გარდა, ქართლის მცხოვრებლებიც იგულისხმებიან. მისი აზრით, „არ არის გამორიცხული, რომ ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას დანიშვნას არმენიის მმართველად და მის აქ ჩამოსვლას წინ უსწრებდა ქართლის ადგილობრივი მოსახლეობის რაღაც გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური აქციები", მიმართული არაბთა ბატონობის წინააღმდეგ [32, 75].

სხვათა შორის, აჯანყება სამხრეთ კავკასიაში იმდენად მასშტაბური იყო, რომ ალ-ბალაზური, რომელიც საერთოდ არ იხსენიებს ხაზართა თავდასხმებს 60-იან წლებში, გვაწვდის ცნობას აჯანყებაზე არმინიაში: „იგივე მუჰამედ იბნ ისმაილმა გვაცნობა, ხანდაზმულთა გადმოცემით, რომ არმინიის მცხოვრებლები, სომეხი მუშაილის (მუშელი) ხელმძღვანელობით, აჯანყდნენ ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა ატ-ტაის გამგებლობაში... მანსურმა (754-775) მას გაუგზავნა დახმარება ამირა იბნ ისმაილით სათავეში... ჰასანი დაესხა მუშაილს, მოკლა ის და გაფანტა მისი ჯარები, რის შემდეგაც კვლავ სიმშვიდე დამყარდა" [15, 20].

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ სწორედ 771 წელს, ე.ი. ხაზართა 764 წლის თავდასხმის მე-7 წლისთავზე, ხაზართა ხაკანი სამშობლოში აბრუნებს ადრე დატყვევებულ ქართლის ერისმთავარ ჯუანშერს, როგორც ჩანს, არაბებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართლში დაბრუნებულ ჯუანშერს ნერსე ერისმთავრის წინააღმდეგ ხელისუფლების დაბრუნების მიზნით უნდა გაება „მთელი ქსელი ინტრიგებისა" [34, 32-33; 32, 206], უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, თუ ეს უკანასკნელი, ნერსეს ნაცვლად, ერისმთავრის თანამდებობას დაიკავებდა, რაც არ მომხდარა.

ნერსეს არყოფნისას — 771-775 წწ. თბილისში სხვა ერისმთავარი არ დანიშნულა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ერისმთავრის ინსტიტუტი იმ დროს გაუქმებულია. თუმცა, მოგვიანებით, არაბების პოლიტიკა კვლავ იცვლება და, ამის კვალდაკვალ, ერისმთავრის ინსტიტუტი ერთხანს კვლავ აღდგა.

ხაზარების დახმარებით, როგორც ჩანს, ნერსე გეგმავდა არაბთა წინააღმდეგ აჯანყებას, რის გამოც ცოლ-შვილი წინასწარ აფხაზეთში გახიზნა — „პირველადვე წარეგზავნნეს დედაჲ და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქვეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა".. — მოგვითხრობს „აბოს წამების"" ავტორი [31, 128].

ნერსე არ იყო არაბების მორჩილი პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ, რაც კარგად ჩანს ამავე თხზულებიდან, რის გამოც „იყო დღეთა მათ შინა კვალად განრისხებაჲ ხელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ (არაბთა — გ.ა.) ნერსე ერისთავსა ზედა, და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი და უფალმან დაიცვა იგი ხელთაგან მათთა და განვლო მან კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქმის" [31, 127]. არაბთაგან ლტოლვილმა ნერსემ 300 კაცის თანხლებით თავი შეაფარა ხაზართა ხაკანს, რომელმაც ისინი თბილად მიიღო, მასპინძლობა გაუწია — „შეიწყნარა იგი უცხოებისათვის და ვლტოლვილებისათვის მტერთა მისთაჲსა და სცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი" [31, 127] — თუმცა, ნერსე იქ დიდხანს არ დარჩენილა და „შემდგომად რამდენსამე ჟამისა ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოჲსასა, რათა განუტეოს იგი მიერ ქვეყანად აფხაზეთისა" [31, 128].

არ არის გამორიცხული, რომ ნერსე, თავის დროზე დატყვევებული ჯუანშერის ნაცვლად, ქართლის ერისმთავრად, სწორედ, ხაზარებმა დანიშნეს, რომლებთანაც კავშირი, როგორც სხვადასხვა წყაროდან ჩანს, მას არც შემდგომში გაუწყვეტია. ა. ბოგვერაძის ვარაუდითაც, ნერსე ქართლის ერისმთავარი „უკვე VIII ს. 60-იანი წლებიდან მაინც იყო" [3, 104] და აქ იგი გიორგი მერჩულეს იმოწმებს, რომელსაც აღნიშნული აქვს, რომ 758 წელს დაბადებული გრიგოლ ხანძთელი „სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა

ნერსე ერისმთავარსა აღზრდილ იყო ჭელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა, ნერსეს ცოლისაცთა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“ [35, 216].

სავსებით მართებულად მეჩვენება დ. დანლოპის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხაზართა უარყოფითი დახასიათება იოანე საბანის ძის ტექსტში ანარეკლია უფრო ძველი ტრადიციისა, ვიდრე იმ დროს არსებული რეალური დამოკიდებულების და ურთიერთობებისა [19, 181]. ამასთან, ეს დახასიათება იმდენად არ შეესაბამება აღნიშნული ჰაგიოგრაფიული თხზულების საერთო განწყობილებას, რომ ეჭვიც კი ჩნდება, ხომ არ არის ის მოგვიანო ჩანართი? იოანე საბანის ძე, ერთი მხრივ, არ უკარგავს ხაზარებს რაიმე დამსახურებას — „სცა მას (ე.ი. ნერსეს — გ.ა.) და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი“... განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა“ [31, 128], ხოლო, მეორე მხრივ, მისივე სიტყვებით, „არიან ხაზარნი კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ...“. გარდა ამისა განცხადება, რომ „შჯული არა აქვს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან“ [31, 127], ეწინააღმდეგება თხზულებაში დაცულ სხვა ცნობას, რომლის მიხედვითაც, აბო თბილელი სწორედ ხაზართა ქვეყანაში მოინათლა: „ვითარცა იხილა ნეტარმან ჰაბო, რამეთუ განშორებულ არს შიშისაგან და მძლავრებისა სარკინოზთაცსა, ისწრაფა მან მიახლოებად ქრისტესა და ნათელიღო სახელითა მამისაცთა და ძისაცთა და სულისა წმიდისაცთა ხელითა პატიოსანთა მღდელთაცთა, მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქვეყანასა მას ჩრდილოცსასა, რომელნი სარწმუნოებითა ქრისტესითა ცხონდებიან უზრუნველად“ [31, 128].

ნერსეს წასვლის მიუხედავად, ხალიფა მაჰდიმ საჭიროდ მიიჩნია ახალი ერისმთავრის დანიშვნა, რომელიც, იოანე საბანის ძის მიხედვით, იმავე ოჯახიდან იყო: „შემდგომად სივლტოლისა მის ნერსეცსისა ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაცთა სტეფანოზ, ძეცა გურგენ ერისთვისაც, დისწული ნერსეცსი, ნაცვლად დედის ძმისა თვისისა ნერსეცსა ერისმთავრად ქვეყანასა ამას ქართლისასა“ [31, 129]. ჩვენს ხელთ არსებული ცნობებიდან გამომდინარე, ნაკლებ სავარაუდოა, ნერსეს შემდგომ მისი შვილების, ადარნერსეს და ფილიპეს ერისმთავრობა.

ვფიქრობთ, მართებულია მ. სანაძის ეჭვი [30, 103], სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმულ ვარაუდთან დაკავშირებით, იმის შესახებ, თითქოს ნერსეს შემდეგ ერისმთავრებად იყვნენ ერთმანეთის მიყოლებით მისი შვილები — ადარნერსე და ფილიპე [36, 311-315]. უკანასკნელი ვარაუდი გამოთქმულია სინას მთაზე დაცულ ერთ-ერთ კრებულში (/შინ-50) შემონახული ცნობის საფუძველზე, „ადარნერსე ნერსეს ძე გარდაიცვალა დასაბამითგანთა წელთა ხვზ (6407) 783 და ფილიპე გარდაიცვალა ბ (მეორესა) წელსა და აბოჲ იწამა ტფილის შინა დასაბამთაგანთა წელთა ხვე (6407) ერისთაობასა სტეფანოზისასა, ძისა გურგენისსა", სადაც ერისთავად მხოლოდ სტეფანოზი იხსენიება. მართალია, აბოს წამება ხალიფა მაჰდის გარდაცვალების (785 წ.) შემდგომ არის სავარაუდო, მაგრამ, როგორც ჩანს, მის ახლო ხანებში. თუნდაც მივენდოთ იოანე საბანის ძის ცნობას, რომ ნერსეს და აბოს დაბრუნების შემდეგ უკანასკნელის წამებამდე 3 წელი გავიდა, მაინც საეჭვოა, რომ მის შვილებს ერისმთავრობა მოესწროთ, მით უმეტეს, რომ იოანე საბანის ძე სრულიად მკაფიოდ განმარტავს, რომ ნერსეს ადგილი სტეფანოზმა დაიკავა, რომელიც 786 წელს ჯერ კიდევ ერისმთავარია. როდესაც აბო შეიპყრეს და "შეაყენეს საპყრობილესა, შემდგომად რამდენათმე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოს" [31, 132]. ამ ამბის შემდეგ სტეფანოზის ბედი უცნობია და ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ვარაუდია გამოთქმული.

მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ სტეფანოზი შეეწირა იმ რეპრესიებს, რომლებიც არაბებმა VIII საუკუნის დასასრულს ჩაატარეს კავკასიაში. ცნობას აღნიშნული რეპრესიების შესახებ ვხვდებით ალ-იაკუბისთან, რომელიც მოგვითხრობს, რომ „იაზიდ იბნ მაზიადს ერთდროულად არმინია და აზერბაიჯანი ექვემდებარებოდა და მან დაამყარა წესრიგი ქვეყანაში. თუმცა ეს მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა და შემდგომმა გამგებელმა კვლავ რეპრესიები დაიწყო. ახალმა გამგებელმა ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმიმ შეიპყრო მთავრები და მეფეთა შვილები, თავები დააჭრა მათ და საერთოდ ძალზე ცუდად იქცეოდა" [26, 12]. ამ არაბი მემატიანის ცნობით ისე გამოდის, თითქოს ეს რეპრესიები ყველაზე

მეტად აღმოსავლეთ საქართველოს შეეხო. ალ-იაკუბის თანახმად, „ამან გამოიწვია აღშფოთება ჯურზანში და სანარიაში. მან გაგზავნა მათ წინააღმდეგ ლაშქარი, მაგრამ მათ ის გაანადგურეს. მაშინ მან გაგზავნა სა'იდ იბნ ალ-ჰაისამ იბნ შუ'ბა იბნ ზუჰაირ ათ-თამიმი დიდი ჯარის სათავეში და ის ებრძოდა ჯურზანის და სანარიას მოსახლეობას, ვიდრე არ განდევნა ქვეყნიდან. ამის შემდეგ ხუზაიმა იბნ ხაზიმი თბილისს გაემართა, სადაც წელიწადზე ნაკლები გაატარა, რადგან გადააყენეს და მის ადგილზე დაინიშნა სულაიმან იბნ იაზიდ იბნ ალ-ასამ ალ-'ამირი“ [26, 12]. მაგრამ, ამავე ავტორის ცნობით, ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმი უფრო ადრეც იყო დანიშნული არმინიის გამგებლად. მისი გადმოცემით, ალ-მაჰდის სიკვდილის შემდეგ მთელი არმინია აჯანყებებით იყო მოცული, რომელიც მუსას მთელი ხალიფობის (785-786) მანძილზე გრძელდებოდა. როდესაც ჰარუნ არ-რაშიდმა (786-809) გამგებლად დანიშნა ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმი, რომელიც იქ ერთი წელი და ორი თვე მართავდა, ამბოხი ჩახშობილ იქნა და მოსახლეობამ მორჩილება გამოაცხადა“ [26, 9]. ამგვარად, იაკუბის ცნობებით, ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმი ორჯერ დაინიშნა არმინიის გამგებლად და მას ორჯერ, 786 წელს და იმავე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მოუხდა იმ მხარეში რეპრესიების ჩატარება.

ალ-ბალაზური არმინიის და აზერბაიჯანის გამგებლების სიაში ამ პიროვნებას ერთხელ იხსენიებს, თუმცა მას განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს. მისი აზრით, „ამ გამგებლებს შორის განსაკუთრებით გამორჩეული იყო ხუზაიმა“ [15, 21]. იბნ ალ-ასირის ცნობით, 172 (788-89) წელს ჰარუნ არ-რაშიდმა გადააყენა იაზიდ იბნ მაზიად იბნ ბაიდა არმინიის გამგებლობიდან, ხოლო მოგვიანებით, 183/799 წელს, როდესაც ხაზარები შემოიჭრნენ, კვლავ დანიშნა [23, 34]. ამასთანავე, ავტორი ხაზარების შემოჭრის მიზეზის ერთ-ერთ ვერსიად ხაკანის ქალიშვილის დაღუპვას ასახელებს: ისინი „სასტიკად დაესხნენ მუსლიმებს და ზიმიებს, გარეკეს 10000-ზე მეტი საქონელი და საშინელი, დედამიწაზე დღემდე არნახული რამ მოიმოქმედეს“ [23, 34]. ჰარუნ არ-რაშიდმა დანიშნა იაზიდ იბნ მაზიადი არმინიის გამგებლად — აზერბაიჯანის გამოკლებით — და გაგზავნა მათ [ხაზართა] წინააღმდეგ, ხოლო ხუზაიმა იბნ ხაზიმი

ნისიბინში გაამწესა არმინიის მცხოვრებთა დასაცავად“ [23, 34]. იბნ ალ-ასირს არაფერი აქვს ნათქვამი ჯურზანისა და წანარების აჯანყების და მათ მიმართ ჩატარებული რეპრესიების შესახებ. ვფიქრობთ, რომ მ. არტამონოვმა და დ. დანლოპმა სამართლიანად ივარაუდეს, რომ იბნ ალ-ასირმა აქ შეცდომით გადმოიტანა ხაკანის ქალიშვილის დაღუპვის სიუჟეტი, რომელიც სინამდვილეში VIII ს. 60-იან წლებში მოხდა და ხაზართა 762-764 წლების თავდასხმები გამოიწვია [19, 250; 16, 183] დ. დანლოპის მსჯელობით, შეცდომა, შესაძლოა, გამოიწვია არმინიის გამგებელთა სახელების მსგავსებამ — 145 წელს (იაზიდ იბნ უსაიდი) და 183 წელს (იაზიდ იბნ მაზიადი) [19, 183].

აქვე იბნ ალ-ასირი VIII ს. 90-იან წლებში ხაზართა შემოჭრის მეორე ვერსიასაც ასახელებს: „სხვები ამბობენ, რომ მათი შემოჭრის მიზეზი ის არის, რომ სა'იდ იბნ სალმამ მოკლა ალ-მუნაჯიმ ას-სულამი, რომლის შვილიც ხაზარებთან წავიდა და მათ ჯარით დახმარება სთხოვა სა'იდის წინააღმდეგ. ისინი შეიჭრნენ არმინიაში გასასვლელით (კედელში). სა'იდი გაიქცა, ხოლო ხაზარები არმინიაში 70 დღე რჩებოდნენ. ამის გამო ჰარუნ არ-რაშიდმა გაგზავნა ხუზაიმა იბნ ხაზიმი და იაზიდ იბნ მაზიადი და მათ გაასწორეს ის, რაც სა'იდმა გააფუჭა. განდევნეს ხაზარები და ამოქოლეს გასასვლელი“ [23, 35]. ალ-იაკუბი VIII ს. 90-იან წლებში ხაზარების შემოჭრის მხოლოდ ერთ მიზეზს იცნობს. მისი ცნობითაც, სა'იდ იბნ სალმამ მოკლა ბაბ ალ-აბვაბის გამგებელი, რომლის შვილიც წავიდა ხაზართა ხაკანთან დახმარების სათხოვნელად, რასაც ხაზართა თავდასხმა მოჰყვა. ხაზართა ხაკანი „დიდი ჯარით შემოიჭრა, დაესხა მუსლიმებს, დახოცა ბევრი ხალხი, მიაღწია მდინარე მტკვარს, ტყვედ ჩაიგდო ბევრი მუსლიმი, მოსრა აურაცხელი ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები, და ქვეყანა ცეცხლს მისცა“ [26, 11]. ატ-ტაბარი ხაზართა შემოჭრის ორივე მიზეზს ასახელებს [18, 191].

შუშანის თვითმკვლელობის ამბავს, რომელიც „მატიანე ქართლისაჲში“ თარიღის გარეშეა გადმოცემული, მარკვარტი [19, 184] და მ. არტამონოვი [16, 251], VIII ს. 90-იან წლებთან აკავშირებენ, ხოლო პ. გოლდენი მას დაახლოებით 800 წლით ათარიღებს [37, 171]. ამ შემთხვევაში მ. არტამონოვი იმოწმებს მ. ჯანაშვილის ნაშრომს

[38, 26-27], რომელიც ხაზართა მთავრის ბლუჩანის თავდასხმას და შუშანის ისტორიას იოანეს და ჯუანშერის (718-78) ზეობის წლებში ათავსებს. მართალია, აქ წლები არასწორადაა მითითებული, მაგრამ ეს არ არის VIII ს. დასასრული.

ბ. სილაგაძე არ იზიარებს, მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართულ წყაროში გადმოცემული ბლუჩანის ლაშქრობა და შუშანასთან დაკავშირებული რომანტიკული ისტორია ხაზართა 764 წლის თავდასხმის ანარეკლია და გამოთქვამს შემდეგ ვარაუდს: „რაც შეეხება ბლუჩანის ლაშქრობას, თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობდა და ფაქტი ადრეული არაა, ან იგი ასთარხანის ლაშქრობის გვიანდელ გამოძახილს არ წარმოადგენს, მაშინ სხვა დროს მომხდარ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ". ამავე დროს, ბ. სილაგაძე უკრიტიკოდ იღებს ცნობას VIII ს. დასასრულს ხაზართა შემოჭრის შემდგომ ჯურზანში და წანარეთში მომხდარი აჯანყების შესახებ [22, 124].

ერთადერთი, ვინც ერთგვარი ეჭვი შეიტანა ამ ცნობაში, იყო ს. ჯანაშია, რომელიც იაკუბის ცნობის განხილვისას იმის შესახებ, თუ როგორ შეიპყრო ჰარუნ არ-რაშიდის მიერ არმინიის გამგებლად დანიშნულმა ხუზაიმა იბნ ხაზიმმა პატრიკები, ფრჩხილებში შენიშნავს: „თითქოს ნერსე ერისმთავრის ისტორიის გამოძახილია ეს ამბავი?" [2, 61]. იგივე მკვლევარი, ისევე, როგორც ივ. ჯავახიშვილი [1, 97], ეჭვქვეშ აყენებს ამავე ავტორის სხვა ცნობასაც, ამჯერად, პატრიკების მოკვლის შესახებ ხალიდ იბნ იაზიდის შვილის მმართველობის წლებში. არაბული წყაროს მიხედვით, მუჰამად იბნ ხალიდი „იმდენ ხანს ებრძოდა სანარიელებსა (შენიშვნაში — „უდრის ქართული მატიანის „კახ გარდაბანელთ"-ს) და ისჰაკს, სანამ არ განდევნა იგი ამ ქვეყნიდან და ისინიც (სანარიელები) არ გააქციაო". ქართველი მკვლევარი ეკამათება წყაროს და ასკვნის: „ქართული ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს — საჰაკი ამის შემდეგაც ტფილისის ამირაა და ისევ ისე ეურჩება ხალიფასა" [2, 63]. ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება წყაროს მიმართ, ზოგადად, და კონკრეტულად, ალ-იაკუბის მიმართ, ვფიქრობთ, სავსებით გამართლებულია. თუმცა, მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნული წყაროს ცნობებს სავსებით სანდოდ მიიჩნევს. მაგალითად, პ. ინგოროყვაც უკრიტიკოდ

ილებს იაკუბის ცნობას იმის შესახებ, რომ ხუზაიმა ხაზიმის ძემ IX ს. დასაწყისში გამოიწვია თავისთან პატრიკიოსები და სეფეწულები და დახოცა [11, 41].

სწორედ ამ რეპრესიებთან აკავშირებენ, როგორც აღვნიშნე, მკვლევრები სტეფანოზ IV-ის დაღუპვას და მის ნაცვლად აშოტ I-ის დანიშვნას ქართლის ერისმთავრის თანამდებობაზე, რაც არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

მაგალითად, ა. ბოგვერაძე შენიშნავდა, რომ „არ არის ცნობილი, როდემდე გრძელდებოდა სტეფანოზის გამგებლობა ქართლში, მაგრამ 790 წელს ის ჯერ კიდევ ქართლის ერისმთავარი ყოფილა, როგორც იოანე საბანის ძის მიხედვით ვიცით“ [3, 107]. ასეთი მოსაზრება დამყარებულია, როგორც ჩანს, იმ ფაქტზე, რომ იოანე საბანისძის თხზულება დაიწერა ქართლის კათოლიკოსის სამოელის თხოვნით და მის დროს (780-790) [39, 129]. სწორედ ხსენებული კათოლიკოსის მიმართაა იოანე საბანისძის შემდეგი სიტყვები: „ღმრთივ პატიოსნისა მამფლისა და უფლისა ჩემისა“ [31, 117] „და მის შემდეგ, რა ვითარებაა ქართლში, ნათლად არ ჩანს, — განაგრძობს ა. ბოგვერაძე, — როგორც იაკუბი გადმოგვცემს, ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის ხალიფობის დროს, დაახლოებით, 803-806 წლებში, არმინიის მმართველად დანიშნულმა ხუზაიმა იბნ ხაზიმმა შეიპყრო აქ პატრიკები და მათი შვილები და დააჭრა მათ თავები, რასაც აჯანყება გამოუწვევია ქართლსა და წანარეთში. საფიქრებელია, რომ ამ სისხლიან ზომებს თუ თვით სტეფანოზი არა (ის ალბათ ცოცხალიც აღარ იყო), მისი შვილები მაინც შეეწირა და ქართლის საერისთავო სახლების სხვა წარმომადგენლებიც“ [27, 107]. „ამით უნდა აიხსნას, ალბათ, ის, რომ ხალიფა მამუნის დროს (დაახლოებით 813 წ.), ქართლში ერისთავად ინიშნება აშოტ ბაგრატიონი, ადარნასეს შვილი. ხალიფა ჯერ კიდევ ცდილობს ერისმთავრის ხელისუფლების შენარჩუნებას ქართლში“ [4, 183].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ფაქტობრივად, ალ-იაკუბის ორივე ცნობა ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმის მოღვაწეობაზე არმინიაში, როდესაც ის, ერთ შემთხვევაში, ამშვიდებს ადგილობრივ მოსახლეობას და მათ მორჩილებას აღწევს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, პატრიკებს სიკვდილით სჯის, ეხება მაჰდის გარდაცვალების

შემდგომ მოვლენებს, როდესაც მართლაც ჩატარდა რეპრესიები აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც ჩანს, მისი მსხვერპლი გახდა არა მარტო აბო თბილელი, არამედ სტეფანოზ IV და, შესაძლოა, სხვა დიდებულებიც, შვილებთან ერთად. მსგავსი ვარაუდი გამოთქმული აქვს მ. არტამონოვსაც, რომელიც 785-86 წლებში, ხალიფა მაჰდის შემდეგდროინდელ მოვლენებზე მსჯელობისას, სტეფანოზის ბედსაც ეხება და შენიშნავს: „საეჭვოა, რომ მის მიმართ გარკვეული დათმობისათვის პოლიტიკური მოტივების გაქრობის შემდეგ, მას შეძლებოდა არაბთა რისხვის თავიდან აცილება“ [16, 249].

აქ კიდევ ერთხელ კვლავ იჩენს თავს სამხრეთ კავკასიელების კავშირი ხაზარებთან. როგორც ჩანს, არ იყო შემთხვევითი ის გარემოებაც, რომ, სწორედ, აბოს წამების დროს არაბების ურთიერთობა ხაზარებთან კვლავ დაიძაბა და არაბთა გამგებელი უსმან იბნ უმარ იბნ ჰურაიმი მრავალრიცხოვანი ჯარით მთელი ზაფხულის მანძილზე იდგა დარუბანდთან, საიდანაც ის ხაზართა შემოჭრას ელოდა. როგორც ღევონდი მოგვითხრობს, „ხაზარები, მართალია, არ შემოჭრილან, მაგრამ ეპიდემიის შედეგად არაბების დიდი ნაწილი დაიღუპა, რის შემდეგაც ხალიფამ გამგებელი შეცვალა“ [25 III; 16, 249].

იმავე ღევონდის ცნობით, მაჰდის შემდგომ ტახტზე ასული მისი შვილი, ხალიფა მუსა, რომელიც ერთი წლის მანძილზე მართავდა სახალიფოს, ძალზე დაუნდობელი იყო. მემატიანის გადმოცემით, მან როხი სომხეთში ვინმე ხაზმით (როგორც ჩანს, ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმით) შეცვალა, რომელმაც „ქვეყანა ომად და ჯოჯოხეთად აქცია“. რუსულ ენაზე ტექსტის გამომცემლის პატკანოვის კომენტარით, „აქ თითქოს სიტყვების თამაშია და „ხაზმი ან რაზმი“ ძველ სომხურში ომს, ბრძოლას ნიშნავს“ [25, 164]. ღევონდის თანახმად, „როდესაც მან ქალაქ დვინს მიაღწია, ძის შესახვედრად გამოვიდნენ სომეხი დიდებულები და დიდებულები არწრუნთა გვარიდან: ხამაზასპი, სააკი და მერჯანი“, რომლებიც არაბმა მოხელემ შეიპყრო და სამი წლის მანძილზე საპყრობილეში გამოამწყვდია“. შემდეგ მან მიიღო თანხმობა მათ სიკვდილით დასჯაზე, რისგანაც პატიმრებს თავის დახსნა რწმენის შეცვლით შეეძლოთ, მაგრამ არ დასთანხმდნენ. მოწამებრივი აღსასრულის

შემდეგ მოკლულები სახრჩობელაზე ჩამოკიდეს და დაცვაც მიუჩინეს, რომ ვინმეს არ მოეპარა გვამები და არ დაესაფლავებინა". იმავე მემატიანეს აქვს სხვა ცნობაც, რომელიც უფრო ამაგრებს ვარაუდს იმის შესახებ, რომ სტეფანოზიც სწორედ ამ დროს ანამეს. მისი გადმოცემით, მუსამ იბერიის მთავარიც მოაკვლევინა საზარელი სიკვდილით: ის „ასწიეს ხელებით და ფეხებით და შუაზე გადაჭრეს". ამასთან, ღევონდის ცნობით, იბერიის მთავარი „ახალგაზრდა იყო, ჯერ კიდევ ყმაწვილი, რომელიც დაიღუპა, როგორც კრავი სასაკლაოზე" [25, 114]. ამდენად, საეჭვოა, რომ მას შვილები ჰყოლოდა.

იოანე საბანის ძის თხზულებიდანაც ჩანს, რომ მსხვერპლი ბევრად მეტი იყო. აბოსთან ერთად შეიპყრეს სხვაც, რომლის მშობლებიც ქრისტიანები იყვნენ, „ნაშობი ქრისტეანეთაჲ", მაგრამ მან ვერ გაუძლო ტანჯვას და „დაეცა, რამეთუ შიშისაგან სიკვდილისა საწუთროჲ ესე შეიყვარა და საუკუნოჲ იგი წარწყმიდა" [31, 144].

როგორც ჩანს, ალ-იაკუბი, რომელი ცაღმოსავლეთ საქართველოს რეპრესიებზე VIII ს. დასასრულს მოგვითხრობს, შეცდომაში შეიყვანა კიდევ ერთმა გარემოებამ. კერძოდ, ერთ შემთხვევაში, 60-იანი წლებისა და 90-იანი წლების, ხოლო, მეორე შემთხვევაში, 80-იანი და 90-იანი წლების ფაქტების გარკვეულმა მსგავსებამ. პირველ შემთხვევაში (60-იანი და 90-იანი წლები) ადგილი ჰქონდა ხაზართა თავდასხმებს სამხრეთ კავკასიაზე. 60-იანი წლების თავდასხმას იაზიდ იბნ უსაიდის, ხოლო 90-იანი წლების თავდასხმას — იაზიდ იბნ მაზიადის სახელები უკავშირდება. შესაძლოა, არმენიის გამგებელთა სახელების მსგავსების გამო, ავტორმა, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, ხაზართა თავდასხმას მოაყოლა აჯანყება ჯურჯანში, ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოში, რაც სწორი მხოლოდ პირველ შემთხვევაშია — ე.ი. VIII ს. 60-იან წლებში. ამ დროს მთელი სამხრეთი კავკასია და, მათ შორის, აღმოსავლეთი საქართველო აჯანყების ალშია გახვეული, რასაც მოჰყვა თბილისის საამიროს დაარსება 771 წელს. მეორე შემთხვევაში კი, ხალიფა მაჰდის გარდაცვალების (785 წელს) შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში დანიშნული ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმი კვლავ გამოჩნდება 90-იან წლებში იაზიდ იბნ მაზიადთან ერთად ხაზარებთან დაპირისპირებაში. აღნიშნულმა

გამგებელმა (ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმიმ) მართლაც ჩაატარა რეპრესიები აღმოსავლეთ კავკასიაში, ოღონდ არა 90-იან წლებში, არამედ 786 წელს, როდესაც მთელი კავკასია აჯანყებული იყო. ამასთან, აჯანყების ჩასახშობად გამოგზავნილ ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმის ამ მხარის დასამშვიდებლად ერთი წელი დასჭირვებია. რ. სიუნი სწორედ 786 წელს მართებულად აკუთვნებს ალ-იაკუბის განხილულ ცნობას [55, 28-29], თუმცა, დაწვრილებით, აღნიშნულ საკითხზე არ უმსჯელია. ამ შემთხვევაში ის იმოწმებს კ. თუმანოვს.

იმ დროიდან მოყოლებული (ე.ი. 786 წლიდან), აშოტ I ბაგრატიონის გაძლიერებამდე, ერისმთავრის არსებობა ქართლში სავარაუდო არ არის. ასევე ფიქრობს რ. სიუნი [55, 28-29], მაგრამ გარკვეულ კომენტარს მოითხოვს მისი მოსაზრება ქართლის უშუალოდ არაბი ადმინისტრატორის კონტროლის ქვეშ ყოფნის შესახებ: „რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქართლ-იბერიას, არმინიის მსგავსად, აღარ ჰყოლია ადგილობრივი დინასტი, როგორც მმართველი პრინცი. ის იმართებოდა უშუალოდ არაბი ადმინისტრატორის მიერ" [55, 29]. რამდენად იყო უკვე დაშლილი ქართლი არაბი ადმინისტრატორის კონტროლის ქვეშ, ეს ცალკე საკითხია. მაგრამ სწორედ იმ წლებში გაღრმავდა ქართლის დაშლის პროცესი. ქართლის სხვადასხვა კუთხეს შორის დაპირისპირებაა. VII-VIII სს. მიჯნაზე და VIII ს-ში ქართლის დასაუფლებლად ერთმანეთს ებრძვიან ქართლის წარჩინებულთა რამდენიმე საგვარეულო და, პირველ რიგში, გორგასლიანთა ორი შტო:

1. კახური შტო, ანუ ბაკურიანები, რომლის წარმომადგენლებიც არიან ჯუანშერი, ნერსე II ადარნასეს ძე (რომელსაც ზ. პაპასკირი შეცდომით ადარნასეს ბაგრატიონის მემკვიდრედ მიიჩნევს) [50, 108] და, დასაბუთებული ვარაუდით [30. 104], უკანასკნელის შვილია კახეთის მთავარი გრიგოლ I.

2. კლარჯული შტო, გუარამი და მისი მემკვიდრეები და მასთან ჩასიძებული ადარნასე ბაგრატიონი და მისი შვილები — გურგენი და აშოტი და მათი მემკვიდრეები ადარნასე II და აშოტ კურაპალატი [40, 19; 30, 103-104]. ამ დაპირისპირებაში, ბაკურიანების წარმომადგენელია კახეთის გამგებელი გრიგოლ I, რომელიც, როგორც წესი, წანარებთან ერთად, სახალიფოს

ცენტრალური ხელისუფლებისგან ხშირად გამდგარ თბილისის ამირას მხარეზეა. ამავე დროს, ბაგრატიონები არაბთა ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ და მათი საშუალებით ქართლში ტერიტორიის გაფართოებას და თბილისში დამკვიდრებას ცდილობენ. რამდენად მიაღწიეს მათ ამ მიზანს?

„მას ჟამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რომელი იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა. მოვიდა გრიგოლ კახეთით, და გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან. და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ, გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან“ [20, 206]. მართალია, როდესაც აშოტ ბაგრატიონი ებრძვის თბილისის ამირას, კახეთის გამგებელ გრიგოლს და წანარებს, მის მხარეზე იმ დროს მხოლოდ მისი სიძე — აფხაზთა მეფე თეოდოსი იხსენიება. არ არის გამორიცხული, რომ უკვე იმ დროს აშოტს იმ არაბთა მხარდაჭერაც ჰქონოდა, რომლებთანაც დაპირისპირებული იყო იმდროინდელი თბილისის ამირა, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა მოგვიანებით, მაგალითად, მისი შვილის დროს. როგორც ცნობილია, ბაგრატ I, აშოტის ძე, ორჯერ მიემხრო ბაღდადის მიერ გაგზავნილ მხედართმთავრებს — 842 და 853 წლებში, რითაც ქართლში თავის გავლენას აძლიერებდა.

„მატიანე ქართლისაჲსა“ აღნიშნულია პირველ შემთხვევაში, რომ „ხალილ იაზიდის ძე არაბიელის ძე „მოჰამად მოვიდა ქართლს. მოერთო მას ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა და მისცა მას ქართლი. გამოვიდა საჰაკ, ამირა ტფილელი, ლაშქრითა და დადგა რეჯს, ხოლო მოჰამად და ბაგრატ წარიღეს უფლისციხე, და მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შუელად საჰაკისა; შეიბნეს რეჯს და იყო ბრძოლა მათ შორის: არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს, აიყარა მოჰამად და წარვიდა ბარდავს“ [20, 207]. IX ს. 50-იან წლებში თბილისის ამირას ისჰაკ იბნ ისმაილის სიკვდილით დასჯის (853 წ. 5 აგვისტო) შემდეგ ბუღას წინააღმდეგ აღსდგა აფხაზთა მეფე თეოდოსი. ბუღამ მის წინააღმდეგ გაგზავნა სპასალარი ზირაქი და თავისი მოკავშირე ბაგრატ კურაპალატი. ბრძოლაში, რომელშიც

აფხაზები დამარცხდნენ, „მოსწყდა სიმრავლე ურიცხჷ. და თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა დვალეთისასა“ [20, 207].

ერთგვარი მინიშნება იმაზე, რომ აშოტს ჰქონდა გარკვეული მხარდაჭერა არაბებისაგან, არის XIII ს. სომეხი მემატიანის, ვარდან არეველცის, მატიანეში, რომელიც, ამასთან, უშვებს უზუსტობას, როდესაც ადარნასეს ვასაკის ვაჟად მიიჩნევს: „ამ ხანებში არეულობა ატყდა ისმაიტელებს შორის და სომეხთა ქვეყანამ დაისვენა. იწყეს გაძლიერება მთავრებმა თავ-თავის ადგილებზე. ისმაიტელთა მთავარმა მისცა აშოტს — სომეხთა მთავრის აშოტის ძის ვასაკის ვაჟის ადარნერსეჰის ძეს — ქართველთა ქვეყანა. წავიდა და დაიმორჩილა, ხოლო კეისარმა უბოძა მას კურაპალატობა“. როგორც ვხედავთ, ცნობაში არ არის მინიშნებული, რა ტერიტორიას გულისხმობდა „ქართველთა ქვეყანა“, მაგრამ, ამავე ავტორის ცნობით, ჩანს, რომ ეს ქვეყანა არ ფარავს თბილისს, თუმცა ის თითქმის თბილისამდე ვრცელდება. „აშოტ კურაპალატი ბატონობდა კლარჯეთიდან თბილისამდე მთიანი თემების ჩათვლით“ [41, 103]. ვარდანის მოტანილი ცნობა ძალზე ჰგავს „მატიანე ქართლისაჷს” ზემოაღნიშნულ გადმოცემას ბაგრატის შვილის ურთიერთობაზე არაბებთან — „მოჰამად მოვიდა ქართლს. მოერთო მას ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა და მოსცა მას ქართლი“ [20, 207], რომელიც, ამავე წყაროს მიხედვით, „კლარჯეთიდგან ვიდრე ქსნამდე“ ვრცელდებოდა. ვარდანის ცნობაში არ ჩანს, თუ რად ინიშნება აშოტი, მაგრამ აქაც, ვფიქრობ, შეიძლება გავიხსენოთ „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი მონაკვეთის ცნობა არჩილზე, რომელსაც არაბი მოხელე სთაჯაზობს: „სპასალარი გყო შენ ქუეყანასა ზედა ქართლისასა და მეფე და უფალ ერთა ზედა ქართლისათა“ [20, 201]. სხვათა შორის, აშოტის კავშირი არაბთა სახალიფოსთან, მისი ადრინდელი წლების გამოკლებით, ზოგიერთ შემთხვევაში, ყურადღების მიღმაა დარჩენილი. თუმცა, ხაზგასმულია აშოტის მოკავშირეობა ბიზანტიელებთან [42, 325-332]. ეს მაშინ, როცა აშოტი საკმაოდ დიდხანს ინარჩუნებს ძალაუფლებას, რაც სწრაფად ცვალებად ვითარებაში შეუძლებელი იქნებოდა მოქნილი პოლიტიკის გატარების გარეშე.

აბასიანთა ბატონობის წლებში ხშირია წანართა აჯანყებები „არმინიაში", კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში. ეს აჯანყებები პირველივე წლებიდან დაიწყო და არც შემდგომ შეწყვეტილა. იაკუბის ცნობით, არმინიის გამგებლის წარმატება იმით განისაზღვრებოდა, მოახერხა თუ არა მან წანარების დაწყნარება. მაგალითად, როდესაც ალ-მამუნმა დანიშნა ხალიდ იბნ იაზიდ იბნ მაზიადი, ის ჩავიდა ქისალში, სადაც გაჩერდა, „მან გაგზავნა მუჰამედ იბნ ათაბთან, ის გამოცხადდა მასთან შეწყალების თხოვნით და მორჩილებით. ხალიდმა აპატია და ჰკითხა: „თუ გემორჩილებიან შენ წანარები? „არა — უპასუხა მუჰამედ იბნ ათაბმა, ისინი არ მემორჩილებიან". მაშინ ხალიდი გაემართა მათ წინააღმდეგ, შეუპოვრად ებრძოდა მათ ჯურზანში, უკუაქცია და ჩაიგდო ხელთ მათი საქონელი", რის შემდეგაც დაუზავდა... მაგრამ დიდი დრო არ გასულა და ისინი კვლავ აჯანყდნენ" [26, 15]. წანარებს ბუღა თურქის ლაშქარიც დაუმარცხებიათ „უკუმოქცეულთა (მის წინამძღოლებს ზირაქს და ბაგრატს — გ.ა.) დაუდგეს წინა გარდაბანელნი ჯუარისუერდსა, და ავნეს დიდად ლაშქარსა" [20, 207]. ხოლო წანარები, თავის მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად გამდგარი თბილისის ამირას მოკავშირეები და ბაგრატიონების მოწინააღმდეგეები არიან.

სხვადასხვა ქართული მატიანე აშოტ I დიდის შესახებ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის. „მატიანე ქართლისაჲს" მიხედვით, „წარვიდა ადარნასე კლარჯეთით... შემდგომად სიკუდილისა ადრნასესისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა... რამეთუ მათვე ჟამთა შესრულ იყო მასლამა საბერძნეთად, და შეიქცა მოუძლურებული და განწბილებული. მაშინ ბერძენთა მეფემან მოუბოძა კურაპალატობა აშოტს, და მოუძლურებულ იყვნეს სარკინოზნი, და განდიდნა აშოტ კურაპალატი, ხოლო ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი თჳნიერ ალი შუაბის ძისა. და გრიგოლი მთავრობდა კახეთს. მას ჟამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რომელი იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა. მოვიდა გრიგოლ კახეთით, და გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა,

და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე. შემდგომად ამისსა მოვიდა ხალილ იაზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს ეკლესიას შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი" [20, 206]. ამ ცნობის მიხედვით, მესხეთში დამკვიდრებული აშოტი ჯერ კურაპალატობას იღებს ბიზანტიელებისაგან, შემდეგ იწყებს ბრძოლას ქართლისათვის და, პირველ რიგში, კახეთის გამგებლის გრიგოლის წინააღმდეგ, რომელმაც ისარგებლა მანამდე ერთხელისუფლებიანობის არარსებობით, ზოგადად მძიმე პირობებით, როგორც ჩანს, თბილისის ამირას მხარდაჭერითაც და ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა. აქ კარგად ჩანს, რომ მთავარია სწორედ დაპირისპირება აშოტსა და გრიგოლს შორის. სწორედ „გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან" და სწორედ გრიგოლ „გააქციეს, მთავარი კახეთისა და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან". ეს ბრძოლა უსათუოდ 818 წლამდე უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, სწორედ ამ დრომდე იყო აფხაზეთის მეფედ ცნობაში მოხსენიებული აშოტის მოკავშირე და მისი სიძე თეოდოსი. ამ ცნობის მიხედვით აშოტი თბილისში ვერ შედის.

სუმბატ დავითის ძე ამ ამბავს განსხვავებულად გადმოგვცემს: „აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი. და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა. და მაშინ გაძლიერდა ჴელმწიფებაჲ აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა და ვერ უძლო წინააღმდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან და წარემართა, რათა წარვიდეს საბერძნეთად და თანა ჰყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩჳლნი, უხუცესი ადარნასე და შემდეგი ბაგრატ. ხოლო უმრწემესი ძე გუარამ ჯერეთ არა ესუა. და ერი თჳსი მცირედ ჰყვა თანა, მკჳდრნი მისნი, დედაწულითურთ და შვილითურთ მოიწივნეს მთასა ჯავახეთისასა.... და მძინარეთა ეწივნეს დიდნი ლაშქარნი სარკინოზთანი. მაშინ შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა, და კნინსა ლაშქარს მისსა მოსცა ძლევაჲ მათ ზედა, და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი... მოიწივნეს ჴევსა შავშეთისასა. ხოლო ჴევი

შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ... და მისცა ღმერთმან გამარჯუება და აჰელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთისა ზედა... და მისცა ღმერთმან და განამტკიცა ჰელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა.... მერე კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა" [20, 283]. შემდეგ გადმოცემულია აშოტის მოკვლის ამბავი „მოიწია ჰევსა ნიგალისასა და იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითარ განიმრავლა ლაშქარი თჳსი... შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად, და მოწყლეს იგი მახჳლითა საკურთხეველსა ზედა და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ..." [20, 284]. ცნობა ნაწილობრივ იმეორებს გიორგი მერჩულეს გადმოცემას. მაგალითად: „...მას ჟამსა სხვაჲ მონასტერი არა შენ იყო მათ ქვეყანათა თჳნიერ ოპიზისა და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათვის მათ ქვეყანათაჲსა, რემეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ" [35, 227], ან „და მათ ჟამთა მფლობელი იყო ამათ ქვეყანათა ღმრთისმსახური ხელმწიფეჲ დიდი ბაგრატუნიანი — აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნეჲ, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისამდე ჟამთა და ხელმწიფისა მის წინაშე... შეუსწავლელ იყო წმიდაჲ გრიგოლ" [35, 229]. როგორც ვხედავთ, სუმბატი ამ ცნობებს ნაწილობრივ ცვლის და ავსებს.

სუმბატ დავითის ძის მიხედვით, აშოტ კურაპალატი ერისმთავარია და მისი რეზიდენცია თბილისშია. იგი ფლობს ბარდავსაც. მსგავსი არაფერი აქვს „მატიანე ქართლისაჲს" ავტორს და არც გიორგი მერჩულეს, უკანასკნელის „ამათ ქვეყანათა" არ მოიცავს თბილისს. პირიქით, აშოტი თავიდანვე კლარჯეთში, შავშეთსა და ტაოში ხელმწიფობს. სუმბატის მიხედვით, აშოტი შემდეგ გადადის შავშეთში და, ბიზანტიელების ნებართვით, ხელმწიფობს შავშეთ-კლარჯეთში და იფართოებს ტერიტორიას ბარდავამდე. გრიგოლ მერჩულეს გადმოცემით, არა ჩანს, თუ ვის მიერ „დაემტკიცა „ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ", მაგრამ რადგან მას ნათქვამი აქვს, რომ ეს „მისი კეთილად

მორწმუნეობის" გამო მოხდა, სუმბატს შეიძლებოდა ისე გაეგო, რომ ეს, სწორედ, ბიზანტიელების თანხმობით მოხდა.

ვახუშტი ბაგრატიონი, ძირითადად, სუმბატის ვერსიას მიჰყვება, მაგრამ ერთგვარად აზვიადებს აშოტის მიღწევებს და უფლებებს ქართლის დიდ ნაწილზე. ამასთან, ვახუშტი ტოვებს „მატიანის" ცნობებსაც. მისი ვერსიითაც, როდესაც იგი სუმბატს მიჰყვება, აშოტს „სახლად აქუნდა ტფილისი და ბარდავი და გარემო ქუეყანანი". ამის შემდეგ გაკვირვებასაც კი იწვევს მისი შემდეგი ცნობა, რომ „შემოიკრიბა აშოტ კურაპალატმან სპანი და მოვიდა ქართლს", თეოდოსი აფხაზთა მეფესთან ერთად, სადაც დაპირისპირებულ მხარესთან „ქსანსა ზედა" შებმის შემდეგ „დაიპყრო აშოტ კურაპალატმან ქსნიდამ კლარჯეთამდე", რაც უკვე აღებულია „მატიანიდან". სრულიად გაუგებარია, რატომ ებრძვის ის თბილისის ამირას, წანარებსა და კახეთის მთავარს გრიგოლს, თუ მას ისედაც ამხელა ძალაუფლება აქვს და ასეთი ვრცელი ტერიტორია უპყრია. ამასთან, „მოუძლურდნენ სარკინოზნი, ხოლო ტფილისს არღარავინ დაშთნენ სარკინოზნი, თ;ნიერ ალი შუაბის ძისა" [გვ. 128]. ვახუშტის მიხედვით, შავშეთში ის მოგვიანებით გადადის.

სუმბატის, ისევე, როგორც ვახუშტის, თხრობაში ზოგიერთი ცნობა აშკარად ეჭვს იწვევს, რაზედაც სამართლიანად მიუთითა მ. ლორთქიფანიძემ. მაგალითად, ცნობა იმის შესახებ, თითქოს აშოტმა თავისი სამფლობელო ბარდავამდე გაიფართოვა. „ეს რომ ასე ყოფილიყო, — მიუთითებს მკვლევარი, — მის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო თბილისის საემირო და კახეთის ნაწილიც. "მხოლოდ ამ შემთხვევაში" მოახერხებდა იგი ბარდის მიღწევას" [6, 309]. დ. მუსხელიშვილიც აღნიშნავს, რომ გაზვიადებულია მემატიანის ცნობა, თითქოს აშოტი პირველ პერიოდში ბარდავსაც და ტფილისსაც ფლობდა, ხოლო, უფრო გვიან, ტერიტორიას „ვიდრე კარადმდე ბარდავს ქალაქისა" (ალბათ, იგულისხმება ტფილისიანად). „ერთი რამ ცხადია, რომ გარდაცვალებამდე აშოტ კურაპალატს ეჭირა შიდა ქართლი და, ცხადია, ტერიტორიაც, რომელიც მდებარეობს ტაო-კლარჯეთსა და შიდა ქართლს შორის" [43, 174-175].

კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობებიც. მაგალითად, როგორც „მატიანესთან“, ასევე სუმბატთან, ნაკლებ დასაჯერებელია გადმოცემა აშოტის მკვლელობაზე, ვინაიდან მისი დეტალები აქ აშკარად ჰგავს ბიზანტიის კეისრის ლეონ V-ის (813-820) აღსასრულს. XIII ს. სომეხი მემატიანის, ვარდანის, თხზულებაში ეს გადმოცემა სწორედ აშოტზე ცნობებს შორის არის მოქცეული. აქ ნათქვამია, თუ როგორ შეეცადა ვინმე მიქაელი ლეონის მოკვლას, მაგრამ ვერ მოახერხა. თუმცა, შემდეგ, მისმა დაახლოებულმა პირებმა მაინც აღასრულეს მისი გეგმა, „მოულოდნელად მახვილებით დაესხნენ თავს კეისარს ეკლესიაში წირვის დროს. ის გაიქცა საკურთხevლისაკენ და ხელებით ჩაეჭიდა, ხოლო მათ შეუბრალებლად, როგორც მხეცებმა, მოკლეს ის ადგილზე“ [41, 103]. იგივე ცნობა აქვს სირიელ ავტორს ბარ ჰებრეის, რომელიც აღნიშნავს, რომ ლეო მოკლულ იქნა ლოცვისას საკურთხეველთან [28, 129]. თუმცა მთლიანობაში, „მატიანეს“ მონაცემები უფრო სანდო ჩანს.

ამის მიუხედავად, სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად სწორედ სუმბატ დავითის ძის ვერსიაა მიღებული და, როგორც წესი, მიჩნეულია, რომ აშოტი თავდაპირველად თბილისში ზის, როგორც ერისმთავარი, მოგვიანებით გადადის შავშეთში, საიდანაც იბრძვის ტერიტორიის გასაფართოებლად და უკან დასაბრუნებლად, რასაც აღწევს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მიდის ბარდავამდე და შემდეგ მას კლავენ. ამასთანავე, სხვადასხვა მკვლევარი ამ ფაქტებს განსხვავებულად ათარიღებს და განსხვავებულადაც განიხილავს.

პ. ინგოროყვა მიიჩნევს, რომ აშოტ I-ის დროს იბერიის ქვეყნების პოლიტიკური ცენტრი გადატანილ იქნა დასავლეთ მესხეთში. მას შემდეგაც, „რაც 815-826 წწ.-ში აშოტ I-ის მიერ შემოერთებულ იქნა შიდა ქართლი და ქვემო ქართლის ქვეყნები, აშოტ I-მა პოლიტიკური ცენტრი არ დაძრა მესხეთის მივარდნილი და განადგურებული კუთხიდან, შავშეთ-კლარჯეთიდან, და არ გადაიტანა იგი არც მესხეთში და არც ქვემო ქართლის ისტორიულ ქალაქებში“ [11, 53].

კ. კეკელიძის აზრით, აშოტ დიდი ჯერ ქართლის ერისმთავარი ხდება, შემდეგ კი შავშეთ-კლარჯეთში გადადის [44, 257]. ამავე აზრისაა შ. ბადრიძეც, რომელმაც აშოტ I-ს ვრცელი სტატია უძღვნა.

მკვლევარი ფიქრობდა, რომ „ვიდრე კურაპალატ-ვასალად იქცეოდა, აშოტ დიდი ქართლის ერისმთავარი იყო“ [45, 217-268].

განსხვავებული აზრი გამოთქვა დ. მუსხელიშვილმა: „ვიდრე აშოტ ბაგრატიონი“ ქართლის ერისმთავარი გახდებოდა, სამხრეთ-დასავლეთის პროვინციის, მაინცდამაინც, კლარჯეთის მფლობელად გვევლინება“ [43, 157].

იმთავითვე ერისმთავრად მიიჩნევენ აშოტს მ. ლორთქიფანიძე და ზ. პაპასკირი. მათი აზრით, „არაბ ამირასთან წინააღმდეგობის გამწვავებამ აიძულა ქართლის ერისთმთავარი — აშოტ ბაგრატიონი — გაქცეოდა არაბებს და საფუძველი ჩაეყარა ახალი ქართული სახელმწიფოსათვის შავშეთ-კლარჯეთში, რომელმაც შემდგომ „ქართუელთა“ სამეფოს სახელწოდება მიიღო [46, 183]. სხვა შემთხვევაში აშოტი მოხსენიებულია როგორც ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი [47, III]. მ. ბახტაძეს აშოტი ერისთავებისა და ერისთავთ-ერისთავების სიაში შეყავს [53, 143].

აქვე იბადება კითხვა: იყო კი აშოტ კურაპალატი ერისმთავარი? წყაროებში აშოტ I, უფრო ხშირად, იხსენიება როგორც ხელმწიფე, მეფე, კურაპალატი. გიორგი მერჩულეს თხზულებაში მას ასე მიმართავენ: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“ [35, 235]. აშოტს ეხება გრიგოლ ხანძთელის შემდეგი სიტყვებიც: „მეფეო, ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაით-მე მოგელოდი — აღმოსავლეთით — მე ანუ დასავლით, ჩრდილოით-მე ანუ სამხრით, რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ“ [35, 238]. ე. ი. აშოტი კურაპალატია, და ამავე დროს, მეფე, ხელმწიფე. პ. ინგოროყვას აზრით, „ქართველთა სამეფოს“ ხელისუფლების მეთაურნი... აშოტ I-ის დროიდანვე ატარებდნენ ორ ტიტულს: „მეფე“ და „კურაპალატი [11, 50]. სწორედ ამ აშოტთან აკავშირებს იგი „საოსტიგნეს წარწერას“, რომელსაც შემდეგნაირად კითხულობს: „ესე მე, აშოტ მეფემან ოთხ წელსა გავაშენე“ [11, 50; 52, 287]. იქვე არსებობს ერისმთავრის ინსტიტუტიც, რაც, ფაქტობრივად, პატრიკიოსს ნიშნავს. ის უფრო დაბალი საფეხურია, ვიდრე - კურაპალატი, რაც მეფეს უტოლდება და ეს ერისმთავარი აღარ წარმოადგენს ერთიანი ქართლის ერისმთავარს.

„ღმერთმა მსახურსა მეფესა აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერისმთავარმან სანატრელსა მამასა გრიგოლის ღირსებაჲ“ [35, 234], — ნათქვამია გიორგი მერჩულეს თხზულებაში. ამ შემთხვევაში სავსებით მართებულია მ. ბახტაძის დაკვირვება იმის შესახებ, რომ ტერმინი „ერისმთავარი“ გიორგი მერჩულეს აქ ნახსენები აქვს ზოგადად გაბრიელ დაფანჩულის წარმოჩენის მიზნით. ამ ცნობის მიჩნევა იმის დამადასტურებლად, რომ გაბრიელი იყო აშოტ კურაპალატის ერისთავი, ჩვენი აზრით, „ნაკლებ სავარაუდოა“, — აღნიშნავს მკვლევარი. მეორე მხრივ, წყაროს ეს ცნობა გამოდგება იმის საბუთად, რომ გიორგი მერჩულე არ მიიჩნევს ერისმთავრად აშოტს.

ერისმთავრები ჩანან აშოტის მემკვიდრეებს შორის. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პირველი, ვინც ბაგრატიონებს შორის ერისთავთერისთავის ტიტულით იხსენიება, არის აშოტ კუხი, IX ს. დასასრულს [53, 136]. გიორგი მერჩულეს მიხედვით, აშოტის შვილიშვილის გურგენ კურაპალატის ძე აშოტი – ერისთავთერისთავია, ისევე, როგორც მისი ძმისწული გურგენი [35, 257, 258]. სუმბატ დავითის ძის ცნობით, „მოკუდა.. გურგენ კურაპალატი... და დაუტევნა ორნი ძენი — ადარნასე და აშოტ ერისთავთა ერისთავი“. ადარნასემ, თავის მხრივ, „დაუტევნა ორნი ძენი მცირენი — დავით ერისთავთა ერისთავი და გურგენ, რომელი შემდგომად მერმე დიდი ერისთავთ ერისთავი იყო“... [48, 54] და არაერთი სხვაც, რომელთა შესახებ ცნობები სხვადასხვა წყაროშია. ერთი და იგივე პიროვნება სხვადასხვა დროს ერისმთავარი და კურაპალატიც შეიძლება ყოფილიყო. ამავე დროს, სწორია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „ბაგრატიონებში ერისთავთერისთავი და ერისთავი იყო საპატიო ტიტული, რომელსაც რეალური სამოხელეო შინაარსი არ ჰქონდა“ [53, 147].

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, აშოტი ერისმთავართა სიაშია შეყვანილი... „მერმე ნერსე დიდი და ძენი მისნი — ფილიპე და სტეფანოზ, ადარნესე და გუარამ დიდი, ბაკურიანი და ძე ბადადის, და ძენივე ადარნესესნი აშოტ და გურგენ. ესე დიდნი ერისთავნი იყვნეს“ [49, 97]. როგორც ჩანს, სწორედ ამ ცნობაზე

დაყრდნობით მიიჩნია სუმბატ დავითის ძემ აშოტი თბილისში მჯდომ მთავრად — „აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი“ [20, 283]. თუმცა, მ. სანაძემ მართებულად შენიშნა, რომ „მოქცევაںში“, ამ შემთხვევაში, უფრო ადრინდელი ვითარებაა ასახული [40, 15-23; 30, 102-103]. „მოქცევااںს“ სიაში ეჭვი შეიტანა კ. კეკელიძემ, რომელიც რამდენიმე საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს: „რასაკვირველია, გენეალოგიურ სიზუსტეზე ზედმეტია ლაპარაკი. სახელები კი, საფიქრებელია, რაღაც სინამდვილის გამოძახილის შემცველია. თუ ნერსედ ჩვენ მივიღებთ „აბო თბილელის მარტვილობის“ ნერსეს, ხოლო სტეფანოზად მის დისშვილს, „აბო თბილელის“ სტეფანოზს, რომელიც 786 წ. ჩანს ერისმთავრად, მაშინ ასეთ ჩიხში შევალთ: 786 წლიდან ერისმთავრობს (ტრადიციით) აშოტი. როდისღა ერისთმთავრობდა სტეფანოზი? ვთქვათ, 786 წლისთვის ის გარდაიცვალა, როდის ერისმთავრობდა ძმა მისი ადარნასე, მამა აშოტისა, თავი რომ დავანებოთ ფილიპესა და გურგენს, რომელნიც, შეიძლება არც ყოფილან ერისმთავრებად? ამისთვის, ყოველ შემთხვევაში, ადგილი აღარ რჩება ისტორიაში“. იგივე მკვლევარი ვარაუდობს, რომ აშოტს ხალიფა ალ-მამუნის (813-833) მოწინააღმდეგეები, ე.ი. ხალიფა ალ-ამინის (809-813) მომხრეები უჭერენ მხარს, ხოლო ალ-მამუნმა გამარჯვების შემდეგ უკანასკნელთა კლიენტების და, მათ შორის, აშოტის წინააღმდეგ გაილაშქრა. მისი აზრით, აშოტ დიდი ქართლის ერისმთავარი ხდება 810 წელს, შავშეთ-კლარჯეთში გადადის 820-825 წწ., ხოლო 836 წ. მას კლავენ [44, 257].

პ. ინგოროყვას მიაჩნია, რომ აშოტ I-ს „მეფის ტიტული თავიდანვე მიუღია, 809-13 წლებში, ხოლო კურაპალატის ტიტული შავშეთ-კლარჯეთში გადასახლების შემდეგ, ისიც არა პირველ ხანებში, არამედ - უფრო გვიან, თავის მეფობის უკანასკნელ წლებში, არა უადრეს 818 წლისა“ [11, 53].

შ. ბადრიძემ ძირითადად შემდეგი საკითხები განიხილა: კერძოდ, როგორ ურთიერთობას გულისხმობს აშოტისათვის კურაპალატის ტიტულის ბოძება, ვასალობას თუ მოკავშირეობას; შეინარჩუნა თუ არა ںახ კურაპალატობასთან ერთად ერისთავის ტიტული; იყო თუ

არა ის ნოდებული მეფედ და სხვ. მისი პასუხებია, რომ ბიზანტიასთან ვასალურ პირობებზე მოქცევის დროიდან კურაპალატობამ შთანთქა ერისთავის სახელო. პირველმა მთლიანად შეცვალა მეორე... გამოდის, რომ, აშოტის გაკურაპალატების დროიდან, დამოუკიდებელმა ქართლის ერისთავის ინსტიტუტმა ამოწურა თავისი რეალური შინაარსი. თუკი ერისმთავრის ინსტიტუტი ქართლის ფეოდალური საზოგადოების სახელმწიფოებრიობის ჩარჩოებში იყო მოქცეული, ამიერიდან კურაპალატობა ბიზანტიის შინასახელმწიფოებრივი ურთიერთობების ფარგლებში ექცეოდა. დამოუკიდებელი ერისმთავრის ადგილს ყმის — კურაპალატის სახელო იკავებდა. „თუ ჩვენი დაშვება სამართლიანია — აღნიშნავს შ. ბადრიძე, — მაშინ გამოდის, რომ აშოტის გაკურაპალატობის დროიდან დამოუკიდებელმა ქართლის ერისმთავრის ინსტიტუტმა ამოწურა თავისი რეალური შინაარსი“ [45, 216-268].

ა. ბოგვერაძე მიიჩნევს, რომ აშოტი „813 ნლის ახლო ხანებში ქართლის ერისთავად ინიშნება, მაგრამ შემდეგ იძულებული ხდება აქაურობას გაეცალოს და თავის სამფლობელო კლარჯეთში გადავიდეს“ [3, 107]. ზ. პაპასკირიც მიიჩნევს, რომ IX ს. I მეოთხედში ქართულ პოლიტიკურ სამყაროში დაწინაურებული ტაო-კლარჯეთის ლიდერის, აშოტ ბაგრატიონის „მთავარ პოლიტიკურ ამოცანას აღმოსავლეთ საქართველოდან არაბების განდევნა და ისტორიული ქართლის მთელ ტერიტორიაზე თავისი — ქართლის სახელმწიფოს ოფიციალური მეთაურის (ერისმთავრის) — ლეგიტიმური უფლებების აღდგენა წარმოადგენდა“ [50, 113]. უკანასკნელი მოსაზრება ნაწილობრივ გასაზიარებელია. რაც შეეხება აშოტის ერისმთავრობას, აშკარად ჩანს, რომ აღნიშნული ტიტული სრულიადაც არ წარმოადგენდა მის ოცნებას. აშოტს ბევრად მეტი ამბიცია ჰქონდა და იგი უკვე მეფობაზე აცხადებდა პრეტენზიას. სხვა საკითხია, რომ მისი შვილების დროს ვითარება შეიცვალა და მათ უკვე ვეღარ შეინარჩუნეს მამის დროს მიღწეული წარმატებები. აშოტის სიკვდილის შემდეგ, მისი შვილების — ადარნასეს, ბაგრატისა და გუარამის მცირეწლოვნობისას, არაბებს შეუვიწროებიათ მათი სამფლობელოები: „შემდგომად აშოტის სიკუდილისა, მამისა მათისა, რომელ გარეთ ქუეყანაჲ ჰქონდათ,

წარუღეს სარკინოზთა, რამეთუ იყვნეს იგინი უსრულ ასაკითაᲲ ... და იყუნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე ჰევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი. ხოლო არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს მათ ნაქონები იგი მამისა მათისა, დასუეს ბაგრატ კურაპალატად და წარმართა ღმერთმან ჴელმწიფებაᲲ მათი" [20, 285]. ამის შესახებ მინიშნებას გიორგი მერჩულეს თხზულებაშიც ვხვდებით: „შეწევნითა ღმრთისაᲲთა ხრმლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადნი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავნი" [35, 250].

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ აშოტ ბაგრატიონი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მომავალ „ქართველთა სამეფოს", არ ყოფილა ერისმთავარი. იმ დროისათვის, როდესაც აშოტი გაძლიერდა, ეს ინსტიტუტი, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა. უკვე VIII ს. 60-იანი წლებიდან ცალკე ერთეულია ჰერეთი, ვახუშტის ცნობით, 787 წლიდან დამოუკიდებელ არსებობას იწყებს კახეთი („განდგა გრიგოლ მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. მანვე მოსპო სახლი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად") [52, 557; 43, 132], ტაო-კლარჯეთში ძლიერდებიან ბაგრატიონები, ხოლო 771 წლიდან თბილისში არაბი ამირა ზის, რომელიც ხშირად სახალიფოს უპირისპირდება. ამ ერთეულებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა შიდა ქართლისთვის. უპირატესობა ხან ერთის და ხან მეორის მხარეზეა. მართალია, ერისმთავრის ტიტული არსებობს აშოტ ბაგრატიონის დროს, მაგრამ მას სრულიადაც აღარ აქვს უწინდელი მნიშვნელობა. ერისმთავრის რეზიდენცია თბილისი აღარ არის. ვერც აშოტმა და ვერც მისმა შთამომავლებმა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, თბილისის დაბრუნება ვეღარ მოახერხეს. ვფიქრობთ, რომ აშოტი დაუპირისპირდა თბილისის ამირას ისმაილ იბნ შუ'აიბს და არა ალი შუ'აბის ძეს, როგორც ეს აღნიშნულია „მატიანე ქართლისაᲲში" და აქედან გამომდინარე, იგი მიემხრო ხალიფა ალ-მამუნს (813-833), რომელმაც გადააყენა გამდგარი ამირა და შეცვალა ის ახლით [22, 138], და არა ალ-ამინს (809-813), როგორც ამას კ. კეკელიძე ვარაუდობს. აშოტის გამგებლობას 813-830 წლებით ათარიღებს რ. სიუნი [55, 29], რომელიც კ. თუმანოვს იმონმებს. თავის მხრივ, კ. თუმანოვის გამოთვლით, რომელიც ქართული წყაროების

მონაცემებს ეყრდნობა, აშოტის მკვლელობა მოხდა 830 წლის 29 იანვარს [56, 83-85].

აშოტის მკვლელობა, როგორც ჩანს, უკავშირდება ხალიდ იბნ იაზიდ იბნ მაზიადის პირველ ლაშქრობას, 214/829-30 წელს, როგორც ეს ალ-იაკუბის ცნობით ჩანს [26, 15; 29-30]. იმ წელს საკმაოდ ბევრი მოვლენა მოხდა. ამ მხრივ, სავსებით მისაღები ჩანს „მატიანე ქართლისაჲს" ცნობა — „შემდგომად ამისსა მოვიდა ხალილ იაზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს..."[20, 206]. ქართული წყაროს ცნობები შეესაბამება და ერთგვარად ავსებს არაბული წყაროების მონაცემებს. ალ-იაკუბის თანახმად, როდესაც ხალიდი ქისალში ჩავიდა და მუჰამად იბნ 'ათაბი დაიბარა, უკანასკნელმა შეწყალება ითხოვა და მან აპატია, რის შემდეგაც ხალიდმა წანარები დაამარცხა ჯურზანში და მათთან ზავი დადო. თუმცა, დიდი ხანი არ გასულა და ისინი კვლავ აჯანყდნენ, რასაც მოჰყვა ხალიდის კვლავ გამოჩენა და, სავარაუდოა, „არმინიაში" სხვა გამგებლების დანიშვნა [26, 14-15]. ალ-იაკუბი, ამ შემთხვევაში, არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ვინ დაინიშნა თბილისის ამირად, მაგრამ ინფორმაციას ამის შესახებ გვაწვდის „მატიანე ქართლისაჲ". ამ წყაროდან ირკვევა, რომ ეს ცვლილება მოხდა, სწორედ, ხალიდის მეორედ მოსვლის დროს: „ხოლო კუალადცა ეუფლნეს სარკინოზნი ქართლსა და ვითარ წარვიდა ხალილ, დაუტევა ამირად ალი შუაბის ძე" [20, 206]. სწორი ჩანს „მატიანეს" ცნობა ხალიდის მესამედ მოსვლის თაობაზე აღმოსავლეთ საქართველოში, თუმცა არაბული და ქართული წყაროების ცნობა, ხალიდის გარდაცვალების მიზეზების შესახებ, განსხვავდება. არ არის გამორიცხული, რომ ქართული წყაროს ინფორმაცია უფრო სწორი იყოს. ალ-იაკუბის მიხედვით, როდესაც ის ხალიფა ალ-ვასიკის დროს (842-847) გაემართა თბილისის გამგებლისაკენ, „ავად გახდა".. რამდენიმე დღეში „გარდაიცვალა და ის კუბოთი წაიყვანეს დაბილში, სადაც დაკრძალეს" [26, 19]. „მატიანე ქართლისაჲში" კი ნათქვამია, რომ „ხალიდ მოვიდა მესამედ, და მოკლეს ჯავახეთს" [20, 206], შესაძლოა, მოწამლეს კიდეც. სხვათა შორის, „მატიანე ქართლისაჲში" არ არის ნათქვამი, რომ აშოტი არაბებმა მოკლეს. პირიქით, არ არის გამორიცხული და

უფრო საფიქრებელია, რომ აშოტი იმჯერადაც ხალიდის მომხრე ყოფილიყო წანარების და თბილისის ამირას წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

მოტანილ ცნობებზე დაყრდნობით, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით გადმოცემული დიაკონი ცქირის ამბავი, უნდა ყოფილიყო ხალიდის პირველად შემოჭრამდე, როდესაც აშოტი გარკვეულ დრომდე ცდილობს, არ გაამწვავოს ურთიერთობა თბილისის ამირასთან: „მას (ე.ი. ცქირს), ვითარცა განეშორა შეწევნაი ღმრთისაა, ღონე ყოველი დაელია და ტფილისს ნარვიდა საჰაკ ამირისა, პატრონის თვისისავე და წყინებითა მისითა რეცა მიეშვა კურაპალატი და კვალად მძლავრებით დაიპყრა ანჩისა საყდარი“ [35, 309]. ამდენად, დასტურდება IX ს. არაბი ანონიმის ცნობა იმის შესახებ, რომ ამირ ისჰაკ იბნ ისმაილი ხალიდის მოსვლამდეც იყო თბილისის გამგებელი. აღნიშნული ცნობა, რომელსაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება ე. სიხარულიძემ მიაქცია [54, 139-43], შეტანილია XVII ს. ავტორის მუნეჯიმ-ბაშის თხზულებაში. აქედან ვიგებთ, რომ 853 წელს მოკლული ისჰაკი 35 წელი უწევდა ურჩობას სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ე.ი. 818/19 წლიდან იყო დანიშნული თბილისის ამირად, როგორც „მატიანე ქართლისაის“ („კუალად დაჯდა ამირად ტფილისს საჰაკ ისმაელის ძე“ — [20, 206]) და ალ-იაკუბის ცნობებით ირკვევა, გარკვეული ინტერვალებით. არსებული ვითარების გათვალისწინებით, უფრო სარწმუნო ჩანს „მატიანე ქართლისაის“ ცნობა, რომ „მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს“, ე.ი. კახეთში, რომლის ხელისუფლების წინააღმდეგაც ის, ჩვეულებრივ, იბრძოდა, და არა - „ხევსა ნიგალისასა“, როგორც ამას სუმბატის ნაშრომი გადმოგვცემს.

სუმბატ დავითის ძე მართებულად მიიჩნევს, რომ აშოტი ქართველების ხელით იქნა მოკლული, როდესაც მან „იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითარ განიმრავლა ლაშქარი თჳსი, და წარმოემართნეს მოსლვად მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა, ხოლო იგინი მოვიდოდეს კლვად მისსა. მაშინ ვიდრე მოწევნადმდე მათდა კარად მისსა არა უწყოდა აშოტ ზაკუა მათი, და რაჟამს მოიწივნეს იგინი კარად მისსა, მაშინღა აგრძნა რაი იგი ეგულვებოდა მათ. და არა ჰყვა მას ერთი თჳსი თჳნიერ მცირედთასა რომლითა ვერ

წინააღუდგებოდა იგი მათ. ამისთჳს შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად, და მოწყლეს იგი მახჳლითა“ [20, 284]. იმავეს ადასტურებს გიორგი მერჩულე, რომელიც გრიგოლ ხანძთელს ათქმევინებს: „ვითარ-მე მიეცი ხელსა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი — იგი იუდაჲს მსგავსად შენ, უფლისა თვისისა მკლველ იქმნნეს მოსაკვდინებლად ჩვენ, გლახაკთა მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?“ [35, 238].

სუმბატი ერთგვარად აზვიადებს აშოტის დამსახურებას არაბების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში: „განძლიერდა ხელმწიფებაჲ აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო წინააღმდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან...“ მოგვიანებით "მძინარეთა ენივნეს დიდნი ლაშქარნი სარკინოზთანი. მაშინ შეენია ღმერთი აშოტ კურაპალატსა, და კნინსა მას ლაშქარსა მისსა. მოსცა ძლევაჲ მათ ზედა, და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი“. და საბოლოოდ „შეკრიბა ლაშქარი ბრძოლისათვის სარკინოზთასა... დაესხნეს მას სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი“ [20, 284-5]. თუ კი ამ ცნობებში არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაშინ აშოტის დაპირისპირებული მხარე უნდა ყოფილიყო თბილისის ამირა, რომლის მიმართ აშოტის დამოკიდებულება არაბთა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობის შესაბამისად იცვლებოდა.

ამგვარად, თბილისში ამირას დამკვიდრებას, ფაქტობრივად, ქართლის ერისმთავრის ინსტიტუტის გაუქმება მოჰყვა. ხალიფა მაჰდის ათწლიანი მმართველობის პერიოდში ამ ინსტიტუტის აღდგენა დროებითი აღმოჩნდა. 786 წლიდან, სტეფანოზ IV-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ერისმთავრის ინსტიტუტი კვლავ უქმდება. მოგვიანებით გაძლიერებას იწყებენ ბაგრატიონები. აშოტ I-ს, რომელიც თავის თავს მეფეს უწოდებს, კურაპალატის ტიტული აქვს მინიჭებული. არ არის სწორი შეხედულება, რომ აშოტი, თავდაპირველად, ქართლის ერისმთავარი იყო, თბილისში იჯდა, ხოლო, მოგვიანებით, შავშეთ-კლარჯეთში გადავიდა. პირიქით, ის სწორედ კლარჯეთიდან უყრის საფუძველს ქართველთა სამეფოს, იქიდან ცდილობს ქართლის გაერთიანებას და თავისი მიწების გაფართოებას და ნაწილობრივ ახერხებს კიდევაც. თუმცა, მას

შემდეგ, რაც მოკლეს, მისი შვილების დროს, მის მიერ შექმნილი სამეფო აღარც ერთიანია და აღარც - ძლიერი.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობა — „დაეცნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად ყრუსა წარსვლითგან წელიწადსა ორმეოცდაათსა აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან“-ო [20, 199] — შესაძლოა, სწორედ ჩვენს მიერ განხილულ წლებს დავუკავშიროთ, ვინაიდან VIII ს. 30-იანი წლებიდან, როდესაც მურვან ყრუ შემოიჭრა ქართლში, 50 წლის მანძილზე, ქართლში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ერისმთავრის ინსტიტუტი და იმ სახით, რა სახითაც მანამდე არსებობდა, საბოლოოდ 786 წელს მოიშალა. მართალია, როგორც ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, ქართველმა მემატიანემ აქ მურვან ყრუს თავდასხმა არაბთა პირველ გამოჩენად იგულისხმა, ვინაიდან „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის მონაკვეთში, მართლაც, მნიშვნელოვანი ხარვეზებია და მემატიანე, ფაქტობრივად, არაბთა რამდენიმე ლაშქრობას აერთიანებს. თავისთავად ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი მარვან იბნ მუჰამადის სახელით არის განზოგადებული, იმას ნიშნავს, რომ, ამ უკანასკნელის თავდასხმის სიმძიმის გამო, ისტორიულ მეხსიერებას სწორედ მისი სახელი შემორჩა. თუმცა, მთლად ზუსტად „ქართლის ცხოვრების“ მოტანილი ცნობა არაბთა პირველად შემოსვლის შემდეგ, ალბათ, არცერთ პერიოდს არ შეესაბამება, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, უკვე აბასიანების ბატონობის დროს არაბები კვლავ შემოდიან საქართველოში. ამასთან, ყველაზე მძიმე, მარვან იბნ მუჰამადის შემდეგ, ალბათ, მაინც 786 წლის რეპრესიები იყო.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. — *თხზულებანი*, ტ. II, თბ., 1983.
2. ს. ჯანაშია. *არაბობა საქართველოში*, თბილისი, 1936.
3. ა. ბოგვერაძე. *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში*. თბ., 1979.
4. А.А. Богверадзе. Арабские завоевания и борьба против арабов в 5-8 вв. — Очерки истории Грузии. т.2. Тбилиси, 1988.

5. А. Н. Тер-Гевондян. Армения и арабский халифат. Ереван. 1977.

6. М. Д. Лорткипанидзе. Картвельское царство. — Очерки истории Грузии. т.2. Тбилиси, 1988.

7. თბილისის ისტორია, I, თბ., 1990.

8. საქართველოს ისტორია, წიგნი I (ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები), თბ., 2003.

9. Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Тбилиси, 1979.

10. ე. თაყაიშვილი. *ძველი საქართველო*, II, თფილისი, 1913.

11. პ. ინგოროყვა. *გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*. თბილისი, 1954.

12. გ. ალასანია. თბილისის საამიროს დაარსების თარიღისათვის. — *ანალები*, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟურნალი, I, თბილისი, 1999.

13. ე. სიხარულიძე. *აბუ იუსუფ იაკუბის „ქითაბ ალ-ხარაჯი" როგორც წყარო არაბული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიისათვის*. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1954 (ხელნაწერი).

14. Абу Йусуф Йа'куб б. Ибрахим ал-Куфи. Китаб ал-харадж (Мусульманское налогообложение). Пер. с арабского и комментарий А.Э. Шмидта. Супракомментарий к переводу А. С. Боголюбова. Подготовка к изданию, вступительная статья и указатели А.А. Хисматулина. С-Петербург, 2001.

15. Из хроники Баладзори. Текст из "Книги завоевания стран". Перевод с арабского П.К. Жузе, Баку, 1927.

16. М. И. Артамонов. История хазар. Ленинград, 1962.

17. З. М. Буниятов. Азербайджан в 7-9 вв. Баку, 1965.

18. А. П. Новосельцев. Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа. Москва, 1990.

19. D. M. Dunlop. The History of the Jewish Khazars. Princeton, New Jersey, 1954.

20. ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება"). გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა, თბ., 1936.

21. Ахмад ибн А'сам Ал-Куфи. Книга завоеваний (Извлечение сведений по истории Азербайджана УП-1Х вв.) Перевод с арабского языка академика АН Азербайджанской ССР З.М. Буниятова, Баку, 1981.

22. ბ. სილაგაძე. *არაბთა ბატონობა საქართველოში* (არაბული ცნობების მიხედვით) თბ., 1991.

23. Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн-ал-Асира. Пер П. К. Жузе, Баку, 1940.

24. Tarikh at-Tabari, par Abi Ja'bar Mohammad ibn Jarir at-Tabari, vol. VII, Edition Critique par Mohammad Abul Fadl Ibrahim, Cairo, 1972.

25. История Халифов Вардапета Гевонда, писателя 8-го века, пер. с армянского, К.П. Патканова. Санк-Петербург, 1862.

26. Из сочинения Я'куби "История". Текст и перевод П.К. Жузе. Баку, 1927 — Материалы по истории Азербайджана, вып. 4.

27. И. С. Чичуров. Византийские исторические сочинения, "Хронография" Феофана. "Бревиарий" Никифора. Тексты, перевод, комментарий. Москва, 1980.

28. The Chronography of Gregory Abu'l Faraj, the son of Aaron, the Hebrew physician commonly known as Bar Hebreus being the first part of political history of the world. Translated from the Syriac by Ernest A. Wallis Budge, vol. I. English translation. London-Humphrey, Milford, 1932.

29. Chronique de Michel le Grand, Patriarche des Syriens Jacobites, traduite pour la premiere fois sur la version Armenienne du pretre Ischok, par Victor Langlois, Venise, 1868.

30. მ. სანაძე. გრიგოლ ბაკურიანის-ძის წარმომავლობის შესახებ. — *ქართული წყაროთმცოდნეობა*, X, ეძღვნება აკად. დ. მუსხელიშვილს, თბ., 1982.

31. იოვანე საბანის ძე. აბოს წამება. — *ქართული პროზა*, I, თბ., 1982.

32. ო. ცქიტიშვილი. ქართლის ერისმთავრის ნერსეს პოლიტიკური მოღვაწეობის საკითხისათვის. — *საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე*, ტ.ბ., 1988.

33. ო. ცქიტიშვილი. არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან. — *მაცნე* (ისტორიის სერია), თბ., 1986.

34. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, თფილისი, 1935.

35. გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. — *ქართული პროზა*, თბ., 1982.

36. ზ. ალექსიძე. აბო თბილელის მარტვილობის თარიღი და მასთან დაკავშირებული ქართლის ერისმთავართა ქრონოლოგია. — *მრავალთავი*, XIX, თბ., 2001.

37. P. B. Golden Khazar Studies. An historic-philological inquiry into the origins of the Khazars Volume, I, Budapest, 1980.

38. М. Джанашвили. Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России. — Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа., 22, Тифлис, 1897.

39. კ. კეკელიძე. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბ., 1980.

40. მ. სანაძე. ქართლის სამეფო VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე (პოლიტიკური ისტორიიდან). — *მესხეთი*, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2001.

41. ვარდან არეველცი. *მსოფლიო ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ. თბილისი, 2002.

42. ზ. პაპასკირი. აფხაზთა სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. — *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 6. თბ., 1999.

43. დ. მუსხელიშვილი. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, II, 1980.

44. კ. კეკელიძე. აშოტ დიდი კურაპალატის ქრონოლოგიისათვის. — მის წიგნში ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. 8. თბ. 1962.

45. შ. ბადრიძე. ქართველთა სამეფოს პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. — *თსუ შრომები. 119, თბ., 1967.*

46. მ. ლორთქიფანიძე. ზ.პაპასკირი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია (IX ს. X ს-ის I ნახევარი). — *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, I. ნაწ. თბ., 1998.

47. მ. ლორთქიფანიძე. ზ. პაპასკირი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში (IX-X ს. I ნახევარი). საშინაო დიპლომატია. — *ქართული დიპლომატიის ისტორია*, თბ., 2003.

48. თ. ლომოური. სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულეს ცნობები IX-X სს. ქართველ ბაგრატიონთა შესახებ. — *არილი*, ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლის თავზე (1900-1925), თფილისი, 1925.

49. მოქცევაჲ ქართლისაჲ. — *ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები*, I, თბილისი, 1963.

50. ზ. პაპასკირი. ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე VIII ს-ში. — *ქართული დიპლომატიის ისტორია*. 2003.

51. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — *ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.

52. ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

53. მ. ბახტაძე. *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*. თბ., 2003.

54. ე. სიხარულიძე. ერთი ცნობა ამირა ისჰაკ იბნ ისმაილის შესახებ. — *თსუ შრომები*, 180, 1976.

55. R.G. Suny. The Making of the Georgian Nation. Second edition, Indiana University Press, Bloomington and Indianapolis, 1944.

56. C. Toumanoff. The Kings of Abasgia. - Le Museon LXIX, 1-2, Louvain, 1956.

ყივჩაყები საქართველოში

Ოურქულენოვანი ხალხის ახალი ნაკადი დასავლეთისაკენ XI ს-ში დაიძრა. ახალმოსულებმა დაიკავეს ვრცელი ტერიტორია ვოლგასა და დუნაის შორის: ყირიმის ველები, აზოვის ზღვის სანაპირო, კასპიისპირეთი, ქვემო ვოლგისა და იაიკის იქითა ნაპირები. ქართული წყაროს „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი ადრეული მონაკვეთის გვიან ჩანართში ნათქვამია, რომ „ოსების მეზობლად პაჭანიკები ცხოვრობდნენ... და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთ იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან, და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით — კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკჳდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა" [1, 156, 157].

დამოწმებული წყარო ერთგვარი გამონაკლისია. ყველა სხვა ქართული წერილობითი ძეგლი ამ ახალმოსულ თურქულენოვან ხალხს მათივე თვითსახელით, ყივჩაყებად, იხსენიებს, ვინაიდან, ეს ეთნონიმი, მათთან უშუალო ურთიერთობის გამო, ქართველებმა კარგად იცოდნენ. იგივე ყივჩაყები ბიზანტიურ და ევროპულ წყაროებში კომანებად (კუმანებად) არიან ცნობილნი, ხოლო სლავურ წყაროებში მათ ეწოდებათ „პოლოვცი" [2, 93].

ახალმოსულები დიდ საშიშროებად იქცნენ ახლო და არც თუ ახლო მეზობლებისთვის. წყაროებში დამოწმებულია XI საუკუნის მეორე ნახევარსა და XII საუკუნეში ყივჩაყთა 34 ლაშქრობა აღმოსავლეთ სლავურ ტერიტორიებზე, ხოლო XII საუკუნეში რუსეთის მთავართა 22 ლაშქრობა მათზე [2, 62]. სწორედ რუსებისაგან მიყენებული რამდენიმე მარცხის შემდეგ მათი ერთ-ერთი გაერთიანება ათრაქა შარაღანის ძის მეთაურობით, დაახლოებით, 1095-1106 წლებში,

აღმოსავლეთით 750 კმ-ზე გადასახლდა [2,72], რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა მათი ურთიერთობა ქართველებთან.

ცნობები ქართველებისა და ყივჩაყების ურთიერთობაზე, ძირითადად, ქართულ თანადროულ წყაროებში გვხვდება. ესენია: „ქართლის ცხოვრების" შესაბამისი მონაკვეთები და, პირველ რიგში, დავითის ისტორიკოსის თხზულება. ზოგიერთ დამატებით ინფორმაციას შეიცავს არაბული და სომხური წყაროები. შესადარებლად საინტერესოა ბიზანტიური და უნგრული ძეგლების მონაცემებიც. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ, იშვიათ შემთხვევაში, ქართველი ისტორიკოსები ყივჩაყებს უძველესი დროიდან იხსენიებენ. მაგალითად, XI საუკუნის შუა წლების ავტორის, ლეონტი მროველის, გადმოცემით, ალექსანდრე მაკედონელის მოსვლამდე მტკვრის ნაპირზე მცხოვრებ სასტიკ ნათესავებს მის დროში ბუნთურქები და ყივჩაყები ეწოდებოდათ [1,17]. ხოლო ჯუანშერის (რომლის მოღვაწეობის ხანად სხვადასხვა დროს მიიჩნევენ) თხზულების XVIII ს. ხელნაწერში არის ჩანართი, სადაც ნათქვამია, რომ ვახტანგ გორგასალმა (V ს. მეორე ნახ.) დაიპყრო ოვსები და ყივჩაყები [1,156-157]. დასაბუთებული მოსაზრებით, ორივე შემთხვევაში, ეთნონიმები უადგილოდ არის ნახმარი.

როგორც აღინიშნა, ქართული წყაროები მათ, ძირითადად, ყივჩაყებად იხსენიებს. თუმცა, უკვე დამოწმებული შემთხვევის გარდა, არის გამონაკლისებიც. ასეთია XII საუკუნის ჰაგიოგრაფიული ძეგლის „დავით და კონსტანტინეს წამების" ანონიმი ავტორი. ის იცნობს „კომანთა ქვეყანას", რომელსაც აქვე განმარტავს: „რომლებიც არიან ყივჩაყები" [3, 169]. ამავე სამყაროსთან დააკავშირა აკად. ს. ჯიქიამ XVI ს. დასასრულს სამხრეთ საქართველოს ტერიტორიისთვის შედგენილ თურქულ დავთარში დამოწმებული დასახელება „გუმან" [4, 464].

XII ს. დასასრულს, საქართველოს მეფემ, დავით IV-მ, ისარგებლა სელჩუკთა წინააღმდეგ ჯვაროსანთა ომების დაწყებით, შეუწყვიტა ხარკის გადახდა თურქ სელჩუკებს და შეუდგა შინაური პრობლემების მოწესრიგებას, ქვეყნის შიგნით მოწინააღმდეგეების დამარცხებას და პერიოდულად თურქთა თავდასხმების მოგერიებას.

დავითის ისტორიკოსის ცნობით, ხარკის შეწყვეტის შემდეგ თურქებს თითქოს მოეშალათ ზამთრის სადგომი საქართველოს ტერიტორიაზე — „ჰავჭალას და დიღუამს და ჩაღმართ მტკურისა და იორისა პირთა... მათი იყო სადგური“ [5, 168]. როგორც ირკვევა, თურქები იმავე ადგილებში დგომას შემდეგაც აგრძელებდნენ და იგივე ცნობა კიდევ არაერთხელ მეორდება [2,76]. მაგალითად, 1110 წლის ამბებში ნათქვამია: „ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკურისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე და იორის პირთა, ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა“ [5,177]. შემდეგ დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ ჩადიოდნენ ზამთარში და ბრუნდებოდნენ ზაფხულში და რომ „დიდ იყო ძალი მათი და სიმრავლე“ დარომ მარავის მოსვლია აზრად მათი „გასხმაი, ანუ ვნებაა“ [5, 178]. ისტორიკოსის ცნობით, მას შემდეგ, რაც ქართველებმა რუსთავი აიღეს, თურქებს უკვე აღარ ჰქონდათ ზამთრის სადგომი [5, 189]. მსგავსი შემთხვევები თურქთა ჩამოსახლებისა შემდეგაც შეინიშნება: „ესე რაი ცნეს თურქთა, ვითარმედ შორს არს მეფე, გულ-დებით ჩამოდგეს პირსა მტკურისასა“ [5, 188].

1105 წელს ქართველთა მეფემ ერწუხთან ბრძოლაში გაიმარჯვა თურქებზე, რომელთა შემოჭრაც კახეთ-ჰერეთის შემოერთებას მოჰყვა. 1110 წელს ქართველებმა დაიბრუნეს სამშვილდე და ძერნა ქვემო ქართლში, 1115 წელს აიღეს რუსთავი, 1116 წელს — ციხე გიში, 1117 — ილაშქრეს შირვანს და აიღეს ქალაძორი, 1118 წელს — აგარანი და ლორე. ყველა ეს ბრძოლა არცთუ დიდი ლაშქრით ხდებოდა. ქართველი ისტორიკოსი გზადაგზა შენიშნავს: „სიმარჯვით მიჰპარის სამშვილდე“, ან „მცირედითა ლაშქრითა“ [5, 172], რომელთან ერთად თვით მეფეც იბრძოდა.

მთელი ამ წლების მანძილზე, როგორც ირკვევა, ძირითადი ამოცანა კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა, ვინაიდან, თურქები ისევ იზამთრებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მუდმივად იყო საშიშროება ბრძოლით უკან დაბრუნებულის დაკარგვისა. ამასთან, ქართველ მეფეს ამ დროისათვის ამბიციური მიზნები გასჩენია — „მრავალნი და ურიცხუნი საუფლონი“ დაეპყრო, „უკუეთუ დამიშთეს ესენი, რაი იყოს მპყრობელობაი ჩემი?“ [5, 182] — სვამს კითხვას მეფე. ყოველივე ამისათვის ქართველი მეფის ძალა საკმარისი არ

იყო და მან გამოსავალი ჩრდილოელ მეზობლებთან — ყივჩაყებთან კავშირში დაინახა, რომლებსაც, დავითის ისტორიკოსის დახასიათებით, არაერთი მიმზიდველი თვისება გააჩნდათ — „სიმკჯნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსლვისაჲ, სიფიცხე მიმართებისაჲ, ადვილად დასამჭირვებლობაჲ და ყოვლითურთ მომზავებელობაჲ ნებისა თჳსისაჲ“ [5, 183].

ამდენად, ყივჩაყთა ჩამოსახლების საჭიროება ქართველ ისტორიკოსს საკმარისად დასაბუთებული აქვს.

პ. გოლდენი ჩამოთვლის იმ მიზნებს და მიზეზებს, რის გამოც ქართველი მეფისათვის მიმზიდველი იყო მათთან მოკავშირეობა. პირველ რიგში სახელდება ის ფაქტი, რომ მათ არ გააჩნდათ საკუთრება საქართველოში და კლანური ინტერესები, რის გამოც უფრო ლოიალურები იქნებოდნენ მეფის მიმართ. უცხოელი მეომრები მეფეს სჭირდებოდა არისტოკრატიული კლანების ძლიერების შესასუსტებლად [36, 61-62].

წყაროებიდან ცნობილია, რომ ყივჩაყები ადვილად ამყარებდნენ კავშირს მათთან, თუნდაც, მტრულ ურთიერთობაში მყოფ ხალხებთანაც კი. მკვლევართა დაკვირვებით, რუს მთავრებს ხშირად მოჰყავდათ მათი ქალები ცოლად. დადასტურებულია მატრიმონიალური კავშირები რუსეთთან 1094, 1101, 1107, 1117, 1163, 1205 წლებში. არის მსგავსი დაუთარიღებელი შემთხვევებიც [2, 62-63].

დაახლოებით 1116 წლისათვის, საქართველოს მეფე დავით IV (1089-1125) ეყრება თავის პირველ ცოლს, ეთნიკურად სომეხს და ირთავს ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის, ქალს. დღის წესრიგში იდგა საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი თბილისის შემოერთება და თურქ-სელჩუკთაგან ქვეყნის გათავისუფლება.

ელჩის გაგზავნისა და წინასწარი თანხმობის მიღების შემდეგ, საქართველოს მეფე თავის პირველ ვაზირთან, მწიგნობართუხუცეს გიორგი ჭყონდიდელთან ერთად, ყივჩაყებთან გაემგზავრა და მათი უსაფრთხოდ გადმოყვანის მიზნით, ოსებთან მოლაპარაკება გამართა. ქართული წყაროს ცნობით, მეფემ ორივე მხრიდან მძევლები აიყვანა: „ყო შორის მათსა მშჳდობაჲ და სიყუარული,

ვითარცა ძმათა: აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიისა მთისათანი, და შექმნა გზაჲ მშჳდობისაჲ ყივჩაყთათჳს...“ [5, 184].

საქართველოში ყივჩაყთა გადმოსვლის ზუსტი თარიღი არც ერთ წყაროში არ არის მითითებული, თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა ამ ფაქტს 1118 წლით ათარიღებს (ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, ქ. ჩხატარაიშვილი, გ. ანჩაბაძე, ჯ. სტეფნაძე). ასეთი დათარიღება დავითის ისტორიკოსის თხზულებაში მოვლენათა თანმიმდევრობას ემყარება. ივ. ჯავახიშვილმა მათი გადმოყვანა, „დაბინავება, განწვრთნა და დაწყობა“ 1118-20 წლებით დაათარიღა [6, 200].

ყივჩაყთა ჩამოსახლება საქართველოში დადებითი მოვლენა იყო. ასე აფასებს ამას დავითის ისტორიკოსი. ძირითადად ასეთივე თვალსაზრისია ქართულ ისტორიოგრაფიაში. თუმცა, პ. გოლდენი არ ეთანხმება შ. მესხიას, რომელიც, მისი აზრით, ცდილობს დააკნინოს მათი როლი [36, 62].

საქართველოში ყივჩაყების ყოფნასთან დაკავშირებით, ცალკეულ საკითხებზეც, ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ საკამათოა, მათი განსახლების ადგილია. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ყივჩაყებს საქართველოში ჰქონდათ როგორც ზამთრის, ასევე, ზაფხულის სადგომები. მისი აზრით, მათი ზამთრის სადგომები ქართლში იყო, რის დასასაბუთებლადაც მას დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან შემდეგი ადგილი მოჰყავს: „მეფე მოვიდა ქართლად და ყივჩაყთა თვისთა უჩინა საზამთრო სადგური და საზრდელი და კაცნი ზედამდგომნი მათნი და განაგო ყოველი საქმე ქართლისაჲ“ [7, 209]. სხვათა შორის, კონტექსტის მიხედვით („განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანისა, აღავსნა კეთილითა საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი, მოვლო ქართლი და ყივჩაყთა თვისთა უჩინა საზამთრო სადგური და საზრდელი და კაცნი ზედა-მდგომნი მათნი და განაგო ყოველი საქმე ქართლისაი, სომხითისა და ანისისა...“) ყივჩაყების სადგური უეჭველად ქართლს არ უკავშირდება, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის აზრს იზიარებენ შ. მესხია, რ. მეტრეველი და მ. ლორთქიფანიძე. რ. მეტრეველის აზრით, ქართველი მეფე იმდენად

იყო დაინტერესებული ყივჩაყების ინტეგრაციით, რომ ისინი ქართლის ტერიტორიაზე დაასახლა [9, 178].

არის ოდნავ განსხვავებული შეხედულებაც, რომ ყივჩაყები სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე დაასახლეს, სადაც მათი ცხოვრების წესისათვის, ანუ მესაქონლეობისათვის, უფრო შესაფერისი პირობები იყო („დააყენა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედაწულითა მათითა" — [5, 184] და სადაც უფრო ადვილი იყო ნადავლით თავის რჩენა [11, 169; 2, 150, 151]). მ. ლორთქიფანიძის აზრით, ყივჩაყები დაასახლეს შიდა ქართლში, ჩრდილო სომხეთში, ჰერეთში — საქართველოს სასაზღვრო-სანაპირო ზოლში [10, 227]. ის ფაქტი, რომ ყივჩაყები ესხმოდნენ საქართველოს მიმდებარე ტერიტორიებს, კარგად ჩანს დავითის ისტორიკოსის შემდეგი ცნობიდანაც, როდესაც უცხო ქვეყნის ელჩები ძღვენით მიდიოდნენ და „ეძიებნ მშჳდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა-რბევასა" [5, 198]. სომხეთის ტერიტორიაზე ყივჩაყთა ჩასახლების დამადასტურებელი მასალა გამოაქვეყნა ს. ერემიანმა. 1206 წ. ჰარიჭის მიდამოებში ზაქარია მხარგრძელს აუგია მონასტერი ღფჩახვანქის სახელით. იქვეა სოფ. ღფჩახი. ჰარიჭის წარწერაში მოხსენიებული პირები, მკვლევრის აზრით, ყივჩაყები არიან, ხოლო ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული არიან ყუბასარის საგვარეულოს წარმომადგენლები [11, 169]. ყივჩაყების სასაზღვრო რაიონებში დასახლებას მოწმობს საინგილოში, ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, დადასტურებული პუნქტი ყივჩაყი და მდ. ყივჩაყ ჩაი [11, 169]. ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე ყივჩაყთა ყოფნის თითქმის არავითარი კვალი არ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით 1621 წ. დოკუმენტში მოხსენიებულ ს. ჩხარის მცხოვრებ დემეტრა ყივჩაყიძეს [11, 169]. ყივჩაყთა საქართველოში ყოფნის დამადასტურებლად არ გამოდგება ქ. სიღნაღი, როგორც ამას ა. იუნუსოვი ფიქრობს. „ყივჩაყთა ცენტრი შუა აზიაში იყო ქ. სიღნაღი. კავკასიაში გადასახლებულმა ყივჩაყებმა ეს დასახლება ახალ ადგილებზე გადაიტანეს. ასე გაჩნდა სოფ. სიღნაღი აზერბაიჯანში და ქ. სიღნაღი საქართველოს აღმოსავლეთით" – წერს ის [12, 36]. თუმცა, ცნობილია, რომ სიღნაღი, როგორც დასახლებული პუნქტი, წყაროებში XVIII ს. პირველი ნახევრიდან გვხვდება, ხოლო XVIII ს.

მეორე ნახევარში (1762 წ.) ის უკვე სამეფო ქალაქად გადაიქცა. ნ. მურღულია და ვ. შუშარინი ყივჩაყთა ზამთრის სადგომად იმ ადგილს მიიჩნევენ, სადაც ადრე თურქები შემოდიოდნენ — მტკვრისა და იორის გასწვრივ [2, 150].

სადავოა ჩამოსახლებულთა რაოდენობაც. ძირითადი წყარო, ამ შემთხვევაშიც, დავითის ისტორიკოსის თხზულებაა: „ყივჩაყნი დააყენა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმეოცი ათასი“ [5, 184]. ე.წ. მარიამისეული და ე.ნ. ანასეული „ქართლის ცხოვრება“ ერთნაირად უთითებს — მ ~ ჩ, ე.ი. 40000-ს [13, 304; 14, 214]. იგივე რიცხვია „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანშიც [15, 245].

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნულ საკითხს სხვადასხვა დროს შეეხო. „ქართველი ერის ისტორიაში“, მისი მსჯელობით, „დავით აღმაშენებელმა თავდაპირველად სულ 40000 „წყობად განმავალი რჩეული“ მხედარი გადმოიყვანა „დედაწულითა მათითა“ ოჯახობით. ამას გარდა, 5000 კაცი მონა-სპაში იყო „ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“. ამიერიდან მას ჰყავდა 45000 მუდამ მზად მყოფი გაწვრთნილი ცხენოსანი ჯარი“ [6, 200]. ამავე ნაშრომში წერია: „შემოიღო დავით აღმაშენებელმა 40000 ყივჩაყთა ლაშქარი საქართველოში...“ [6, 214]. „თუ სათვალავად ოჯახზე სულ ცოტა 5 კაცს მივიღებთ და გავიხსენებთ, რომ „წყობად განმავალი რჩეული“ 40000 და 5000 მონა-სპა ოჯახობით მოკიდებული მხედარი იყო, გამოვა, რომ დავით აღმაშენებელს საქართველოში გადმოუსახლებია, სულ ცოტა, 225000 სულის ყივჩაყი ორთავე სქესისა“ [6, 215]... „ქართველებისათვის 225000 სულის შეძენა იმ დროს, როდესაც იგი დიდბუნებოვანი სარდლისა და მეფის წინამძღოლობით შეუჩერებლივ წინ მიისწრაფოდა და იზრდებოდა, დიაღაც რომ დიდ შემატებად ჩაითვლება“ [6, 215]. აქვე შევნიშნავთ, რომ სავსებით სწორია ნ. მურღულიას და ვ. შუშარინის შენიშვნა იმის შესახებ, რომ გაუმართლებელია მონა-სპის ყივჩაყთათვის მითვლა [2, 123].

მოსაზრება 40000 ყივჩაყის ოჯახებით ჩამოსახლების შესახებ გამეორებულია მ. ლორთქიფანიძის, რ. მეტრეველის და ქ. ჩხატარაიშვილის ნაშრომებში [10, 226; 9, 178; 11, 161-187]. ქ.

ჩხატარაიშვილის აზრით, საქართველოში გადმოყვანილი 40000 ოჯახიდან „ერთდროულად 40 ათასი მოლაშქრე გამოდიოდა“. ჯ. სტეფნაძემ გაიმეორა ივ. ჯავახიშვილის 225000 [16, 207], ხოლო გ. ანჩაბაძის აზრით, „მკვლევრები აკეთებენ სწორ დასკვნას, რომ გადმოსახლებულების საერთო რაოდენობა აღწევდა 200-250 ათას კაცს [17, 106]. განსხვავებული აზრი გამოთქვა ს. მარგიშვილმა. მისი მსჯელობით, „ალბათ უფრო რეალური იქნება, თუ საქართველოში ჩამოსულ ყივჩაღ მეომართა რაოდენობას 5 ათასის, ხოლო ოჯახებიანად, სადღაც 25 ათასით ვივარაუდებთ, რაც სავსებით შესატყვისი ციფრი იქნებოდა ეპოქის მასშტაბებთან“ [37, 98].

აღნიშნულ რიცხვზე (40000) და ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბაგრატიონის შრომების საფუძველზე ანგარიშობენ მუდმივი ქართული ლაშქრის რაოდენობას. მ. ლორთქიფანიძის აზრით, „40 ათასი ყივჩაყის გარდა, დავითს 20 ათასი ქართველი მუდმივი მოლაშქრეც ჰყოლია, რაც 60 ათას მეომარს ითვლიდა [10, 228]. რ. მეტრეველის დაანგარიშებით, „თუ კი 40 ათასი ყივჩაყი იყო, ბუნებრივია, დანარჩენი ოცი ათასი ქართველი იქნებოდა“. აქვე მოტანილია იოანე ბაგრატიონის სიტყვები — „მზად ჰყვა როჭიკით სამოცი ათასი მხედარი კაცი“ [9, 178]. დაახლოებით ასევე იმსჯელა ი. შაიშმელაშვილმა: „სტრატეგიული ოპერაციების გატარებისას, პირადი გვარდიისა და ყივჩაყთა 40 ათასიანი მუდმივი არმიის გარდა, დავით აღმაშენებელი სამეფოს ლაშქარსაც ხშირად და დიდი ხნითაც იწვევდა. კარგად ჩანს, რომ შეიარაღებული ძალების ეს ნაწილი ბევრად აღარ განსხვავდება ზემოხსენებული მუდმივი არმიისაგან. სხვანაირად ვერაფრით ახსნი, მაგალითად, სამოცათასიანი არმიის თავშეყრას ბრძანების გაცემიდან მესამე დღეს“ [18, 53-59]. ეს აზრი არ გაიზიარა გ. ანჩაბაძემ. „საეჭვოა, რომ შუა საუკუნეების საქართველოს ოდესმე ჰქონოდა ასეთი მუდმივი ჯარის რჩენის ეკონომიკური ბაზა. ჩვენი აზრით, გადმოსახლებულ ყივჩაყებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გადმოჰყავდათ ცხენოსანთა მსუბუქი რეგულარული რაზმი, ხოლო მათი მცირერიცხოვანი რაზმები, მათივე საკუთარი სამხედრო ზედაფენის წარმომადეგნელთა მეთაურობით, სავსებით შეიძლებოდა მუდმივად მეფესთან ყოფილიყვნენ“ [17, 110]. ავტორი იმოწმებს XII ს. სომეხი

ავტორის, მათეოს ურჰაეცის, ცნობას დიდგორის ბრძოლაში ქართული ჯარის მონაწილეობის შესახებ (იხ. ქვემოთ).

ზემოთ აღინიშნა და ლიტერატურაშიც არაერთხელ გამოითქვა აზრი, რომ ყივჩაყებთან, ისევე, როგორც თურქულ სამყაროსთან დაკავშირებით, რიცხვი 400, 40000, 400000 ტრადიციულია. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ანა კომნენას 1091 წლის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ გამოჩნდნენ კუმანთა „თითქმის 40000 ჯარი, რომელთა მეთაურები იყვნენ თოგორტაკი და მანიაკი (ბონიაკი) და სხვები...“[19, 233]. როგერი გვაძლევს ცნობას 1239 წელს უნგრეთში ყივჩაყების ჩასვლის შესახებ ზეპირ გადმოცემებზე დაყრდნობით, სადაც აღნიშნავს: „როგორც ამბობენ, 40000-მდე იყვნენ ოჯახის წევრების გარეშე“ [2, 95]. იგივე რიცხვი შემორჩენილია ზეპირ გადმოცემებშიც. ლიტერატურაში მოტანილი და განხილულია სათანადო მასალა, რის შემდეგაც დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ ანა კომნინა, როგერი და დავითის ისტორიკოსი, 40000-იან ჯარზე საუბრისას, ითვალისწინებენ საკუთრივ ყივჩაყების წარმოდგენას თავის ძალებზე [2, 95].

აღსანიშნავია, რომ იგივე რიცხვი, ჩრდილოელებთან დაკავშირებით, „ქართლის ცხოვრებაში“ სხვა შემთხვევაშიც არის გამეორებული, როდესაც ბაგრატ I-მა „ოვსეთიდან გადმოიყვანა“ 40000-იანი ჯარი [20, 240]. აქვე შეიძლება გავიხსენოთ თამარის ისტორიკოსის ცნობაც რუქნ ად-დინის ლაშქრის რაოდენობაზე: „ამან მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა სპასა მისსა და შეკრბა კაცი ორმოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი“ [20, 367].

მართალია, ნ. მურღულია და ვ. შუშარინი ეჭვქვეშ აყენებენ დავითის ისტორიკოსთან მოტანილ 40000-ს, მაგრამ ამის შემდეგ ისინი მიიჩნევენ, რომ გადმოსახლებულ ყივჩაყთა რიცხვი უფრო მეტი იყო [2, 96] და ამ შემთხვევაშიც, დავითის ისტორიკოსის ერთ-ერთ ცნობას ეყრდნობიან, რომელიც ლიტერატურაში არასწორად არის ინტერპრეტირებული.

ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ 50000-ს უთითებს: „თავისი თავის გასაძლიერებლად მეფემ ყივჩაყთაგან გადმოსახლებული 50000 მეომრისაგან შემდგარი ჯარი შექმნა,

კარგად განვრთნა და მუდმივ გამზადებული ჰყავდა საბრძოლველად“ [21, 106].

გ. ანჩაბაძის აზრით, „საბრძოლო შემადგენლობის რიცხვის დასაზუსტებლად პერიოდულად მომთაბარეთა აღწერა ხდებოდა, დავითის ისტორიკოსის მონაცემებით, 1123 წლის აღწერამ აჩვენა, რომ ყივჩაყთა რიცხვმა, რომლებიც იარაღს ატარებდნენ, მიაღწია 50 ათასს. რადგან განვლილ 4-5 წლის მანძილზე ბუნებრივი მატება ვერ შეადგენდა 20%-ს, უნდა ვიფიქროთ, რომ 1119-23 წლებში ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთიდან მომთაბარეთა ახალი ჯგუფების გადმოსახლებას“ [17, 111].

პ. გოლდენი იმოწმებს ივ. ჯავახიშვილს და მისი შემოთავაზებული რიცხვი – 225000 მისაღებად მიაჩნია [35, 62].

ფ. კირზი-ოღლუს, ივ. ჯავახიშვილის დაანგარიშებით მიღებული 225000 ეცოტავა და 6-კაციანი ოჯახის ანგარიშით საერთო რიცხვი განსაზღვრა როგორც 300000, ვინაიდან, მანაც, სწორედ, 50000 გაამრავლა 6-ზე [22, 125]. ასეთივეა ა. იუნუსოვის აზრიც [12, 32].

ამ საკითხზე საინტერესოა ნ. მურღულიას და ვ. შუშარინის დასკვნა, რომ საქართველოში მოსული მთელი ერთობლიობის რიცხვის შესაფასებლად, ბუნებრივია, საჭიროა მეომართა აღრიცხვის მონაცემებიდან ამოსვლა (50000) [2. 96]. ტექსტის ასეთი გაგება აისახა თხზულების რუსულ თარგმანშიც: "точас же он призвал все свои войска. И по приказанию его явились все перед ним из царства его. И пошел он на султана, и половцев (кипчаков), которые были пересчитаны тогда, было пятьдесят тысяч бойцов" [2, 215], რომელიც ქართული ტექსტის ადეკვატური არ არის. შირვანს გალაშქრების წინ მეფემ ჯარი შეკრიბა, დავითის ისტორიკოსთან ნათქვამია: „მსწრაფლ ჴმა-უყო ყოველთა სპათა თჳსთა და უმყის სიტყჳსა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსსა მისისანი, და წარემართა სულტანსა ზედა; ყივჩაყნი ოდენ აღთუალულ იყვნეს მაშინ და იპოვა შემბმელი კაცი ორმეოცდაათი ათასი. ეუწყა რაჲ სულტანსა ზედა-მისლვაჲ, ძალი და სიმრავლე სპათა მისთაჲ, განჰკრთა, აიყარა ველთაჲთ, სადა დგა და შეივლტოდა ქალაქად“ [5, 194].

„ქართლის ცხოვრების“ განხილულ კონტექსტში „ორმეოცდაათი ათასი“ ეკუთვნის მთელ ჯარს და არა მხოლოდ აღრიცხულ ყივჩაყებს. ეს რომ ნამდვილად ასეა, კარგად ჩანს მომდევნო ამბებშიც. ანისის აღების წინ დავითმა კვლავ მოუწოდა თავის ლაშქარს "მყის წიგნები წუევისაჲ მიმოდაისრბოლა და მესამესა დღესა სამეოცი ათასი მჴედარი წინაშე უდგა. წარემართა და მესამესა დღესა აღიღო ქალაქი ანისი“ [5, 197]. როგორც ვხედავთ, ამ ორ რიცხვს შორის არც ისეთი დიდი სხვაობაა 50000-60000. უკანასკნელ კონტექსტში 60000 მითითება, შესაძლოა, რიცხვი 3-ის გამეორების სურვილითაც აიხსნება, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ ხშირია მისი საკრალური მნიშვნელობის გამო: „მესამესა დღესა სამეოცი ათასი მხედარი წინაშე უდგა. წარემართა და მესამესა დღესა აღიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი“ [5, 197].

მებრძოლ ყივჩაყთა და, საერთოდ, ქართული ჯარის რაოდენობაზე უფრო სწორ წარმოდგენას გვიქმნის მათეოს ურჰაეცის ცნობა, რომელშიც ცალ-ცალკეა ჩამოთვლილი დიდგორის ბრძოლის მონაწილეები: „40000 ძლიერი და მამაცი ვაჟკაცით და ომში ნაცადი მეომრით ჰყავდა აგრეთვე სხვა ლაშქარი ხაფჩახთა (ყივჩაყთა) მეფისაგან 15000. მამაცი და რჩეული კაცი ალანთა ტომისაგან — 500 კაცი, ხოლო ფრანგი — 100“ [23, 242-253]. ნაკლებად სანდო ჩანს XIII ს. სომეხი ავტორის, სმბატ სპარაპეტის, ცნობა, რომლის მიხედვითაც [2, 134] მეფემ, „ ...შეკრიბა მთელი თავისი ლაშქარი, მოიწვია დასახმარებლად 40000 ყივჩაყი, 18000 ალანი, 10000 სომეხი, 500 ფრანგი“ [2, 83-84].

ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ყივჩაყთა ჩამოსახლებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დავითის გამარჯვებებს. სწორედ ამის შემდეგ, ქართველმა მეფემ „ინყო რბევად სპარსეთისა, შირვანისა და სომხეთისა დიდისა“ [5, 185]. ჩამოსახლების შემდეგ ყივჩაყები, როგორც ჩანს, ყველა ბრძოლაში მონაწილეობდნენ, თუმცა ქართველი ავტორი მათ მხოლოდ ზოგჯერ იხსენიებს.

XIII ს. არაბი ავტორი, იბნ ალ-ასირი, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დიდგორის ბრძოლაში ქურჯები (გურჯები) ყივჩაყებთან ერთად გამოვიდნენ. მისივე ცნობიდან ნათელი ხდება, რომ ყივჩაყები

ქართველთა ჯარის მოწინავე ნაწილი იყო და სწორედ ამიტომ ბრძოლის დაწყებისას „გამოვიდა ყივჩაყთაგან 200 კაცი — შევიდნენ (მუსლიმთა) შუა და სტყორცნეს ისრები“ [24, X, 567; გ. ჯაფარიძის თარგმანი].

ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც ასევე ექცევა ყურადღება სამეცნიერო ლიტერატურაში, არის საქართველოში ჩამოსული ყივჩაყების ინტეგრაციის ხარისხი და მათი ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

მეცნიერებაში ზოგჯერ გაზვიადებულადაა შეფასებული დავითის ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ „თვით ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტეანე იქმნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე რიცხვისა მძლე შეეძინებოდა ქრისტესა“ [5, 185].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, გადმოსახლებულმა ყივჩაყებმა „ქართული შეითვისეს და ქართველებად იქცნენ... ხოლო იმ 250000 გადმოსახლებულ ყივჩაყთაგან არც ერთი მათი შთამომავალი ყივჩაყად აღარ შერჩა, არამედ ყველანი ძალდაუტანებლივ, უნებლიეთ გაქართველდნენ“ [7, 216].

იგივე აზრი მოგვიანებით სხვებმაც გაიმეორეს, თუმცა არსებობს განსხვავებული შეხედულებაც.

დავითის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეფე თავიდანვე შეეცადა საქართველოში ჩამოსახლებული ყივჩაყების ინტეგრაციას და მან ეს, პირველ რიგში, მათი გაქრისტიანებით დაიწყო. მიუხედავად ამისა, ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ისე, როგორც თვით მეფესთან, საკმაოდ რთული იყო. ისტორიკოსი არ მალავს იმ ფაქტს, რომ ყივჩაყები ხშირად იყვანდნენ მოსახლეობიდან ტყვეებს, რომელთა გამოსყიდვაც მეფეს უხდებოდა: „ვინაღრაცხნეს ტყუენი, რომელნი მან განათავისუფლნის და რომელნი უკუმოიკ̣ნ̣ნ[ი]ს თ̣ჳ̣სთა ყივჩაყთაგან ფასითა“ [5, 210]. როგორც ირკვევა, ყივჩაყები არც თვითონ მეფეს ინდობდნენ, ხშირად ღალატობდნენ მას და უწყობდნენ შეთქმულებებს. „რაოდენ გზის ყივჩაყთა თ̣ჳ̣სთა განიზრახეს ღალატი: განაჩინნეს კაცნი მ̣ჴ̣ნ̣ენი, რომელნიმე ჴ̣რმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა — და ესე არა ერთ, ანუ ორ, გინა სამ, არამედ მრავალ გზის; და

არაოდეს მიუშუა ღმერთმან კუერთხი ცოდვილთაჲ მართალსა მას ზედა“ [5, 222].

უცხოტომელები ყოველთვის სანდონი არც ბრძოლის დროს იყვნენ. 1223 წელს, შემახიას ალყის დროს, ყივჩაყებს და ქართველებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რის გამოც მეფეს ალყის მოხსნა მოუხდა, სწორედ იმ დროს, როდესაც დასახმარებლად მოსული სულთანი ქართველების შიშით აყრას აპირებდა: „ალაპმა ქართველებსა და ყივჩაყებს შორის უთანხმოება და მტრობა ჩამოაგდო. ისინი ერთმანეთს შეებნენ და, ვითარცა ოტებულნი, წავიდნენ“ [24, X, 615-616] — მოგვითხრობს იბნ ალ-ასირი. სხვათა შორის, მოგვიანებით, ყივჩაყებთან კავშირის საინტერესო ფაქტი 1228 წ. დადასტურებული აქვს XIII ს. ირანელ ავტორს ჯუვეინის. ბოლნისთან ქართველებისა და ჯალალ ად-დინის ბრძოლის დროს, როდესაც მოწინააღმდეგემ „ყივჩაყთა დროშები და ალმები და ოცი ათასი რჩეული კაცი დაინახა, სულთანმა ყოშყარს უხმო, ერთი პური და ცოტაოდენი მარილი მისცა და ყივჩაყებთან გაგზავნა. მან მოაგონა ის ამბავი, რომ მამამისის მეფობაში, იმ დროს, როცა ისინი დამონებული და დამცირებული იყვნენ, სულთანმა... დაიხსნა ისინი... ამ მიზეზით ყივჩაყთა ლაშქარმა უკან დაიხია...“ [25, 36]. თუმცა დავითის დროს მსგავსი ინციდენტები მაინც იშვიათი იყო.

დავითის ისტორიკოსის თხზულებიდანაც კარგად ჩანს, რომ ასიმილაციური პროცესები არც ისე სწრაფი იყო. დავითის მემატიანე მეფეს დამსახურებად უთვლის ჯარში წესრიგის დამყარებას და, ამასთანავე, აღნიშნავს იქ „მრავალ — ენათა ნათესავთასა“ მონაწილეობას [5, 208]. აქ, სხვათა შორის, შეიძლება დავინახოთ პარალელი თურქ სელჩუკთა ჯართან, რომელშიც, ნიზამ ალ-მულქის ცნობით, სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლების მონაწილეობა აუცილებელი იყო, ვინაიდან, ასეთი მრავალფეროვნება კონკურენტულ გარემოს ქმნიდა [26, 72-73].

პ. გოლდენიც ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზვიადებულია იმ ყივჩაყთა რიცხვი, რომლებიც დარჩნენ საქართველოში [35, 65].

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია განსხვავებული აზრიც, რომ ყივჩაყები დავითის გარდაცვალების შემდეგ

ჩრდილოეთში დაბრუნდნენ [11, 173; 16, 201-210; 2, 152]. სხვა არგუმენტებთან ერთად, ეს მოსაზრება ემყარება რუსულ წყაროს, კერძოდ, დანიილ გალიცკის მატიანის (1201 წ.) ცნობას იმის შესახებ, რომ ვლადიმერ მონომახის გარდაცვალების შემდეგ თანატომელებმა ათრაქა შარაყანის ძეს ელჩები გამოუგზავნეს თხოვნით, დაბრუნებოდა თავის მიწას. ყივჩაყთა უკან დაბრუნების მიზეზი, ჯ. სტეფნაძის აზრით, შეიძლებოდა გამხდარიყო 1130 წ. დავითის უფროსი შვილის, დემეტრეს, წინააღმდეგ აჯანყებაც, რისი მიზანიც მისი უმცროსი ძმის, ვახტანგის, გამეფება იყო. სომეხი ისტორიკოსის, ვარდანის, ცნობით, აჯანყების მონაწილეები სასტიკად დაისაჯნენ. მათ შორის დემეტრეს ძმა, რომელსაც თვალები დასთხარეს [27, 142]. აღნიშნულ აჯანყებაში ყივჩაყების მონაწილეობაც ივარაუდება, ვინაიდან ტახტის პრეტენდენტი, ვახტანგი, სწორედ, ათრაქას შვილიშვილი იყო [7, 223].

როგორც ჩანს, ერთეულები, კერძოდ, მეფის კართან დაახლოებული პირები, საქართველოში დარჩნენ. მათ შორის იყო ყუბასარი, რომელმაც მოგვიანებით გიორგი III-ს დახმარება აღმოუჩინა ორბელთა აჯანყების ჩახშობაში, რისთვისაც ქართველი მეფისგან მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის თანამდებობები ებოძა. მართალია, ქართული წყარო არაფერს ამბობს მისი ეთნიკური კუთვნილების შესახებ, მაგრამ სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ყუბასარი ყივჩაყია [28, 46]. ამავე ავტორის თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ, როდესაც გიორგი III-ს ორბელები აუჯანყდნენ, მან ყუბასარს „უწოდა“ და მათ ერთად 5000-იანი ჯარი ძლივსღა შეკრიბეს [28, 46]. სტეფანოს ორბელიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჰპოვა ჯარი ვიდრე ხუთათასამდე და გარდა მისსა არავინ ჰყვა შემწედ“ [46, 46]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყივჩაყები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, იმ დროს საქართველოში აღარ იმყოფებიან და სომეხმა ისტორიკოსმა ეს კარგად იცის. რაც შეეხება მითითებულ 5000-ს, ავტორს ეს რიცხვი, როგორც ჩანს, დავითის ისტორიკოსისაგან აქვს აღებული, რომლის მიხედვითაც, სწორედ, ასეთი იყო მეფის განკარგულებაში მყოფი მონა-სპის რაოდენობა.

ყივჩაყები საქართველოს ისტორიაში შემდეგაც იხსენიებიან, თუმცა ისინი იქ მუდმივად აღარ ცხოვრობენ და მხოლოდ მეფის

მიწვევით ჩამოდიან დროებითი სამსახურისათვის. XIII ს. ქართული ანონიმი, ე.წ. ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე, რომლის ნაშრომიც შესულია „ქართლის ცხოვრებაში", გიორგი III-ის მეფობის დასასრულს აღნიშნავს: „ოვსთა და ყივჩაყთა, რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან, აგრეთვე შარვანის სახლნი" [20, 298]. დავითის ისტორიკოსისაგან განსხვავებით, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, ყივჩაყების მიმართ კარგად არის განწყობილი, ეს ისტორიკოსი მათზე არცთუ დადებითი აზრისაა: „ოვსმან, მთიულმან, და ყივჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა" [20, 300].

„ქართლის ცხოვრებაში" შესული თამარის ე.წ. პირველი ისტორიკოსის თხზულებაში კარგად ჩანს, რომ ყივჩაყები საქართველოში დროებით სამხედრო სამსახურში არიან, რისთვისაც, ალბათ, ხელფასს იღებენ: „მას ჟამსა ძმა ყივჩაყთა მეფისა სევინჯისა სავალათ (ე.ი. ვსევოლოდი — გ.ა.) აქა იყო სამსახურად" [29, 64; 20, 347]. მისი ჩამოსვლა აქ ახალი ამბავია, ვინაიდან, ცოტა ადრე, როდესაც თამარის გათხოვების საკითხი განიხილებოდა, ახსენებენ რუს უფლისწულს, რომელიც იმ დროს თავის ბიძასთან, სავალათთან, იმყოფებოდა („ყივჩაყთა მეფისა სევინჯისა ქალაქსა") [29, 36; 20, 329]. ყივჩაყნი არ შეადგენენ ჯარის ძირითად ნაწილს და მხოლოდ დამატებითი ძალაა: „ჰერნი და კახნი, დიდებულნი და აზნაურნი თანადართვითა ყივჩაყთათა". ისინი ისევე, როგორც ადრე, ქართველთა ჯარის ავანგარდს წარმოადგენენ. თამარის პირველი ისტორიკოსი შამქორის ბრძოლის აღწერისას ხმარობს სიტყვებს „ჭალაშ" და „დასნაჭთა". აქედან, პირველი ნიშნავდა შეჯახებას, ომს [2, 100-101]. ამავე დროს, ავანგარდის ბრძოლას „ჩალიბად ბრძოლა" ეწოდება და იმავე „ქართლის ცხოვრებაში" ჩართული XIV ს. ანონიმის, ე.წ. ჟამთააღმწერლის, თხზულებაში იხსენიება [34, 148-151]. რაც შეეხება „დასნაჭთა"-ს, მ. ბელთაძის დაკვირვებით (გამოთქმულია მოხსენებაში), ეს არის დამახინჯებული „და სანჯაყთა".

თამარის, ე.წ. პირველ ისტორიკოსთან გვხვდება ტერმინი „ყივჩაყნი ახალნი" („ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი") [29, 65; 20, 348]. ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ „ყივჩაყნი ახალნი" საქართველოში ახლად მოსულ ყივჩაყებს ნიშნავს [16, 209]. ზოგიერთი მეცნიერი ამის გვერდით ამკვიდრებს

გამოთქმას „ძველი ყივჩაყები“ [22, 122]. ამათგან, მათი აზრით, დავითის დროს მოსულებს — „ძველი“, ხოლო თამარის დროს მოსულებს „ახალი“ ეწოდებოდათ სწორედ იმ მცდარ შეხედულებაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც ყივჩაყები საქართველოში დაუსრულებლად ჩამოდიოდნენ და რჩებოდნენ, რაც, თავის მხრივ, დავითის ისტორიკოსის ცნობაში მითითებული 50000-ის არასწორ ინტერპრეტაციას მოჰყვა. გამოთქმა „ძველი ყივჩაყები“ გაუმართლებელია. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მსგავსი გამოთქმა არც ერთ წყაროში არ გვხვდება და შეიქმნა მხოლოდ ისტორიოგრაფიაში. გაუმართლებელია ამ ორი გამოთქმის ერთ სიბრტყეზე განხილვა, ვინაიდან მათ შორის არსებითი სხვაობაა. „ახალი ყივჩაყები“, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში არ ცხოვრობდნენ, მხოლოდ დროებით, სამხედრო სამსახურისათვის ჩამოდიოდნენ. ვფიქრობთ, აქ გასათვალისწინებელია ფ. სიხარულიძის აზრიც იმის შესახებ, რომ „ახალი ყივჩაყი“, შესაძლოა, გაქრისტიანებულ ყივჩაყს ნიშნავდეს, ისე, როგორც, მაგალითად, XIX ს.-ში „ახალი ქართველები“ ქრისტიანობისაკენ მობრუნებულ ქართველებს გულისხმობდნენ. შეიძლება გავიხსენოთ „ინგილო“, რომელიც აგრეთვე ახალმოქცეულს, ოღონდ ამჯერად გამუსლიმებულ ქართველებს ნიშნავდა (ფ. სიხარულიძის აზრი დამოწმებულია ჯ. სტეფნაძის ნაშრომში) [16, 219]. პ. გოლდენი ყივჩაყთა ასიმილაციის პროცესის ასახვად მიიჩნევს ტერმინს „ნაყივჩაყარი“ (ძველი ყიფჩაყნი) და „ახალი ყივჩაყნი“ [36, 64].

როგორც ჩანს, სწორედ გიორგი III-ის დროიდან იქნა შემოღებული სპეციალური გადასახადი „საყივჩაყე“, რომლის შესახებაც ცნობა დავით VIII-ის სიგელში გვხვდება (1297/98 ნლის სიგელი დავით მეფის ჭარმაულ გრიგოლ ჭაჭნიასშვილისადმი) [30, 183-4]. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრით, აღნიშნული გადასახადი თითქოს დავით აღმაშენებელმა დააწესა [31, 33-35]. ვფიქრობთ, ასეთი გადასახადის საჭიროება უფრო გიორგი III-ის დროს გაჩნდებოდა, ყივჩაყთა დაქირავებული ჯარისათვის ხელფასის გადასახდელად.

მოგვიანებით, ყივჩაყებისა და ქართველების ურთიერთობა იძაბება. ქართველების შემდგომ ურთიერთობაზე ყივჩაყებთან

ცნობას გვანვდის სომეხი ავტორი კირაკოს განძაკეცი: 1221-22 წწ. მოვლენებში ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ გიორგი ლაშამ (1207-1123) და ამირსპასალარმა ივანე მხარგრძელმა უარი თქვეს, მიეცათ მიწა საცხოვრებლად ყივჩაყებისათვის, რომლებიც ამას ითხოვდნენ და სანაცვლოდ, სამხედრო სამსახურს ჰპირდებოდნენ. უარის შემდეგ ისინი წავიდნენ განჯაში, რომელსაც ქართველები ესხმოდნენ. განჯელებმა სიამოვნებით მიიღეს ისინი და დააკმაყოფილეს მათი თხოვნა. ცოტა ხნის შემდეგ მათ დაამარცხეს ქართველთა ჯარი ივანეს მეთაურობით და ბევრი ქართველი ტყვედ ჩაიგდეს, დანარჩენები კი გაიქცნენ. მოგვიანებით, ივანე ხელახლა დაესხა მათ, დაამარცხა და მათი შვილები ტყვედ წაიყვანა თავის ქვეყანაში [32, 139].

ამავე წლების ამბებს ერთგვარად ავსებს არაბი ავტორი იბნ ალ-ასირიც, რომელიც 619 (15.11.1222 - 3.11.1223) წლის ამბებში იუწყება, რომ ჩრდილოეთიდან 50 ათასი ყივჩაყი მოადგა დარუბანდს და ორჯერ ითხოვა მიწა. უარის მიღების შემდეგ ყივჩაყებმა ეშმაკობით დაიპყრეს დარუბანდი, გაძარცვეს, დატოვეს და გაემართნენ ყაბალისკენ, რომელიც იმ დროს ქართველთა ხელთ იყო. ყაბალა ვერ აიღეს, თუმცა დაარბიეს მისი მიდამოები და უკან წავიდნენ. მერე თითქოს გაემართნენ განჯისაკენ, სადაც როგორღაც მისცეს მიწა დასასახლებლად. მალე განჯის გამგებელმა, ქუშხარამ, შეკრიბა ყივჩაყები, მაგრამ მათ დაიწყეს არეულობის მოწყობა და გაყარა ისინი. ყივჩაყები ისევ წავიდნენ შირვანში, სადაც მათ დაედევნენ მუსლიმები, ქართველები და ლეკები, დაამარცხეს და დაატყვევეს ისინი. ამ ცნობის მიხედვით, ყივჩაყთა მეთაური არწმუნებდა განჯის გამგებელს, რომ ქართველები მათი მტრები არიან და ქართველებთან კარგი ურთიერთობა რომ ჰქონოდათ, ისინი არ აირჩევდნენ დარუბანდის გასასვლელს, არამედ მათი ქვეყნით გავიდოდნენ, როგორც - ადრე [24, XI, 406-410; 34, 67-78; 33, 118-120].

ყივჩაყები საქართველოში კიდევ ერთხელ ჩნდებიან დავით VIII-ის მეფობის წლებში (1293-1311), ე.ი. იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო ილხანთა პოლიტიკური კონტროლის ქვეშ არის, ხოლო ამ უკანასკნელთ განუწყვეტელი ომები აქვთ

ოქროს ურდოსთან. აქედან გამომდინარე, ყველა, ვინც ოქროს ურდოსაგან შევიწროებულია, ილხანთა ბუნებრივი მოკავშირე და მათი ზრუნვის ობიექტი ხდება. ამ ნიშნით აღმოჩნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებული ოსები. მსგავსი ვითარებაა, როგორც ჩანს, ყივჩაყებთან დაკავშირებითაც.

ვინაიდან დავით VIII ილხანებს არ ემორჩილებოდა, მათ გაამეფეს მისი ძმა ვახტანგ III (1298-1308), რომელიც იძულებული იყო ზოგჯერ დავითის წინააღმდეგ ემოქმედა. მონღოლებმა ყივჩაყებს საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ნება დართეს, რის შესახებაც ცნობა XIV ს. ანონიმი ჟამთააღმწერლის ნაშრომშია დაცული. აქ აღწერილია ბრძოლა დავით VIII-სა და საზაფხულოდ მიმავალ ყივჩაყთა შორის, რომელთა დასახმარებლად დავითის ძმა, ვახტანგი, მიდის. ვახტანგი და ყივჩაყები ერთად დაედევნებიან დავითის ჯარს და ბევრს დახოცავენ. მემატიანე ცდილობს, გაამართლოს ვახტანგის მოქმედება: „არათუ ვახტანგ მტერი იყო ძმისა, არამედ თათართა შიშითა იძულებით შეება“ [20, 544]. საფიქრებელია, სწორედ ამ წლებიდან შემორჩა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ცნობილი „ბალადა ყივჩაყზე“, სადაც ყივჩაყი უარყოფითი პერსონაჟია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
2. М. П. Мургулия, В.П. Шушарин. Половцы, Грузия, Русь и Венгрия в 12-13-х вв. М., 1998.
3. ქართული პროზა, I, თბ., 1982.
4. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ.1958.
5. ცხორებაᲲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო მ. შანიძემ, თბ., 1992.
6. ივ. ჯავახიშვილი. *თხზულებანი*, II, თბ., 1983.
7. ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, II, თბ., 1983.
8. შ. მესხია. *ძლევაᲲ საკვირველი*, თბ., 1972.
9. რ. მეტრეველი. *დავით აღმაშენებელი*, თბ., 1990.

10. მ. ლორთქიფანიძე. საქართველო XI ს-ის ბოლოს და XII ს-ის პირველ მეოთხედში — *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, თბ., 1979.

11. ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. — კრ. *საქართველო რუსთაველის ხანაში*. თბ., 1966.

12. А. Юнусов. Месхетинские турки: дважды депортированный народ. Баку, 2000.

13. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქციით. ტბ., 1906.

14. ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. დასაბეჭდად მოამზადა ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1942.

15. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, 1953.

16. ჯ. სტეფნაძე. *მეფეთ-მეფე გიორგი მესამე*. მეორე გამოცემა, თბ., 1999.

17. Г.З. Анчабадзе. Источниковедческие проблемы военной истории Грузии, Тбилиси, 1990.

18. ი. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა სამხედრო ხელოვნების თვალთახედვით. — წიგნში: ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი. *დიდგორის ბრძოლა*, თბ., 1973.

19. Анна Комнина. Алексиада. Вступительная статья, перевод и комментарий Я. Н. Любарского, М., 1996.

20. ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება"). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ილ. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1996.

21. ივ. ჯავახიშვილი. *თხზულებანი*, VII, თბ., 1984.

22. M. F. Kırzıoğlu. Kipçaklar, Ankara, 1002.

23. ლ. დავლიანიძე. მათეოს ურჰაეცის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ — კრ. *საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბ., 1966.

24. Ibn al-Athir. Al-Kamil fi'l tarikh, vol. I-XII. Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth, Beyrouth,1966.

25. ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1974.

26. Nizamü'l - Mülk. Siyaset-name. Hazırlayan prof. Dr. M.A. Köymen. Ankara, 1999.

27. ვარდანი. *მსოფლიო ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ, თბ., 2002.

28. სტეფანოს ორბელიანის "ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978. ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959.

29. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

30. თ. ენუქიძე. XIII საუკუნის ქართული სამოხელეო ტერმინი „მესაყივჩაყე". — *ქართული წყاროთმცოდნეობა*, IV, თბ., 1973.

31. Киракос Гандзакеци. История Армении. Пер. с древнеармянского, предисловие и комментарий Л.А. Ханларян, М., 1976.

32. З. М. Буниятов. Государство атабеков Азербайджана. Баку, 1978.

33. ჯ. სტეფნაძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ერთი ადგილის განმარტებისათვის. — *ქართული წყاროთმცოდნეობა*. III, თბ., 1971.

35. ბ. სილაგაძე. არაბი მწერალი ყივჩაღთა შემოსევის შესახებ ამიერკავკასიაში XIII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში. — *ქართული წყاროთმცოდნეობა*. VII, თბ., 1987.

36. P.B. Golden. Cumanica I: The Qipcaqs in Georgia. - Archivum Eurasiae Medii Aevi, III, 1984.

37. ს. მარგიშვილი. *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ*, თბ., 2006.

ორბელების კავშირი თურქულ სამყაროსთან: მითი თუ რეალობა? (ბარათაშვილების წარმომავლობისათვის)

ეს საუკუნეების გვარსახელების ისტორიის შესწავლა, ცნობათა სიმცირის გამო, რთული საქმეა. ამასთან, ჩვენამდე მოღწეული წყაროები ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს შეიცავს. სხვა მასალასთან ერთად მხედველობაში მისაღებია გვარსახელებთან დაკავშირებული ლეგენდები და საოჯახო გადმოცემებიც, ვინაიდან მათში მითოლოგიურ პლასტებთან ერთად რეალური ცნობებიც არის დალექილი.

ერთ-ერთი საინტერესო გვარია ორბელი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში და, ბუნებრივია, მის შესახებ ცნობები, თუმცა კი, ზოგჯერ განსხვავებული, ძირითადად, ქართულ და სომხურ წყაროებში მოიპოვება.

ორბელთა გვარის წარმომავლობაზე ცნობები მხოლოდ ამ გვარის სომხური შტოს წარმომადგენლის, XIV ს. ისტორიკოსის, სტეფანოს ორბელიანის, ნაშრომშია შემორჩენილი. ამ ინფორმაციით, ორბელიანები არ იყვნენ საქართველოს მკვიდრნი. ისინი ქართლში უძველეს დროში მოვიდნენ. იმ დროს, როდესაც იქ მეფე არ იყო და ქვეყანას მამასახლისი მართავდა. ორბელები მოვიდნენ ჭინელთა სამეფოდან იმის გამო, რომ მათ ქვეყანაში არეულობა ატყდა: „... რომელი არს აღმოსავლეთსა უშორეს ხალანელთა მესამზღურენი ხაზართა და ჰუნთა, ე.ი. გუგართა, რომელი მიიწევის სიგრძითა ვიდრე ემაონ მთისადმდე. რამეთუ ოდეს მიიცუალა მეფე ჯიმბაკურ

წოდებული, მეფის ძეთ იწყეს ბრძოლა ურთიერთისად და განძლიერდა ერთი კერძო, ხოლო ლტოლვილ იქმნა მეორე, რომელი იყო კაცი მარჯვე, მართებულის სახის მქონებელი, ძლიერი და ტანოვანი სიჭაბუკისა ჰასაკითა, რომელი სახლეულითა თვისითა და გუნდითა სამეფოითა და უნჯითა... გამოვლო მრავალსა ქუეყანასა ეგოდენითა უსაშინელესითა სახითა, ვიდრე არავის ძალედვა წინააღმდგომა მისი, და გამოვლო დარიელა" [1, 26-27].

სტეფანოს ორბელიანის გადმოცემა ჰგავს ქართულ წყაროებში შემორჩენილ სიუჟეტს თურქთა, „ბუნ-თურქთა" ან „თურქისტანელთა" შესახებ, რომელიც სომეხი ავტორისათვის, ცხადია, კარგად იყო ცნობილი და რომელმაც, როგორც ეს უკანასკნელ გამოკვლევებშია დასაბუთებული, რეალური ფაქტი ასახა, კერძოდ, მიდიის მეფის, კიაქსარის მიერ სკვითების გამოდევნა. ამ გადმოცემებს, მოგვიანებით, დაედო ცნობები თურქულენოვანი ტომების შემოჭრის შესახებაც, რაც, აგრეთვე, რეალურად ხდებოდა. სომეხი ავტორის სიუჟეტი ასახავს იმ წლებს, როდესაც აქტუალური იყო დაპირისპირება ირანთან, რის გამოც სტეფანოს ორბელიანს ჭენთა მეფის შვილი თავისი ხალხით ჩრდილოეთიდან მოჰყავს. გავიხსენოთ იოანე ბაგრატიონის ცნობა თურქისტანელთა შესახებ, რომლებსაც ის იხსენიებს ჰუნებთან და ხაზარებთან ერთად. იოანე ბაგრატიონიც, რომელიც იცნობს თავისი წინამორბედი ისტორიკოსების – ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებს კიაქსარის მიერ გამოდევნილი თურქების (სკვითების) შესახებ, უცვლის მათ მიმართულებას და, სამხრეთის ნაცვლად, ჩრდილოეთიდან მოჰყავს: „მხედრობითა დიდითა მოვიდოდნენ და შემოვიდნენ ქართლისაცა შინა მოსახლენი თურქისტანელნი ვიდრე ორიათას რვაასი კომლი კაცი, რომელთა გამოვლეს გარემო კასპიის ზღვისა, გამოვიდნენ ედილსა და თერგსა, გამოვლეს დარუბანდი და მოვიდნენ მცხეთას წინაძღომითა ბეგისა ვისამეზედ წოდებით ჯამბაკურისა, რლმანცა აღუთქვა შეწევნა ქართველთა თვისთა მტერთა ზედა დასაბამიდგან წელსა 2525-სა, რომელიცა შეიწყნარა მცხეთის მამასახლისმან იანისმან, და მისცა მთაბარნი და დაასახლა მუნ აგრეთვე სხვანიცა" [საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H-2134, 526 r.v.].

სტეფანოს ორბელიანი კარგად იცნობს არა მარტო ქართულ წყაროებს, არამედ - სომხურსაც, აერთებს ქართული და სომხური წყაროების გადმოცემებს და გვთავაზობს ორბელიანების წარმოშობის საკუთარ ვერსიას.

მსგავსი გადმოცემები სხვა სომხურ წყაროებშიც არის შემორჩენილი (ფავსტოს ბუზანდის, მოვსეს ხორენაცის, სებეოსის თხზულებებში), ამჯერად მამიკონიანების წარმომავლობასთან დაკავშირებით. ამ წყაროების მიხედვით, მამიკონიანები კავკასიაში ასევე, ჭენთა ქვეყნიდან მოსულან. თუმცა, თუ სტეფანოს ორბელიანთან ორბელიანების წინაპარი, ჭენთა მეფის შვილი, მცხეთის მამასახლისთან მოდის, სხვაგან მამიკონიანების წინაპრები უფრო გვიან, სპარსეთის შაჰის, შაპურ I-ის (240-272), დროს მოდიან. ამასთან, სტეფანოს ორბელიანისაგან განსხვავებით, რომელსაც ისინი ჩრდილოეთიდან მოჰყავს, მოვსეს ხორენაცი, ისევე, როგორც სებეოსი, მათ, ბუნ—თურქთა მსგავსად, ირანიდან დევნილებად მიიჩნევს: „არტაშირის სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა ვინმე არბოკი, ჭენბაკური, რაც მათ ენაზე მეფობის პატივს აღნიშნავს. მას ჰყავდა ორი ძუძუმტე, სახელად ბლდოხი და მამგონი, დიდი ნახარარები. ბლდოხმა ცილი დასწამა მამგონს და ჭენთა მეფე არბოკმა ბრძანა მისი მოკვლა. მამგონმა ეს რომ შეიტყო... გაიქცა თავისი ამალით და მიაშურა სპარსთა მეფე არტაშირს. არბოკმა გამოგზავნა დესპანნი და მოითხოვა მისი გადაცემა. რახან არტაშირი ვერ დაითანხმა, ჭენთა მეფე მის წინააღმდეგ საომრად გაემზადა. ამ დროს არტაშირი გარდაიცვალა და შაპუჰი გამეფდა. მართალია, შაპუჰმა მამგონი არ გადასცა მის უფალს, მაგრამ არც არიელთა ქვეყანაში გააჩერა; ისე ჩანდა, რომ მან გააძევა იგი ამალასთან ერთად, სომხეთში გაუშვა თავის მოხელეებთან, ხოლო ჭენთა მეფეს ასე შეუთვალა: „ ... შენს დასამშვიდებლად განვდევნე იგი ჩემი ქვეყნიდან ცხრა მთას იქეთ, დასავლეთში, სამყაროს დასალიერში, რაც მისთვის სიკვდილზე უარესია“... იგი არ დაბრუნდა უკან... დიდძალი საჩუქრებით თრდატს წარუდგა. მან შეინწყნარა მამგონი, მაგრამ საომრად თან არ წაუყვანია“ [36, 167]. იგივე ცნობა, მცირე სხვაობებით, მოცემულია სებეოსთან. მისი გადმოცემით, მამიკონიანები „პართიის მეფე არტაბანისა და

სომეხთა მეფის, ხოსრო დიდის, წლებში ჭენასტანიდან მოვიდნენ". აქვე მოცემულია გადმოცემის ერთ-ერთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, ჭენასტანის მეფეს აუჯანყდნენ ძმები, რომლებიც დამარცხების შემდეგ გაიქცნენ ირანში, ხოლო ირანის მეფემ ისინი თავის ნათესავთან, სომხეთის მეფესთან, გააგზავნა, სადაც მამიკონიანთა გვარი გამრავლდა და გაძლიერდა [38, 19-20]. იგივე სებეოსი გვაწვდის ცნობას VII ს. მოვლენებზე, კერძოდ, ირანის შაჰის ხოსროს დროს (იგულისხმება ხოსრო II ფარვიზი 591-628) ჩინელი ჩეპეტუჰის შუამავლობით, ხაკანის სამსახურში შესვლაზე. "გაიარეს ჩრდილოეთის ქვეყნები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ჩეპეტუჰის ჯართან ერთად, წაიყვანა მათი მეფე ხაკანი და გაიარეს რა ჩორის გასასვლელი, გაემართნენ ბერძენთა მეფის დასახმარებლად", — მოგვითხრობს სომეხი მემატიანე [38, 61]. იგულისხმება ჰერაკლე კეისარი.

როგორც ჩანს, სიუჟეტის სხვადასხვა ზეპირი ვერსია არსებობდა, რასაც თითოეული ავტორი ახალი ელემენტებით ავსებდა. ამასთან, ეს ისტორიკოსები ერთმანეთის ნაშრომებსაც ითვალისწინებდნენ.

წყაროებში შემორჩენილი სიუჟეტები ასახავს, ძირითადად, სკვითებისა და მიდიის, სკვითებისა და ირანის დაპირისპირებას და ამასვე ასახავს წყაროებში შემორჩენილი სხვადასხვა სიუჟეტი, რასაც ყურადღება მიაქცია მ. სანაძემ. მან ჩამოთვალა წყაროებში არსებული შემთხვევები: „აზოს მოსვლა „ქართველებით", ჰაიკის ბაბილონიდან გადმოსახლება და დასახლება ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე, კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მოთხრობილი დავითისა და სპანდიატ რვალის მეთურობით იბერთა იერუსალიმიდან გადმოსახლებისა და მათ ისტორიულ სამშობლოში მოსვლის ამბავი, „მოქცევაჲ ქართლისაჲსა" დაცული მოთხრობა „ქალდეველთაგან დევნილ ჰონთა", „ქართლის ცხოვრების" მიერ „თარგამოსიანთა მოსვლის" პარალელურად შემონახულია ინფორმაცია „ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილ ჰურიათა", ან „სპარსთაგან დევნილ ჰურიათა", თუ „სპარსთაგან დევნილ თურქთა" შესახებ" [37, 136-147]. როგორც ჩანს, ამავე რიგისაა გადმოცემები მამიკონიანთა და ორბელიანთა წარმოშობის შესახებაც.

წყაროები ორბელიანთა, ისევე, როგორც მამიკონიანთა, წარმოშობას სრულიად კონკრეტულ ქვეყანას — „ჭინელთა“ უკავშირებს. სამეცნიერო ლიტერატურაში მისი სხვადასხვა იდენტიფიკაცია გვხვდება. მკვლევართა ნაწილმა ორბელიანთა, ისევე როგორც მამიკონიანთა წარმომავლობა, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთს — ჭანეთს დაუკავშირა [2, 38; 3, 403-404].

ვ. მინორსკის ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ორბელები ძალიან ძველი ქართული გვარია, სტეფანოს ორბელიანის ცნობის მიუხედავად, რომელიც მათ ჭენთა ქვეყანასთან აკავშირებდა [40, 874].

კ. პატკანოვის აზრით, „სომხური ქრონისტების ჭენები, არავითარ შემთხვევაში, არ იყვნენ ჩინელები, ისინი გადმოსახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან ყარსის მიდამოში“. შემდეგ მოყვანილია „სომხური გეოგრაფიის“ ცნობები ვინმე ტორკზე, რომელიც დაინიშნა დასავლეთის ტერიტორიების გამგებლად. ის მკვლევრის ვარაუდით, მონღოლოიდია [4, 47-48]. არსებობს მ. თუმანოვის განსხვავებული შეხედულებაც, რომ აღნიშნული გვარი არიული და არა მონღოლოიდური წარმოშობისაა [5, გაზეთიდან 7/IX]. Fayfur — ჩინეთის იმპერატორისა და ბიზანტიის კეისრის ტიტულია. აქედან არის სიტყვები — fagfuri, farfuri, fayfuri, რაც ნიშნავს პორცელანს [6, 445]. ჯანბაკურთან დაკავშირებით საინტერესოა ის, რომ ბაკურ საშუალო სპარსულის „ბაგ-პუჰრ“-ია, რაც ზეცის შვილს ნიშნავს. სახელი ბაკური, როგორც ცნობილია, ქართლში ძველი დროიდან იყო გავრცელებული.

ჭენთა შესახებ საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული „სომხურ გეოგრაფიას“. მითითებული წყაროს მიხედვით ჭენთა ქვეყანა სკვითიის მიღმაა. აქ მოტანილი ცნობებით „სკვითიაზე“, ე.ი. აპახტარკზე, ე.ი. თურქზე, რომელიც მდ. ეტილიდან ევამონის მთამდე და იქიდან ჭენთა ქვეყნამდე ვრცელდება. სკვითიაში 44 ხალხი ცხოვრობს. „ჭენასტანი სკვითიის აღმოსავლეთით არის გადაჭიმული უცნობ მიწამდე და მოიცავს ვრცელ ველებს. მასში 29 ხალხი ცხოვრობს, რომლებიც სულ კაციჭამიები არიან.... მათ მეფეს ჭენ-ბაკური ჰქვია ... ამას მოჰყვება „სინე“ [39, 79, 82-84].

თურქი მეცნიერი მ. ფ. კირზი-ოღლუ ორბელიანების გვარს, სტეფანოს ორბელიანის ცნობაზე დაყრდნობით, თურქულ სამყაროს უკავშირებს და იმოწმებს სხვა წყაროებსაც, სადაც, ერთ შემთხვევაში, იხსენიება ხაზართა ხაკანი, როგორც ჩინ ხაკანი, ხოლო ხაზართა ხაკანის შვილი, 20-30-იანი წლების გმირი, როგორც „ჩინ ხაკანის შვილი ბარსბეკი" („დერბენდ-ნამე"); მეორე შემთხვევაში კი — აფრასიაბი, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს" გმირი, როგორც „თურანის და ჩინის ქვეყნების გამგებელი". აქვე მოტანილია სომეხი ავტორის სებეოსის ზემოთ დამოწმებული ცნობაც VII ს.-ში ბიზანტიის იმპერატორის ჰერაკლეს მოკავშირეობაზე [35, 25].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სტეფანოს ორბელიანმა თავის ნაშრომში შეიტანა ის გადმოცემები, რომლებიც შემორჩენილი იყო როგორც ქართულ, ისე — სომხურ ტრადიციაში და, ძირითადად, სკვითებთან ურთიერთობას ასახავდა. სკვითებზე ძველ გადმოცემებს გზადაგზა ედებოდა მოგვიანო სიუჟეტები, როდესაც, სკვითების ნაცვლად, უფრო აქტუალური იყო თურქებთან ურთიერთობა, თუმცა, ლეგენდის ძირითადი ბირთვი რჩებოდა.

ორბელების თურქული წარმოშობის დასამტკიცებლად, ვფიქრობთ, არ გამოდგება მ. კირზი-ოღლუს მიერ არგუმენტად მოტანილი არც ის ფაქტი, რომ თითქოს 1918 წელს ტრაბზონის კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, მისი წინაპრები ჩინეთ-თურქისტანიდან იყვნენ მოსული [35, 31].

მეტი საფუძველი აქვს, როგორც ჩანს, სტეფანოს ორბელიანის ნაშრომში ორბელების გაიგივებას მეორე ქართულ საგვარეულოსთან — ბაღვაშებთან, რომლებმაც აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიაში.

არგვეთის (ზემო იმერეთი) მფლობელები აქტიურად ჩანან საქართველოში IX-XIII სს.-ში. გვარის უფროსი წარმომადგენელი ლიპარიტ ბაღვაში ქართველთა კურაპალატის, დავით (ბაგრატის ძე) I-ის, ყმობაში შევიდა, მისგან თრიალეთში მიწა-წყალი მიიღო და შექმნა კლდეკარის ძლიერი საერისთავო. მან დახმარება აღმოუჩინა დავითს გუარამ მამფალის (882) ძის ნასრას (გარდ. 888) წინააღმდეგ, რომელიც კონსტანტინოპოლში განდევნეს. ბაღვაშების ერთ-ერთი განშტოებაა რაჭის კახაბერისძეები. ბაღვაშები ხშირად

უდგებოდნენ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს ოპოზიციაში. ქართველების წინაპრის, თარგამოსის შვილების ჩამოთვლისას, სტეფანოს ორბელიანი „ქართლის ცხოვრების" ცნობებს იმეორებს, თუმცა, ერთ ადგილას მეხუთე შვილის, ლეკოსის, მეორე სახელად ლიპარიტს უთითებს [1, 24]. აღნიშნული სახელი ამ გვარში ძალზე ხშირია, ხოლო ერთ-ერთი, ლიპარიტი, ბაგრატ IV-ის თანამედროვე, განსაკუთრებით პოპულარული იყო. ზოგიერთი უზუსტობა სტეფანოსის ნაშრომში მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში ავტორი ზეპირ წყაროებს ეყრდნობა.

ქართულ თანადროულ. წყაროებში არა მარტო არაფერია ნათქვამი ბაღვაშთა და ორბელთა იგივეობაზე, არამედ დავითის ისტორიკოსის ნაშრომის საფუძველზე შეიძლება საპირისპირო დასკვნის გამოტანაც, რომ ამ ორ გვარს არაფერი აქვს საერთო. ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ბაღვაშთა ოჯახის უკანასკნელი წევრი, რატი — „კაცი ორგული", დასრულდა სახლი ბაღვაშთა, სახლი გამამწარებელთა და აღარავინ დაშთაᲘ საყოფელთა მათთა მკვიდრი" [7, 169]. ეს ცნობა ერთგვარი გაზვიადებაა, ან მხოლოდ კონკრეტულად ბაღვაშებს ეხება, რაც კარგად ჩანს XIV ს. ანონიმის ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანიდან", სადაც ბაღვაშთა ერთ-ერთი განშტოების, კახაბერისძეთა წარმომადგენელი კიდევ ერთხელ გამოჩნდება როგორც XIII ს. ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე. ამასთან, XIV ს. მემატიანე ხელახლა იმეორებს იმას, რასაც ადრე დავითის ისტორიკოსიც აღნიშნავდა: „მოკუდა და მოისპო ყოველი ნათესავი მისი, ბაღუაშთა კახაბერის ძეთა, არა დაშთა და აღიკოცა ნათესავი მისი და საკსენებელი მათი" [8, 165].

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ორბელები, და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რაჭის ერისთავები — კახაბერის ძენი — ბაღვაშების განშტოებად არიან მიჩნეულნი. აღნიშნული მოსაზრება დამაჯერებლად არის დასაბუთებული ქ. ქუთათელაძისა და ა. ბაღიშვილის გამოკვლევებში [9, 10]. ამ იგივეობის ძირითადი არგუმენტებია ის, რომ 1. როგორც ერთ, ისე მეორე გვარში გავრცელებულია ერთი და იგივე საკუთარი სახელები (ლიპარიტი, ივანე, სუმბატი, ქავთარი...); 2. როგორც ერთი, ისე მეორე გვარი

ფლობს ერთსა და იმავე ტერიტორიებს; 3. უკავიათ ერთი და იგივე თანამდებობები; 4. მუდამ ოპოზიციაში უდგანან მეფეს.

გვიან შუა საუკუნეებში ჩნდება გვარი ორბელიანი, როგორც ქაჩიბაძეს და ბარათაშვილის განშტოება. მისი ვარიანტებია ორბელისშვილი, ყაფლანიშვილი, ორბელიძე, აბაშიშვილი, ქავთარიშვილი, ჯანბაკურ-ორბელიანი და სხვ. აქვთ თუ არა მათ კავშირი ორბელებთან და ბაღვაშებთან? ქართული ისტორიოგრაფია ამ შეკითხვას უარყოფითად პასუხობს. ასეთი ტრადიცია, რომელსაც, ფაქტობრივად, ს. ჯანაშიას გამოკვლევამ ჩაუყარა საფუძველი, საკმაოდ მყარი აღმოჩნდა. „ჩვენ სრულიად უგულებელვყოფთ საკითხს ქაჩიბაძეების ორბელთაგან წარმომავლობის შესახებ, რადგანაც ეს აზრი, ზოგიერთ მკვლევრის მიერ გამოთქმული, სავსებით უსაფუძვლო გვგონია", — წერდა ს. ჯანაშია 1952 წ. [12, 4, შენ. 3].

საკითხის გასარკვევად განვიხილავთ იმ არგუმენტებს, რაც დაედო საფუძვლად აღნიშნულ მოსაზრებას და წყაროების ანალიზით შევეცდებით, დავასაბუთოთ საპირისპირო ვარაუდი.

გიორგი III-ის წინააღმდეგ ორბელთა ცნობილი გამოსვლის შემდეგ მათ შესახებ ცნობები რამდენიმე წყაროში მოიპოვება და ყველაზე მეტი სტეფანოს ორბელიანთან, რომელიც ორბელთა შემდგომ ბედს ძალზე მუქ ფერებში წარმოადგენს: „...ყოველი ნათესავი და დედანიცა და მეუღლენიცა მისცა ასახოცად და ამოსაგდებად, რომელიმე დაარჩვეს, რომელნიმე წყალში მოაშთვეს, რომელიმე კლდეზე დაჩეხეს და ესრეთ აღმოფხურა ქართლიდამ სახელი მათი. ეგრეთვე ბრძანა ახოცა სახსენებელისა ორბელიანთ გვარისა მოთხრობათა საქართუელოსთა. მერმე უბრძანა ეკკლესიელთა აღწერა ჰამბისა ამის არათუ ნამდვილისა, არამედ სიცრუვისა და სხვა და სხვა მიზეზით ბრალდებისა, რაიცა ბოროტ ქცევასა ამისსა ჰნებევდა. შემდგომად განაწესა შეჩვენებაცა, რათა არღა მოიხსენონ სახელნი მათნი და არა დაუტეონ მათგანი საქართველოსა შინა, და დასდვა ანდერძი იგი ბოროტისა საუნჯესა თვისსა" [1, 51-52].

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთხელ აღინიშნა, რომ სტეფანოს ორბელიანის ცნობები ერთგვარად გაზვიადებულია

[12, 74-75; 13, 49], ხოლო ახლახან იგივე აზრი დამაჯერებლად დაასაბუთა ქ. ქუთათელაძემ [9, 221-234]. აღნიშნულ საკითხს ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით, ახლა კი მოკლედ იმაზე, თუ რა არის ცნობილი ბარათაშვილების გვარზე წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში.

ის ფაქტი, რომ ბარათაშვილების გვარი ქაჩიბაძიდან მომდინარეობს, კარგად ჩანს შემორჩენილი ქრონიკებიდან, საბუთებიდან და პოეზიიდანაც კი, და ეს არაერთხელ აღინიშნა [14, 8].

გვარის ფუძემდებელი ბარათა ქაჩიბაძე, ცნობილი როგორც დიდი ბარათა, ალექსანდრე I-ის (1412-1444) ხაზინადარია. XV ს. 20-იან წლებში დაწერილ საბუთში ვკითხულობთ: „მე, ქაჩიბასძემან სალაროს მოლარემან ბარათამან და მეუღლემან ჩუენმან პატრონმან თინათინ და ძეთა ჩუენთა... მოგახსენეთ ჩუენი მკუიდრი მამული... სომხითს სოფელი ყორანთა... დიის ველი ძუელითგან განსაზღვრული იყო და მოლიო შემოვლის რატევნის ჭალითა..." [15, 11, 238]. XV ს -ის მეორე ნახევარში ბარათა ქაჩიბაძის შთამომავლები იყვნენ სამშვილდის და მისი შემოგარენის მფლობელები. აქვე შედიოდა სოფ. ყორანთა [14, 9]. „ქართლის ცხოვრების" ბარათაშვილისეული ნუსხის მიხედვით, 1477 და 1486 წლებში, როდესაც საქართველოში შემოიჭრნენ უზუნ ჰასანი და იაყუბ ყაენი, ორბეთის ციხესთან მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ბარათაშვილებმა [14, 11]. „შეიყარა ყეენი უზუნ ასან: მოვიდა სომხითს, და მეფე ლიხთ იყო, ქართველნი თან იახლნენ: მოადგეს ბარათიანთა და ორბეთის ძირსა დიდათ კარგათ დახუდეს ბარათიანნი. დამაგრდნენ და ვერა უყუეს რა. მოვიდა ტფილის და აღიღეს. იხმნო ყეენმან ბარათიანნ, მიინდვნა, ნახნა და შეიწყალნა, მოსცნა მრავალნი და აღავსნა პირთამდინ" [16, 37]. „ამას ზედა თურქმანი ლაშქარი, შერცხვენილი, ორბეთისა ძირსა დადგნენ და ეცადნეს თათარნი და მუდამ ბარათიანთა და ორბეთის ძირელთა გაემარჯვის... ჰკაზმნეს ლაშქარნი და გამოარჩივეს დარბევა ორბეთისა... ესმა ბარათიანთა და იგინი იყუნეს ენაგეთს: ... და წამოვიდა აქეთ სულხან ბარათაშვილი და ძმანი მისნი და აქეთ სხვანი ბარათიანნი... გაიმარჯვეს" [16, 37, 39-40-41].

1523 წელს გაიყარა ქავთარ ქაჩიბაძის ოჯახი, რომლის წევრები, გუგუნა და გერმანოზი უკვე ბარათაშვილებად იხსენიებიან: „ჩუენ სულკურთხეულისა ბარათაშვილისა ქავთარისა ცოლყოფილმან, მონაზონმან ელენე-ყოფილმან- ელისაბედ და ჩუენთა საყუარელთა ძეთა: გუგუნამა, გერმანოზ, თაყამან, ქუმსი, გოსტასაბ და ფალავანხოსრო...“ [15, 352].

ვინ არიან ქაჩიბაძეები? ამის გარკვევას შეეცადა ვახუშტი ბაგრატიონი: „ბარათაშვილი... იტყ;ან ჩამომავლობასა ქაჩიბაძისასა... კუალად ყაფლანისშვილი და აბაშისშვილი სამთა ძმათა შვილობასა. არამედ ყაფლანისშვილი იტყ;ს გუარობასა მათსა გინა ორბელიანობასა, გარნა იყო ორბელიანი სხუა და ქაჩიბაძე სხუა გუარი, არამედ ოდეს განიყვნენ ძმანი, ბარათასაგან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ეწოდა ადგილთა მათ საბარათიანოდ, ხოლო აბაშისაგან აბაშისშვილნი და ეგრეთვე სხუანი, რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე. გარნა საგონებელ არს ყაფლანიანთაცა მესამესა ძმასა ეწოდა ორბელი, და მის მიერ ორბელიანნი იწოდნენ....ხოლო ბარათანთ გუჯარსა შინა, რომელ არს ბეთანიას, წერილ არს: მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან, გაჰყარნა სამნი ძმანი — აბაში, გუგუნა და დავით. აბაშისაგან აბაშიშვილნი, გუგუნასაგან ბარათიანნი და დავითისაგან ყაფლანიშვილნი არიან“ [17, 33].

თ. ჟორდანიამ ქაჩიბა საკუთარ სახელად მიიჩნია [15, 11, 497]. ს. ჯანაშია კი ქაჩიბაძეებს დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, აფხაზეთიდან მოსულებად თვლის. ქაჩიბაძეების წინაპრად ის ასახელებს ფიტარეთის ტაძრის წარწერაში მოხსენიებულ პირს. წარწერა პირველ პირშია შესრულებული და მასში მისი ამშენებელი იხსენიება. „ამირეჯიბი თვითმპყრობელისა ძლიერისა მეფეთ-მეფისა გიორგისი“. მისი სახელია ქავთარ, ხოლო გვარი ქაჯიფაისძე ან ქაჩიბაძე, რომელიც წარწერაში დაქარაგმებულია — „ქჯფისძე“ [18, 233; 11, 471]. ს. ჯანაშია, ისევე, როგორც მისი წინამორბედი მკვლევრები (მ. ბროსე, ე. თაყაიშვილი), წარწერას გიორგი ბრწყინვალის ხანას (1318-1348) აკუთვნებდა. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ფიტარეთის წარწერის მიხედვით, მის დროს ტანძია და თევდორეწმიდა ქავთარს ნაყიდი ჰქონდა და ის პუნქტები, რომლებიც შემდგომში ბარათიანთ

სამფლობელოს შეადგენდა, არ იყო მათი მემკვიდრეობითი მამული [11, 472]. გამოკვლევა მთავრდება დასკვნით, რომ „საქართველოს ფეოდალური მონარქიის არსებობის ხანაში, ან მის უშუალოდ წინამორბედ პერიოდში (X-XIII სს), სხვა ლიხთიმერელ „კოლონიზატორებთან" თუ „კოლონისტებთან" ერთად ქართლში გადმოდიან ქაჯიფაისძე-ქაჩიფაძენი. მათი მოძრაობის გზას, ნაწილობრივ, უნდა მიგვითითებდეს „ქაჩიბაია"-„ქაჩიფურასძის" არსებობის ფაქტები... რომელ საფეხურზე იდგნენ თვით ქაჩიფაძენი გადმოსვლის მომენტში, არ ჩანს: მაგრამ ვფიქრობთ, რომ არცთუ ძალიან მაღალზე. მათი განდიდება მერმინდელი ხანის საქმეა, როდესაც ისინი ბაღვაშ-ორბელთა ნაოხარზე ნელ-ნელა აშენებენ თავიანთ ძლიერებას, ორბეთ-სამშვილდის მებატონენი ხდებიან და „საორბელოსაც" „საბარათიანოდ" აქცევენ" [11, 481].

წყაროების მიხედვით, როდესაც ალექსანდრე მეფემ 1431 წელს ლორე დაიბრუნა, გაჩნდა შემოერთებული მიწების ხელახალი განაწილების აუცილებლობა. მეფემ პირველ რიგში, აღნიშნულ მიწებზე უფლებების დასაბუთება მოითხოვა „ქართველთა დარბაზის ერთა, (რომელთაც) ნიშანი ვისმე-ღა დარჩომოდა და ანუ ჩამომავლობით პაპათა და მამათაგან სმენით სმენოდა", რომ ამ მხარეს მამულები ჰქონდათ, „და იაჯეს" მამულები დაგვიბრუნეთო, „როგორც ვინ სათანადო მიუზღო", „როგორც ვინ გუეღირსებოდა, ეგინეთ განუყავით და უბოძეთ" [15, 242]. თუმცა ამ განაწილების დროს ირკვევა, რომ მიწები იმათაც მიუღიათ, ვისაც „არა ჰქონებოდა და „არცა ჰქონდა" საბუთი, მაგრამ ამ ლორისა ციხისა შოვნისა შიგან და მისთა შესავალთა შოვნისა შიგან დიდად და უსაზომოდ მოიჭირვეს" [11, 465].

განვიხილოთ პირველი შემთხვევა.

მიუხედავად იმისა, რომ ორბელთა აჯანყების შემდეგ ისინი არა მარტო სომხურ, არამედ ქართულ წერილობით წყაროებშიც იხსენიებიან, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია აზრი, რომ ორბელები გაქრნენ ისტორიული სარბიელიდან. თუმცა, ცნობილია, რომ ზოგიერთი მათგანი ძალიან მალე დაბრუნდა საქართველოში და მაღალ თანამდებობებსაც დაეუფლა.

ბეთანიიის 1196 წლის წარწერაში, რომელიც ივანე ორბელის მეუღლეს, რუსუდანს ეკუთვნის, ივანეს მამა, სუმბატი, და თვით ივანე — რუსუდანის მეუღლე, მოიხსენიებიან მათი ტიტულებით: ერისთავთ-ერისთავი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი [13, 49].

ორბელები ჩანან ჟამთააღმწერელთან (XIV ს.) სხვა დიდებულებთან ერთად: „მთავარნი ამერის საქართველოსანი... სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, გამრეკელი თორელი, ორბელნი, და მრავალნი..". [8, 99]. ტყვეობიდან დაბრუნებულ დავით ლაშას ძეს „მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი,... ყუარყუარე ჯაყელი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, ორბელნი, გამრეკელი" [8, 101]. გარდა ამისა, აქვე, ჟამთააღმწერელთან იხსენიება სუმბატ ორბელი და მისი შვილიშვილი, ასევე სუმბატი და მოთხრობილია მათი თავგადასავალი. პირველზე ნათქვამია: „მოწყუედასა მას ორბელთასა მეფისა მიერ ლტოლვილი წარსრულ იყო ნახჭევანს, სახელითა ლიპარიტ. ესე მიიწია ქუეყანად ელიგუნისად. ხოლო ელიგუნ, იხილა რა ლიპარიტ ორბელი, სიძედ შეიყვანა და ასული თ;სი აქორწინა, რომელმან შვნა ორნი ძენი, რომელსა უწოდეს ერთსა ელიგუნ და მეორესა — სუმბატ. და შვილად მიიყვანა ელიგუნ სუმბატ. ამის სუმბატის შვილმან შვილისამან სუმბატ, შეიმთხ;ა დავით და წარიყვანა სახლად თ;სად. ხოლო დავით ევედრა სუმბატს, რათა არა განაცხადოს. და წარავლინოს აფხაზეთს, და თუალიცა მისცა იგი სახელოვანი, რომელი წარეტანებინა დედასა მათსა რუსუდანს"... და წარმოავლინა უნდოთავე შესამოსლითა" [8, 110]. ამავე სუმბატმა შემდეგ ჩამოიცილა მეტოქე მესტუმრე ჯიქური, დედოფალი გვანცა.

გვაქვს კიდევ ერთი წყარო, სადაც ვხვდებით ორბელებს. ეს არის 1189 წლით დათარიღებული ჭიაბერის დაწერილი მღვიმისადმი, რომელსაც სხვებთან ერთად ხელს აწერენ ავაგ ორბელი და ივანე ორბელი [19, 99], მაგრამ ზუსტად როდის, ეს თარიღი ცნობილი არ არის.

ს. კაკაბაძის აზრით, ჟინვანი და, ალბათ, მასთან ერთად „შვიდი მთიულეთის" ნაწილი, 1190-1202 წწ. ახლოს, ჭიაბერის ხელში იყო. შემდეგ აბულასანის მამის, შემდეგ 1250 წლამდე — აბულასანის, შემდეგ ის შოთა ორბელის, ხოლო შემდეგ მისი ორი ვაჟის — ავაგ

და ენე ორბელების საკუთრება ხდება [20, 138]. ყოველივე ეს ვარაუდებია, ფაქტობრივად კი, საბუთის ხელისმომწერის, შოთას გვარი, ისევე, როგორც თარიღები, არ არის მითითებული („მე, შოთაი, ჩემს ჟინოვნისა ქონებასაცა შიგან ამას ვამტკიცებ: მე, ავაგ ორბელი, ამისი დამამტკიცებელი ვარ... იოვანე ორბელი, მოწამე და დამამტკიცებელი ვარ") [19, 97]. მოგვიანებით მკვლევარმა ისინი თორელებს მიაკუთვნა [21, წინასიტყვ., 9, 231].

შეიძლებოდა თუ არა, ჰქონოდა კავშირი ორბელებთან ქავთარ ქაჩიბაძეს? საკითხის გასარკვევად ჯერ ვნახოთ, ვინ გადარჩა გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებულთაგან. სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, გადარჩნენ ამირსპასალარ იოანე ორბელის ძმა, ქართლის ერისთავი ლიპარიტი თავისი შვილებით, მხოლოდ იმიტომ, რომ გაიგზავნენ ილდეგიზიანებთან მაშველი ჯარის სათხოვნელად: „ლიპარიტ ძითა ორითა წარგზავნა ელიტიკოზ ათაბაგთან მოსაყუანად ჯარისად შემწედ თვისა" [1, 47], „ლიპარიტ, ძმა ივანესი, რომელი წარსრულ იყო ელიტიკოზ ათაბაგთან ორითა ძითა თვისითა, ელიკუმით და ივანესით, განრისხდა და აღძრა სპარსეთი და სამოცის ათასის სამხედროთი მოვიდოდა შემწედ თავის ძმისად: მაშინ ესმა ხმა ბოროტის შემთხუევისა მათისა და თქვა: „საწყალობელთ ქრისტიანეთ რასა შეუცოდავთ, რომ წარვიდე და წარვსწყმიდნე იგინი მოსისხლენი ჩუენნი არსად სჩანან, რომელნი შეეიპყრა მე, მიიქცა მუნვე და დადგა ელიტიკოზთან" [1, 47, 53].

თამარის პირველი ისტორიკოსი ამ ცნობას ერთგვარად ავსებს: „მაშინ მეფე აგარას მყოფი აღვიდა და მოადგა ლორესა. მუნიდაღმან წარსრულ იყვნეს სპარსეთს ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომელნი — ესე გიორგისაგანავე იყვნენ ჰელისუფალნი და ანანია დვინელი; ზოგნი შაჰარმენისა, ზოგნი ელდიგუზის ძეთასა" [34, 19; 33, 317]. წყაროში ქავთარ ივანეს ძე იხსენიება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლიტერატურაში ეს პიროვნება სხვადასხვაგვარად არის იდენტიფიცირებული.

ს. მაკალათიამ ქავთარი ივანე ორბელის შვილად მიიჩნია და დააკავშირა XII ს. სეტის ვერცხლის სურის წარწერაში მოხსენიებულ ამირა ქავთართან. სურის წარწერა „ქ. ღ-თნ: უბ-დნრნ...ღ-თსა:

სწორსა.. მ-ფთა: მ-სა გ-ის: მ-წსა.. ამრსა..ქ.-ვთრსგან". რასაც მკვლევარი ასე კითხულობს: „ქ.ღმერთმან უბედნიერენ ღუთისა სწორისა მეფეთა მეფესა გიორგის მიწისა ამირაისა ქავთარისაგან" [22] იგივე აზრი გამეორდა კ. მაჩაბლის სტატიაში [23, 251-258].

პ. ინგოროყვას აზრით, მეჯინიბეთუხუცესი, ქავთარ ივანეს ძე, აბულეთისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელია [24, 623]. იგივე გაიმეორა ვ. სილოგავამ. მისი მსჯელობით, „საისტორიო წყაროების მიხედვით, ივანე ორბელს შვილი ქავთარ არ ჰყავდა" [13, 49]. ქავთარი აბულეთის ძედ არ მიაჩნდა შოთა მესხიას. მისი დაკვირვებით, „აბულეთის ძენი, დიდი აბულეთის შთამომავალნი ქართულ წყაროებში მამის სახელით კი არა, ყოველთვის მხოლოდ აბულეთის ძეობით მოიხსენიებიან" [25, 105]. სხვათა შორის, ა. ბაღიშვილის გამოკვლევის მიხედვით, აბულეთის ძენი, აგრეთვე, ორბელთა გვარს ეკუთვნიან [10, 6,8, 68-69].

აჯანყების თანამედროვე სომეხი ავტორის, დავით ქობაირელის, ცნობით, ლორეს ციხეში ალყაშემორტყმული აჯანყებულების მეთაურმა, ივანე ორბელმა, „გაგზავნა თავისი ძმა ლიპარიტი სამი შვილით და თავისი უმცროსი შვილი გააყოლა სპარსთა მხედართმთავარ ხზილთან, რათა ან ჯარით გაემართა ხელი, ანდა თვითონ მოსულიყო" [26, 265-266].

ამგვარად, ორი თანადროული წყარო, ქართველი ავტორის — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" და სომეხი დავით ქობარიელი მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ალყაშემორტყმულებმა გაგზავნეს, ივანე ორბელის შვილია, თამარის ისტორიკოსის მიხედვით, ქავთარი, რომელიც, ისევე, როგორც ლიპარიტი, თავისი შვილებით, სავარაუდოა, გადარჩა, ვინაიდან დამხმარე ჯარით მოსულნი უკანვე გაბრუნდნენ: „დაღაცათუ უშუელეს და მოჰყვეს ეგრეთვე უქმადვე უკუნ აქცია მართლსაჯულობამან ქრისტესმან" [33,317; 34,19,20]. მომდევნო წყაროებში ქავთარის შესახებ გვაქვს სხვა ცნობებიც: XIII ს. სომეხი ავტორი, ვარდანი, წერდა, რომ აჯანყებულები სასტიკად დაისაჯნენ და სიკვდილით დასჯილთა შორის იყვნენ ლიპარიტის შვილი ივანე და ივანეს შვილი, ქავთარი [15, 261]. ერთგვარად განსხვავებული ცნობა აქვს სტეფანოზ ორბელიანს, რომელიც გვატყობინებს, რომ

„უმრწმესი ძმა ივანესი ქავთარ, ძე მისი სუმბატ და ძმისწული მისი ინა დახოცნა“ [1, 51].

მ. ბროსემ, სტეფანოს ორბელიანის მიხედვით, ქავთარი ივანეს უმცროს ძმად მიიჩნია [28, 350-351]. ვ. სილოგავას აზრით, ქავთარი ერქვა ივანეს უმცროს ძმას, რომელსაც საქართველოს კარზე რაიმე სახელო არ ჰქონია [13, 49]. ივანეს ძმად მიიჩნია ქავთარი ქ. ქუთათელაძემ [9, 282].

ვფიქრობთ, არც ის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ ივანე ორბელს მართლაც ჰყავდა ძმა ქავთარი, რომელიც მოკლეს, მაგრამ, ამავე დროს, შვილიც ამავე სახელით, რომელიც გადარჩა.

ქავთარის შემდგომი ბედის შესახებ, შესაძლოა, გარკვეულ მინიშნებას იძლეოდეს ბეთანიის ის გუჯარი, რომელსაც იმოწმებს ვახუშტი ბაგრატიონი და რომელიც რუსულ თარგმანთან ერთად გამოსცა ე. თაყაიშვილმა. საბუთში ნათქვამია: „ქრისტეს აქეთ გასულ იყო წელნი შვიდას სამოცდა რვანი (768). ამ წელს მოვიდა ბირიან აბაში საქართველოში დიდის ჩინებითა და დის კრებულს ელით. იყო ბირიან აბაში კაცი ამირთა ამირი და დიდად სახელჩინებული. ჰყვანდა ორი შვილი — ელეს და გურინ, და ცოლად ჰყვანდა ბირიან აბაშს აბაშთ მეფის ქალი სახელად ეწოდა ელუნ. მაშინ მეფობდა საქართველოში ბაგრატოანი მეფე ბაგრატ, ძე დავით მეფისა. ამა მეფემან ბაგრატ უბოძა ბირიან აბაშს ადგილი და მამული საქართველოში, ჩინებული და უკეთესი ყოველთა: ვერეს მდინარე — თავისის ხევის თავითა. ბედნის მდინარე — თავისის ხევის თავითა, არჯევნის მდინარე — თავისის ხევის თავითა, ფარავნის ბორცვის მდინარე — თავისის ხევის თავითა, ლელვის მდინარე — თავისის ხევის თავითა მტევრამდე. დაასახლა ამ ადგილებში ბირიამ აბაში მეფემ ბაგრატ, მისცა ასული თ;ესი თამარ ელეს, შვილსა ბირიან აბაშისა. დასახლდა თვითონ ბირიან აბაში ორბეთსა და გმირთ-კვეთილს გააკეთა ბირიან ციხე ორბელითისა და ციხე აწეულისა, ციხე ფარცხისისა, ეყენა რამდენიმე მცველნი ციხისანი, ცხოვრობდა საქართველოში ბირიან აბაში დიდად ჩინებით, ჰყვანდა შვიდი ხევის-თავი, სხვანი მრავალნი ერნი. გარდაიცვალა ბირიან აბაში და დარჩა შვილთა მამული და ადგილი მისი, და დაერქოთ შვილთა აბაშის შვილები. რამდენი ხანი და ჟამი აბაშის შვილებს

გვეძახდნენ. გარდაიცვალა რამდენიმე დრო და ჟამი და დაერქო ქართველ ქაჩიბაძე, რამდენიმე წელიწადი ქართველ ქაჩიბაძე ვიყავით. გარდაიცვალა დრო და ჟამი და დაგვერქვა ბარათიანი. ამ ბარათაშვილობაში ვესახლენით ენაგეთს. ერქვა იოანე. ამ იოანეს ჰყვანდა 3 შვილი: უფროსს აბაში ერქვა, მეორეს გუგუნა, მესამეს დავით. იოანეს უკან გაიყარნეს ენაგეთიდამ. აბაში სამშვილდეს დარჩა, გუგუნა ალგეთზე, უმცროსი დავითი გარესჯას... ძველი წიგნი და გუჯრები ბირიან აბაშისა და ქაჩიბაძისობისა ყველა მანგლისის სამალავში ბირიანის წიგნები ლანგ-თემურ დაწვა, და ქართველ ქაჩიბაძობის წიგნი. მანგლელი საბა ქვათა ხევს იყო, ამას ჰქონდა, ამის მანგლელი საბა ლანგთემურ ქვათა ხევს საყდარში დაწვა. წიგნები და გუჯრები ძველი იქ დაიკარგა და ბარათაშვილობის წიგნები და გაყრის წიგნები არის, როგორცა გაყრილან და ვის რა ვის რგებია, ხეობა და მამული" [29, 113-114].

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ საქართველოში მოსული ბარათაშვილების წინაპარი, ისევე, როგორც ხშირად, ორბელები, ამირთ ამირია და ეს გვარი გუჯრის მიხედვითაც შვიდი ხევის მფლობელია. საბუთში არაერთხელ გვხვდება სხვადასხვა სიტყვაში ფუძე „ჩინ", რაც ირიბად, აგრეთვე, ორბელიანებისაგან წარმომავლობაზე მიუთითებს, რომლებიც, წყაროს მიხედვით, სწორედ „ჭინეთის" ქვეყნიდან მოვიდნენ. ს. ჯანაშიამ სრულიად სანდოდ მიიჩნია წყაროს შემდეგი ცნობაც, რომ ბარათაშვილებს ერთ ხანს ქართველ ქაჩიბაძეებად იცნობდნენ. მისი მსჯელობით, „ქართველ ქაჩიბაძე" "არაქართველ ქაჩიბაძესაც" გულისხმობს, რაც, მისი აზრით, აფხაზეთიდან მათ წარმომავლობას უჭერს მხარს. აქვე შევნიშნავთ, რომ ნაკლებად არის მოსალოდნელი აფხაზეთიდან მოსულის არაქართველებად მიჩნევა იმ დროს, როდესაც საპირისპირო ტენდენცია შეინიშნება და საქართველოს ყველა ქვეშევრდომი ქართველად არის აღიარებული.

განხილული მონაცემების საფუძველზე, ჩვენ უფრო დასაშვებად მიგვაჩნია შემდეგი ვარაუდი: გაქცეული ქავთარი ერთხანს თურქულ გარემოში იმყოფებოდა, სადაც მას, შესაძლოა, იცნობდნენ როგორც ლტოლვილ ქართველ ბატონს, ანუ Gürcü Kaçık Beg=Kaçık Bey/ Bay. მოგვიანებით, არაერთი ქართველია ცნობილი ოსმალეთის

იმპერიაში, მაგ. გურჯი მეჰმედ ფაშა, გურჯი ნები და სხვ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, რაც, ჩანს, მალევე მოხდა, ქავთარ ორბელმა, შესაძლოა, შეინარჩუნა ეს სახელი. სხვათა შორის, სწორედ Kaçuk (Kaçik)-იდან (გაქცეული) არის მიღებული გვარი კაჩუხაშვილი. მართალია, თურქული k უკანარიგისმიერ ხმოვნებთან გვაძლევს კ-ს ან ყ-ს, არის გამონაკლისებიც, მაგალითად, კოჩაკიძე, ყოჩაღი, მაგრამ ქოჩაკიძე, აგრეთვე ქოქაშვილი, ქუჩიკი, ქუჩუკი, ქუჩუქაშვილი და სხვ. (მაგალითები ამოღებულია მ. ჯიქიას სადოქტორო დისერტაციდან).

გიორგი II-მ „განუყო მამული მათი სხუათა, რომელიმე მისცა მტერთა და მიმცემელთა მათთა“ [1, 54], რის გამოც ბევრი რამის დაბრუნება ორბელებს შემდგომში სხვადასხვა გზით უხდებოდათ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვით ორბელიანები, ბარათაშვილები და აბაშისშვილები ინახავდნენ გადმოცემებს მათი საერთო წარმომავლობის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემა აღმოჩნდა ალექსანდრე ორბელის პირად არქივში და მისი წყაროები, სტეფანოს ორბელიანის გარდა, საგვარეულო გადმოცემები და ქართული მატიანეებია. ბეთანიის გუჯარი ალექსანდრე ორბელისათვის უცნობია. აქ გაზიარებულია აზრი მათი ჩინური წარმოშობის შესახებ, შემდეგ დასახელებულია გვარში ერთ-ერთი გამოჩენილი პირი ქაჩიბაი, შემდეგ მისი შთამომავალი ბარათა, რომლებისგანაც გაჩნდნენ ბარათაშვილები და ა.შ. [29, 125]. ასევე ჩინეთს უკავშირებს იოანე ბაგრატიონი თავად ჯამბაკურიანს, რომელიც მეფე ფარნავაზმა დაასახლა საქართველოში [31, 18], ხოლო შემდგომში მისგან სხვადასხვა გვარი წარმოიქმნა.

განხილული მასალის საფუძველზე, შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ შემდეგი:

XIV ს. სომეხი ავტორის, სტეფანოს ორბელიანის, ცნობა ორბელიანების წარმოშობაზე წარმოადგენს სკვითების თავდასხმების მითოლოგიზირებულ ერთ-ერთ ვერსიას. ანალოგიური გადმოცემები მრავლად არის შემონახული ქართულ და სომხურ წყაროებში. მსგავს გადმოცემებში ქართული წყაროების თურქები, ბუნ-თურქები (რაც სკვითებს გულისხმობს), ხაზარები, სკვითები, სომხურ ისტორიოგრაფიაში ჭენებით, ჩინ-ხაზარებით იცვლება;

განსხვავებით ქართული წყაროებისაგან, რომლებმაც უფრო ძველი პლასტი შემოგვინახა, რაც სკვითების და ირანის დაპირისპირებას უკავშირდება, სომხურ წყაროებში, სადაც, ზოგიერთ შემთხვევაში, იგივე გადმოცემები უფრო დაახლოებულია ავტორების დროსთან, ასახულია ბიზანტიის მოკავშირე თურქ-ხაზარების და ირანის დაპირისპირება;

წყაროთა მონაცემების და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ იქნა მიღებული ერთი გვარიდან მეორე შემდეგი თანმიმდევრობით: ბაღვაში-ორბელი-ქაჩიბაძე-ბარათაშვილი-ორბელიანი;

არ დასტურდება ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ორბელების თურქულ სამყაროსთან კავშირის შესახებ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.
2. Н. Марр. Батум, Ардаган, Карс. Петроград. 1922.
3. Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана. СПБ. 1908, с. 403-404.
4. К. П. Патканов. О месте, занимаемом армянским языком в кругу индоевропейских. — Известия Кавказского отд. импер. российского географич. общества, т.6, 1879-1881.
5. М. Туманов, Китайские выходы в древнем Закавказье. — Газ. "Заря Востока", 1927, 7.09.
6. მ. ანდრონიკაშვილი. *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, I, თბ., 1966
7. ცხორებაᲲ მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. შანიძემ, თბ., 1992.
8. ჟამთააღმწერელი. *ასწლოვანი მატიანე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.

9. ქ. ქუთათელაძე. *ქვემო ქართლი*, პოლიტიკური საკითხები, თბ., 2001.

10. ალინა ბაღიშვილი. ბაღვაშები. — ჟურნ. *აია*, 2001, 6-10.

11. ს. ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. — შრომები, II, 1952.

12. ნ. ბერძენიშვილი. ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში. — *საქართველოს ისტორიის საკითხები*, III, თბ., 1966.

13. ვ. სილოგავა. *ბეთანიის წარწერები*, თბ., 1994.

14. გ. ჯამბურია. *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან*, თბ., 1955.

15. ქრონიკები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897.

16. მ. ჯანაშვილი. *ნაშრომი*, ტფ., 1907.

17. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა — *ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

18. ვ. სილოგავა. ქვემო ქართლის წარწერები. — კრ. „დმანისი", III, 2000.

19. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

20. ს. კაკაბაძე. *რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი*. 1966.

21. ს. კაკაბაძე. წინასიტყვაობა - *ვეფხისტყაოსანი*. თბ.1927.

22. ს. მაკალათია. თეძმის ხეობა, თბ., 1959.

23. К. Мачабели. О Грузинской светской чеканке.- Сб. Средневековое искусство. Русь. Грузия. М. 1978.

24. პ. ინგოროყვა. რუსთველიანის ეპილოგი. — *თხზულებათა კრებული*, ტ. I, თბ., 1963.

25. შ. მესხია. *პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში*, თბ., 1979.

26. გ. მაისურაძე. ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ. — კრ. *საქართველო რუსთაველის ხანაში*, 1966.

27. ვარდანი. *მსოფლიო ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ. თბ., 2002.

28. M. Brosset. Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469. St-Pétersbourg., 1851.

29. Е. Такайшвили. Еще один из источников истории Грузии царевича Вахушти. — Записки Восточного отд. Импер. Российского Археологического общества. т. 8. С-П, 1893.

30. მ. ჯიქია. *თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიკაში.* ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, თბ., 1995.

31. იოანე ბაგრატიონი. *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთ თავადთა და აზნაურთა გვარებისა.* თბ., 1997.

32. Д. Е. Еремеев. Этногенез турок. М., 1971.

33. ქართლის ცხოვრება, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1996.

34. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1959.

35. M.F. Kırzı-oğlu. Kipçaklar, Yukarı- Kur ve Çoruk Boylarında Kipçaklar, Ankara, 1992.

36. მოვსეს ხორენაცი. *სომხეთის ისტორია.* ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1984.

37. მ. სანაძე. აქემენიანთა პირველი მბრძანებელი კიროსი და „ქართლის ცხოვრების" ნებროთი. – კრ. *მარიამ ლორთქიფანიძე 85.* თბ., 2007.

38. История епископа Себеоса. Перевел с четвертого, исправленного армянского издания Ст. Малхасянц. Ереван, 1939.

39. Армянская география VII в. по Р.Х. , приписываемая Моисею Хоренскому. Текст и перевод с присовокуплением карт, обьяснений и примечаний издал К.П. Патканов, С-П., 1877.

40. V. Minorsky. Caucasica II. - Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, Vol.13, No.4 (1951), 868-877.

Giuli Alasania

Georgians and Pre-Islamic Turks

Based on Georgian sources some scholars assume that Turkish speaking tribes came to the Caucasus much earlier than it can be conjectured. The present work offers the consideration of the meaning of the term "Turk", "Bun-Turk" by the Georgian sources. Different perceptions concerning the term Bun-Turk according to scholarly literature are also studied here. The analysis of the evidence of Georgian written sources "Conversion of Kartli" (Moktsevay Kartlisay"), "History of Kartli" ("Kartlis Tskhovreba") as well as the information of chronicles by Wakhuchti Bagrationi (18th c.) and Ioanne Bagrationi (19th c.) leads to the conclusion that Bun-Turks in BC by the Georgian sources stand for Iranian-speaking Scythians and have nothing in common with Turkish speaking tribes, whose existence on the North-West shore of the Caspian Sea was not expected before AD. The terms "Turks" and "Khazars" as used by the first chronicler of "Kartlis Tskhovreba" are synonyms in some cases.

However the plots preserved in Georgian sources reflected real developments. The present research argues the short-term settling of the Scythians on the Georgian territory (following G. Melikishvili, M. Andronikashvili, R. Abramishvili, V. Kovalevskaya).

When Scythians came to Georgian lands and stayed there before Alexander the Great, they even contributed to the building of the Georgian state. The evidence of the Georgian chronicle regarding the dissemination of six languages in Kartli before Alexander - Georgian, Armenian, Khazar, Assyrian, Greek and Jewish languages - is confirmed by the evidence of related sources. The above-mentioned languages are identified as well.

Relations between Georgians and pre-Islamic Turks are traced since the 3rd century AD. The Turkic peoples settled in the North Caucasus were in active contact with those who lived in the North as well as the South Caucasus - including Georgians. Various kinds of relations can be followed in this regard: cultural and economic interaction as well as warlike clashes, which frequently took place throughout the early Middle Ages. Since the North Caucasus was densely populated and from time to time filled up by new-comers, migrations to the south was a regular process. Seeking for new fertile lands was not a peaceful activity and was accompanied by invasions and onslaughts, resistance from natives, massacres or expulsion of people.

In the first centuries AD the Georgian territory was divided into two main parts – Western and Eastern. At the time considered in the present research, Western and Eastern Georgia were under political control of Byzantium and Sassanids, later - Byzantium and Arabs. In such a confrontation both superpowers applied to the third force using it against each other. Since the war was an essential source of the income of Turkic peoples, their involvement on one side or another during the war, which was a necessary condition for the survival in those remote times, depended on an award.

In such a traditional triangle the Georgian authorities followed their own interests, trying to benefit from the current situation.

In such a complicated junction of interests the Turkic peoples, who created different state formations beyond the Caucasus Range, were not just invaders but also frequent allies and a reliable support for their southern neighbors. Related sources reflected not only the

negative, but also the positive experience of the relations of Georgians with Turkish speaking tribes, such as Huns, Khazars and Kipchaks.

The work reveals some plausible periods of dependence of Georgians on Turkish speaking tribes: Huns, Turks and, later, Khazars. However, these were short periods: the early 6th century, late 2nd decade of the 7th century (628-630), the 6th decade of the 8th century, when Kartli was in such a dependence; also the 8th decade of the 8th century, when Abkhazia shares Kartli's fate; a number of cases of alliances has been confirmed.

The investigation of the time comes to defining some facts from the Georgian history. The opinion dominating in the scholarly literature regarding the non-participation of Georgians in the insurrection against Persians in mid 5th century is not shared and some additional arguments verifying Georgian participation together with the Armenians, Albanians and Huns are supplied.

It is supposed that the invasion of Huns from the North (603) in the course of the Byzantium-Persia War (502-506) was initiated by the Georgian king Wakhtang Gorgasali who passed away not earlier than 503, since he was wounded in Hun-Persia War (503-508).

The institution of Erismtavari in Kartli was established probably after the Byzantium-Persia treaty of 591. The opinion about the identity of Guaram-Gurgen in the 70s-80s is not shared.

The present work deals with the Byzantine-Persian War in the 20s of the 7th century and the involvement of Georgians in those events. It is supposed that the Byzantine Emperor and his allies - Turks-Khazars divided the territories of the South Caucasus.

According to their agreement the Persian part of Kartli, which included Tbilisi, fell under political control of Khazars. Shortly after, Kartli gained independence.

Heracles's coming to Kartli is not doubted, however the evidence about his coming to Kartli several times is not considered to be convincing enough. The work puts forward an explanation for the reasons for rather different characterization of Byzantine Emperor Heracles in the Georgian written sources.

The interaction of Khazars, Byzantines, Southern Caucasians and Arabs is studied. Hereby some evidence of Arabic, Armenian and Georgian sources are newly read and interpreted.

The joint struggle of Arabs and South Caucasians against Arabs in the first half of the 8th century and in mid 8th century is analyzed; the work also emphasizes the role of Khazars in establishing the Abkhaz Kingdom, by means of a principality that broke away from Byzantium.

Not opposing the perception that the Khazars tried to have Abkhazia under their influence in the end of the 8th century (Th. Noonan), the opinion that Abkhazia could be a colony of the Khazars (K. Brook) at that time is not shared. Abkhaz ruler Leon, the grandson of Khazar Khakane, at the same time was the nephew of Leon of Isauria, the Byzantine emperor, who appointed him as a ruler in Abkhazia. There was only one Leon in Abkhazia in the 8th century. Based on his wife's rights, Leon united Western Georgia and became its ruler in the late 8th decade of the 8th century. His wife was Guranducht, the daughter of Mir, to whom Egrisi was given hereditary by Leon of Isauria.

Setting up the Tbilisi Emirate (in 770s) in times of Abbasids entailed the abolishment the erismtavari's institution;

Stephanos, the last erismtavari, was tortured by Arabs in 786. The tough policy of Abbasids resulted in the political dissolution of Kartli and - as a consequence – the increasing power of regional local rulers.

The author of the present research doesn't share the dominant opinion in the Georgian scholarly literature according to which Ashot I Bagrationi was an erismtavari, residing in Tbilisi and expelled westward by Arabs. Unlike erismtavaris, Ashot I the Curopalates, the owner and ruler of western Kartli, Kartli-Klarjeti, is defined as a king, who claimed to power in entire Kartli. The Tbilisi Emir, frequently opposing the central power of caliphate, was supported by the ruler of Kakheti, while the Bagrationi family members were usually the allies of caliphs and tried to expand eastward. However , the attempts

of Ashot Bagrationi to unite Kartli because of his murdering by the Georgians failed and were postponed.

The Tbilisi Emir (since 770s) controlled a smaller part of Kartli, which became larger from time to time.

Scholars, who deal with the history of Qipchaks, paying attention to the number of nomads, which moved to Georgia at the time of David the Builder, refer to the Georgian chronicle "Kartlis Tskhovreba" (the"History of Kartli"). Taking its data - 40000 qipchaks plus guards of 5000 slaves ("mona-spa") I.

Javakhishvili counted the total number as 45000x5 = 225000.; The number is shared and repeated in the scholarly literature. However it needs some correction. One cannot add the number of monaspa to Qipchaks, since the former consisted of slaves. We should take into account the note preserved in the scholarly literature according to which the number 40000 in regard of Turkish speaking tribes is somehow traditional and thus the evidence of the Georgian source is not reliable.

Further, among the events of 1123 the Georgian medieval historian notes, that before the Shirvan campaign the Georgian King convoked the army "from the whole of his kingdom and they came and the king went against Sultan: Qipchaks were counted then: the King found 50000 warriors".

We can see later, before taking Ani, that the number 50000 means the whole army. Before taking Ani the King had at his disposal 60000 - all forces, which he could gather in the state.

The latter is a number, which the Georgian King usually employed in the battles.

The next question to be considered is the level of integration of Qipchaks into the Georgian midst. Some scholars overestimate the evidence by David's historian according to which "majority of Qipchaks became Christians day in day out". They consider them to have the ability to learn Georgian easily and to assimilate fast (I. Javakhishvili, Sh. Meskhia, R. Metreveli, M. Lortkipanidze). The Georgian historian emphasizes that the King started to convert them

to Christianity. Unlike the assertion of their fast assimilation there is another viewpoint - that the majority led by Atrak eventually returned to the steppe.

Qipchaks are once again mentioned during the reign of Giorgi III, but they are not the dwellers on the Georgian land. They are mentioned as the people coming there from time to time, invited by the Georgian King for military service. In those times Qipchaks were not the main force in the Georgian army. They were hired and paid and were mentioned as the supplementary force. It is supposed that during the reign of Giorgi III a new tribute was established - "Saqipchake" (in favor of Qipchaks). It was gathered for Qipchak mercenaries and not in time of David IV the Builder, as it is perceived in the Georgians scholarly literature.

The terms "new Qipchaks" (as used by the historian of Queen Tamar) and "old Qipchaks" (used in the scholarly literature) are also considered in the work. The author argues the latter to be misleading and assumes that term "new Qipchaks" except new-comers in Georgia, could also stand for those to be converted to Christianity.

The name of Orbeli - the dynasty raised a scholarly interest.

The name played an important role in the history of Georgia and Armenia and therefore the Georgian and Armenian sources provide evidence on it, which is complementing or sometimes contradicting and confronting. The perception about the Turkish origin of Orbeli, pushed on by some scholars, is not affirmed in the present research. Proceeding from the analysis of the sources the author argues that legends about the origin of the name Orbeli can be related to the plots about Scythians preserved in the Georgian and Armenian sources. These plots, however, have changed with the time.

During the reign of Giorgi III, the Orbelis rebelled against the Georgian King. They were defeated and according to some sources - exterminated. In spite of such assertions, Orbelis continued to exist in Georgia henceforth.

In the late Middle Ages the name Orbeliani appeared as a branch of the Baratashvilis. Versions of the Orbelis are Orbelidze, Orbelishvili,

Kaplanishvili, Janbakur-Orbeliani. Who are the Baratashvili? The Georgian scholarly literature, where there dominates the assumption of S. Janashia, denies any connection between the Orbelis and the Baratashvili.

In the present research Baratashvili is connected with the son of Ivane Orbeli, who survived the uprising against Giorgi III, and hence left Georgia. It is supposed that abroad in the Turkish surrounding he was known as Gurcu Kachik Beg, which means the Noble Georgian refugee. Later on he returned back and took that name - Kachiba (dze). According to the scarce evidence the Baratashvili descended from Kachibadze. The assumption is based on the evidence of the written and oral sources.